

ზურაბ გამეზარდაშვილი

გიორგი თუმანიშვილი  
(ლიტერატურის კრიტიკოსი)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1992

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას, მონოგრაფიულად შეისწავლოს გასული საუკუნის ქართველი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის — გიორგი თუმანიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა.

გ. თუმანიშვილის კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა როგორც საქართველოში გამოშვებულ ქართულ და რუსულ, ისე იმპერიის ცენტრალურ პრესაში. მისი რუსულ ენაზე სამ წიგნად გამოცემული „დახასიათებები და მოგონებები“ საინტერესოა როგორც ორიგინალური დაკვირვებებით, ისე ახალი მასალების სიუხვით ქართველი და რუსი მწერლების შესახებ.

წიგნი დაინტერესებს როგორც ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიის, ისე ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის მკვლევართ.

რედაქტორი თ. ქუ რ დ ო ვ ა ნ ი ძ ე

რეცენზენტები: ბ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე  
თ. კ ი კ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992

4702170101

Г \_\_\_\_\_

608(06)—92

ISBN 5—511—C0487—1

## ცხოვრების გზა

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართული მწერლობის ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, რომელიც „თერგდალეულებისაგან“ საკმაოდ განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების მქონე ახალგაზრდებისაგან შედგებოდა. ამ თაობის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი თავის სამოღვაწეო პროგრამას, ძირითადად, ევროპული ცხოვრების გამოცდილებაზე აფუძნებდა და განათლებასაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ღებულობდა, მეორე ნაწილი კი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლით იყო დაინტერესებული და თავის სოციალურ-პოლიტიკურ იდეალებსაც მისი მომავლის პერსპექტივებს უკავშირებდა. მათ საერთო მიზანს, ცხადია, სამშობლოს კეთილდღეობა წარმოადგენდა, მაგრამ მისი განხორციელების გზები და საშუალებანი სხვადასხვაგვარად ესახებოდათ. ამგვარი ტენდენცია გარკვეულად დაეტყო თვით სამოციანელთა მოღვაწეობასაც და მათ რიგებშიც აზრთა სხვადასხვაობა თანდათან უფრო რელიეფურად გამოიკვეთა.

სამოცდაათიანელთა თაობის მეორე ნაწილის წარმომადგენელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და კრიტიკოსს, რომელმაც მოღვაწეობის საინტერესო გზა განვლო და მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

გ. თუმანიშვილი ქართველ სამოციანელთა ტრადიციების გამგრძელებელია, მაგრამ, ხშირად, გარკვეულად განსხვავებული შეხედულებებიც გააჩნია ახალი მოვლენების გაგება-შეფასების საქმეში: ამიტომაც, რომ თუმცა მათ მხარდამხარ მოღვაწეობას აგრძელებს, მაგრამ არც მათთან პოლემიკას ერიდება.

მსგავსად სამოციანელებისა, გ. თუმანიშვილს თავისი სამოღვაწეო ასპარეზი მხოლოდ პრესის ფურცლებზე გამოსვლით არ შეა

მოუფარგლავს. იგი აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა ქვეყნის წინაშე მდგომი ბევრი პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტაშიც, სისტემატურად მონაწილეობდა ქართული კულტურის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარებაში. ამასთან ერთად, იგი გამოირჩეოდა ფართო კონტაქტებით, კავკასიელ და რუს მოღვაწეებთან მკიდრო და საქმიანი ურთიერთობით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მეტად, ვიდრე ყველა სხვა, გვევლინება კავკასიის ხალხთა ლიტერატურის კრიტიკოსად და რუსულ-კავკასიურ ლიტერატურათა ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარად. ასეთივე საინტერესო და მისაწვდომი იყო მისთვის თეატრმცოდნეობის საკითხები, რომლებსაც ფართო მასშტაბით აშუქებდა. თავისი თეატრალური მოღვაწეობით მან დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს და თბილისში შექმნილ სხვადასხვა არტისტულ წრეებს.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო გ. თუმანიშვილის — როგორც ყურნალისტის მოღვაწეობაც. მის მიერ გამოცემული „ალმანახები“ და „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორობა ხანგრძლივი დროის მანძილზე ამის უტყუარ საბუთებს წარმოადგენენ.

გ. თუმანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზის ერთი თვალის გადავლევაც საკმარისია დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი იყო იგი.

\* \* \*

გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1854 წლის 9 თებერვალს.

ცნობილ მწერალს მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილსა და სოფიო აბრამის ასულ ენიკოლოფოვას 16 შვილი შეეძინათ. მათგან ოთხი ჯერ კიდევ პატარა გარდაიცვალა, რამდენიმე კი — უკვე მოზრდილი. გიორგი რიგით მეათე შვილი იყო, მაგრამ ვაჟიშვილებში — პირველი. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ იზეიმა საგანგებოდ ოჯახმა მისი დაბადება. ბავშვი მეტად სუსტი გაჩენილა და შემდეგაც ხშირად ავადმყოფობდა. იქნებ ამიტომაც, გიორგი განსაკუთრებული ყურადღებით იყო გარემოცული როგორც მშობლების, ასევე და-ძმათა მხრიდან.

გიორგის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში მთავარი როლი მაინც მამასა და უფროს დას ბარბარეს მიუძღვოთ. რაც შეეხება დედას, მის შესახებ თვითონ გიორგი ამბობს: „დედა მთელი დღე ოჯახში ტრიალებდა და ჩემს აღზრდაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია“<sup>1</sup>.

ჯერ კიდევ პატარა გიორგის მამა და უფროსი და უკოთხაუნენ საინტერესო წიგნებს და აღვიძებდნენ მასში მწერლობისადმი სიყვარულს. უნდა აღინიშნოს, რომ თუმანიშვილების გვარს საქართველოს ცხოვრებაში საკმაოდ საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩნეული, „რომელიც განისაზღვრება, როგორც კალმოსანთა (კალმის ადამიანთა) ადგილი. მათ შორის იყვნენ სამხედრო მოღვაწენიც. დიპლომატებიც. ბევრი მათგანი საქმიანობდა სამართლის სფეროშიც, მაგრამ მათი, ასე ვთქვათ, ძირითადი ხელობა იყო ნიშანდობლივ კალამი. მრავალ მოდგმათა განმავლობაში ისინი იყვნენ სამეფო კარის მდივნები, სარგებლობდნენ რა „მდივნობის-მწიგნობრობის“ უფლებით“<sup>2</sup>. და სავსებით გასაგებია, რომ მეფეების ერეკლესა და გიორგის მდივნის, ბირთველის ვაჟს, ცნობილ მწერალს, ნეკოლოზ ბარათაშვილის მეგობარს, „ცვეტოკ ტიფლისსკოი გიმნაზიი“-ს შემდგენელსა და „რედაქტორს“ მიხეილ თუმანიშვილს სურდა, რომ მისი ვაჟი ყოფილიყო მამა-პაპათა ტრადიციების სახელოვანი გამგრძელებელი. პატარა გიორგი მიაბარეს დ. კ. ყიფიანის პანსიონში, სადაც შექმნილი იყო ბავშვის განვითარებისათვის საუკეთესო პირობები. „ყიფიანი, — იგონებს გიორგი, — ახალგაზრდა კაცი იყო, რომელმაც იმხანად დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და თავის პანსიონში მოიზიდა გიმნაზიის საუკეთესო მასწავლებლები და ლიტერატორები: ნ. ლოღობერიძე, გ. წერეთელი და სხ.“<sup>3</sup>.

როგორც თვითონ გადმოგვცემს, ბავშვობაში გიორგის არ ჰყოლია ახლო ამხანაგები და მხოლოდ წიგნების კითხვას ანდომებდა მთელ დროს. ამგვარმა აღზრდამ და რეჟიმმა თავისი შედეგი გამოიღო: გიორგი აღრევე დაინტერესდა ლიტერატურული საქმიან-

<sup>1</sup> საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკად. ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. გ. თუმანიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 16 (კვეთით ამ არქივზე მიუთითებთ შემოკლებით: „გ. თუმანიშვილის ფონდი“).

<sup>2</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი № 16.

<sup>3</sup> იქვე.

ნობით, და მანაც მამის კვალობაზე, დაიწყო ქართული და რუსულა ხელნაწერი ჟურნალების „გამოცემა“.

პანსიონის დამთავრების შემდეგ (1867 წ.) გიორგი ჩაირიცხა თბილისის კლასიკური გიმნაზიის მეოთხე კლასში. გიმნაზიაში ნიჟერი ბავშვი ძალიან კარგად სწავლობდა და წარმატებითაც დაამთავრა იგი 1871 წელს.

გიმნაზიაში სწავლისას გიორგი აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა ლიტერატურულ წრეში, რომელსაც მიზნად ჰქონია თანამედროვე ავტორთა ნაწერების გაცნობა. „ჩვენ ვკითხულობდით, — შენიშნავს ის, — ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“, პისარევის, ლავროვის, გერცენის და სხვათა წერილებს. გარდა ამისა, მამის საშუალებით ვეცნობოდი ჟურნალებს „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“, „დელო“, „კოლოკოლ“ და სხვ.“<sup>1</sup>. გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე იგი გაიტაცა თეატრმა. მაშინდელი თბილისის თეატრი ერთ-ერთი საუკეთესო იყო პროვინციულ თეატრებს შორის. აქ საგასტროლოდ ჩამოდრიოდნენ იტალიელი მომღერლები, პეტერბურგელი დრამის მსახიობები (მუზილი, არდი, პრავდინი, იაბლოჩკინები, სოკოლოვი და სხვ.). სწორედ მათი გავლენით იყო, რომ თავის უმცროს ძმასთან ერთად სახლში დგამდა სცენებს სპექტაკლებიდან: „რევიზორი“, „ვაი ჭკუისაგან“, „გაყრა“ და სხვ. „ამგვარად, — იგონებს შემდგომ გ. თუმანიშვილი, — მე ლიტერატურას სცენით უპრო ვეცნობოდი, ვიდრე გიმნაზიაში“<sup>2</sup>.

გიმნაზიის კურსის დამთავრებისთანავე გიორგი შევიდა ნოვოროსიის უნივერსიტეტში; სუსტმა ჭანმრთელობამ აიძულა იგი პეტერბურგში წასვლაზე ხელი აეღო და ოდესაში გამგზავრებულიყო. იმ დროს არა მარტო ოდესა, არამედ მთელი რუსეთის იმპერია „დაავადებული იყო“ ბიოლოგიური მეცნიერებისადმი დიდი ინტერესით, რამაც გავლენა მოახდინა გიორგიზეც, რომელიც თავდაპირველად აპირებდა შესულიყო იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ჩვენი თანამემამულის ფიზიოლოგ ივანე თარხნიშვილის საჯარო ლექციის მოსმენის შემდეგ შეიცვალა გადაწყვეტილება, რაც აცნობა კიდევ მშობლებს. უინტერესო არ იქნება მოვიყვანოთ ნაწყ-

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი № 16.

<sup>2</sup> იქვე.

ვეტი მიხეილ თუმანიშვილის წერილიდან ვაეისადმი, სადაც იგრძნობა მისი დიდი სიფაქიზე, ტაქტი და ამასთანავე პასუხისმგებლობის გრძნობაც პროფესიის არჩევაში: „ვეფრობდით და ვმსჯელობდით რა დიდხანს, გადავწყვიტეთ შევჩერებულყავით სამართალმცოდნეობაზე. და არა რაიმე მერკანტილური თვალსაზრისით. დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს მეცნიერება მართლაც გამოგვადგებოდა ცხოვრებაში. რასაც არ უნდა ამბობდნენ იდეალისტები, მთავარი მაინც სინამდვილეა. იურიდიული განათლებას მქონე კაცისათვის ყველა სარბიელი ხსნილია: ადმინისტრაციულიც, სასამართლოსიც და საზოგადოებრივიც, ვიმეორებ, არა პირადი მატერიალური მიზნებისათვის, არამედ იმისათვის, რომ სარგებლობა მოგვეტანა ჩვენი თანამოქალაქეებისათვის. დიდად სამწუხარო იქნება, თუ ერთხელ და საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილებიდან გადაუხვევ“<sup>1</sup>. ძნელი სათქმელია, თუ როგორი ბიოლოგი იქნებოდა გ. თუმანიშვილი, მაგრამ იურისპრუდენციის ცოდნამ და ჰუმანიტარულმა განათლებამ რომ დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში, ეს შემდგომმა მისმა მოღვაწეობამ და შემოქმედებამ წარმოაჩინა.

სამშობლოს მოცილებული სტუდენტი სრულიადაც არ მოწყვეტილა მშობლიურ მწერლობას და მუდამ თბილისური ცხოვრების კურსში იყო. ყოველივე ამას იგი ახერხებდა მამისა და დამების საგანგებო მზრუნველობის წყალობით.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ოჯახური გარემო, რომელშიც აღიზარდა და ჩამოყალიბდა გ. თუმანიშვილი, როგორც მოქალაქე, უადრესად ხელსაყრელი იყო მომავალი მოღვაწისათვის. ამ მხრივ იგი ბედნიერ გამონაკლისადაც კი შეიძლება ჩავთვალოთ გასული საუკუნის მოღვაწეთა შორის.

პოეტმა და პუბლიცისტმა მიხეილ თუმანიშვილმა სამაგალითო მამობა გაუწია შვილებს, რამაც თავისი ნაყოფიც გამოიღო: მისი ყველა შვილი (ბაბაღე, ანასტასია, ვასილი, კონსტანტინე, გიორგი) ჩვენი კულტურის ამაგდარი მოღვაწე გახდა. ეს არ ყოფილა შემთხ-

---

<sup>1</sup> იხ. სარტიკო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. ელ. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 51.

ვევითი. გამოცდილი მოღვაწე და განათლებული მშობელი უშუალოდ ხელმძღვანელობდა შვილების ზნეობრივ და გონებრივ აღზრდას, უნერგავდა მათ მწერლობის სიყვარულს და საგანგებოდ ამზადებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. იგი შვილების სწავლისა და საქმიანობის კურსში იყო ყოველთვის და მისი შეთანხმებით „მტკიცდებოდა“ მათი ყოველდღიური მუშაობის რეჟიმი. წიგნებითა და ქურნალ-გაზეთებით შვილების მომარაგებაზეც თვითონ ზრუნავდა და არაფერს იშურებდა ამისათვის.

თუმანიშვილების არქივის მკვლევარი ელისო აბრამიშვილი წერს: „თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობის მკითხველს ზოგჯერ შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეექმნას, რომ ამ წერილებს ერთი ადამიანი წერდა, მხოლოდ სხვადასხვა ასაკში. ეს ერთი ადამიანი კი მიხეილ თუმანიშვილი იყო, რომელიც, როგორც ჩანს, თავისი ოჯახის წევრებზე განუზომელი გავლენით სარგებლობდა“<sup>1</sup>.

ღიახ, მიხეილი თავის შვილებზე მართლაც რომ განუზომელი გავლენით სარგებლობდა. ამის მიზეზი კი პედაგოგიურად გამართლებულ მის მშობლიურ მზრუნველობაში უნდა ვეძიოთ. ამიტომ იყო, რომ შვილები მას პატივს სცემდნენ არა მხოლოდ როგორც გულისხმიერ მშობელს, არამედ როგორც შესანიშნავ აღმზრდელსა და მოქალაქეს საერთოდ.

1875 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა მიხეილ თუმანიშვილი, პოეტი-რომანტიკოსი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, და რა დასანანია, რომ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პრესაში არ გამოქვეყნებულა არათუ ნეკროლოგი, რომელიც ღირსეულად შეაფასებდა მიხეილის წვლილს ქართული მწერლობისა და კულტურის წინაშე, არამედ უბრალო ცნობაც კი. მიზეზი კი იყო გიორგი თუმანიშვილი, მიხეილის გამორჩეულად საყვარელი ვაჟი. „მე მიმიძღვის ბრალი იმაში, რომ მისი გარდაცვალების შესახებ გაზეთებში არა თუ ნეკროლოგი, უბრალო სამგლოვიარო განცხადებაც კი არ გამოქვეყნებულა. ნათესავებს არ უნდოდათ მაშინვე შემეტყო უბედურება, თავს რომ დამატყდა; სტუდენტი ვიყავი და ოდესაში ვა-

<sup>1</sup> იხ. საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ, ელ. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 12.



ბარებლი გამოსაშვებ გამოცდებს. ამგვარად, მამის ხსოვნის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ“<sup>1</sup>.

აი, რას სწერს გიორგი ოდესიდან უმცროს ძმას ვასილს: „მართალია, დავკარგეთ ხელმძღვანელი, მაგრამ ჩვენ მაინც მისი გზით ვივლით — ვიქნებით ენერგიულები, დამოუკიდებელნი და პატიოსნები, არ გაგვიტაცებს სხვათა დანაშაულებრივი სისუსტენი და არც ვიქნებით მათთვის ჯალათები. პატიოსანი შრომა და კაცთმოყვარეობა ჩვენი დევიზი უნდა იყოს მუდამ. ის, რომ შეიძლება არ ვულაატოთ ამ დევიზს, ამას დაამტკიცებს ჩვენი ახალგაზრდა ძალები და ჩვენი აღზრდა“<sup>2</sup>. გ. თუმანიშვილმა მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაადასტურა, რომ იგი ღირსეული მამის ღირსეული შვილი იყო.

ოდესაში, ნოვოროსიის უნივერსიტეტში სწავლის მთელი სუთი წლის მანძილზე (1871-75 წწ.) გ. თუმანიშვილი სისტემატურად ღებულობდა ოჯახიდან თბილისური პრესის ყოველ ახალ ნომერს სათანადო კომენტარებითა და საზოგადოებრივი აზრის დახასიათებით. ამიტომაც, რომ თავის წერილებში იგი თავისუფლად მსჯელობს ჩვენი იმდროინდელი მოღვაწეების ნაწერებზე, იცის, ვინ რომელი ფსევდონიმით წერს, იცის ისიც, თუ რაა მოსალოდნელი უახლოეს დროში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: მშობლების მიერ გიორგი თუმანიშვილი იმთავითვე შთაგონებულია, რომ იგი ეროვნული მოღვაწე უნდა გახდეს და საჭიროა საამისოდ მოემზადოს. მშობლები, ჩანს. შიშობდნენ გიორგის ქართულ ენაზე წერა რ გააწელებოდა შემდეგში, ვინაიდან სწავლა-განათლების მიღება რუსულ ენაზე უზღებოდა; ამიტომაც ქართული პრესის კითხვას და ქართულ ენაზე წერილების წერას ურჩევენ ყოველთვის. „დედას დიდი ხანია შენი წიგნი არ მიუღია, ქართულად დაწერილი, ეცადეო“<sup>3</sup>. — წერს ერთ თავის წერილში მიხეილი ვაჟს. ამასთან, თავს იმით იშვებებს, რომ მართალია, სკანდელიც (წ. ნიკოლაძე) ცოდავს ქარ-

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი № 16.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ, ელ. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 60.

თელი ენის ცოდნაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყველაზე დიდი პუბლიცისტია ჩვენს სინამდვილეში.

გ. თუმანიშვილს სტუდენტობის წლებშივე სურდა ეცადა თავისი კალამი და გამოსულიყო პრესის ფურცლებზე. მაგრამ ფრთხილობდა, აგონდებოდა მამის დარიგება — ნაადრევად არ დაეწყო თავისი ნაწერების ბეჭდვა. „დიდი სურვილი მქონდა, — იგონებს იგი, — მეთანამშრომლა ადგილობრივ გაზეთებში. „ოდესსკი ვესტნიკს“ საკმაოდ კარგად უძღვებოდნენ რედაქტორები სოკოლოვსკი და გავრონსკი... შემდეგ დაარსდა „ნოვოროსისისკი ტელეგრაფი“... ჩემს დროსვე ჩაისახა „ოდესსკი ლისტოკი“... მიუხედავად ამისა, ჩემი განზრახვის განხორციელება მაინც ვერ შეეძლო, რადვან მახსოვდა მამის დარიგება, არაფერი დამებეჭდა. სანამ სრულწლოვანი არ გავხდებოდი და კურსს არ დავამთავრებდი“<sup>1</sup>.

1875 წელს გ. თუმანიშვილმა დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დაბრუნდა თბილისში და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ქართველი მოღვაწისა და რუსეთის მოხელის წინააღმდეგობებით აღსავსე საქმიანობას.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც მან გადადგა სამშობლოში დაბრუნებისას, იყო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. ეს მოხდა 1875 წელს, როცა მან თავისი წერილების გამოქვეყნება დაიწყო გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. „უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, — წერს თავად გიორგი, — თანამშრომლობა დავიწყე იმ დროს არსებულ ერთადერთ გაზეთში „დროებაში“, ხელს ვაწერდი ინიციალებით „გ. თ.“. ჩემი პირველი წერილი დაიბეჭდა 1875 წლის აგვისტოში სათაურით „საბრალო ქვეყანა“. მასში მე გადმოვეცი ესპანეთის ისტორია ბოკლის მიხედვით, მაგრამ სტრიქონებს შორის ადვილად ამოიკითხავდა კაცი, რომ მე მხედველობაში მქონდა არა ესპანეთი, არამედ კავკასია. შემდეგ, მთელი ორი წლის მანძილზე, იმავე გაზეთში ვაქვეყნებდი ფელეტონებს დაუმსახურებლად მივიწყებული ქართველი ბელეტრისტების შესახებ... ამ წერილებმა გამიღეს იმდროინდელი ქართველი ლიტერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების კარი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი. № 16.

<sup>2</sup> ი. ს. ვე

თავისი კრიტიკული წერილებითა და ფართო განათლებით გ. თუმანიშვილმა იმთავითვე მიიქცია ქართველ მოღვაწეთა ყურადღება. ყველა ცდილობდა ზედა ნეწყო ნიჭიერი ახალგაზრდისათვის. ისიც მთელი გატაცებით ჩაება მაშინდელ გაცხოველებულ სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მასთან მეგობრობასა და თანამშრომლობას არ თაკილობდნენ არც უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც უკვე დამსახურებული ჰქონდათ ქართველი მოღვაწის სახელები. ერთი მათგანი იყო პეტრე უმიკაშვილიც, რომლის შესახებ დაწერილ მოგონებაში გ. თუმანიშვილი წერს: „კარგად მახსოვს 1875-76 წწ. ზამთარი. შეგვეკრიბა რამდენიმე ახალგაზრდა, იმხანად რომ ჰქონდათ დამთავრებული სწავლა — მე, ა. ი. სარაჯევი და ვას. ჯაფარიძე — გაგვაცნო ქართული ლიტერატურისა და საზოგადო მოღვაწეობის კორიფეებს — ილ. ჰაქვაძეს, ბეს. ლოლობერიძეს და სხ. ჩვენგან ჩამოაყალიბა ქართველი კლასიკოსებისა და საქართველოს სიძველეთა ძეგლების გამოძიებელთა წ.ე. გაჩაღდა მუშაობა: ვაგროვებდით ხელნაწერებს, ფულს, დავამყარეთ კავშირი პროვინციებთან, ყველგან გვყავდა ჩვენი რწმუნებულნი. ერთ წელზე ნაკლებ დროში გამოვეცით რამდენიმე წიგნი: ბარათაშვილის ლექსები (პირველად), ალ. ჰაქვაძის ლექსები (პირველად), ქართული ანდაზები (პირველად), ილ. ჰაქვაძისა და მარბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „მეფე ლირი“<sup>1</sup>.

ამ საგანმომცემლო ამხანაგობის მუშაობა მართლაც რომ სამაგალითო გახდა. მის მიერ გაწეული შრომა დიდი გაცვეთილი იყო სხვებისთვისაც.

გ. თუმანიშვილის პიროვნება შეუნიშნავი არ დარჩენია არც იმდროინდელი თბილისური რუსული პრესის ყველაზე თვალსაჩინო განუთის „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქციას, რომელმაც 1879 წელს იგი მიიწვია. ამის შემდეგ მას რუსულ პრესაში თანამშრომლობა აღარ შეუწყვეტია.

ამასთან დაკავშირებით, გ. თუმანიშვილი თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში შენიშნავს: „მიმიწვიეს ყოველდღიურ გაზეთში

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1935. ნაწ. II, გვ. 65. (რუსულ ენაზე).

„ტიფლისსკი ვესტნიკში“, სადაც უნდა მეხელმძღვანელა ქართული განყოფილებისათვის, ზოგჯერ კი იქვე ვიხილავდი რუსულ ჟურნალებსა და ახალ წიგნებს...“<sup>1</sup>

„ტიფლისსკი ვესტნიკის“ დახურვის შემდეგ, მისი თანამშრომლები და მათ შორის მეც, მიგვიწვია კარიკატურებიანმა იუმორისტულმა ჟურნალმა „ფალანგამ“... ჟურნალში მე ვწერდი სასამართლოში გაბატონებული წესების შესახებ („ლეპკინ-ტიპკინის წერილები“) და ვხემძღვანელობდი „პოლიტიკურა გასეირნებებსა“ და „ქუჩაბანდების“ განყოფილებებს“<sup>2</sup>.

აგრძელებდა რა თანამშრომლობას გაზეთ „დროებაში“. გ. თუმანიშვილი სულ იმის ცდაში იყო, რომ გამოეცა საკუთარი ორგანო, მაგრამ ვერ იქნა და მიზანს ვერ მიაღწია. თითქოს მონახა გამოსავალი: ითხოვა აღმანახას გამოცემის უფლება, რაზეც თანხმობა მიიღო. 1878 და 1879 წლებში მან გამოსცა „აღმანახის“ პირველი და მეორე ნომრები, რომლებმაც მათ რედაქტორს კარგი ჟურნალისტისა და კრიტიკოსის სახელი დაუშვედრა, მაგრამ მოწინააღმდეგეთა ბანაკიც გაუმრავლა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა პუბლიცისტი მკაცრ პოლემიკაში ჩაბმული აღმოჩნდა. იგი კვლავ აგრძელებდა თანამშრომლობას გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „ივერიაში“. ამ უკანასკნელში იგი, ოთხმოციანი წლების დამდეგს, თეატრალურ რეცენზიებსა და რუსული ცხოვრების მიმოხილვას ხელმძღვანელობდა. წერდა ერობის საკითხებზეც.

გორაკი თუმანიშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ავტორიტეტით სარგებლობდა მაშინ უკვე სახელგანთქმულ სამოციანელთა შორის. ამაზე მეტყველებს მის მიერ ძმისადმი, ვასილისადმი 1877 წელს მიწერილი წერილი: „ტიფლისელ სტამბის პატრონს ხელაძეს სურს თავის ხარჯზე გამოსცეს ყოველთვიური ქართული ჟურნალი, მაგრამ უნარიანი რედაქტორი ვერ მოუნახავს. ნ. ნიკო-

---

<sup>1</sup> ჩვენს ღრმა რწმენით, გ. თუმანიშვილს ეკუთვნის 1878 წლის „ტიფლისსკი ვესტნიკში“ დაბეჭდილი შემდეგი წერილები: „ბიბლიოგრაფია“ (№ 36; ხელმოწერა. „გ. თ.“), „ბიბლიოგრაფია“ (№ 44; ხელმოუწერელი), „ჟურნალისტისკა“ (№ 138; ხელმოწერა: „გ. თ.“), „ჟურნალისტისკა“. (№№ 187, 196; ხელმოწერა: „გ. თ.“), „ბიბლიოგრაფია“ (№ 199; ხელმოუწერელი), „ჟურნალისტისკა“ (№ 203; ხელმოწერა: „გ. თ.“).

<sup>2</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი № 16.

ლამე, გ. წერეთელი, ს. მესხი და ზოგიერთი სხვა ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორი შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს მისი რედაქტორობა ჩემთვის შემოეთავაზებინათ. მე უარი ვთქვი მათი წინადადების მიღებაზე, რადგან 1. დღესდღეობით ქართულ ლიტერატურაში არ არსებობენ ისეთი საიმედო ძალები, ყოველთვიურ ჟურნალისათვის რომ საკმარისი იყოს; 2. შეიძლება ერთი წლის შემდეგ მომიხდეს ჟურნალის ბედის ანაბარა მიტოვება და ისეთი სამუშაოს ძებნა, უზრუნველყოფილს რომ გამხდეს; 3. ჩემს ხელში ჟურნალს ექნება გარკვეული ელფერი, მიმართულება და ვერ შესძლებს სხვადასხვა ხასიათის ქართული ლიტერატურული ძალების გაერთიანებას და 4. მე თანაშემწის გარეშე ვერ შევძლებ ყოველთვიური ჟურნალის მთელი სარედაქციო სამუშაოს შესრულებას (მარტო კორექტურა — ეს საშინელი შავი სამუშაო გამომფიტავდა). გარდა ამისა, მცირე იმედს ვამყარებდი გამომცემელ ხელაძის კომერციულ პატიოსნებაზე. სხვა რედაქტორი ვერ ვიპოვეთ და ჯერჯერობით უყურნალოდ ვრჩებით...“<sup>1</sup> თავისთავად ის ფაქტი, რომ ოცდასამი წლის დამწყებ ლიტერატორს სთავაზობენ ჟურნალის რედაქტორობას, ნეტყველებს იმაზე, რომ მასში ხედავდნენ ნიჭიერ, ერუდირებულ პიროვნებას.

მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში დაბრუნებული გ. თუმანიშვილი ხელგახსნილი იყო მთლიანად ჟურნალისტური საქმიანობისათვის. ცხოვრების პირობები აიძულებდა მას სასამართლოს რიგითი მოხელის უსიამოვნო საქმიანობასაც შეგუებოდა. იგი იძულებული იყო იმთავითვე მუშაობა დაეწყო თბილისის სასამართლო პალატაში, საიდანაც შემდეგ გაიგზავნა ჯერ თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორთან, შემდეგ კი დუშეთისა და თბილისის მომრიგებელ განყოფილებებში წინასწარი ძიების საწარმოებლად<sup>2</sup>.

1876 წელს გიორგიმ მიიღო დამოუკიდებელი საგამომძიებლო უბანი<sup>3</sup> ქ. ფოთში, მაგრამ 1877 წლის გაზაფხულზე ავად გახდა ფილტვების ანთებით და ცუდი კლიმატით შეშინებული, ტოვებს

იხ. საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ, ელ. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 153.

<sup>2</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი №№ 6, 8.

სამსახურს. ერთი წლის მკურნალობისა და დასვენების შემდეგ, თავისი ნათლის იასე ანდრონიკაშვილის რჩევითა და დახმარებით, მუშაობას იწყებს მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში. სწორედ ამ დროს გამოსცა მან თავისი „ალმანახი“.

მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში მან დაპყრო მთელი 17 წელი, რამაც შესაძლებლობა მისცა შეეგროვებია მდიდარი მასალა ცხოვრების ყველა სფეროდან, რომლის შესწავლა და ანალიზი უდევს საფუძვლად მის იმ მრავალრიცხოვან სტატიას, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც კავკასიის ყურნალ-გაზეთებში („ფალანგა“, „კავკაზ“, „ბაკუ“, „კავკაზსკი ვესტნიკ“, „ნოვოე ობოზრენიე“), ასევე იმპერიის პრესაში („ვესტნიკ ევროპი“, „რუსსკაია მისლ“, „ვესტნიკ ზნანია“, „ნაუჩნოე ობოზრენიე“, „ვესტნიკ პრავა“, „პრავო“, „სამოუპრავლენიე“, „სოვრემენნიკ“, „რუსსკიე ვედომოსტი“, „გოლოს“, „მოღვა“, „პორიადოკ“, „რეჩ“ და სხვ.).

გ. თუმანიშვილის პუბლიცისტურ სტატიათა მთავარი თემაა საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში ერობის შემოღების აუცილებლობა, ძარცვა-გლეჯის გავრცელების მიზეზები და სასამართლო რეფორმების გატარების საჭიროება, უმაღლესი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობა და სხვ.

თავისი ენერგიისა და დროის დიდი ნაწილი გ. თუმანიშვილმა მოახმარა თეატრალურ მოღვაწეობას, კერძოდ კი ქართული თეატრის აღორძინებისა და განვითარების საქმეს. მისი დამსახურება ამ მიმართულებით საკმაოდ დიდია. 1879 წელს მან შეადგინა ქართველ სცენისმოყვარულთა წრე, რომელიც მალე გარდაიქმნა დრამატულ დასად, შემდეგ კი მუდმივ ქართულ თეატრად. 1886 წელს იგი არჩეულ იქნა დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ იყო ამავე საზოგადოების საპატიო წევრი. მას მოუხდა ქართული თეატრის რეჟისორისა და ანტერპრენიორის თანამდებობათა აღსრულებაც. გასაკვირი არაა, რომ გ. თუმანიშვილი ბევრს წერდა თეატრალურ საკითხებზეც<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის გატაცება თეატრით ადრე დაიწყო. ამაზე ღირს ყურადღების გამახვილება. 1878 წლის შემოდგომაზე, პეტერ-

<sup>1</sup> ცალკე წიგნებად გამოსცა: როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა“ (1880) და „ქართული თეატრის საქმე“ (1879).

ბურგიდან ჩამოსულმა გიმნაზიელმა მეგობარმა ინჟინერმა ი. ზ. ანდრონიკაშვილმა, რომელსაც კარგად ახსოვდა გ. თუმანიშვილის კაბუკობისდროინდელი გატაცება, სთხოვა მას, რომ პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა დასახმარებლად დაედგა საქველმოქმედო სპექტაკლი. მართლაც, იმავე წლის 26 სექტემბერს გაჩეთ „ტიფლისსკი ვესტნიკ“-ის რედაქციის შენობაში, სადაც იმ დროს თანამშრომლობდა გ. თუმანიშვილი, წარმოდგენილი იქნა მოლიერის პიესა „უორჟ დანდენი“, რომელიც თარგმნილი იყო თვითონ გ. თუმანიშვილის მიერ და დაბეჭდილი მის მიერვე გამოცემულ „ალმანახის“ პირველ წიგნში (1878 წ.). სპექტაკლში მონაწილეობას ლებულობდნენ მაშინ ჯერ კიდევ სცენისმოყვარენი, შემდეგში კი გამოჩენილი ქართველი მსახიობები: მაკო საფაროვა, რომლისთვისაც ეს სპექტაკლი იყო დებიუტი, ვასო აბაშიძე, ავქსენტი ცაგარელი, შემდეგში ცნობილი დრამატურგი, ნიკო ავალიშვილი, ქართული მუდმივი დასის რეჟისორი და სხვ. დადგმას დიდი წარმატება ხვდა. ამით ფრთაშესხმულმა სცენისმოყვარეთა ვიწრო წრემ დაიწყო ფიქრი მუდმივი დასისა და, ბუნებრივია, თეატრის შექმნაზე. სცენისმოყვარენი, რომელთა შორის, ზემოდასახელებულთა გარდა, იყვნენ დ. გ. ერისთავი, ა. ი. სარაჯიშვილი, ი. ბ. ბაქრაძე, პ. ი. უმიკაშვილი და სხვ., სათათბიროდ იკრიბებოდნენ გ. თუმანიშვილის ბინაზე და ცნობილი ფოტოგრაფის როინიშვილის სახელოსნოში.

გადაწყდა, 1879 წლის ზამთარში გამართული სპექტაკლებიდან შემოსული თანხის ნახევარი მოხმარებოდა კოსტუმებისა და ბიბლიოთეკის შეძენას, რომელიც ძალზე საჭირო იყო მომავალი მუდმივი დასისათვის; დანარჩენი ფული კი უნდა დარიგებოდა შემსრულებლებს, რათა მინიმალურად მაინც დაკმაყოფილებულიყო მათი მატერიალური საჭიროება. ეს გახლდათ ე. წ. გარდამავალი პერიოდი. საუკეთესო სცენისმოყვარულთაგან მალე უნდა შემდგარიყო მუდმივი დასი. მაგრამ აქ ისინი აწყდებიან წინააღმდეგობას ძველ, პატრიარქალურ ტრადიციებთან; საქმე ის გახლდათ, რომ ფართო მასების თვალში მსახიობი ქალი არასახარბიელო რეპუტაციით სარგებლობდა, მსახიობ კაცს კი როგორც ჯამბაზს ისე უყურებდნენ. ძალზე დიდი მეცადინეობა დასჭირდათ გ. თუმანიშვილსა და მის მეგობრებს, რომ დასი შეექმნათ.

პირველ ყოვლისა, საჭირო შეიქნა ეზრუნათ რეპერტუარზე, რისთვისაც მათ მიმართეს აკ. წერეთელს, რაფ. ერისთავს, გ. წერეთელს და სხვ. პიესების წერას ხელი მოჰკიდეს ახალგაზრდა მწერლებმაც, რომელთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ავქსენტი ცაგარელმა. შემდეგში მას განხუარებული პიესის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ გამო ამხანაგობამ ფულადი პრემია მისცა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველ დრამატურგს მიეცა პონორარი. მეორე პრემია წილად ხვდა ცნობილ მწერალს რაფ. ერისთავს რუსულიდან გადმოკეთებული პიესისათვის „ბიძიასთან გამოხუმრება“<sup>1</sup>. თარგმნილი ჰქონდათ, აგრეთვე, შექსპირის ზოგიერთი პიესა, მაგრამ ეს უკანასკნელნი არ დადგმულან. რადგანაც ტრაგიკული როლების შემსრულებლები დასს მაშინ ჯერ კიდევ აკლდნენ.

1878-79 წლებში სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა 13 სპექტაკლი, რომელთაგან ნაწილი წარმოდგენდა უკვე ცნობილი დადგმების განმეორებას, ნაწილი კი სრულიად ახალი იყო. თითქმის ყველა დადგმამ წარმატებით ჩაიარა. სცენისმოყვარეთა მიზანი უფრო და უფრო რეალურ სახეს ღებულობდა.

1879 წლის გაზაფხულზე სცენისმოყვარეებმა შექმნეს თეატრალური ამხანაგობა, ე. წ. „კომიტეტი“, რომელშიც შედიოდნენ: დ. ი. ყიფიანი, ნიკ. ი. ავალიშვილი — „მნათობის“ ყოფილი რედაქტორი, ალ. ი. სარაჯიშვილი — შემდეგში „ივერიის“ რედაქტორი, მთარგმნელი ი. ბ. ბაქრაძე და გ. მ. თუმანიშვილი, რომელსაც ეკისრებოდა დასის ორგანიზაცია და ადმინისტრაციული მხარის ხელმძღვანელობა.

მთავარი საზრუნავი ამხანაგობისათვის დასის მატერიალურად უზრუნველყოფის საკითხი იყო. დიდი ბრძოლის შემდეგ თბილისის საადგილმამულო ბანკი დათანხმდა მუდმივი დასის შესაქმნელად, საჩუქრის სახით, გაეცა სამასი თუმანი. ამ საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის გ. თუმანიშვილს, რომელმაც მთელი

---

<sup>1</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ პიესის შინაარსი ზუსტად გამოხატავდა იმ ეითარებას, რაც მაშინ სუფევდა თეატრის ირგვლივ: მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აზრი და, მეორე მხრივ, მსახიობი. საფიქრებელია, რომ პიესა სპეციალურად იყო შერჩეული იმ დროისათვის, როდესაც საფუძველი ეყრებოდა მუდმივ ქართულ თეატრს.



კამპანია გააჩაღა: გამოდიოდა ბანკის წევრთა საერთო კრებებზე, წერდა სტატიებს „ტიფლისსკი ვესტნიკ“-ში, აწარმოებდა კერძო მოლაპარაკებებს საზოგადოების წარჩინებულ წარმომადგენლებთან (ი. ა. ანდრონიკაშვილთან, ვ. ვ. ორბელიანთან, კ. ხ. მამაცაშვილთან) და სხვ.

ბანკის მიერ გაწეული დახმარების შემდეგ სწრაფად მოგვარდა დასის ორგანიზაციის საკითხი. რეჟისორობა იკისრა დ. გ. ერისთავმა, იმავე წლის ზაფხულში დასი სამოგზაუროდ გაემგზავრა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. აი, რას წერს ამის შესახებ გ. თუმანიშვილი ძმას, ვასილს, თბილისიდან მოსკოვში: „გაცნობებ, რომ საარტელო საწყისებზე ჩემს მიერ შედგენილი ქართული დასი ამჟამად მიყრუებულ ადგილებში დასეირნობს (ახალციხე, ქუთაისი, გორი და სხვ.) და პროვინცილებს აფუნდრუქებს. სექტემბრიდან კი თბილისში გადმოსახლდება, სადაც ყოველკვირა გამართავს წარმოდგენას. გაზეთები სავსეა რეცენზიებით, რომლებიც ფრიად სასიამოვნოა ჩემს მიერ შეკრებილი მსახიობებისათვის. რა თქმა უნდა, ქება უადგილოა, მაგრამ დასი მარტო უნიკობისაგან არ შედგება. ყველაზე მეტად ნიჭიერებით მასში გამოირჩევიან ვ. აბაშიძე, საფაროვა (რომელიც ამ დღეებში პირველზე გათხოვდა), შენი ნაცნობი გაბუნია, კოტე ყიფიანი და ცაგარელი“<sup>1</sup>.

„გასტროლებიდან“ დაბრუნებული სცენისმოყვარენი დარჩნენ რეჟისორის გარეშე; დ. გ. ერისთავმა უარი განაცხადა. მსახიობთა საერთო გადაწყვეტილებით, რეჟისორობა იკისრა გ. თუმანიშვილმა. „მე ჩემ თავს არასდროს არ ვთვლიდი სარეჟისორო კაცად, რადგან არასდროს არ ვყოფილვარ აქტიორი, რომ სხვისთვის მეჩვენებინა როგორ უნდა თამაშობა (თამაშობის ჩვენება კი საჭირო იყო ჩვენ უმეცარ მოთამაშეებისათვის), — წერს გ. თუმანიშვილი, — მაგრამ ამ შემთხვევაში დროებით ვიკისრე რეჟისორობა, რადგან ქართულ ტრუპასას რეჟისორი ვერ ეშოვნა და ამის გამო იშლებოდა, უფრო კი იმიტომ ვიკისრე დროებითი რეჟისორობა, რომ პირველ დროებაში ქართულ ტრუპასას იმისთანა რეჟისორი სჭიროდა, რო-

<sup>1</sup> იხ. საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ, ელ. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 164.

მელსაც ყველაზე მეტად მხედველობაში უნდა ჰქონოდა შემდეგ საგნები: 1. რეპერტუარს საშინელი სიღარიბე აჩნდა, საჭირო იყო პიესების შოვნა; 2. ტრუპის წევრები ერთმანეთს მგლებსავით უყურებდნენ, საჭირო იყო იმათი მორიგება; 3. ტრუპის წევრები ისეთ პირებიდან იყვნენ შემდგარნი, რომელთაც ამ დრომდი ეცხოვრათ სხვის ხარჯით და ნამდვილი შრომა კი არ იცოდნენ რა არი; საჭირო იყო ისეთი წესის შემოღება ტრუპაში, რომ ზერამაკობით განებივრებული ხალხი შესჩვევოდა კეთილსინდისიან შრომას; 4. უმეტეს ნაწილს მოთამაშეთაგანს არამც თუ არ წაეკითხნა ის ათიოდ ჰიესა, რომელიც ქართულ ენაზედ არის დაბეჭდილი, არც სურდა გაეგო იმ პიესის შინაარსი, რომელშიაც თამაშობდა და ხშირად არც კი იცოდა ვის თამაშობდა. საჭირო იყო ამგვარებისათვის ახსნა პიესის და როლის; 5. თითქმის ყველა მოთამაშეს ისეთი უსიამოვნო ნაკლულევანებანი ჰქონდა სცენაზე, რომელნიც თეატრიდან ბევრს სცენის მოყვარეს გარეთ გაარბენინებდა. ეს ნაკლოვანებები წარმოსდგებოდა სცენის უცოდინარობით და არა უნიჭობით. მაგალითად, ზოგი საჭიროდ რაცხდა ყველგან კლავენას და მასხარაობას, ეგონა რომ დრამატული ხელოვნება ამას მოითხოვსო, ზოგი კი ყველგან მძიმეთ, გაკვიანურებით ლაპარაკობდა, თითქმის მღეროდა; ამასაც ის ეგონა, რაც პირველს. საჭირო იყო რეჟისისორისათვის დრამატულ ხელოვნების ანბანის ცოდნა, რომ ყველა ამ უსიამოვნო სცენიკურ ჩვეულებაზე ხელი აეღებინა მოთამაშეებისათვის; 6. კვირაში ერთხელ გამართულ წარმოდგენას უნდა შეენახა მთელი ტრუპა (ცამეტი კაცი). ეს, რასაკვირველია, ადვილი არ იყო, თუ მოვიგონებთ, რომ ყოველ წარმოდგენაზე ნაჭირავ თეატრში ვაძლევიდით ოც თუმანს და ჩვენი ქართველობა კი ხშირად არ გვეწვევოდა. საჭირო იყო დიდის ეკონომიით ხარჯვა ფულისა და დიდის სიფრთხილით გაყოფა შემოსავლისა აქტიორებში.

ყველა ეს საქმე ძნელი იყო, მაგრამ მე კი ვგრძნობდი, რომ იმის ასრულება შემძლია. გამართლდა თუ არა ეს ჩემი იმედი, გადასწყვიტოს ქართველმა პუბლიკამ და მოთამაშეების სეინიდიისმა“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილი, როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა, 1880, გვ. 5--8.

ასეთ ვითარებაში, 1879 წლის 1 სექტემბერს, საზღვხულო თეატრში, გ. თუმანიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი ბარბარე ჯორჯაძის სამმოქმედებიანი კომედით „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ დაიწყო სპექტაკლების გამართვა მუდმივმა ქართულმა დასმა. აი, რას წერდა ამ დადგმასთან დაკავშირებით გაზეთ „დროების“ რეცენზენტი: „ეს იყო პირველი დებიუტი ახლად შემდგარის ტრუპისა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტრუპას შეუძლია თამაში უფრო სერიოზულ პიესებისა, ვიდრე ეს პიესები არიან... ამ წარმოდგენაში ექვსმა კაცმა მიიღო მონაწილეობა და თითქმის ყველამ ისე შეასრულეს თავისი როლები, რომ ტრუპა არცერთს არ შეურცხვენია“<sup>1</sup>.

პირველ თეატრალურ სეზონში (1879 წლის სექტემბრიდან 1880 წლის მარტამდე), გ. თუმანიშვილის რეჟისორობის პერიოდში, დაიდგა 38 პიესა, აქედან 17 ორიგინალური, 21 თარგმნილი და გადმოკეთებული. 20 პიესა წარმოდგენილი იქნა პირველად, რომელთაგან ნაწილი დაწერილი იყო სპეციალურად ახლადშექმნილი თეატრისათვის.

მოსდა ცვლილებები ამხანაგობის (კომიტეტის) შემადგენლობაში. სამსახურებრივი მოვალეობის გამო ალ. სარაჯიშვილმა დატოვა თბილისი, მის ნაცვლად ამხანაგობას დაემატა ოთხი ახალი წევრი. ესენი იყვნენ: ილ. ჭავჭავაძე, დ. ერისთავი, ივ. მაჩაბელი და დ. სარაჯიშვილი. 1879 წლის მაისში, თეატრალურმა ამხანაგობამ სათანადო ინსტანციებს წარუდგინა მომავალი ქართული დრამატული საზოგადოების წესდება, რომელიც 1880 წლის 22 ივნისს მოწონებულ იქნა და დაამტკიცეს. 1880 წლის შემოდგომაზე ამხანაგობა წყვეტს არსებობას, რადგანაც დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომლის გამგეობის შემადგენლობაშიც შეიყვანეს გ. თუმანიშვილი. „ვხედავდი რა, რომ დრამატული საზოგადოება არ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას დასის საქმიანობაში, მალე მე თითქმის მთლიანად მივატოვე საზოგადოება“<sup>2</sup>.

მთელი ექვსი წლის მანძილზე გ. თუმანიშვილი პრაქტიკულად ჩამოშორებული იყო თეატრალურ ცხოვრებას და მხოლოდ 1886

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1879, № 191.

<sup>2</sup> გ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, II, 1905, გვ. 200.

წელს ეძლევა საშუალება დაუბრუნდეს თავის საყვარელ საქმეს. მას ირჩევენ დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ. 1839 წლიდან თეატრის დირექტორის მოვალეობასაც ასრულებს. ამის შემდეგ, მთელი 9 წლის განმავლობაში გ. თუმანიშვილი წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. მისთვის თეატრი იყო არა მხოლოდ სანახაობითი, გასართობად თავშეყრის ადგილი. არამედ ფართო საზოგადოებრივი დანიშნულების ტრიბუნა, რომელსაც უნარი შესწევს ძლიერი ზემოქმედებისა და აქვს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა. „თეატრს მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი, რადგან ცოცხალი სიტყვა უფრო ძლიერ მოქმედებს, ვიდრე ნაბეჭდი, გარდა ამისა, ქართველი საზოგადოება მაშინ ცოტას კითხულობდა და სცენიდან უფრო ადვილი იყო მასზე გავლენის მოხდენა“<sup>1</sup>, — ამბობს გ. თუმანიშვილი.

მიუხედავად დაძაბული საზოგადოებრივი საქმიანობისა, გ. თუმანიშვილმა მოახერხა ისიც, რომ პრესაში გამოქვეყნებული თავისი მნიშვნელოვანი სტატიები გამოეცა თემატური კრებულების სახით. მათგან უფრო საყურადღებოა: „ქართული თეატრის საქმე“ (1879), „როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა“ (1880), „მიწის საკითხები და დანაშაულობა კავკასიაში“ (პეტერბურგი, 1901), „აეზაკობა და სასამართლოს რეფორმა კავკასიაში“ (პეტერბურგი, 1903), „შენიშვნები ქალაქის თვითმმართველობის შესახებ კავკასიაში“ (ტიფლისი, 1902), „ჩანაწერები და წერილები ტიფლისის გუბერნიაში საერო დაწესებულებების შემოღების შესახებ“ (ტიფლისი, 1897), „კავკასიაში საერო თვითმმართველობის შემოღების საკითხისათვის“ (ტიფლისი, 1905), „კავკასიაში უმაღლესი სასწავლო დაწესებულების გახსნის საკითხისათვის“ (პეტერბურგი, 1906), „კავკასიის უნივერსიტეტი“ (პეტერბურგი, 1909), „დახასიათებები და მოგონებები“ (ტიფლისი, 1901, 1905, 1907, სამ წიგნად). გარდა ამისა, ძმასთან (კოტესთან) ერთად შეადგინა და 1887-91 წლებში გამოსცა საცნობარო წიგნები: „კავკასია, ძველი მკვიდრის ცნობარი“, „კახეთი“, „თბილისი და მისი შემოგარენი“, „ბაქო და მისი შემოგარენი“, „კავკასიელ მოღვაწეთა ლექსიკონი“.

გ. თუმანიშვილი რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის საქა-

ლაკო სათათბიროს წევრად. 1897 წელს კი წინადადება მიიღო კენ-  
კი ეყარა ქალაქის თავის თანამდებობაზე, მაგრამ უარი განაცხადა.  
გ. თუმანიშვილისათვის დამახასიათებელი იყო პრაქტიკული  
ზრუნვა იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომელთა შესახებ იგი  
ბევრსა და სისტემატურად წერდა ჟურნალ-გაზეთებში. 1894 წელს,  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე, მან აღპრა საკით-  
ხი თბილისის გუბერნიაში საერობო დაწესებულებათა დასაარსებ-  
ლად. კრებამ მას დაავალა შეედგინა სათანადო პროექტი შემდეგ  
კრებაზე წარსადგენად, რომელიც 1897 წელს იქნა მოწვეული. ეს  
დავალება მან შეასრულა და ი. ქავკავაძის მხარდაჭერაც დაიძა-  
ხურა, მაგრამ საკითხი გადასაწყვეტად კვლავ კომისიას გადაეცა  
და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიეცა მას მსვლელობა. ამას-  
თან, საბოლოოდ წარადგინეს არა მისი, არამედ დ. მელიქოვის მოხ-  
სენებითი ბარათი.

სხვებთან ერთად გ. თუმანიშვილიც ბევრს იღვწოდა თბილისში  
უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის. ამ მიზნით მას არაერთი  
მოხსენებითი ბარათი წარუდგენია უმაღლეს ინსტანციებში, არა-  
ერთხელ უცდია საქმის მოგვარება პეტერბურგის სათანადო წრე-  
ებშიც, მაგრამ მთავრობა არ ჩქარობდა და, როგორც თვითონ ამ-  
ბობს, „ბოლოს და ბოლოს 1917 წ. მოხერხდა ტიფლისში პოლი-  
ტექნიკუმის გახსნა მხოლოდ ერთი სასოფლო-სამეურნეო განყო-  
ფილებით“<sup>1</sup>.

პირველი მსოფლიო ომის წლებში გ. თუმანიშვილმა პრესისა და  
მთავრობის წინაშე დასვა საკითხი ვარშავიდან პოლიტექნიკუმისა  
და დერპტიდან უნივერსიტეტის თბილისში გადმოტანის შესახებაც,  
მაგრამ ამაოდ. იგი იყო ორგანიზატორი თბილისის „ქალთა უმაღ-  
ლესი კურსების“ და „კავკასიისმკოდნეობის კურსების“ დაარსები-  
სა, სადაც ლექციებს კითხულობდნენ ადგილობრივი და მოწვეული  
ცნობილი სპეციალისტები.

1903 წელს გ. თუმანიშვილმა დააარსა აგრეთვე „საზოგადოებ-  
რივი კლუბი“. აქ იკითხებოდა ლექციები სხვადასხვა საინტერესო  
თემებზე და ეწყობოდა მსჯელობა ჩვენი ქვეყნისათვის მტკივნეულ  
საკითხებზე.

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი № 16.

გ. თუმანიშვილის ბიოგრაფიული მასალა გვარწმუნებს, რომ მთელი თავისი არსებით იგი გატაცებული იყო ყურნალისტური და საზოგადოებრივი საქმიანობით. მას დრო აღარ რჩებოდა სათანადო ყურადღებით მოკიდებოდა საკუთარ თავსა და ოჯახს, რომელიც თანდათან ღარიბდებოდა.

მემკვიდრეობით გიორგის ბევრი არაფერი მიუღია მშობლებისაგან. ცხოვრობდა მამისეულ სახლში (დღევანდელ ჭორჭიაშვილის ქუჩაზე) და ზაფხულობით ისვენებდა ხოლმე სოფ. ხელთუბანში, სადაც დაძმებს ჰქონდათ ასევე მამისეული სახლი და მცირე მამული.

1837 წელს გ. თუმანიშვილმა ცოლად შეირთო მარიამ მარკოზის ასული დოლუხანოვა, რომელმაც დაამთავრა თბილისის გიმნაზია და გატაცებული იყო ლიტერატურით. მარიამი გიორგის უწევდა კარგ მეუღლეობას, უმსუბუქებდა მძიმე საქმიანობას და თვითონაც მონაწილეობდა ხალხისათვის სასარგებლო ღონისძიებათა შესრულებაში. საქართველოს სსრ ცაკ-ის თავმჯდომარის სახელზე დაწერილ ერთ თავის განცხადებაში მარიამი წერს: „თავად მე მთელი სიცოცხლე ვმუშაობდი მრავალრიცხოვან საზოგადოებებში, უშუალო მონაწილეობას ვღებულობდი ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიყავი კავკასიაში ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. ჩემი მონაწილეობით და მეთვალყურეობით დაიწყო აბასთუმანში სანატორიუმ „არაზიდოს“ მშენებლობა... მე ყოველთვის უსასყიდლოდ ვმუშაობდი“<sup>1</sup>.

გიორგისა და მარიამს შეეძინათ ექვსი შვილი (მიხეილი, ელისაბედი, ლევანი, ელენე, სოფიო, ევგენი).

გ. თუმანიშვილი პირადად იცნობდა ბევრ პეტერბურგელ და მოსკოველ მოღვაწეს; რომლებთანაც მას საქმიანი კონტაქტები ჰქონდა. ბევრს წერდა იგი რუსული ლიტერატურის ისტორიის საკითხებსა და თავის თანამედროვე რუსი მწერლების შესახებაც თბილისურ რუსულ პრესაში. ჭეშმარიტად გულით ხარობდა მათთან შეხვედრისას და მიმოწერაც არასოდეს შეუწყვეტია.

მარიამ მარკოზის ასული თუმანიშვილი მის მიერ შედგენილ

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის ფონდი № 31.

მეუღლის ბიოგრაფიაში, აღწერს რა ერთ-ერთ მათ მოგზაურობას პეტერბურგში, წერს: „1839 წლის ზაფხულში გიორგი მიხეილისძემ განიზრახა პეტერბურგში გამგზავრება და შემომთავაზა თან გავყოლოდი... გიორგი მიხეილისძე პირადად არ იცნობდა იმ ლიტერატორებს, რომელთა ნახვა და მისთვის საინტერესო საკითხებზე საუბარი სურდა. ჩვენ დაევიქირავეთ დიდი ოთახი... ნევის პროსპექტზე და ჩამოსვლის მეორე დღესვე მან მოინახულა თავისი ნაცნობები, ხოლო შემდეგ დღეს ჩვენთან თავი მოიყარა ექვსმა-შვიდმა ისეთმა ცნობილმა ლიტერატორმა, როგორებიც იყვნენ მიხაილოვსკი, ლესევიჩი, იუჟაკოვი, კრივენკო, უსპენსკი და სხვები... მე განმაცვიფრა იმან, რომ ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, უსპენსკი კი კარზე ფრთხილად დაკაკუნების დროსაც კრთებოდა. ჩემთვის იპდენად გაუგებარი იყო ჩვენი სტუმრების საქციელი, რომ ვეღარ მოვითმინე და მიზეზი ვიკითხე. რომელიღაც მათგანმა გამიღიმა და მიპასუხა: „თქვენ ეს უცნაურობად გეჩვენებათ, რადგან კავკასიაში ცხოვრობთ და ვერ გრძნობთ იმ ძალმომრეობას, სატახტო ქალაქში რომაა. იცით კი, რომ ჩვენ თავისუფლად გამოთქმული ანარქისათვისაც კი გვსჯიან, აქ კი კედლებსაც აქვთ ყურები, ხოლო გავალთ თუ არა ქუჩაში — გვითვალთვალებენ“... შემდგომში მე გავიტე, რომ გლებ უსპენსკი სწორედ ამ ნიადაგზე ფსიქიურად დაავადდა, ეჩვენებოდა, რომ დევნიდნენ“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილს არაერთი ასეთი შეხვედრა ჰქონია რუს მწერლებთან, ბევრ მათგანთან მეგობრობდა კიდევ და მოგონებანიც აქვს დაწერილი მათ შესახებ.

გვინდა ყურადღება მივაქციოთ კიდევ ორ მომენტს გ. თუმანიშვილის ცხოვრებიდან, რომლებიც მის განსწავლულობასა და ავტორიტეტზე მეტყველებენ.

ცხრაასიანი წლების დამდეგს პროფ. ნ. ა. კაბლუკოვს გ. თუმანიშვილისათვის თხოვნით მოუპართავს, რეცენზია დაეწერა ი. ფ. სამარინის სახელობის პრემიაზე წარდგენილ ერთ-ერთ ნაშრომზე,

---

<sup>1</sup>იხ. მ. მ. დოლუხანოვ ა-თ თუმანიშვილის მოგონება (საქართველოს ტელევიზიის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. საქმე № 13391—ბ).

რომელიც კავკასიელ გლეხთა მდგომარეობას ეხებოდა. ჩანს, ეს დავალება მას კარგად შეუხსრულებია. „მოსკოვის უნივერსიტეტმა, — წერს თავის ავტობიოგრაფიაში გიორგი თუმანიშვილი, — ამ ნაშრომისათვის ოქროს მედლით დამაჯილდოვა“.

1906 წელს, კავკასიელ სტუდენტთა თხოვნით, გ. თუმანიშვილს შანიანსკის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში წაუკითხავს ათი ლექცია კავკასიურ სამართალზე, რასაც დიდი ინტერესი გამოუწვევია სტუდენტთა შორის. უკანასკნელი ლექციის შემდეგ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სახელით, მისთვის სამადლობელი სიტყვით მიუმართავს პროფ. ა. კაზივეტსა და ერთ-ერთ კავკასიელ სტუდენტს, რასაც თვითონ გიორგი დიდი კმაყოფილების გრძნობით იგონებს.

იმავე წელს გ. თუმანიშვილი თავის წევრად აურჩევია საზოგადოება „ზადრუგას“, რომლის ჟურნალშიც („გოლოს მინუჟეგო“) მან რამდენიმე წერილი მოათავსა.

გ. თუმანიშვილის მოღვაწეობაში მთავარი მაინც გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორობა და მასში თანამშრომლობა იყო. 1891 წლის ივლისში, თავის ძმებთან ერთად, მან ნიკო და ოლღა ნიკოლაძეებისაგან შეისყიდა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, რომელსაც 1904 წლამდე რედაქტორობდა. 1904 წელს ეს გაზეთი გადავიდა კ. ი. კალანტაროვის ხელში. კალანტაროვმა თუმანიშვილებს გადაუხადა შესაფერი თანხა, იკისრა მათი ვალის დაფარვაც და პირობაც დადო გაზეთის მიმართულებას უცვლელს დატოვებდა. მაგრამ დაპირება მან მხოლოდ ნაწილობრივ (ფინანსურ საკითხში) შეასრულა და გაზეთს არა მხოლოდ სახელი შეუცვალა (ნაცვლად „ნოვოე ობოზრენიეს“, შემდეგში მას ეწოდებოდა „კავკასკოე სლოვო“), არამედ — მიმართულებაც.

„ნოვოე ობოზრენიეს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთავარი რედაქტორი გიორგი თუმანიშვილი იყო, ძმები მხოლოდ შველოდნენ მას. გ. თუმანიშვილის რედაქტორობისას „ნოვოე ობოზრენიე“ საკმაოდ პოპულარული და დემოკრატიულ-პროგრესული მიმართულების გაზეთი იყო. მასში თანამშრომლობდა ბევრი გამოჩენილი ქართველი და რუსი მოღვაწე, რომელთა ნაწერებს დიდი ინტერესით ეცნობოდა მკითხველი საზოგადოება.

თავის ერთ ავტობიოგრაფიაში გ. თუმანიშვილი წერს: „მიყ-



ვარდა რა ლიტერატურა ბავშვობიდან, იმაზე ვოცნებობდი, მუდამ მისი სამსახურში ვყოფილიყავი“<sup>1</sup>. ეს სურვილი მას „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორობისას შეუსრულდა. 13 წლის მანძილზე იგი რედაქტორისა და პუბლიცისტის მოუსვენარი საქმიანობით იყო დატვირთული. თუმცა ვერც ამ დროს მოახერხა მთლიანად ლიტერატურული საქმიანობისათვის გამოეყენებია ეს დრო. გახეთი მას, როგორც მოღწეული ანგარიშებიდანაც ჩანს, არათუ მოგებას არ აძლევდა, საკმაოდ დიდ ვალშიც აგდებდა. ამის გამო იყო, რომ 1899 წელს იგი დათანხმდა საურთიერთო კრედიტის თბილისის საზოგადოების თავმჯდომარედ აერჩიათ; მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მისთვის აუცილებელი იყო.

„ნოვოე ობოზრენიეს“ კალანტაროვისათვის გადაცემის შემდეგ გ. თუმანიშვილი კვლავ ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. იგი სტატიებს აქვეყნებდა ცენტრალურ და ადგილობრივ რუსულ და ქართულ პრესაში, ბეჭდავდა ბროშურებად თავის ნაწერებს და საინტერესო მოგონებებს. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი მწერლისა და პუბლიცისტის საინტერესო საქმიანობით იყო გატაცებული. მაგრამ ხანგრძლივი და მოუსვენარი მოღვაწეობა თანდათან თავის კვალს ამჩნევდა გ. თუმანიშვილის ჯანმრთელობას.

...უკანასკნელ დროს გ. თუმანიშვილი ხშირად ავადმყოფობდა. 1920 წლის ოც იანვარს კი ავად გახდა გრიპით. მაღალი ტემპერატურისა და ექიმების რჩევას მიუხედავად, იგი მანაც ვერ ურჩევდებოდა ლოჯინში წილას, აცოდა დღეები დათვლილი ჰქონდა და უნდოდა ბევრი რამ მოესწრო.

1920 წლის 26 იანვარს გ. თუმანიშვილი გარდაიცვალა; 29 იანვარს იგი დაასაფლავეს ხოჯივანჯის სასაფლაოზე, მშობლებისა და ძმების გვერდით. იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნდა ნეკროლოგები, რომლებშიც ხაზგასმული იყო განსვენებულის დამსახურება ჩვენი მწერლობისა და კულტურის წინაშე. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „ჩვენი ჟურნალის თანამშრომელთა ოჯახს მოაკლდა ერთი წვერი გიორგი მიხეილის ძე თუმანოვი... მისი გარდაცვალება ჩვენთვის ძალიან საგრძნობელ დანაკლისს შეადგენს, რადგან ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ზედმიწევნითი მკოდნე თვითმმართვე-

ლობისა, როგორც განსვენებული იყო; ძნელათ თუ ვინმე შესძლებს იყოს თვითმმართველობის იდეის გამარჯვების „ოცხალი ისტორია“, როგორც განსვენებული იყო ამიერკავკასიისათვის“<sup>1</sup>.

### სამოღვაწეო ასპარეზისაკენ...

გ. თუმანიშვილმა საგრძნობი წვლილი შეიტანა ქართული პროფესიული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარების საქმეში. დღიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისა, მისი წერილები ქართული მწერლობისა და საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში. იგი ეკუთვნოდა იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც თავიანთი გარკვეული შეხედულება ჰქონდათ ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად მოვლენებზე.

როგორც მწერალმა და ჟურნალისტმა, გ. თუმანიშვილმა სათანადო მომზადების გზა განვლო არა მხოლოდ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, არა მარტო პრაქტიკული მოღვაწეობით, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი პირადი ჟურნალისტური მოღვაწეობითაც. საქართველოში პირველი ხელნაწერი ჟურნალის („ცვეტოკ ტიფლისსკოი გიმნაზიი“) გამომცემლის, მიხეილ თუმანიშვილის შვილები (გიორგი, კონსტანტინე და ვასილი) 60—70-იან წლებში ნაყოფიერად იღვწოდნენ მამისეული ტრადიციების აღსადგენად და სასურველ შედეგებსაც მიაღწიეს. როგორც უკვე აღნიშნულია, მათ მიერ მომზადებულმა ხელნაწერმა ჟურნალ-გაზეთებმა გარკვეული როლი შეასრულეს მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და ჟურნალისტური წრთობის საქმეში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. ჟურნალი „ერობა და ქალაქი“, 1920, № 4.

<sup>2</sup> ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, 1967, გვ. 45—54; ნ. პაპავა, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის განწყობილებანი მე-19 ს. 60—70-იან წლებში (კრებული „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, 1971); ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხსნური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, 1964; მ. ხელთუბნელი, წარსულიდან, 1938.

ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოშვებას გ. თუმანიშვილი ჯერ კიდევ პანსიონში სწავლის დროს შეუდგა. ამ დროს გამოსცა მან: „ხიზაბარელი“, „კონა ყეავილა“ (1863 წ.), „ეხლანდელი დრო“, „ტფილისის მოამბე“ (1864 წ.), „საქართველოს მოამბე“ (1864—1867 წწ.), „სამშობლოს მოამბე“ (1866 წ.). ასე წარმატებით დაწყებული ჟურნალისტური საქმიანობა გიორგიმ შემდეგ გიმნაზიაში სწავლის დროსაც გააგრძელა და დასახელებულ ჟურნალ-გაზეთებს დაემატა: „ტიფლისსკი ვესტნიკ“ (1857), „კავკაზსკიაა სირენა“ (1868), „ლიტერატურნი მირ“ (1868), „კოკორი“ (1868—1869), „შრომა“ (1870), „გადასაპრელი საგნები“ (1871—1873) <sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის, როგორც ჟურნალისტის ჩამოყალიბებას და შემოქმედებითი გზის არჩევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ პირველმა ცდებმა, რომლებიც ამ ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებმა შემოგვინახეს.

გ. თუმანიშვილი თავდაპირველად თითქმის ერთნაირი ინტერესით ეკიდებოდა როგორც მხატვრული ლიტერატურის, ასევე კრიტიკისა და პუბლიცისტიკის სფეროებში მუშაობას. იგი წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, რომლებსაც დასახელებული ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ათავსებდა. მათი გაცნობა აშკარას ხდის, რომ გ. თუმანიშვილს საბოლოოდ სწორედ კრიტიკოსისა და პუბლიცისტის პროფესია უნდა აერჩია. მისი მხატვრული ნაწერები ავტორის დიდ ტალანტზე არ მეტყველებდნენ, რაშიდაც თვითონაც მალე დარწმუნდა. რაც შეეხება კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, ისინი სულ სხვა შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. მკითხველისათვის იმთავითვე აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ მათი ავტორის სახით ჩვენს მწერლობას ნიჭიერი კრიტიკოსი და პუბლიცისტი ეზრდებოდა.

ჯერ კიდევ „ხიზაბარელის“ (1863 წ.) ფურცლებზე გ. თუმანიშვილი სწორ შეხედულებას გამოთქვამს „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ შესახებ. იგი მიუთითებს როგორც „ცისკრის“

---

თუმანიშვილების ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები დაცულია საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახლობის ხელნაწერთა ინსტიტუტის და საქართველოს თეატრალური მუზეუმის გ. მ. თუმანიშვილის ფონდებში.

სუსტ მხარეებზე, ასევე — „საქართველოს მოამბის“ ღირსებაზე-საგანგებოდ უსვამდა ხაზს ი. ჭავჭავაძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენის მნიშვნელობას (იხ. წერილი — „კრიტიკა კერესელიძეზე“). თავისი ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო მკაცრი ტონით აქვს მას გამოთქმული „ეხლანდელი დროს“ ფურცლებზე: „ეგეც (ი. კერესელიძე — ზ. გ.) ამბობს მწერალი ვარო და ჭავჭავაძეც ამბობს მწერალი ვარო. ეს იმას რას ებაძება“.

როგორც ამავე გაზეთიდან ჩანს, ნიჭიერი ახალგაზრდის ყურადღება მიუქცევია ბატონყმობის გადავარდნის გამოცხადების ცერემონიალსაც, რომელსაც საკმაოდ საინტერესოდ აღწერს. უფრო გვიან კი (1867 წ.) სავანებო წერილს („ბატონ-ყმობა“) წერს ბატონყმობის მოსპობის სასურველი შედეგების შესახებ.

ამავე გაზეთის ფურცლებზე გ. თუმანიშვილი თავის შესაძლებლობას ცდის მოგზაურობის უნარშიც („მოგზავრის წერილები“); აღწერს თავის მოგზაურობას თბილისიდან ბორჯომამდე.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ჟურნალ „კოკორის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული „მამა-პაპური კანონების კომედია“, რომელშიც მკვეთრადაა მხილებული გიმნაზიაში გამეფებული რეჟიმის უვარგისობა და გიმნაზიის დირექტორის ელიზბოვსკის უღირსი საქციელი.

ასევე საყურადღებოა აქვე მოთავსებული წერილი ქართველი ახალგაზრდობის მონაწილეობაზე სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში და ლექსი „გლახაკი“, რომლის პათოსიც გლახთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ არის მიმართული.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია „არსენა (სახალხო პოემა)“, რომელსაც დართული აქვს გ. თუმანიშვილის შენიშვნა: „არსენა მართლა ძლიერ კეთილმომქმედი კაცი იყო, მასთანავე თავის ძმა გლახის მოყვარე, მართებულობას კი ეგონა, რომ ის ავაზაკია, ამიტომაც ბევრჯერ იჭერდა... სირცხვილი არის ამისთანა კაცის დაძახება ავაზაკათ. ეს არის ერთი უპირველესი გმირი ქართლისა“.

პანსიონში სწავლის წლებში დაწერილ გ. თუმანიშვილის წერილებსა და მხატვრულ ნაწერებში, ცხადია, მეტ-ნაკლებად არის არეკლილი ის შთაბეჭდილებებიც, რომლებსაც ნიჭიერი ბავშვი ოჯახური გარემოს წყალობით იღებდა. მაგრამ სამოცდაათიანი

წლების ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული გ. თუმანი-  
შვილის ნაწერები უკვე სერიოზული დაფიქრებისა და დამოუკიდებ-  
ელი თვალთახედვის აშკარა ნიშნებს ატარებენ. თვით ეს ჟურ-  
ნალ-გაზეთებიც უკვე გაცილებით მაღალ პროფესიონალურ დონე-  
ზე არიან მომზადებულნი. ამ მხრივ ჟურნალი „შრომა“ (1870 წ.)  
იქცევს მკითხველის ყურადღებას. უაღრესად საინტერესოა აქ მო-  
თავსებული გ. თუმანიშვილის ავტობიოგრაფიული შინაარსის წე-  
რილი „ჩემი სიცილი და ტირილი“, რომელშიც იგი გვაცნობს თა-  
ვისი აღზრდის ისტორიას: ძიძის, მასწავლებლის, მშობლებისა და  
უფროსი დის როლს მის ჩამოყალიბებაში; მამის მიერ გამოწერილ  
რუსული ჟურნალ-გაზეთებითა და ქართული ჟურნალებით („ცის-  
კარი“, „საქართველოს მოამბე“) გატაცებას და სხვ.

გ. თუმანიშვილი თავის ამ წერილში საგანგებოდ მიუთითებს  
იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც ჟურნალმა „საქართველოს  
მოამბემ“ და კერძოდ ი. ჰავკევაძის ნაწერებმა შეასრულეს მისი აზ-  
როვნებისა და მხატვრული ინტერესების ჩამოყალიბების საქმეში.  
იგი მთელი არსებით გაუტაცნია ი. ჰავკევაძის ხალხისადმი რაინ-  
დულ და გულწრფელ სიყვარულს. იმთავითვე მოუხიბლავს იგი აგ-  
რეთვე პუშკინისა და ლერმონტოვის თხზულებებსაც.

გადაკრით შეიძლება ითქვას, რომ წერილით „ჩემი სიცილი და  
ტირილი“ მთავრდება გ. თუმანიშვილის ადრეული, ძიებათა პერიო-  
დი და ჩვენს წინაშე დგება უკვე დამოუკიდებლად მოაზროვნე  
ახალგაზრდა კრიტიკოსი და პუბლიცისტი. ამის დაჟინდასტურებელ  
პირველ უტყუარ საბუთად გამოდგება ამავე ჟურნალში მოთავსე-  
ბული მისი წერილები — „პოლიტიკო-ეკონომიური ლექური“,  
„ჩემი ახალი ხელობა“, „კაცი და საზოგადოება“ და სხვ.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესოა ჟურნალში  
„შრომა“, 1870, № 6) გამოქვეყნებული სტატია „სატირა და ხუმ-  
რობა“, რომელშიც გ. თუმანიშვილი გ. ერისთავის შემოქმედებას  
ახასიათებს.

გ. თუმანიშვილის მართებული თქმით, „გაყრაში“ ავტორმა და-  
გვიხატა ვორონცოვის ეპოქის ქართველი თავადაზნაურობის ტი-  
პური წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდებს რუსეთში აგ-  
ზავნიან სწავლის მისაღებად, რათა ევროპულ კულტურას ეზიარონ.  
მაგრამ ეს ახალგაზრდები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ,

მხოლოდ სიტყვით აცხადებენ პროტესტს არსებული სინამდვილის წინააღმდეგ, საქმით კი იმას ჩაღიან, რასაც სიტყვით აკრიტიკებენ. ამის დამადასტურებლად მიაჩნია მას ივანე, რომელმაც სოყვარულის გარეშე შეირთო მიკირტუმ გასპარიჩის ასული.

გ. თუმანიშვილი საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს გ. ერისთავის გადმოკეთებულ ვოდვეილებს („ძალად ექიმი“, „უჩინ-მაჩინის ქული“, „თილისმის ხანი“), რომლებშიც, მისი შეხედულებით, არაფერია ქართული სინამდვილის შესატყვისი და შესათფერისი. ახალგაზრდა კრიტიკოსს გაუმართლებლად მიაჩნია საერთოდ ხუმრობის (იუმორის) მომარჯვება იმდროისათვის და მხოლოდ სატირას აძლევს მაღალ შეფასებას.

გ. თუმანიშვილი მეტად დაბალი წარმოდგენისაა გ. ერისთავის პოეზიაზე, რომელსაც იგი ეპიგონურს — ბაირონის, მიცკევიჩისა და ბარათაშვილის მიბაძვას უწოდებს.

გ. თუმანიშვილის საბოლოო დასკვნით, გ. ერისთავმა სატირიკოსის თვალთ შეხედა თავის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას, ბევრი ნაკლოვანებაც შენიშნა, მაგრამ მისი კეთილშობილი მიზანი — აღმოეფხვრა და მოესპო იგი — განუხორციელებელი დარჩა, რადგან ამგვარი ნაკლის მოსპობა მხოლოდ თავდადებისა და მსხვერპლის შეწირვით მიიღწევა.

გ. თუმანიშვილის თქმით, ვორონცოვის დროს ე. წ. განათლებული ადამიანები მხოლოდ სიტყვით იბრძოდნენ მიუღებელი სინამდვილის წინააღმდეგ, საქმით კი სრულიად უძლურნი იყვნენ. არც 70-იანი წლების ვითარება და მოღვაწე ადამიანები აკმაყოფილებს მას. „სიმართლე, თავისუფლება და პატიოსანი შრომა სანამ არ ჩაინერგება ჩვენ საზოგადოებაში, — დაასკვნის იგი, — მანამ იმისი განათლება მართო ბურუსით სავსე მეტაფიზიკა იქნება“.

მუდმივი ქართული თეატრის შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით, გ. თუმანიშვილი გამოთქვამს სურვილს, რომ გამოჩნდნენ ახალი დრამატურგები, რომლებიც შეძლებენ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

გ. თუმანიშვილის არქივში დაცულია აგრეთვე რუსულ ენაზე დაწერილი ვრცელი სტატია „ქართული დრამატურგიის ისტორია“.

(ერისტოვის და ანტონოვის თხზულებანი)“<sup>1</sup>, რომელშიც, როგორც ჩანს, ამ ორი გამოჩენილი დრამატურგის თხზულებათა შედარებითი დახასიათების ფონზე, ავტორს სურდა 50-იანი წლების ქართული დრამატურგიის საერთო შეფასება მოეცა. ასეთი საკითხის დასმისათვის, ჩანს, მისთვის ბიძგი მიუცია გ. ერისთავის თხზულებათა პირველ გამოცემას, რომელიც ორ წიგნად გამოვიდა 1867 წელს. მაგრამ სტატია მხოლოდ გ. ერისთავის შემოქმედების მიმოხილვით მთავრდება და მასში წარმოდგენილი არაა ანტონოვის პიესათა ანალიზი.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ზოგიერთი ლაფსუსისა, აღნიშნული სტატია წარმოადგენს გ. ერისთავის თხზულებათა კრიტიკული შეფასების პირველ სერიოზულ ცდას.

სტატიის შესავალში გ. თუმანიშვილი მოკლედ ახასიათებს გ. ერისთავის ეპოქას, ლაპარაკობს იმ დიდ გარდატეხაზე, რომელიც გასული საუკუნის 40—50-იან წლებში მოხდა ჩვენს სინამდვილეში. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველი არისტოკრატია ამ დროს აჰყვა რუსი არისტოკრატის ცხოვრების წესს და თვითკრიტიკულად ვეღარ შეხედა თავის მდგომარეობას. იგი საგანგებოდ მსჯელობს იმის შესახებაც, რომ დრამის შექმნა შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა ინტელექტუალური განვითარებისათვის რამდენიმე საუკუნის მანძილზე მაინც, ამასთან შევიწროებული არ იყო ომებითა და თავდასხმებით. ქართველებს კი, შენიშნავს იგი, საერთოდ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ეზრუნათ თეატრსა და დრამატულ მწერლობაზე; ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა და, საბედნიეროდ, ამ ვითარებას ქართული მწერლობა, გ. ერისთავის წყალობით, მომზადებული შეხვდა.

გ. თუმანიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს გ. ერისთავის სატირულ სცენებს, რომლებშიც ავტორმა მკაცრად ამხილა სიმდიდრითა და დროსტარებით გატაცებული არისტოკრატ ქალთა საზოგადოება. „ერისტოვი, — წერს იგი, — თავის პატარა სატირულ სცენაში „დედა და შვილი“ პირდაპირ ილაშქრებს საზოგადოებრივ

გ. თუმანიშვილის ფონდი № 111.

ცურწმენათა წინააღმდეგ, ძალზე მწარედ დასცინის თანამედროვე დედებს“. გ. ერისთავამდე, განაგრძობს იგი, ქართულ ლიტერატურაში ბატონობდა ლირიკა, რომლის ერთი ნაწილი ფრინველთა ტკბილ კიკვიკს მოგვაგონებს, ხოლო მეორე — ბაირონიზმის თავისებურ გამოვლინებას წარმოადგენს. „ერისტოვმა, — წერს გ. თუმანიშვილი, — პირველმა გამოიყენა ლიტერატურა საზოგადოებრივ მანკიერებათა დაცინვის საშუალებად, საჯაროდ და ღიად მან პირველმა ამხილა ყველა, ადგილობრივი ადათების ჩამორჩენილობაში და ევროპეიზმის არასწორად შეთვისებაში. მან პირველმა აღმოაჩინა, რომ ლიტერატურა უნდა იყოს გონებრივი მუშაობა და არა ავტორის ფანტაზიის ფუჭი ახირების გაზოხატულება. მან პირველმა დაამტკიცა, რომ შეიძლება გახდეს სახალხო პოეტი არა მხოლოდ გარითმული ლექსებით, არამედ პროზითაც“.

გ. თუმანიშვილს სასიამოვნო ფაქტად მიაჩნია ისიც, რომ გ. ერისთავს მაშინვე გამოუჩნდნენ მიმბაძველები, რომლებმაც კვლავ გააცოცხლეს ის ტიპები და ხასიათები, რომლებიც პირველად გ. ერისთავმა გვიჩვენა. ასეთია, მაგალითად, თბილისელი სომხის ტიპი და სხვ. მის მიმბაძველთაგან კი, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, „ანტონოვი თავის დრამატულ ცდებში სხვებისაგან გამოირჩევა ხასიათების შექმნის ერთგვარი დამოუკიდებლობით“.

გ. თუმანიშვილმა კარგად შენიშნა, რომ „შეშლილი“ წარმოადგენს ავტორის სატირული სცენების ლოგიკურ გაგრძელებას და გაღრმავებას, მაგრამ „აქ უკვე მეტი იუმორია, ვიდრე სატირა, აქ ავტორი სამყაროს გოგოლისებურად უყურებს“.

თავისებურ მსგავსებას ხედავს იგი ანახანუმისა და ფამუსოვის (გრებოედოვის „ვაი კკუისაგან“) გამოთქმებს შორისაც.

ქალაქელი ბიჭის სიტყვებით, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, „შეშლილის“ ავტორმა მკაცრად დასცინა ტასოს სიკვდილით ვითომ-და დამწუხრებულ ქალთა საზოგადოებას. რაც შეეხება ბეგლარს, ახალგაზრდა კრიტიკოსის აზრით, იგი არის ავტორის იდეალი, პოეტი და პატიოსანი მოქალაქე. მაგრამ ფაქტიურად ბეგლარი ვერ დგას იმ სიმაღლეზე, რომ სხვებისთვისაც იდეალურ გმირად წარმოდგეს. მართალია, მას სურს თავის მძიმე ბედით გვერდში ამოუდგეს დანტეს, ტორკვატო ტასოს, კომოენსსა და სხვებს, მაგრამ



„ჯერ ერთი, ისინი დაგმობილი იყვნენ მთელი საზოგადოების მიერ, იგი კი — ამ სასჯელის ყველაზე უმნიშვნელო ნაწილით. მეორეც, ზემოდასახელებული პოეტები დასჯილი იყვნენ როგორც პოეტები და ცნობილი პარტიის წარმომადგენლები, იგი კი როგორც კერძო პირი“.

გ. თუმანიშვილი თავის ამ სამართლიან შენიშვნას უმატებს იმასაც, რომ ბეგლარის ეს მონოლოგი რიტორული და გაკვიანურებულია, რაც პიესის მსვლელობაზე ცუდ გავლენას ახდენს; სურათის წარმოსადგენად სრულიად საკმარისი იყო მისი უარი ყალბი და გაუპართლებელი თხოვნის დაწერაზე.

რაც შეეხება „გაყრას“, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, იგი არის პირველი დრამატული თხზულება, რომელშიც ასე ოსტატურად აისახა საქართველო, კერძოდ კი თბილისის საზოგადოება. ამ მხრივ „გაყრას“ იგი აღარებს გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, სადაც წარმოდგენილია მოსკოვის საზოგადოება.

გ. თუმანიშვილი საკმაოდ სრულად და მართებულად ახასიათებს „გაყრის“ მთავარ გმირებს და მათი შექმნის მნიშვნელობას ჩვენი ლიტერატურისათვის. საგულისხმოა მისი ერთი დაკვირვებაც: „მიკირტუმი არა ჰგავს მოლიერის პარაგონს, რომელიც მხოლოდ ძუნწია, მაშინ, როცა მიკირტუმი ის კაცია, გარკვეული ვნებები რომ ამოძრავებს“.

ამასთან ერთად, გ. თუმანიშვილი თვლის, რომ „გაყრის“ მსგავსი ნაწარმოები შემდეგ აღარ შექმნილა, რასაც აქვს თავისი მიზეზები: 1. უკანასკნელ დროს ქართული ეროვნული მწერლობა თანდათან დაეცა, 2. მოისპო მუდმივი თეატრი, რომელიც ამხნეებდა დრამატურგებს, 3. არ არის ჟურნალი, რომელიც დაბეჭდავდა პიესებს.

გ. თუმანიშვილის მიერ საკითხის ამგვარად დასმა და გადაწყვეტა, ცხადია, ვერ უძლებს კრიტიკას, მაგრამ იგი უდავოდ მიგვანიშნებს ახალგაზრდა ავტორის მისწრაფებაზე, ჩაწვდეს მოვლენათა სიღრმეში. საერთოდ, ეს სტატია აშკარად მეტყველებს ჯერ კიდევ მოსწავლე გ. თუმანიშვილის კარგ კრიტიკულ ნიქსა და მისი გაშლის პერსპექტივებზე.

ხელნაწერ ჟურნალ „შრომაში“ მოთავსებულ წერილში („მოგონილი ხალხი“) გ. თუმანიშვილმა საინტერესო შეხედულება გამო-

თქვა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობზეც“ (ცხადია, მის პირველ ნაწილზე). კერძოდ, მან არარეალისტურად მიიჩნია მღვდლის სახე- „ჭავჭავაძის მღვდელი, — წერს ის, — სუყველას ფულით ეხმარება, მართალი მღვდელი კი სუყველას სძარცვავს; ჭავჭავაძის მღვდელი ქადაგებს კითხვის სარგებლობაზე, კეთილშობილ შრომაზედ, მართალი მღვდელი კი ქადაგებს ღმერთის, ე. ი. მღვდელთა პატივისცემაზედ; ჭავჭავაძის მღვდელი იხსნის დახრჩობისაგან წყალში კაცს, მართალი მღვდელი კი თვითონვე აღრჩობს თუ წყალში არა, სიღარიბეში მაინც“.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა კრიტიკოსი თავისი საყვარელი მწერლისაგან მოითხოვს სოციალურ წინააღმდეგობათა უფრო მკვეთრ ჩვენებას.

ჟურნალ „შრომის“ (1870 წ.) მე-12 ნომერში გ. თუმანიშვილი ათავსებს სტატიას — „1870 წლის ლიტერატურა“, რომელშიც მიმოიხილავს ერთი წლის ქართულ ლიტერატურულ-ჟურნალისტურ საქმიანობას და გვაცნობს თავის დამოკიდებულებას მასთან. ამ შეხედულებათა გარკვეული ნაწილის მცდარობა ამჟამად ექვს არ იწვევს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსი გაბედულად და დამოუკიდებლად მსჯელობს სერიოზულ საკითხებზე. ამგვარ საკითხებზე მსჯელობის პრეტენზია გამოვლენილია თვით იმ ჟურნალის სახელწოდებაშიც, რომლის გამოშვება გ. თუმანიშვილმა 1871 წელს დაიწყო („გადასაქრელი საგნები“). ჟურნალის გამოცემა გ. თუმანიშვილმა დაიწყო თბილისში, ხოლო შემდეგ გააგრძელა ოდესაში. ამგვარად, მის ფურცლებზე ვეცნობით გ. თუმანიშვილი — სტუდენტის ნაწერებსაც.

„გადასაქრელი საგნების“ შინაარსი საკმაოდ არის შესწავლილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ანთელავა, ნ. პაპავა), მაგრამ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ამ ჟურნალის მეშვიდე ნომერში მოთავსებულ წერილზე („პეპელა“), რომელშიც გ. თუმანიშვილი მოგვითხრობს ოდესაში გატარებულ წლებზე, იქ მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებზე, იქიდან გამომგზავრებასა და სხვ.

აღნიშნული წერილი ყურადღებას იქცევს ავტორის თვითკრიტიკული მსჯელობით, თავისი ადრინდელი შეხედულებების კრიტიკით: ცხოვრებას მხოლოდ წიგნებით ვიცნობდი და მეოცნებე

ვიყავი, მაგრამ ოდესაში სწავლის დროს გაქვცანი მას უშუალოდ და ჩემი თვალით ვნახე საბაკევიჩი და ჩიჩიკოვებიო, დასძენს იგი.

უალრესად საინტერესოა, აგრეთვე, ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ 1873 წლის უკანასკნელი ნომრების გ. თუმანიშვილისეული მიმოხილვა და რუსული ლიტერატურის განვითარების შესახებ მსჯელობა.

ჟურნალ „გადასაკრელ საგნებში“ მოთავსებული გ. თუმანიშვილის ყველა წერილი იმის მაუწყებელია, რომ მათი ავტორი მალე უნდა გამოჩენილიყო უფრო მაღალ ტრიბუნაზე და თავისი სიტყვა ეთქვა საზოგადოების უფრო ფართო წრისათვის, ყველა ქართველი მკითხველისათვის.

### პირველი ნაბიჯები

1875 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გ. თუმანიშვილის ორი კრიტიკული სტატია: „ჩვენი ძველი გმირები“<sup>1</sup> და „სურამის ციხე“<sup>2</sup>. პირველში განხილული და შეფასებულია გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“, ხოლო მეორეში — დანიელ კონჭაძის „სურამის ციხე“.

დასახელებული სტატიები ახალგაზრდა კრიტიკოსის უალრესად სერიოზული განაცხადი იყო; მათ წამკითხველს იმთავითვე ექმნებოდა წარმოდგენა ავტორის საზოგადოებრივ იდეალებსა და ლიტერატურულ გემოვნებაზე. გ. თუმანიშვილმა საკმაოდ ოსტატურად შეარჩია თავისი სადებიუტო კრიტიკული სტატიების თემატიკაც. ორი სხვადასხვა მიმართულებისა და სტილის მქონე 50-იანი წლების მწერლის თხზულებების შეფასებით მას შესაძლებლობა ეძლეოდა შედარებით სრულად გამოემყდარებინა საკუთარი კრიტიკული ნიჭი და მკითხველისათვის გაეცნო თავისი შეხედულებები ჩვენი ლიტერატურის განვითარების იმ საინტერესო ეპოქაზე, როცა რომანტიზმი თავის უკანასკნელ სიტყვას ამბობდა, ხოლო კრიტიკული რეალიზმი გაბატონებულ მიმართულებად ხდებოდა.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1875, №№ 101, 102.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1875, №№ 117, 118, 119.

უშუალო საბაბი კი კრიტიკოსის მიერ ამგვარი თემების შერჩევისა და დასახელებულ თხზულებათა ცალკე წიგნებად გამოცემა იყო. ასე რომ, საბაბიც საპატიო იყო და არჩევანიც — მოსაწონი.

როგორც ცნობილია, მკითხველმა და ოფიციალურმა კრიტიკამ სხვადასხვაგვარად მიიღო ქართული რომანტიკული პროზის ნიჭიერი წარმომადგენლის გრიგოლ რჩეულიშვილის მხატვრული თხზულებანი, მათ შორის „თამარ საქართველოს ბატონიშვილი“, რომელიც 1862 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარი“<sup>1</sup>.

გრ. რჩეულიშვილის პროზით უკმაყოფილო მკითხველის განწყობილება პირველად ალ. ორბელიანმა გამოხატა, როცა მან საგანგებო სტატია უძღვნა „ქვრივის ლიმონების“ განხილვას („ქვრივის ლიმონების“ განხილვა ანუ კრიტიკა“)<sup>2</sup>.

ალ. ორბელიანმა „ქვრივის ლიმონების“ ავტორი ამხილა ისტორიული სინამდვილის დამახინჯებულად გადმოცემაში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „რჩეულოვის თხზულებაში თუ არის რამე კარგი მხოლოდ უცხო სიტყვიერება და ყურის სმენისათვის კარგი გასაგონი, თუმცა ცოტა მეტ-ნაკლებია იქაც... სხვა კი მოგვიტეოს უ. რჩეულოვმა, ამის თხზულებას კარგს ღირსებას ვერას დავდებთ“.

ანალოგიური შეფასება დაიმსახურა ლიტერატურულ კრიტიკაში გრ. რჩეულიშვილის მეორე რომანმა „ბატონიშვილი ანუკა“<sup>3</sup>, რომლის პირველი კრიტიკოსობა ბარბარე ჯორჯაძემ იკისრა.

სტატიაში „ანუკა ბატონის შვილის მოთხრობაზედ“<sup>4</sup> (ხელმოწერით: „კნ. ნინო ერისთავისა“) ბ. ჯორჯაძემ გრ. რჩეულიშვილის დასახელებული რომანი მიიჩნია „ყოვლის უშესაბამო აზრებით“ საესე თხზულებად. მისი შეხედულებით, ნაწარმოებში არა მარტო ჩვენი ისტორიული სინამდვილეა დამახინჯებული, არამედ — ქართული ენაც; „არც არის ეს მოთხრობა ჩვენი ქართული ენის ქცევითი ლაპარაკი“, — დასძენს იგი. რაც მთავარია, ამგვარი შინაარსის ნაწარმოებს იგი თვლის ზნეობრივი გარყვნილებისა და გა-

<sup>1</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1862, №№ 5, 6, 7, 8.

<sup>2</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1858, № 4.

<sup>3</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1860, № 11.

<sup>4</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1861, № 1.

დაგვარების წყაროდ. ერთი სიტყვით, კრიტიკოსმა რომანში დადებითი ვერაფერი იპოვა.

ასევე მკაცრად დაესხა თავს „ანუჟა ბატონიშვილს“ კახეთის მეზუჟე („უფალო რედაქტორო“)<sup>1</sup>, რომელმაც არაზუსტად, მაგრამ პირველად მიუთითა გრ. რჩეულიშვილის რომანის სიუჟეტის არაორიგინალობასა და მის იტალიური მწერლობიდან მომდინარეობაზე. დღეისათვის კი უკვე დადგენილია, რომ „გრ. რჩეულიშვილს გადმოუკეთებია იტალიელი მწერლის იტალო ფიორენტინოს ისტორიული რომანი „იზაბელა ორსინი“<sup>2</sup>.

არც „თამარ ბატონიშვილს“ შეხვდა მოწონებით იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა. მართალია, მისი ავტარგიანობა საგანგებო მსჯელობის საგნად არავის გაუხდია, მაგრამ მის შესახებ უარყოფითი შეხედულება გამოთქვა ქერელმა ბექამ (ანტონ ფურცელაძემ) თავის სტატიაში — „სურამის ციხე დ. კონქაძისა“. „უნდა

<sup>1</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1861, № 3.

ჭერჭერობით დადგენილი არაა, თუ ვინ არის ამოფარებული ფსევდონიმს — „კახეთის მეზუჟე“!

ვინაიდან სტატიის ბოლოში ზუსტად არის მითითებული წერილის დაწერის თარიღი და ადგილი („16 თებერვალს 1861 წელსა. გრემის ნაქალაქევი“), პროფ. ს. ხუციშვილი ფიქრობს, რომ „ეს წერილი გამოგზავნილია გრემის ნაქალაქევიდან, სადაც ბარბარა ჯორჯაძე ცხოვრობდა. ივანე კერესელიძემ ბარბარეს ლექსი უძღვნა, სათაურით „გრემის ნაქალაქევი“. წერილის გრემიდან გამოგზავნა, აგრეთვე ისიც, რომ გრ. რჩეულიშვილის მოთხოობის შესახებ ბარბარე ჯორჯაძემ წინა წერილიც ფსევდონიმით დაბეჭდა, სტატიის აზრი და სტილი გვაეჩვენებს — კახეთის მეზუჟე ბარბარე ჯორჯაძის ფსევდონიმი ხომ არაა?“ (იხ. პროფ. ს. ხუციშვილის რედაქციით გამოსული ქრესტომათია — „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, 1954, ტ. I, გვ. 426).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კახეთის მეზუჟის“ ფსევდონიმით ბ. ჯორჯაძის ზღაპრულად გამოსვლა გამორიცხებულია. მან თავისი სათქმელი, როგორც მიუთითეთ, უკვე თქვა. ამასთან, ენა და სტილიც სტატიისა სწორედ იმაში გვარწმუნებს, რომ იგი არ ეკუთვნის ბ. ჯორჯაძეს და არც სხვა ვინმეს გრემის ნაქალაქევიდან. სტატიის ავტორი, ჩვენი აზრით, ჟურნალის რედაქტორი ი. კერესელიძეა. ამას გვაფიქრებინებს როგორც სტატიის ენა და სტილი, ასევე საერთოდ მთელი შინაარსი და ის შენიშვნები, რომლებიც მისთვის საგანგებოდ დაურთავს რედაქტორს, რათა უფრო დამალა თავისი ავტორობა.

<sup>2</sup> ჟ. კ. უ. მ. ბ. რ. ი. ძ. ე. ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, 1958, გვ. 57.

სწორედ მოგახსენოთ, — ამბობს ანტ. ფურცელაძე, — რომ, არათუ ვერაფერი იღეა ვერა ეპოვეთ რა ჩვენ თამარ ბატონის შვილში (და სხვა რჩეულობის თხზულებები ხომ ღმერთმა შეინახოს) და საგანიც ვერ მივუყენეთ — თუ რა ჰქონდა ამის ავტორს ამ თხზულების საგნათ — გარდა ამისა ამ რომანში არც სიცოცხლეა, არც სინამდვილე, არცა რა რამ ისტორიული, არც ხასიათები, არც სახე გვაქვია, არც დროების სანახაობა... ამ რომანიდან ჩანს, რომ ამის ავტორს არცარა უსწავლიარა და არცარა უკითხავს რა, ზოგიერთა ფრანცუზული რომანების მეტი“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, 60-იანი წლების ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მძიმე განაჩენი გამოუტანა გრ. რჩეულიშვილის რომანებს. მაგრამ აშკარა იყო ისიც, რომ მას ჰყავდა მკითხველთა ფართო წრე, რომელსაც ისინი მოსწონდა. ამ საიდუმლოების გარკვევა კი მომავლის საქმედ რჩებოდა. ამიტომაც, „თამარ ბატონიშვილის“ ახლებური შეფასების ცდა გ. თუმანიშვილს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

გ. თუმანიშვილმა თავისი კრიტიკული სტატია დაიწყო იმის გახსენებით, რომ „თამარ ბატონიშვილი“ სიამოვნებით იკითხებოდა მაშინ, როდესაც იგი პირველად დაიბეჭდა. მიუთითა იმაზეც, რომ ასევე სიამოვნებით იკითხებოდა იგი სამოცდაათიან წლებშიც, „თუმცა არ ეხება სრულებით იმ საგნებს, რომლებსაც დაჰფიქრებია ჩვენ დროინდელი ქართველი და თუმცა ამ თხზულებების გმირები არ არიან ოსტატურად გამოხატულები“.

კრიტიკოსი უდავო ჰეშმარიტებად თვლის, რომ „თამარ ბატონიშვილი“ არ არის რეალისტური ნაწარმოები, არ არის ჰეშმარიტი ისტორიული რომანი, — ჩვენი წარსული ცხოვრების უტყუარი სურათი. უფრო მეტიც, ნაწარმოები მოკლებულია იმ მხატვრულ ღირსებებსაც, რომლებსაც შეეძლოთ ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინათ მკითხველზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაწარმოები მაინც ინტერესით იკითხება, ვინაიდან იგი დაწერილია მშვენიერი ენით და გვაჩვენებს მეთორმეტე საუკუნის ქართველი საზოგადოების ფსიქოლოგიურ და მორალურ სახეს. -

<sup>1</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1863, № 1.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, ამ ნაწარმოების ღირსება მდგომარეობს არა ისტორიული სინამდვილის მართებულ ასახვაში, არა მისი მხატვრული ქსოვილის სიმშვენიერეში, არამედ — ენის სისადავესა და საზოგადოების სხვადასხვა ფენათა ფსიქოლოგიით დაინტერესებასა და მის წინ წამოწევაში.

ამ მიმართულებით კრიტიკოსს არა მხოლოდ მოსწონს „თამარ ბატონიშვილი“, არამედ მკიდრო კავშირს ხედავს ნაწარმოებში აღწერილ სიტუაციებსა და მის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების მანკიერ მხარეთა შორისაც. სწორედ ამით ხსნის იგი იმ გარემოებას, რომ „თამარ ბატონიშვილს“ კვლავ ინტერესით კითხულობს მკითხველი.

„თამარ ბატონიშვილის“ ღირსება, გ. თუმანიშვილის აზრით, საბოლოოდ იმაში უნდა დავინახოთ, რომ გრ. რჩეულიშვილმა შეძლო მკითხველისათვის ეჩვენებინა ძველი ქართველი თავადაზნაურობის ერთმანეთისაგან განსხვავებული მორალისა და ფსიქოლოგიის მქონე ორი ბანაკის წარმომადგენლები: ერთი მხრივ — მხნე, პატიოსანი შალვა და წყნარი, სამშობლოს მოყვარული თამარ ბატონიშვილი, მეორე მხრივ — დაუნდობელი, ამაყი ივანე არღუთაშვილი და დედოფალი რუსუდანი. სწორედ ამ ორი ბანაკის წარმომადგენელთა ფსიქოლოგიურ-მორალური ნიშან-თვისებების ანალიზითა და მათი დაპირისპირებით სურს კრიტიკოსს დააფიქროს მკითხველი თავის თანამედროვე ცხოვრებაზე, თანამედროვე ადამიანთა რაობასა და ფსიქოლოგიაზე.

კრიტიკის დღევანდელი ისტორიკოსისათვის ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ გ. თუმანიშვილს ე. წ. პუბლიცისტური კრიტიკის პოზიციებიდან აინტერესებს ლიტერატურული ძეგლები; ეს უკანასკნელნი მისთვის საშუალებაა არსებული სინამდვილის მანკიერებაზე ყურადღების გასამახვილებლად. ამგვარი დამოკიდებულება კი გ. თუმანიშვილისათვის ნიშანდობლივი იყო კრიტიკული მოღვაწეობის მთელ მანძილზე.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, შალვა ძველი ქართველი თავადაზნაურობის ის წარმომადგენელია, რომელსაც მართალია განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ბუნებით რაინდი იყო, სუსტის დასაცავად მზად იყო სიცოცხლე გაეწირა, სამშობლოსა და სარმწუნოების ღალატს კი „სიკვდილი სახელოვანი“ ერჩია.

მისთვის მთავარი იყო არა პიროვნული, არამედ — ეროვნული და საზოგადოებრივი. „ჩვენი ეხლანდელი მოწინავე საზოგადოება, — შენიშნავს კრიტიკოსი, — რომელსაც თავის თავი ევროპულათ განათლებული ჰგონია, რომელიც შეცოდებით უყურებს თავის წინაპრებს და თავის წარსულს, როგორც ბნელ, საშინელ დროს, და დღეებს სთვლის, დაივიწყოს თავისი შავი წარსული, ჩვენი ეხლანდელი უკეთესი საზოგადოება, ვამბობ მე, ბევრით უფარდება ზნეობით ჩვენივე ძველ საზოგადოებას და მეტად შალვებს. შალვას წინ ის მოჩანს რაღაც საბრალო, ურწმუნო, უგზო-უკვლო თაობათ“<sup>1</sup>.

კრიტიკოსი მკითხველს მოაგონებს შალვას მძიმე თავგადასავალს და აჩვენებს მის გაუტეხავ ნებისყოფას, რომელიც მძიმე მდგომარეობაში მყოფსაც ძალას აძლევს თქვას: „მე სიცოცხლე მამძულდა და ჩემი ვალია ის სამშობლოს შევწირო“. დიახ, შალვა-სებრ ადამიანებს მოძულებული სიცოცხლეც მხოლოდ სამშობლოსათვის და არა სახრჩობელასთვის ემეტებოდათ.

მიუხედავად ამისა, კრიტიკოსის შეხედულებით, შალვა მაინც არ არის ჩვენი ძველი გამოჩენილი გმირი, იგი მხოლოდ პორტრეტია ძველი თავადაზნაურობის საუკეთესო წარმომადგენლისა, რომლის მსგავსთ ისევე ხშირად შეხვდებოდით რამდენიმე საუკუნის წინათ, როგორც „ეხლა ხშირად შეხვდებით ჩვენში გ. ერისთავის რუსეთუმეებს ან ჟაღოვებს“. და თუ ჩვენს წარმოდგენაში გავაცოცხლებთ შალვას და გავაბაასებთ „ჩვენ განათლებულ რუსეთუმეებთან, მე ვიცი, ისინი ერთმანეთში ვერაფერში ვერ დათანხმდებიანო“, — დასძენს კრიტიკოსი. ამის მიზეზი კი, მისი თქმით, ის არის, რომ „აღარ არის ჩვენში ძველებური სიყვარული სამშობლოსადმი, აღარ არის ჩვენში არც სიმხნევე, არც ძმობური მოქცევა ერთმანეთისა. აღარაფერი არ გვწამს, აღარაფერზე არ ვოცნებობთ... ძველ ღმერთებს შევაფურთხეთ და ახალ ღმერთებად გავიხადეთ ჩვენი სხეული, ჩვენი ჭიბე... „ოღონდ მე ვიყო და ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო!“ — ფიქრობს ყოველ წამს ჩვენ დროინდელი ქართველი.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1875, № 101.



ამას არას დროს არ ფიქრობდა. შალვა, რადგან ის შეკავშირებული იყო საზოგადოებასთან, სამშობლოსთან“<sup>1</sup>...

კრიტიკოსი მაღალი შეხედულებისაა თამარ ბატონიშვილის პიროვნებაზეც, ვინაიდან მისი ცხოვრებისა და მოქმედების განმსაზღვრელად გამხდარა არა ეგოისტური, კერძო და პიროვნული ინტერესები, არამედ — თავისი ხალხისა და სამშობლოს სიყვარული. გ. თუმანიშვილი მწერალს უწონებს თამარის დაყენებას რთული გამოცდის წინაშე (საკუთარი თავისა და შალვას ბედნიერება, თუ სამშობლოს ინტერესები?) და თამარის მიერ გაკეთებულ არჩევანსაც, მაგრამ ამ რთული ფსიქოლოგიური სიტუაციის ისეთ მხატვრულ გადაწყვეტას, როგორც ეს რომანშია, სამართლიანად იწუნებს. მისი თქმით, გრ. რჩეულიშვილმა „ეს გულის შფოთვა თამარისა ვერ გამოგვიხატა... ნათლად და აქედან იწყება მკითხველის გულგრილობა მოთხრობის გმირებისადმი. ავტორმა ჩვენ ვერ აგვიწერა დაწვრილებით გრძნობანი თავის უპირველეს მომქმედ პირისა“<sup>2</sup>.

უდავოდ მართებული შენიშვნაა! გრ. რჩეულიშვილის რომანის („თამარ ბატონიშვილი“) მხატვრულ სისუსტეს მართლაც საგრძნობლად განაპირობებს თამარის სულიერ სამყაროში მომხდარი დიდი ტკივილების არასათანადოდ ჩვენება, რთული შინაგანი კონფლიქტის მარტივად და სქემატურად გადაწყვეტა.

გ. თუმანიშვილი მართებულად საყვედურობს მწერალს იმის გამოც, რომ რომანის პერსონაჟთა უმეტესობა ისე მკრთალად არიან წარმოდგენილნი, რომ შეუძლებელია ისინი ჩავთვალოთ „რომელიმე ხასიათის ან წოდების.. წარმომადგენლებათ (ტიპათ)“.

კრიტიკოსი საგანგებოდ ჩერდება ივანე ათაბაგის (არლუთაშვილის) სახეზე. ივანე, მისი თქმით, მწერალმა წარმომადგინა მხეცური და ეგოისტური სურვილებით შეპყრობილ ადამიანად, რომელიც სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს, ყოველგვარი მერყეობის გარეშე, ანაცვალებს საკუთარ ვიწრო მიზნებსა და ავადმყოფურ პატივმოყვარეობას. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. გ. თუმანიშვილს უფრო მეტად იმაზე მინიშნება აინტერესებს, რომ ივანე

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1875, № 102.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1875, № 101.

ათაბაგები მის თანამედროვეთა შორისაც ბევრი მოიპოვება. „ივანე არღუთაშვილს იცნობთ განა? ის ჩვენში ბევრჯერ გინახავთ, ის ჩვენში არ მომკვდარა და არც არის იმედი; ის ჩქარა მოკვდესო“<sup>1</sup>, — სარკასტულად შენიშნავს იგი.

ამგვარად, გ. თუმანიშვილმა თავის პირველ კრიტიკულ სტატიაში მოახერხა ეჩვენებინა გრ. რჩელიშვილის რომანის („თამარ ბატონისშვილი“) როგორც ღირსება, ასევე სუსტი მხარეები. ამასთან ერთად, რომანის პერსონაჟთა დახასიათება და ანალიზი მან გამოიყენა თავის თანამედროვეთა მანკიერებების წარმოსაჩენად, რაც პუბლიცისტური კრიტიკის ერთ-ერთი არსებითი ნიშან-თვისებაა.



პუბლიცისტური კრიტიკისადმი ერთგულება გ. თუმანიშვილმა კიდევ უფრო აშკარად გამოამჟღავნა თავის მეორე კრიტიკულ წერილში („სურამის ციხე“)<sup>2</sup>, რომელიც მორალური მოძღვრების ქადაგებით დაიწყო. მისი თქმით, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ზოტბა შევასხათ ძველი ეპოქის გენიოსებს, პატივისცემით წარმოვთქვათ მათი სახელები მაშინაც კი, როცა ეს საჭირო არ არის, მაგრამ როცა ჭერი მიდგება იმ მწერალსა თუ კრიტიკოსზე, რომელიც აძაგებს ჩვენს უხეირო ცხოვრებასა და უმეცრებას, რათა თვალი აუხილოს ახალგაზრდებსა და ყველა მათ, ვისაც ჭერ კიდევ არ შეუტურავს ცხოვრების კაობში, მაშინ ჩვენ ან წავუყრუებთ, ანდა აშკარად ვილაშქრებთ მათ წინააღმდეგ.

ასეთ თანამემამულეთ გ. თუმანიშვილი იმის განმარტებით „ამშვიდებს“, რომ ქვეშარტების მქადაგებელთ ისინი არ ჰყავს მხედველობაში; „პატიოსანი კაცი იწყებს თავის ქადაგებას მხოლოდ ახალგაზრდობისათვის, რომელიც ემზადება მოქმედებისათვის და ფიქრობს იმას, რა გზა ამოვირჩიო, რომელი გზა სამართლიანია და რომელი საზიზღარო... იმას უნდა მხოლოდ იმათი ხასიათის გაკეთილშობილება, ვისაც ჭერ სვინდისი მთლად არ დაუკარგავს, იმათი

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1875, № 101.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1875, №№ 117, 118, 119.

თვალეობის ახელვა, რომლებიც ჯერ ცხოვრებას არ იცნობენ და რომლებსაც ჯერ არ შეუტოპავთ ჩვენებურ წუმპეში“<sup>1</sup>.

მაგრამ კრიტიკოსი არც იმას მალავს, რომ ამგვარი მიზნის მი-საღწევად აუცილებელია გადაგვარებულთა სააშკარაოზე გამოყვა-ნა, რათა მის წინააღმდეგ განეწყოს საზოგადოების ჯანსაღი ნაწი-ლი. ასეთი სურვილი ამოძრავებს კერძოდ სატირიკოს მწერალს, რომელსაც უნდა დაციწვით „შეარცხენოს ისინი, ვინც სხვისი ოფლის ღვრით გამდიდრებულა, ვინც ორგულობით ამალღებულა საზოგადოების გუნებაში. სატირაიკოსს უნდა საზოგადოება ააღელ-ვოს, აალაპარაკოს, ყველას ადევნინოს დიდ-გული და მძღაერი ბატონები, ხალხის მტაცებლები და უსამართლოდ ამალღებული ტეტეები“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილს სურს წინასწარვე შთააგონოს თავისი მკითხ-ველი, ეუ შეაწინებს მას ბევრის მომთხოვნი და სასტიკი კრიტიკო-სი, თუკი გულწრფელად სჯის. „სასტიკ სიტყვას ორგული კა-ცი ვერ იტყვის, სასტიკ სიტყვას, მართალს და თქმულს გრძნო-ბით, ეცი პატივი, რადგანაც ის არის ნიშანი იმის მტქმელის შენდა-ში სიყვარულისა. სასტიკი, მაგრამ მართალი სიტყვა წამალია, და როგორც ყოველი წამალი, თავდაპირველად, რასაკვირველია, უსია-მოვნოა“<sup>3</sup>; — მოაგონებს მკითხველს კრიტიკოსი.

მართალია, ისტორია იმას გვასწავლის, შენიშნავს კრიტიკოსი, რომ საზოგადოება ხშირად სდევნიდა მათ, ვინც გულწრფელად და პირდაპირ ქადაგებდა სიმართლეს, მაგრამ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ „ხალხის ზნეობით მდგომარეობას უფრო კარგი ბედი მოელის, რამდენიც იმას ბევრი იმისთანა სასტიკი მსჯელები ჰყავს, როგორნიც იყენენ გერმანიაში — ბერნე და ჰეინე, საფრან-გეთში — ვოლტერი და რაბლე, ინგლისში — სვიფტი და დიკენსი და რუსეთში — გოგოლი და დობროლიუბოვი“<sup>4</sup>.

გ. თუმანიშვილის თქმით, თვალს თუ გადაავლებთ ჩვენს ღა-რიბ მწერლობას, აქაც ვიპოვით მათ მსგავს ადამიანებს, მაგრამ აშ-

1 გაზ. „დროება“, 1875, № 117.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

კარაა ისიც, რომ ჩვენ დავივიწყეთ ისინი, ვინც დაგვეცინოდა, ვისაც ცამდე არ აყვავდით, ვინც არ ივიწყებდა, რომ წუმბეში ვიყავით ჩაფლულნი და ჯერ კიდევ ბევრი გვაკლდა, მაგრამ არც ჩვენ ვართ ამაში დამნაშავე, რადგან „უამნი მეფობენ“, — მრავლისმეტყველად დასძენს კრიტიკოსი.

გ. თუმანიშვილი არ უმაღავეს მკითხველს, რომ მის მიერ ამგვარად გამოთქმული ფიქრები მასში დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ წაკითხვას აღუძრავს. შესაძლებელია, — შენიშნავს იგი, — ზოგიერთი მკითხველი არც კი იცნობდეს „სურამის ციხეს“, მაგრამ შეუძლებელია ამ მოთხრობაში ნათქვამი სიმართლე უნაყოფოდ დარჩენილიყო და არ გაემხნევებინა ახალგაზრდობა მანაც.

„დ. ჭონქაძემ, — ამბობს გ. თუმანიშვილი, — „სურამის ციხე“ დაწერა მაშინ, როცა, არათუ ჩვენში, არამედ რუსეთშიც, სულ რამდენიმე განათლებული ახალგაზრდა ფიქრობდა ბატონყმობის მოსპობაზე, და დაბეჭდა მაშინ, როდესაც ჩვენში პრივილეგიურ წოდებას არ სურდა ყმების განთავისუფლება, როცა ჩვენი ზოგიერთი მემამულეები თავიანთ ყმებს თელიდნენ უსულგულო ნივთებად, რომლების მოხმარება შეიძლება ყოველნაირად“<sup>1</sup>...

გ. თუმანიშვილის თქმით, დ. ჭონქაძემ გვაჩვენა სწორედ ამგვარ მებატონეთა დაუნდობლობა და უმძიმესი ცხოვრება იმ უუფლებო ყმებისა, რომელთა გაცნობით „სურამის ციხემ“ მკითხველს არაერთხელ დააწყევლინა ბატონყმობა.

გადაღოს რა უშუალოდ „სურამის ციხის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების, ავკარგიანობის დახასიათებაზე, გ. თუმანიშვილი პირველყოვლისა ხაზს უსვამს ავტორის სიახლოვეს ცხოვრებასთან და მის უშუალო კავშირს იმ ადამიანებთან, რომელთა სახეებიც მან დაგვიხატა. „ჭონქაძის მოთხრობა, — შენიშნავს კრიტიკოსი, — მართო მკიცხავ, სასტიკ სიტყვას კი არ ამბობდა, ის გვიხატავდა კიდევ ნამდვილ ცხოვრებასო“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილის ამ კრიტიკული სტატიის ძირითადი მნიშვნელობა „სურამის ციხის“ მთავარ პერსონაჟთა (დურამიშხანი, ვარდო) ხასიათების საინტერესო ანალიზში მდგომარეობს. მასშია პირ-

<sup>1</sup> გაზ. „ღროება“, 1875, № 117.

<sup>2</sup> გაზ. „ღროება“, 1875, № 118.

ველად მოცემული ამ სახეთა ღრმა ანალიზი და სათანადო კვალიფიკაცია.

გ. თუმანიშვილის მართებული შეფასებით, „სურამის ციხის“ მთავარი გმირი ღურმიშხანი არის „არა უსულდგმულო სურათი“, არამედ კვლამართად ცოცხალი ადამიანი, არა რაღაც გამონაკლისი, ან კარიკატურა, არამედ — ტიპი, რომელიც წარმოადგენელია „რამდენიმე ათას და ათი ათას კაცისა“.

კრიტიკოსი მწერალს უწონებს მხატვრულ ოსტატობას ღურმიშხანის სახის შექმნისას. მისი შეხედულებით, ღურმიშხანი უშუალოდ სინამდვილიდან აღებული ტიპია; იგი თავად წერეთლის უკანონო, მაგრამ იმდროინდელი ცხოვრების კანონიერი შვილია. იმისათვის, რომ ყმობისაგან განთავისუფლდეს და გამდიდრდეს, იგი ყველა და ყოველგვარ საშუალებას მიმართავს (გზად და ხიდად იყენებს ვარდუას სიყვარულს, ხოლო თავის კეთილისმყოფელ ოსმან-ალას მიწასაც არ მიაბარებს). მაგრამ ამაში უფრო მეტად დამნაშავეა არა თვითონ, არამედ ცხოვრება, რომლის ღვიძლი შვილიც იგია.

გ. თუმანიშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს მწერლის ზომიერებას ღურმიშხანის სულიერი სამყაროს დამაჯერებლად ჩვენებისას. დ. კონკაძე თავისუფალია ტენდენციურობისაგან, მას ღურმიშხანი სურს გვიჩვენოს ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო ცხოვრებაში; იგი მას გვიხატავს არა ავაზაკად, ანდა ანგელოზად, არამედ — თავისი ეპოქის კანონზომიერ პროდუქტად, რომელიც დასახიჩრებულია ცხოვრების მიერ. ღურმიშხანი რომ თავიდან ბოლომდე ავაზაკი არაა, შენიშნავს კრიტიკოსი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას „საშინლად უყვარს თავისი შვილი, იმის ბედნიერების მოსაპოვებლად, ის მზად არის დაჰკარგოს მთელი თავისი ქონება“... ამასთან „ღურმიშხანის სიცოცხლეში იყვნენ იმისთანა წამებიც, როდესაც ეს ავიკაცო ხდება ღირსი შეცოდებისა. ხანდახან ის ნანობს, რომ თავის საყვარელს და თავის დამხსნელს ვარდოს უსვინდისოდ უღალატა და თავის ალა, ურომლისოდაც ის ვერ გამდიდრდებოდა, არც კი დამარხა“. მართალია, მას არ უყვარდა ვარდო, მაგრამ „მოხდება ხოლმე ისიც, რომ ის ამ თავისაგან მოტყუებულ გოგოს ელაპარაკებოდა გულწრფელად“. ამიტომაც, რომ „სურამის ციხის“ კითხვი-

სას „დურმიშხანი, როგორც ცოცხალი კაცი, ხან გეძულებათ და ხან გებრალეებათ“. ამგვარი ხელოვნებით კაცის ხასიათის გამოსახვა კი, დაასკვნის კრიტიკოსი, ყველას არ შეუძლია, „ამისათვის საპიროა ნიჟი“<sup>1</sup>.

„სურამის ციხე“, გ. თუმანიშვილის შეფასებით, ისეთი ნაწარმოებია, რომელსაც თუ წაიკითხავთ, ჩქარა ვერ დაივიწყებთ და: ცხოვრებაში ხშირად გაიხსენებთ მის გმირებსაც; დურმიშხანი ისევე ზოგადი და დამახასიათებელი სახეა, როგორც ხლესტაკოვი და პლიუშკინიო, — შენიშნავს კრიტიკოსი.

გ. თუმანიშვილის საბოლოო დასკვნით, „სურამის ციხე“ არის არათუ ალტაცებით, გრძნობით, კაცთმოყვარეობით სავსე სიტყვა, წარმოთქმული დაჩაგრული ხალხის გასამხნეველად და დასაცავად და დაუნდობელ ბატონების გასაკიცხავად, არამედ ის არის ხელოვნური გამოხატვა ადამიანის ხასიათისა. ამგვარი ღირსებოვანი თხზულება მხოლოდ ჩვენში კი არა, სხვა ქვეყნებშიც ბევრი ვერ მოიპოვება“<sup>2</sup>.

ერთი სიტყვით, გ. თუმანიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს „სურამის ციხის“ როგორც თემას, ასევე იდეურ მრწამსს და ხასიათების შექმნის ავტორისეულ ოსტატობას. მაგრამ, ამასთან ერთად, საპიროდ თვლის შეჩერდეს მოთხრობის ზოგიერთ ნაკლოვანებაზეც. კერძოდ, დ. ჰონქაძეს იგი საყვედურობს იმის გამო, რომ მან სათანადო სისრულითა და დამაჯერებლობით ვერ გვიჩვენა ვარდოსრთული სულიერი სამყარო, მისი მოქმედების ლოგიკური და ფსიქოლოგიური მოტივირება; მკითხველისათვის საინტერესო იყო გაეგო, „რატომ, რა გზით, გულჩვილი და ნაზი ვარდუა ხდება დაუნდობელ შურისმგებლათ; რა ბრძოლა წარმოსდგება იმის გულში, რა ფიქრები ქროდა იმის თავში იმ დროს, როცა ის გადაჭრულად გამხდარიყო თავის მოძმეების, — ხალხის შვილების თვალის ამხვევი და უნდოდა მოეხმარა მთელი თავისი სიცოცხლე თავის ძველსიყვარულის დაღუპვაზე. როგორც კეთილი, მეტად კეთილი, წყნარი ქალი გადაიქცა ეშმაკათ?“<sup>3</sup>.

---

გაზ. „დროება“, 1875, № 119.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ამის გარეშე, ამბობს კრიტიკოსი, „ვარდო გამოდის მოთხრობაში რალაც უცნობ პირათ“. ამ მხრივ იგი საერთო ნაკლს პოულობს „თამარ ბატონის შვილსა“ და „სურამის ციხეში“ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ამ ორივე ჩვენ უკეთეს ბელეტრისტს აკლია დაახლოებული ცნობა ქალის გულისა“. „ეს მწერლები, — შენიშნავს იგი, — სხვაფრთადაც ჰგვანან ერთმანეთს. ორივეს აკლია ჩვენი წარსულის ცნობა. როგორც უფ. რჩეულოვმა გადაურთა წელიწადები და ვიზანტიის იმპერატორი გახადა სულთანათ, ისე უფ. კონქაძე ლაპარაკობს იმ დროის ბატონყმობაზე, როდესაც სწორედ არ იცის, იყო თუ არა ბატონყმობა“<sup>1</sup>.

როგორც ამჟამად უკვე გარკვეულია, დ. კონქაძემ „სურამის ციხეში“ აღწერილი მოქმედება სრულიად შეგნებულად გადაიტანა წარსულში, რაც შეუნიშნავი რჩება ჩვენს კრიტიკოსს, მაგრამ ვარდოს ხასიათს რომ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა აკლია, ეს უდავოა.

გ. თუმანიშვილს სურს ისარგებლოს ჩვენი მწერლების მისამართით გაკეთებული თავისი შენიშვნით, რათა კვლავ თავს დაესხას მის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს. „მაგრამ სად შეესწავლათ ამ მწერლებს, — ამბობს იგი, — სხვადასხვაგვარი ხასიათი, გრძნობანი? ჩაკეტილი ვართ ერთ რომელიმე კუნჭულში, ყოველდღე ერთ და იგივე კაცებს ვხედავთ; რა არის ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრება, არ არის ჩვენში საზოგადო მოძრაობა, რომლის გამო შეგვეძლოს ერთმანეთთან დაახლოება, ერთმანეთის გაცნობა... სხვებს, ჩვენზე ბედნიერ ხალხებს, აქვთ ყრილობანი, ერთობა, სამეცნიერო კრება და სხვა საზოგადოებანი... იქ ადვილია ადამიანის გული გაიცნოს მწერალმა და იმის ძვერა გამოხატოს თავის თხზულებაში, ჩვენში კი მწერლები მოწყვეტილნი არიან საზოგადოებისაგან“<sup>2</sup>...

ერთი სიტყვით, გ. თუმანიშვილი არ ღალატობს პუბლიცისტური კრიტიკის ტრადიციებს, — ყოველი მხატვრული ნაწარმოები მას მაინც თავისი თანამედროვე ცხოვრების გასაუმჯობესებლად და

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1875, № 119.

<sup>2</sup> იქვე.

თანამედროვეობის მტკიცენული საკითხების დასასმელად სურს გამოიყენოს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სურამის ციხის“ საფუძვლიანი შეფასების საქმეში ახალგაზრდა კრიტიკოსს მხროლედ ანტონ ფურცელაძე უსწრებდა<sup>1</sup>: ანტ. ფურცელაძემ, პირველმა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში, დამაჩერებელი შეფასება მისცა „სურამის ციხეს“ და მოგვცა მოთხრობის ღრმა ანალიზი. მან სწორად გაიგო ნაწარმოების ახალი თემისა და იდეის ღირსება და მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში. მას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ნაწარმოების ღირსებასთან დაკავშირებული თითქმის არცერთი საკითხი, მაგრამ დამაჩერებელი არ ყოფილა მისი შეხედულება გმირთა ხასიათების შესახებ. რამდენადაც იგი ღრმად ჩასწვდა ოსმან-ალას პიროვნებასა და თავგადასავალს, იმდენად ზერელედ და არადამაჩერებლად წარმოადგინა ვარდოსა და დურმიშხანის ხასიათთა თავისებურება; განსაკუთრებით ცალმხრივადაა გაგებული დურმიშხანის ხასიათი და ადგილი „სურამის ციხეში“. თუ ანტ. ფურცელაძეს დავუჩერებთ, „დურმიშხანში ვერ ვხედავთ... კერძობითს ხასიათს: ის არის როგორც ბნელი და მკრთალი მკითხველისათვის. ავტორი ვერ მისწვდომია ამ ყოველს მოვლინებას, რომელნიც მოხდებიან ამგვარ ძუნწსა და წუწკ კაცში“. სამაგიეროდ უაღრესად კმაყოფილია იგი ვარდუას ხასიათის და სახის სისრულით ჩვენებით.

გ. თუმანიშვილს, როგორც ვნახეთ, ძირითადად, სწორედ ამ ხარვეზის ამოვსება ხვდა წილად დ. კონქაძის „სურამის ციხის“ შეფასებისას.



გ. თუმანიშვილის მომდევნო კრიტიკული სტატია ნ. ბარათაშვილის პოეზიის შეფასებას მიეძღვნა. კრიტიკოსს ბედმა არგუნა ქართულ პრესაში პირველს გამოეთქვა თავისი შეხედულება დიდი ქართველი რომანტიკოსის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე მის

<sup>1</sup> ეურნ. „ცისკარი“, 1863, № 1.



ლექსთა პირველი კრებულის<sup>1</sup> გამოცემასთან დაკავშირებით. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული სტატია („ნ. ბარათაშვილის ლექსები“) მან კვლავ „დროებაში“<sup>2</sup> გამოაქვეყნა. ეს უდავოდ დიდი პატივი იყო ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის. „დროების“ რედაქცია მისი სტატიით ეხმაურებოდა ნ. ბარათაშვილის ლექსთა პირველი კრებულის გამოსვლას. რუსულმა გაზეთმა „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ კი დაბეჭდა ნ. ნიკოლაძის საინტერესო სტატია<sup>3</sup>. ამდენად შესაძლებელია ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების პირველი შემფასებელი არიან ნ. ნიკოლაძე და გ. თუმანიშვილი, თუმცა მის შესახებ, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ადრეც იყო გამოთქმული მეტად საინტერესო შეხედულებები (ი. კავკავაძე, ნ. ბერძენოვი, ა. ფურცელაძე, ა. წერეთელი, ალ. ცაგარელი და სხვ.).

თავის კრიტიკულ სტატიას გ. თუმანიშვილი იწყებს კვლავ ზოგადი შესავლით, რომელშიც იგი მსჯელობს „საზოგადოების წესის გაუმჯობესებაზე, საზოგადოების ზნეობით ამალღებაზე“ და, ჩვეულებისამებრ, თავს ესხმის მათ, ვინც თავისი ცხოვრებითა და მოქმედებით ცუდ მაგალითს აძლევენ თანამემამულეთ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, რომელიც მომავალში უნდა გამოვიდეს ასპარეზზე.

გ. თუმანიშვილის თქმით, თუკი მოიპოვება ჩვენში კაცობრიობის სიყვარულით აღსავსე კაცი, რომელიც გამსკვალულია თანამედროვე ცხოვრების სიძულვილით და იბრძვის უკეთესი მომავლისათვის, იგი უნდა იყოს პოეტი, თუნდაც იგი არ წერდეს „გარანდულ ლექსებს“. და ეს იმიტომ, რომ მაშ ვის უნდა გადასცეს მან თავისი გულისტიკვილი და თავისი ოცნებანი თუ არა ქალაქს, რომელიც შეიძლება ოდესმე ხელთ ჩაუვარდეს ვინმეს და მისცეს ძალა „ებრძოლოს რაინდულად ყოველგვარ მძლავრობას და უგუნურობას“.

კრიტიკოსს არ აკვირვებს, რომ დღევანდელ ევროპაში თითქმის აღარ იბადებიან შილერები და ბაირონები, ხოლო რუსეთში — პუშკინისა და ლერმონტოვის მსგავსი პოეტები. მათ საჭიროებას ცხოვ-

<sup>1</sup> „ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“, 1876.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1976, №16 60, 61.

<sup>3</sup> გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკ“, 1876, № 76.

რება ისე აღარ განაპირობებს, როგორც მათ დროს, რადგან ახლა ევროპელებს თავისი აზრის გამოსათქმელად ბევრი სხვა საშუალება აქვთო. მაგრამ ჩვენში სხვა ვითარებაა. ამიტომაც, ამ უკანასკნელი .ორმოცი-სამოცი წლის მანძილზე, მართალია, „არ დაბადებულა არცერთი მეტად გამოჩენილი ორატორი, ჟურნალისტი, დრამატურგი ან პოლიტიკური მწერალი, მაგრამ ამ დროს რამდენიმე იმისთანა პოეტი აღმოგვიჩნდა, რომლის მსგავსებს ვერც ერთი ევროპიული ხალხი თავიანთში ვერ დასთვლის ათობითა და ოცობითაო“<sup>1</sup>.

ამგვარ ნიჭიერ ლირიკოსად გ. თუმანიშვილი, ცხადია, მიიჩნევენ ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც „გულგრილად ვერ უყურებდა ამ ქვეყანას, „ცრუს და მუხთალსა“, და წერდა ლექსებს თავის სულიერ ობლობაზე, რომელთაც ყველა აღტაცებით კითხულობდა. მაგრამ უდროოდ მოკვდა ნიჭიერი პოეტი და იმისმა ნათესაებებმა და ამხანაგებმა „დაივიწყეს დაუვიწყარი პოეტი“, რომლის ლექსები „ახალმა თაობამ გამოსძებნა და ჯერ ბეჭდა სხვადასხვა ჟურნალებში და ბოლოს, ამ წელს, გამოსცა კიდევ მთლად“.

„მარტო დღეს შეუძლიან ხალხს გაიცნოს ნ. ბარათაშვილი, მარტო დღეს გვაქვს ღონისძიება დაეფასოთ მისი ნიჭი“<sup>2</sup>, — ამბობს კრიტიკოსი. მაგრამ არც ამ გამოცემით შეიძლებოდა მკითხველს სრული წარმოდგენა შექმნოდა დიდი პოეტის შემოქმედებაზე, რადგან ამ კრებულშიც არ ყოფილა მოთავსებული პოეტის ყველა ნაწარმოები. მაგრამ ახლა მაინც მეტი შესაძლებლობა ჰქონდა მკითხველსაც და კრიტიკოსსაც სათანადოდ დაეფასებიათ უკვდავი შემოქმედის მხატვრული მემკვიდრეობა, რომლის შესახებ მანამდე, როგორც იგი შენიშნავს, „ჩვენს მწერლობაში თქმულა სულ ორჯერ-სამჯერ, ისიც გაკვრით“.

გ. თუმანიშვილმა ბევრი საყურადღებო დაკვირვება გაუზიარა მკითხველს, ბევრი მართებული შეხედულება გამოთქვა დიდი პოეტის შემოქმედებასა და დამსახურებაზე. კრიტიკოსის ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიუქცევია იმ გარემოებას, რომ ნ. ბარათაშვილი თავის პირველ ლექსებშივე ამქვეყნიური ცხოვრების დაუ-

<sup>1</sup> გაზ. „დასობა“, 1976, № 60.

<sup>2</sup> იქვე.

დგრომლობაზე მოგვითხრობს; თანაც ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობს მკითხველი, რომ პოეტი თითქოს თავისთავს ამხნევებს და უნდა ირწმუნოს, რომ, მიუხედავად ყოველივესი, მაინც ღირს კაცმა იცხოვროს ამ ქვეყნად. ამ მხრივ კრიტიკოსს საგანგებო ყურადღების ღირსად მიაჩნია ლექსი „ფიქრნი მტკერის პირას“.

გ. თუმანიშვილის თქმით, ლექსში „ფიქრნი მტკერის პირას“ პოეტი ლაპარაკობს სოფლის ამაოებაზე, რომ ამ ქვეყნად ბედნიერი და კმაყოფილი არავინ შეიძლება იყოს, კეთილი საქმის გაკეთებასაც თითქოს აზრი არა აქვს, რადგან, ამ ქვეყანას თუკი ბოლო უნდა მოეღოს, ვინღა უნდა იგრძნოს მისი სიღიადე და სხვ. მაგრამ პოეტი თავს არიდებს ლოგიკური დასკვნის გაკეთებას და სურს საკუთარი თავი და სხვაც დაარწმუნოს იმაში, რომ უდავოდ ღარს კაცმა იცოცხლოს ამ ქვეყნად და სარგებლობაც მოუტანოს მას.

ნ. ბარათაშვილი, კრიტიკოსის შეხედულებით, ცდილობს დაიწყოს „სოფელი მომღერალი“ და თავი რითიმე გაირთოს. იგი „ხან ჰაეროვან ქალს დამღერის და ხან საყურეს“, თუმცა მაინც ვერ იფიწყებს მტკივნეულ კითხვებს, გვერდს ვერ უვლის. თავის მომავალზე ფიქრს და შეშფოთებით ეკამათება მოჩურჩულე იღუმალ ხმას, „სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებო“ („ხმა იღუმალი“); პოეტის სული წმინდაა, ამიტომ საფუძველი არა აქვს ამ ხმაში „საშფოთველო და საქეჭნაევი“ რამ დაინახოს, „ხმა ღვენისა“ მოესმას.

გ. თუმანიშვილს კარგად აქვს შეცნობილი პოეტის ეს სულიერი ღელვა, რომელსაც მასში პიროვნებისა და საზოგადოების, ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთობაზე დაფიქრება იწვევდა. კრტიკოსი ახერხებს შეიგრძნოს ის კიდილიც, რომელიც პოეტის შინაგან სამყაროში მიმდინარეობს ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფამიღების საკითხის გადაწყვეტის დროს. იგი ხედავს, რომ ნ. ბარათაშვილში თითქოსდა მონაცვლეობს ამგვარი განწყობილებები; შეგრძნებებში უარყოფითად არეკლილი ცხოვრების სინამდვილეს პოეტის გონება მაინც „ურიგდება“, გაუმართლებლად მიაჩნია მისგან მოწყვეტა და მოცილება. ამიტომ, რომ ცხოვრების რაობის არაერთგზის მკაცრი განსჯის შემდეგაც ნ. ბარათაშვილი ახერხებს მისი მიღების აუცილებლობა და მის სიკეთეთა გონივრული მოხმარების აუცილებლობა იქადაგოს („ჩემთ მეგობართ“).

მაგრამ ეს გარემოება ნ. ბარათაშვილს ხელს არ უშლის მთელი სისრულით წარმოადგინოს სიმკაცრე და ვერაგობა იმ ქარისა, რომელსაც წარუტაცნია პოეტის სათაყვანებელი ყვაილი, „მაცხოვრებელი სიცოცხლის, სურნელებითა აღვსილი“. თუმცა პოეტი მაინც არ კარგავს სასიამოვნო და ბოროტ სულს მრისხანედ ეკითხება: „მარჯვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა?“ („სულო ბოროტო“). სწორედ ეს სულიერი სტოიციზმი მიაჩნია გ. თუმანიშვილს დიდი პოეტის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებად.

წმინდა რწმუნებათა დაკარგვის შემდეგ, — შენიშნავს კრიტიკოსი, — ბევრი თავს ხრის ხოლმე ბედის წინაშე, ეგუება უსინდისობასა და უგუნურებას, ანდა დროს კვლავს უმიზნოდ. მაგრამ რატომ არ მოიქცა ბარათაშვილი ასე? რატომ არ დანებდა იგი თავის ელეგიებს, თავის მწუხარებას, ანდა რატომ არ მოჰკიდა ხელი ბაიათების წერას ქალების სილამაზესა და პირუტყვეულ ინსტინქტებზე? იგი მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო დიდი ნიჭის პოეტი და პატრიოტი მამულიშვილი. „პოეტი თავის ლექსებში გამოსთქვამს იმ აზრებს და იმ გრძნობებს, რომელნიც უნებლიედ ებადებოდნენ იმ დროს უკეთეს ქართველებს. ის, მშვენიერ, გრძნობით სავსე ლექსებში, დაგვიმღერს განუსაზღვრელ სიყვარულზე სამშობლოსადმი, მეფე ირაკლის სიბრძნეზე, სულიერ (პლატონიურ) სიყვარულზე, თავის სატრფოს უბოლოო პატივისცემაზე, ჩვენი დედების ერთგულებაზე თავის სამშობლოსადმი, ჩვენ ძველებურ და ეხლანდელ ურთიერთ განხეთქილებაზე და სხვა“<sup>1</sup>.

შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ გ. თუმანიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა, კარგად შენიშნა დიდი პოეტის მხატვრული ტალანტის ბევრი თავისებურება და მისი პოეზიის მაღალი ღირსება. მან წინ წამოსწია მსოფლიო სევდით დამძიმებული რომანტიკოსის მოქალაქეობრივი პოეზია და სათანადო შეფასება მისცა მას. იგი „პირველი კრიტიკოსია, რომელმაც შენიშნა და მკვეთრად გაუსვა ხაზი ბარათაშვილის პოეზიაში სულიერი სიყვარულის გრძნობის არსებობის ნათელ ფაქტს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1876, № 61.

<sup>2</sup> ი. ბოცვაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და XIX საუკუნის ქართული პრესა, 1968, გვ. 34.

დიდი პატრიოტი და უდიდესი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი, — ასეთია, გ. თუმანიშვილის შეფასებით, ნ. ბარათაშვილი. ამასთან, იგი საგანგებოდ მსჯელობს პოეტის ჯანსაღ პატრიოტიზმზე, რომელიც, მისი თქმით, თავისუფალია ყოველგვარი შოვინისტური და კოსმოპოლიტური ნალექებისაგან. „პოეტი ალუძრავს კაცს გულში იმ პატიოსან გრძნობას, რომელიც მას ააღებინებს ხმალს, როცა მოძმე იღუპება უცხო ვიღაც პირუტყვ მტრებისაგან; პოეტი უნერგავს კაცს გულში იმ გრძნობას, რომელიც ამხსვერპლინებს იმას პირად სიკეთეს საქმობლოს სიკეთისათვის. ამგვარი პატრიოტიზმის მქადაგებელი, გამაერცელებელი იმ დროს, როდესაც უკეთესს კაცების დროშას ეწერა: „მოიპოვე კაპიტალი და უბიწოებაც შეინარჩუნე“, სწორედ რომ დიდის პატივისცემის ღირსი ვშირია და, რასაკვირველია, ბარათაშვილის ამგვარი პატრიოტიზმი ბევრად განირჩევა იმ პატრიოტიზმისაგან და კოსმოპოლიტიზმისაგან, რომელ მომხრეებიცაა ჩვენი ქვეყანა სავსეა“<sup>1</sup>, — დასძენს კრიტიკოსი.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, ნ. ბარათაშვილმა თავის პოეზიაში გამოთქვა „ნაღველი სხვის და თავის უბედურებაზე, ქვეყნის ამაოება და დაუნდობლობა და სამშობლოს სიყვარული... მრთელი, ღონიერი გულის კვნესა, წუხილი და არა სენტიმენტალური უძლური წუწუნის და კყვილი“<sup>2</sup>. ამასთან, კრიტიკოსს შეუნიშნავი არ რჩება არც ის გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილის პოეტური სულის თავისებურება ყველაზე სრულად გამოვლინდა „მერანში“, რომელშიც პოეტი იმ აზრს გამოხატავს, რომ სამშობლოსაგან, სატრფოსა და მშობლებისაგან / მოშორებითა და ტანჯვით გამოწვეული მისი სიკვდილი უნაყოფოდ არ დარჩება და დიდ სარგებლობას მოუტანს სამშობლოსა და შთამომავლობას.

აჯამებს რა თავის შეხედულებებს ნ. ბარათაშვილის პოეზიის რაობაზე, გ. თუმანიშვილი მიდის ასეთ დასკვნამდე: „უანგარო აღტაცება რომელიმე კეთილშობილური აზრით, შფოთვა და დიდი წუწუნარება ძლიერი გულისა თავის და ქვეყნის ბედზე — აი რა გამოითქმება უმეტეს ნაწილში ამ პოეტის ლექსებისა; და ბევრთ იმათგანს ასეთი უძველესი უკვდავების ბეჭედი...“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1876, № 61.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

გ. თუმანიშვილის აზრით, ნ. ბარათაშვილი, იშვიათად, მაგრამ მაინც, ხელს ჰკიდებს ხოლმე ისეთ საგანზე მსჯელობას, რომელიც მის ნიქს არ შეეფერება. ამ დროს მის ლექსს „ატყვია რალაც მძიმე, რიტორიკული ხასიათი“. ასეთ ნაწარმოებებად მიაჩნია მას ისტორიულ პირთა შესახებ დაწერილი ლექსები („ნაპოლეონი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“), რომლებშიც თითქოს „ვერ იცნობა სრულებით ნ. ბარათაშვილის ნიჭი“.

გ. თუმანიშვილმა ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, თავი ვერ გაართვა მის წინაშე მდგომ ამოცანას. „ნაპოლეონი“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ შესაძლოა თავისუფალნი არ იყვნენ რიტორიკული ხასიათის ტაქებისაგან, მაგრამ ეს გამოწვეულია არა ბარათაშვილის პოეტური ნიჭის შესუსტებით, არამედ ლექსთა თემებით განპირობებული პოეტური ხერხის გამოყენებით. ვერც ის შენიშნა კრიტიკოსმა, რომ აღნიშნული ლექსებით ნ. ბარათაშვილმა არათუ მოახერხა ისტორიულ პირთა მოქმედებისა და ნიჭის ჩვენება, არამედ შექმნა ამ ორი დიდი მოღვაწის შთამბეჭდავი სახეები.

ვერ დავეთანხმებით გ. თუმანიშვილს ვერც იმაში, რომ „ბარათაშვილი იმისთანა მრავალმხრივი პოეტი არ არის, როგორც, მაგალითად. დ. გურამიშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, რომ ბარათაშვილი არ ხატავდა მრავალფეროვან კაცის გულს, რომ ის არ იცნობდა სხვის ოცნებებს და გრძნობებს ისე, როგორც თავისას, რომ ის არ იყო კარგი მცნობი ნამდვილ ცხოვრების წვრილმან მხარეებისა“.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბარათაშვილმა მოცულობით არცთუ დიდი მხატვრული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მასში ჩვენ ვპოულობთ პასუხს თითქმის ყველა იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომელიც იმდროინდელი ეპოქით იყო ნაკარნახევი. მისი ყოველი ლექსი ერთი ან რამდენიმე ამგვარი საკითხის მხატვრულ გადაწყვეტას წარმოადგენს. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილი უბადლოა მთელს ჩვენს მწერლობაში. როგორც ლირიკოსს, მას, ცხადია, უფრო მეტად საკუთარი სულიერი სამყაროს ჩვენება უხდებოდა, მაგრამ შესაძლებლობისა და ნიჭის უკმარობა არც მაშინ დატყობია, როცა სხვათა გრძნობებსა და ფიქრებს გადმოგვემდა. ამას მოწმობს მისი

„ბელი ქართლისა“ და „სუმბული და მწირი“. რაც შეეხება ცხოვრების წვრილმანებს; მათი ცოდნა და ცნობა აუცილებელია, მაგრამ პოეზიაში მათი წინ წამოწევა საკირო არაა. ასე იქცევა „მერანის“ ავტორიც.

თავისი კრიტიკული სტატიის ზოგიერთ ნაკლოვანებაზე თვითონ გ. თუმანიშვილმა მიუთითა, როცა აღნიშნა: „...მე თითონ ძალიან კარგად მესმის, რომ იმაში ბევრი არაფერი ითქვა ნ. ბარათაშვილის ნიჭზე: მე ვცდილობდი მხოლოდ მეჩვენებინა იმისი უმთავრესი თვისებანი, მაგრამ ვერ მომიხდა ორიოდ სიტყვა მაინც მეთქვა იმაზე, თუ რა ადგილი უკირავს ნ. ბარათაშვილს ჩვენს მწერლობაში, ჩვენს პოეტებში მეტად. ვერა ვთქვი ვერც იმაზე, თუ რა გარემოებამ, რა ცხოვრებამ დაჰბადა ჩვენში ამგვარი ნიჭი და რა გავლენა ჰქონდა ამ ნიჭს თავის დროს საზოგადოებაზე და იმის უკეთეს კაცებზე. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, მკითხველო, რომ ამ საკითხზე ლაპარაკი მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელია, სანამ ჩვენ არ გვაქვს დაბეჭდილი სრული კრება ჩვენს უნიკიერეს მწერლების თხზულებებისა, სანამ არა გვაქვს თვით ბარათაშვილის ბიოგრაფია და იმ დროის საზოგადოების მდგომარეობის აღწერა...“<sup>1</sup>

გ. თუმანიშვილის ეს შენიშვნა უდავოდ ანგარიშგასაწევია. ნ. ბარათაშვილის პიროვნებისა და შემოქმედების სრული წარმოდგენა იმ დროისათვის, ცხადია, შეუძლებელი იყო, თუნდაც მხოლოდ იმ მიზეზების გამო, რომლებზეც კრიტიკოსი თვითონ მიუთითებს. ამიტომაც, რომ მას არც შემდეგში დაკარგვია ხალისი ამ დიდი პოეტის ცხოვრებასა და პოეზიაზე მსჯელობისათვის. ცდილობდა უფრო სრული და სრულყოფილი გაეხადა თავისი შეხედულება უკვდავი შემოქმედის პოეტურ დამსახურებაზე. ამის უდავო დადასტურებას წარმოადგენს კრიტიკოსის მიერ რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნებული სტატიები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1876, № 61.



გ. თუმანიშვილის შემდეგი კრიტიკული გამოსვლა „დროების“ ფურცლებზე მიეძღვნა ლავრენტი არდაზიანის რომანის — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ შეფასებას.

აღნიშნული სტატია („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“<sup>1</sup> უკვე მოწმობს მისი ავტორის მოწიფულობასა და უფრო მეტ გაბედულობაზე ფართო მკითხველის წინაშე. „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილზე“ მსჯელობის დაწყებამდე კრიტიკოსი საუბრობს ლიტერატურის ფართო შემეცნებით მნიშვნელობასა და რეალისტური რომანის როლზე სინამდვილის ასახვის საქმეში. მისი თქმით, თავდაპირველად ლიტერატურა მხოლოდ რამდენიმე შეძლებული და განათლებული კაცის ხელში იყო. ამიტომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საზოგადოებრივი ხასიათი და ვერ მოჰქონდა ზნეობრივი სარგებლობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გავრცელდა წერა-კითხვა და ხალხს შესაძლებლობა მიეცა თვითონ გადაეწყვიტა ზოგიერთი საკიბროროტო საკითხი მაინც, ლიტერატურა იქცა საზოგადო საკუთრებად და ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. შემდგომ ეტაპზე კი ლიტერატურას მხარში ამოუდგა პუბლიცისტიკაც და, ამავე დროს, თვით ლიტერატურამაც შეიძინა ახალი შინაარსი, — მეტ ინტერესს იჩენს სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისადმი. ამგვარმა განვითარებამ დაბადა რეალიზმი და რეალისტური მწერლობა, რომელშიც „აღარ ვხედავთ გმირებს, მეფეებს და დედოფლებს, ეშმაკებს და ანგელოზებს, შეთხზულებს მწერლის ფანტაზიით. ამის მაგიერ რეალურ მოთხრობაში და დრამაში იხატება ნამდვილი ცხოვრება თავის ცუდი და კარგი მხარეებით“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილი იქვე მიუთითებს, რომ რეალისტური ასახვა არ ნიშნავს ყოველი და ყოველგვარი საგნისა და მოვლენის ფოტოგრაფიულ ასახვას. მისი მართებული განმარტებით, „რეალურ მოთხ-

<sup>1</sup> გან. „დროება“, 1877, №№ 18, 19, 20, 21, გ. თუმანიშვილმა, უცრო მოკლედ, თავისი შეხედულება ამ ნაწარმოებზე გამოთქვა აგრეთვე გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ (1878 წ. № 241), რომელიც ახალს არაფერს იძლევა „დროების“ სტატიათან შედარებით. საყურადღებოა მხოლოდ ის გარემოება, რომ კრიტიკოსი საგანგებოდ მსჯელობს ილია ჭავჭავაძისა და ლ. არდაზიანის სატირის გოგოლისეულ სატირასთან ნათესაობაზე.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 18:



რობაში ადგილი არ აქვს იშვიათ შემთხვევას... რეალურ მოთხრობაში ისტატება მხოლოდ ის, რაც გამოგვისახავს ჩვენ საზოგადოების ზნეს. ამგვარი თხზულება გამოგვიხატავს კაცს, რომელსაც ყველაზე უკეთესად, ყველაზე ცხადად დასტყობია ჩვენი საზოგადო ზნეობრივი მხარე... რეალურ მოთხრობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო მთელი საზოგადოებისათვის საინტერესო და მძიმე საგანზეა ის დაწერილი“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის ამ სიტყვებიდან აშკარად იგრძნობა, რომ იგი იცნობს მატერიალისტური ესთეტიკის რუს და ქართველ წარმომადგენელთა მოძღვრებას რეალიზმზე, კერძოდ, ტიჰსა და ტიპურზე. იგი ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოების თემისა და იდეის აქტუალობაზეც, რაც მას არსებითი მნიშვნელობის ფაქტორად მიაჩნია ნაწარმოების შეფასების დროს. მისი შეხედულებით, „ხშირად უსარგებლოთ და უმნიშვნელოთ რჩება მეტად ნიჭიერად დაწერილი მოთხრობა, სადაც აღწერილია უმნიშვნელო ნაწილი საზოგადოებისა, ანდა აღწერილია ის, რასაც დიდი ხანია იცნობს მკითხველი სხვა უკეთესი თხზულებიდან“. მაგრამ ხდება შებრუნებითაც: „ხშირად დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს უბრალო მწერლისაგან დაწერილ მოთხრობას, როდესაც მასში გამოყვანილია ახალი აზრების კაცი, ან ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ან არ აღწერილა არავისაგან, ან რომელზედაც დღეს ყველანი ლაპარაკობენ“<sup>2</sup>.

კრიტიკოსი მიუთითებს, რომ რეალისტური მოთხრობა დიდ როლს ასრულებდა იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურაში, რომ ამგვარ მოთხრობას ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაეყარა დ. ჭონქაძის „სურამის ციხით“, მაგრამ, რეალიზმის თვალსაზრისით, მას კიდევ უფრო საინტერესო ნაწარმოებად მიაჩნია „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილი“, რომელიც მკითხველმა ისეთი დიდი ინტერესით მიიღო, რომ აშკარა გახდა, ჩვენშიც დადგა დრო რეალისტური პროზის განვითარებისათვის. ეს იმედი კიდევ გაძარტლდა და მკითხველმა მომდევნო წლებში მიიღო ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ და გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“. მართა-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 18.

<sup>2</sup> იქვე.

ლია, დაიბეჭდა სხვა რეალისტური ნაწარმოებებიც, მაგრამ, შენიშნავს კრიტიკოსი, „არცერთ ამათგანს არ აუღელვებია, არ გაუღვიძებია რაოდენამდე ჩვენი საზოგადოება... აქედან საჭიროა გამოერიცხოთ ერთი ან ორი თავი „მგზავრის წერილებიდან“ ილია ჭავჭავაძისა; ამ თხზულებაში ყველამ იპოვა თავისი კარგი ნაცნობი აფიკერი — მეტად სწორად გამოსახული ავტორისაგან“<sup>1</sup>.

ცხადია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ კრიტიკოსის შეხედულებას ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებზე“, რომლის არა მხოლოდ ერთი თუ ორი თავი, არამედ მთლიანად მთელი თხზულება იმთავითვე დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა და უდიდესი გავლენაც მოახდინა ქართული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. მართალია, იგი არ არის „სურამის ციხის“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“, „კაცია-ადამიანისა“ და გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ ტიპის ნაწარმოები, მაგრამ იგი არა მხოლოდ ჭეშმარიტად რეალისტური თხზულებაა, არამედ უაღრესად მხატვრულიც და პრობლემატიკით — საპროგრამო. რაც შეეხება მის შენიშვნას იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში შესუსტდა რეალისტური მოთხრობების მოძალება, რადგან ჯერ კიდევ შეუძლებელია ჩვენში თავისუფალი ლიტერატურული მუშაობაო, უსაფუძვლო არ იყო.

დროულად უნდა მივიჩნიოთ გ. თუმანიშვილის არჩევანიც „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილზე“ კრიტიკული სტატიის დაწერის თაობაზე. მით უმეტეს, რომ, როგორც ამბობს, ამ რომანს არ ღირსებია არც კრიტიკა და არც მეორედ დაბეჭდვა, თუმცა მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა მის „ცისკარში“ გამოქვეყნებას.

იწყებს რა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ ავკარგიანობაზე მსჯელობას, გ. თუმანიშვილი კვლავ აზუსტებს თავის შეხედულებას ამ ნაწარმოების რეალისტურობის შესახებ. მისი უდავოდ მართებული მოსაზრებით, ლ. არდაზიანის ეს რომანი რეალისტურია, მაგრამ თავისუფალი მაინც არაა წმინდა რომანტიკული პასაჟებისა და მანერისაგან. და ეს იმის გამო, რომ „არდაზიანს არ ჰქონდა პირველი ღირსების ნიჭი... რევოლუცია მოეხდინა მწერლობაში, რომ ერთბაშად შეეთხზა სრული რეალური მოთხრობა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 18.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 19.

თავისუფლად შეიძლება ითქვას ისიც, რომ გ. თუმანიშვილის მთავარი დამსახურება აღნიშნული რომანის შესწავლისა და შეფასების საქმეში სწორედ ამ რომანტიკული „ცოდვების“ გამოვლენა და მისთვის სათანადო ახსნის მიცემაა. რაც შეეხება ლ. არდაზიანისა და მისი რომანის როლს ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარების საქმეში, ეს საკითხი კრიტიკოსმა უფრო სქემატურად და ზოგადი ფრაზებით წარმოადგინა. როგორც ჩანს, ეს პრობლემა მან საგანგებო მსჯელობის საგნად არც კი გახადა, რადგან რომანის რეალისტურობა უდავო ფაქტად მიიჩნია. მაგრამ კრიტიკოსი შეცდა. იმ დროისათვის მაინც ეს საკითხი უფრო ღრმა შესწავლასა და გარკვევას მოითხოვდა.

გ. თუმანიშვილმა, პირველმა ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში, მარტულად შენიშნა, რომ ლ. არდაზიანისაგან მოულოდნელი იყო რომანში ისეთი ადგილების შეტანა, როგორცაა, მაგალითად, მეჭლანუაშვილის ქალის მიერ ალექსანდრე რაინდიძის შეყვარება, ამის ნიადაგზე მისი დაკლექება და სიკვდილი. „ეს შემთხვევა, — წერს იგი, — არ არის ჩვეულებრივი შემთხვევა და სრულებითაც არა ჰგავს ყოველდღიურს ნამდვილ. ცხოვრებას, რომ ჰქონდა იმას ადგილი რეალურ მოთხრობებში“<sup>1</sup>. რომანის სიუჟეტის ამგვარი პასაჟით გამდიდრება, კრიტიკოსის შეხედულებით, მწერალს მკითხველის მეტად დაინტერესების სურვილმა გადააწყვეტინა, მაგრამ „ამ საკვირველმა ამბავმა ნამდვილად კი დაასუსტა ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოქონდა მკითხველს მოთხრობის კითხვიდან“. „რომანტიკულ ცოდვად“ მიაჩნია კრიტიკოსს მეჭლანუაშვილის ხშირი და უადგილო დაცინვაც განათლებულ ახალგაზრდობაზე. აჯობებდა, „ბიძია თონიკეს“ ეს საკითხი რომელიმე პოლემიკურ სტატიისაში გაერჩიაო, დასძენს იგი. მისი თქმით, ასევე აჯობებდა, „ლ. არდაზიანს თავის კინტო სოლომონი ელაპარაკებინა უბრალო და არა წიგნური, ძველებური ენით და გადაჰარბებით არ ექებინა ჩვენი თავად-აზნაურობა“<sup>2</sup>.

თავისი ამ შენიშვნების საფუძვლიანობას გ. თუმანიშვილი უდავოს ზღის რომანიდან მოყვანილი სათანადო ადგილებით, რო-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 19.

<sup>2</sup> იქვე.

მელთა გაცნობის შემდეგ შეუძლებელია არ დაეთანხმოთ მას. ასევე დამაჭერებელია მისი შენიშვნა რომანის მთავარი გმირის, სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილის, აღზრდის ისტორიის არასაკმაჩრისად ჩვენების შესახებაც. აღზრდას, ამბობს გ. თუმანიშვილი, ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებაში, რომ ასეთ რეალისტურ ნაწარმოებში მწერალს უფრო მეტად უნდა გაემასვალღესა ყურადღება მთავარი გმირის ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე და არ დაკმაყოფილებულიყო უბრალო განცხადებით: „მექლანუაშვილი ანგელოზების ხელში გაიზარდა“. და ეს მით უმეტეს, რომ სოლომონი არ გავს არც თავის პატიოსან დედას, არც თავის დარდიმანდ მამას. და არც თავის ანგელოზ აღმზრდელებსო. ამასთან დაკავშირებით, კრიტიკოსი გამოთქვამს თავის მოსაზრებას რომანში გმირთა სახეების გამოკვეთის თაობაზეც. მისი შეხედულებით, რეალისტური მოთხრობის ავტორმა თავის ნაწარმოებში „არ უნდა ილაპარაკოს არც ანგელოზებზე და არც ეშმაკებზე, რადგანაც ჩვენს ნამდვილ ცხოვრებაში ვხედავთ მხოლოდ კაცებს თავიანთი ღირსებით და წუნებით ერთად და არა ეშმაკებს და ანგელოზებს“. „მივანდოთ ესენი მელოდრამებსო“, — დაასკვნის იგი.

მახვილად და დიდი სიზუსტით წარმოადგინა გ. თუმანიშვილმა ლ. არდაზიანის რომანის რომანტიკული რეციდივები, რეალისტური რომანისათვის შეუფერებელი ადგილების კრიტიკა, მაგრამ ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია ეთქვა: „რომ გამოვრიცხოთ ყველა ეს არა რეალური ადგილები არდაზიანის მოთხრობიდან, მაინც მასში ვიპოვით ბევრ იუმორულ სურათებს, რომელიც მეტად სწორედ გვაცნობენ ხალხის ზოგი წურბელების ცხოვრებას... მართალია, მკითხველმა ესენი უფრო ადრე გაიცნეს ზ. ანტონოვის და გ. ერისთავის კომედიებიდან, მაგრამ მხოლოდ გაკვირით... „სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილში“ მკითხველი უფრო დაახლოვებით გაიცნობს ამგვარ კაცებს. არდაზიანის მოთხრობაში „მექლანუაშვილი“ გამოხატულია არა მარტო გარეგანი, მასხარული მხრით; თქვენ აქ ხედავთ მთელ კაცს“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის ეს შეხედულება და ამგვარი დასკვნა უდავოდ დამაჭერებელია და სავსებით გამოხატავს რეალურ ვითარებას.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 19.

ლ. არდაზიანმა, გ. ერისთავთან და ზ. ანტონოვთან შედარებით, უფრო გამოკვეთილად და, რაც მთავარია, მოქმედებაში გვაჩვენა ვაჭრის სახე. სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი მთელი თავისი ვაჭრული ბიოგრაფიით დგას მკითხველის თვალწინ, ვხედავთ არა მხოლოდ მის საქმეებს, არამედ ვეცნობით მის სულიერ ინტერესებსა და ტკივილებსაც.

გ. თუმანიშვილმა მიუთითა იმაზეც, რომ ლ. არდაზიანმა არა მარტო „ყველაზე უკეთესად გამოხატა ეს ჩვენებური ბურჟუები“, არამედ ნიჭიერად და ცოდნით წარმოადგინა „სხვაგვარი წურბელების სურათებიც“, თუმცა მხოლოდ გაკვრით. „მექლანუაშვილის“ კითხვის დროს, — წერს იგი, — ჩვენ დაერწმუნდით, იმის ავტორს შეეძლო დაეწერა ახალი მოთხრობა, სადაც გამოყვანილი ყოფილიყო მშვენიერათ ჩვენი ჩინოვნიკობა“<sup>1</sup>. უნდა ხაზგასმით აღანიშნოს, რომ კრიტიკოსის ეს დასკვნა მართებულია და რომანის ღრმა ანალიზს ემყარება.

გ. თუმანიშვილი არ კმაყოფილდება ჩვენს მიერ მითითებულ კრიტიკული ექსკურსებით და სურს თანდათანობით და ლოგიკურად მივიდეს სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილის სახის თავისებულებათა ახსნამდე, გვაჩვენოს ის მთავარი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ამ გმირის წარმატება ცხოვრებაში.

რამდენი ჰკვიანი, კარგი გვარისშვილი და მშრომელი კაცია, — კითხულობს კრიტიკოსი, — მაგრამ სიღარიბისათვის თავი ვერ დაუღწევია. რა ისწავლა სოლომონმა ასეთი რაინდიძეთა ოჯახში, რომ ზატონყმობის დროშივე, როცა შთამომავლობას ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ასე წინ წავიდა და გამდიდრდა? მაგრამ სოლომონს, როგორც თვითონ ამბობს, — პასუხობს კრიტიკოსი, — არაერთარი ხელობა არ უსწავლია რაინდიძეთა ოჯახში. მაშ, იქნება ვინმესგან მემკვიდრეობით მიიღო ფული, ან ქალაღის თამაშით მოიგო იგი? ამაზეც სოლომონი გიპასუხებთ: „სრულებითაც არა, მე მომიგია ფული შრომით, ტანჯვით“. მაშ ავაზაკობით უნდა მოეპოებია იგი, ფიქრობთ თქვენ, ვინაიდან იგონებთ დაუსჯელ ავაზაკებს, „ხედავთ მაგალითად, რომ ავლაბრელი და მასთანავე ავაზაკების აშხანაგი დღეს პატივცემულ იქარადრათ ითვლება ჩვენს; ხე-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 19.

დავთ, რომ ხაზინის გამჭურდავი დღეს პატივცემული ორდენიანო აზნაურია და ფიქრობთ: ვინ იცის, რა ავაზაკობა ჩაუდენია შველანუაშვილს!“ (როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილ-კრიტიკოსს ენაცვლება გ. თუმანიშვილი-პუბლიცისტი, რაც მისთვის ნიშანდობლივია). მაგრამ, გვეუბნება კრიტიკოსი, ეს არაა მართალი. სოლომონი არავის არ უმაღავს იმ ხელობას, რომლის წყალობითაც იგი გაძლიერდა: „სოლომონ ისაკიჩმა შეიძინა თავისი ქონება ვაჭრობით და მხოლოდ ვაჭრობით“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის თქმით, ვისაც სურს გაიცნოს, თუ რაში მდგომარეობს სოლომონის ჩარჩობა და ამ ჩარჩობის საიდუმლოება, მან დიდი დაკვირვებით უნდა წაიკითხოს რომანის მეათე თავი, რომელშიც აღწერილია მისი ვაჭრობა გლეხთან ვარიების შესაძენად. სოლომონ ისაკიჩების „ფილოსოფიით“, — დასკვნის კრიტიკოსი, — „საჭიროა კაცის სისუსტის ცოდნა. ისარგებლე ამ სისუსტით და ქვეშიდან ხალიჩა ისე გამოაცალე, რომ არც კი შეიტყოს ეს“<sup>2</sup>. და ამ „ფილოსოფიას“ იგი პირველად რაინდიძეთა ოჯახში, მსახურთა წყალობით უნდა გაცნობოდა. კრიტიკოსი მოგვაგონებს გ. წერეთლის კომედია „ჩიბრის“ გმირს, — მოურავ მგელიას და პუშკინის საველიჩს („კაპიტანის ქალიშვილი“), რათა უფრო გასაგები გახადოს სოლომონ ისაკიჩის „მასწავლებელთა“ ვინაობა.

სოლომონი გამდიდრდა და მისი ოჯახი ერთ-ერთი შესამჩნევი ოჯახი გახდა მთელ ქალაქში. მაგრამ სავსებით ბედნიერი კი გახდა იგი ფულმა? საგანგებოდ სვამს ამ კითხვას კრიტიკოსი და მოჰყავს სათანადო ადგილები სოლომონის უზრუნველი ცხოვრებისა და ფულის წყალობით მიღებული გავლენის საჩვენებლად. აქვე შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ იმასაც, რომ სოლომონმა რამდენჯერმე მწარედ იგრძნო ერთი სამწუხარო კემმარიტება: „ყოველგვარი ბედნიერების ყიდვა შეუძლებელია, რომ ქვეყანაზე არის საგანი, რომელიც არ იყიდება — საქონელი არ არის“<sup>3</sup>. თუმცა არც ესაა გადამწყვეტი. შესაძლოა სოლომონი ამ დაბრკოლება-

<sup>1</sup> გაზ. „ღროება“, 1877, № 20.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 21.

საც მეტ-ნაკლებად უვლიდა გვერდს და თავის საქმეს გააგრძელებდა, მაგრამ მის სულში დაბუდდა მღრღნელი კია, რომელიც თანდათანობით და ბეჭითად უსპობდა მას მოსვენებას. ეს იყო თავისებური კმუნვა. და როგორც სოლომონი გვიხსნის, ამ კმუნვის მიზეზი იყო მხოლოდ მასში და არა მის გარეთ. ეს იყო სოლომონის მიერ ჩადენილი ცოდვები. იგი შიშისაგან კანკალებს, როცა აგონდება, როგორ დალუბა სარკის ბეგაშვილი.

მაგრამ შეუქლებელია არ ვიგარძნოთ, რომ მწერალმა, ამგვარ სიტუაციაში სოლომონ ისაკიჩის ჩაყენებით, ხოლო კრიტიკოსმა სოლომონის გაუბედურების საბუთად მისი მომარკვეებით, გააყვანეს რომანის „რომანტიკული ცოდვების“ გარკვეული ნაწილი.

სოლომონის მიერ სულიერი ტანჯვის აღიარებით ნასიამოვნები კრიტიკოსი წერს: „ესეც მეჭლანუაშვილის ბატონობა! ახლა მითხარით, მკითხველო, ღირდა კაცს უთვალავი დატანჯული ხალხი კიდევ უფრო დაეტანჯა ამგვარ ბედნიერების მოსაპოვებლად?... მეჭლანუაშვილი მთელ თავის სიცოცხლეს ბეჭითად ცდიდა, დატანჯულა კიდევ, იქნება უნებურადაც, სხვისა და თავის ლუკმის გასამწარებლად, ჩასაშხამებლად. ღირდა ამისთვის კაცი დაბადებულიყო?“<sup>1</sup>

გ. თუმანიშვილს არც შემდეგში დაუნებებია თავი ამ რომანის, და საერთოდ ლ. არდაზიანის დამსახურების, შესწავლისათვის. მან ლ. არდაზიანის შესახებ საგანგებო თავი შეიტანა თავის წიგნში („დახასიათებები და მოგონებები“, ნაწ. I (რუსულ ენაზე). ხოლო „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილის“ მეოთხე გამოცემას (1911 წ.) მისი შესავალი წერილი დაერთო. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ უკანასკნელთ საფუძვლად მაინც ჩვენს მიერ უკვე გაცნობილი კრიტიკული სტატია უღევთ, თუმცა მათში ვხვდებით რიგ ახალ და დაზუსტებულ შეხედულებებს.

გ. თუმანიშვილის შეფასებამ უდავოდ შეუწყო ხელი კრიტიკოსების დაინტერესებას ლ. არდაზიანის შემოქმედებით ამის შემდეგ გამოქვეყნდა ბევრი საინტერესო კრიტიკული წერილი, მათ

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 21.

შორის ალ. სარაჯიშვილის და სტ. კრელაშვილის საფუძვლიანი კრიტიკული გარჩევები<sup>1</sup>.

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ გ. თუმანიშვილი თავის კრიტიკულ წერილებს წერდა და აქვეყნებდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზეც, რაც ხელს უწყობდა ფართო მკითხველისათვის ქართველ მწერალთა შემოქმედების გაცნობას.



გ. თუმანიშვილი „დროების“ რედაქციას, ჩანს, პირველყოვლინა, ახალი წიგნების მიმომხილველად ჰყავდა მიწვეული. ისიც სიამოვნებით ასრულებდა ამგვარ დავალებას, რადგან თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა ქართული წიგნების გამოცემის საქმეში. 1876 წელს გ. თუმანიშვილმა და მისმა საგამომცემლო ამხანაგობამ მკითხველს პირველად მიაწოდა უაღრესად საინტერესო წიგნი — „ქართული ანდაზები“, რომელშიც შეტანილია პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ათასამდე ანდაზა.

გ. თუმანიშვილს საჭიროდ ჩაუთვლია აღნიშნული წიგნის თაობაზეც თავისი მოსაზრება გაეზიარებინა „დროების“ მკითხველისათვის<sup>2</sup>.

ქართული ანდაზების შეგროვება და გამოცემა 70-იან წლებში დიდად მნიშვნელოვანი საქმე იყო; მდიდარი ქართული ფოლკლორის გამოცემასა და შესწავლას მხოლოდ მაშინ ეყრებოდა მტკიცე საფუძველი. ქართველ სამოციანელთა წყალობით ეს დიდი ეროვნული საქმე მეცნიერულ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ დგებოდა და საერთო ინტერესის საგანი ხდებოდა. უნდა გავითვალისწინოთ ის ვითარებაც, რომელიც მაშინ იყო შექმნილი ქართველი მკითხველისათვის საკითხავი წიგნების მიწოდების საქმეში. სრულიად მართებული და აუცილებელი მოთხოვნა — ქართული ბიბლიოთეკა გაემდიდრებინათ სახალხო წიგნებით, მახინჯად იქნა გაგებული და გან-

<sup>1</sup> იხ. ა. სარაჯიშვილი, სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი, („დროება“, 1878, № 215); სტ. კრელაშვილი, ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი („იმედნი“, 1881, №№ 2, 3, 4).

<sup>2</sup> ვაზ. „დროება“, 1876, № 80.



ხორციელებული. წიგნის ბაზარზე გამოსვლა დაიწყო ვითომდა ხალხის საკითხავად განკუთვნილმა უნიკო ნაწერებმა, რომელთა გამოცემას უმთავრესად თვითონ ავტორები აფინანსებდნენ და ხელმძღვანელობდნენ. ასეთ წიგნებს, ცხადია, მხოლოდ ზიანი მოჰქონდა ჩვენი მწერლობისა და მკითხველთათვის. ასეთ ვითარებაში, ვიმეორებთ, ათასამდე ქართული ანდაზის შეგროვებასა და გამოცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ხალხს უბრუნდებოდა საკუთარი საუკუნოვანი სიმდიდრე, მეორეც — მისაწვდომი ხდებოდა ამ დიდი განძის ბრძნული შინაარსი და დახვეწილი მხატვრული ფორმა, რომელიც პასუხობდა ფართო მკითხველის სულიერ ინტერესებსა და გემოვნებას.

გ. თუმანიშვილმა სავსებით მართებულად მიუთითა ფოლკლორის დიდ შემეცნებით მნიშვნელობაზე, როცა უდავო კემშარიტებად გამოაცხადა ის შეხედულება, რომ „ხალხის ზნეობითი მხარე, ხასიათი, კვება მშვენივრად გამოიხატება ხალხის ლიტერატურაში, ე. ი. სიმღერებში, შაირებში, ზღაპრებში, ანდაზებში და სხვა“. საფუძველს არ ყოფილა მოკლებული არც მისი საყვედური ჩვენს მოღვაწეთა მიმართ ხალხური შემოქმედების ძეგლთა შეგროვებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო. დროული და საჭირო იყო მისი შენიშვნებიც ე. წ. სახალხო წიგნებისა და მათი კემშარიტი რაობის შესახებ. კრიტიკოსის თქმით, „სასაცილოა იქ სახალხო წიგნებზე ბევრი ლაპარაკი, სადაც თითქმის მთელმა ხალხმა წერა-კითხვა არ იცის. ან იქნება ამის მთქმელებს ჰგონიათ, რომ ისინი, ვინც სხვადასხვა ოინებით ხალხიდან გამომძვრალან და იმის ბატონები გამხდარან, — შეადგენენ ხალხს? იქნება ჰგონიათ, რომ მეტად სასიხარულო იყოს, რომ ბაზაზი ან გაიძვერა ლაქია იღებს ხელში ახალ წიგნს და თავის გასართობად უაზრო სტრიქონს ჩაიკითხავს?“

მართლაც, ნამდვილი მშრომელი ხალხი ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარი იყო, თუმცა მკითხველთა იმ წრესაც, რომლის შესახებაც კრიტიკოსი საუბრობს, ცხადია, სჭირდებოდა ამ მხრივ ყურადღება და სულიერი საზრდო. ამიტომაც, რომ გ. თუმანიშვილი მრავლისმეტყველად შენიშნავს: „მაგრამ გინდ დავხუკოთ თვალები და დავიჭეროთ, რომ ბაზაზები და გაიძვერა ლაქიები შეადგენდნენ

ხალხს და ყურადღებით კითხულობენ ისინი ამ უაზრო არაკებს, მაინც ვერაგინ დაგვიმტკიცებს, რომ ის ახალი წიგნები, რომლებითაც სავსეა ჩვენი ბაზრები, და რომლებითაც ამაყოფენ ჩვენი ვითომ-პატრიოტები, სახალხო წიგნები იყვნენო<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილმა თითქმის ამომწურავად განმარტა, თუ რომელ და როგორ წიგნს შეიძლება ვუწოდოთ სახალხო წიგნი. მისი შეხედულებით, „სახალხო წიგნს ეძახიან იმ წიგნს, რომელშიც ხალხი ხედავს თავის მშობლიურ სურათებს, თავის ჭკუას, თავის ხასიათს, გამოხატულს სიმღერაში, ზღაპარში, თუ ანდაზაში — სულ ერთია, ან იმ წიგნს, რომელიც ასწავლის რამეს ხალხს იმისვე ენით“.

ამგვარად, გ. თუმანიშვილი სახალხოს უწოდებს ქეშმარიტ ხალხურ ნაწარმოებს, ანდა მწერლის ისეთ თხზულებას, რომელიც ხალხს აძლევს მისთვის სასარგებლო ცოდნას და დაწერილია ხალხისათვის გასაგები ენით. „რასაკვირველია, — ამბობს იგი, — ხალხიდან გამოსული უნიკო პოეტების თხზულებები სახალხოა ან იქნებიან, რადგანაც იმათ ხალხი არ დაიხსომებს, თავის ჩამომავლობას არ გადასცემს. იქნება „ქიანური“, „ემმაკის ხარო“, ან „ბაზარი“<sup>2</sup> ხალხის კაცისაგან არიან დაწერილნი, მაგრამ რადგანაც იმათში ხალხის ხასიათი, ჭკუა, აზრები კარგად ვერ გამოთქმულან, ხალხი იმათ არ დაიხსომებს, საშვილიშვილოდ არ გადასცემს. ამგვარ თხზულებას ვერვინ ვერ დაუძახებს „სახალხოს“.

ამიტომ, გ. თუმანიშვილი მიესალმება ხალხისათვის ისეთ სასარგებლო ხალხური თხზულებების გამოცემას, როგორცაა „არსენა“, ანდა ილ. ჭავჭავაძის, რაფ. ერისთავის და პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი და უბრალოდ „კრებულში“ გამოქვეყნებული, თუ ცალკე ბროშურად გამოცემული, ხალხური ნაწარმოებები.

<sup>1</sup> ამ გარემოებამ აიძულა „დროების“ რედაქტორი ს. მესხიკ საგანგებო წერილით („ჩვენი „შაურიანი“ ლიტერატურა“) გამოსულიყო გაზეთის ფურცლებზე („დროება“, 1877, № 181) და საჯაროდ განეცხადებია: „ყველა ეს ბროშურები, ეს ლექსები, ეს შაურიანი წიგნები რომ ერთად მოვაგროვოთ, ყველაში ერთადერთი მისხალი ჭკუა, გრძნობა, პოეზია და ჰაზრი არ მოიპოება, ცარიელი უაზრო სიტყვების უაზრო და უსერიო რახა-რუხია“...

<sup>2</sup> გ. თუმანიშვილს მხედველობაში აქვს: 1. „ქიანური ანუ სახუმარო“ ლექსები: 1875. შეკრებილი და გამოცემული ექ. ხელაძის და თ. კანდელაკის მიერ; 2. ალ. მესხიევი. ეშმაკის ხარო (მდაბიური ამბავი), 1876; 3. დ. გვიგინი, ბაზარი (ლექსები), 1875.

როგორც ვხედავთ, თავის პატარა წერილში, რომლის მიზანი იყო მკითხველისათვის ეუწყებია ქართული ანდაზების ცალკე წიგნად გამოსვლა და მისი მნიშვნელობა, გ. თუმანიშვილმა დამაჯერებელი პასუხი გასცა რამდენიმე არსებითი ხასიათის კითხვას.

ამავე წელს, გაზეთ „დროებაში“<sup>1</sup> გამოქვეყნდა გორიდან გამოგზავნილი გ. თუმანიშვილის კორესპონდენცია, რომელშიც ლაპარაკია ადამიანთა თუთაევის კომედიის („ცოლი ვიტრო, თუ ფული?“) შესახებ.

დასახელებული კომედია გ. თუმანიშვილს გაუცენია რეპეტიციანზე და ცუდი შთაბეჭდილება დარჩენია მასზე. მისი თქმით, „კომედიის მარტივი შესდგება ქართულ და რუსულ ენების სომხურად და იმერულად მტკრევაში, ბაზაზხანურ კალამბურში და ფოთის მუშების ჩიკორივით ტრიალში. ერთი სიტყვით, უფ. თუთაევის პიესაში ახალი არაფერია და ძველი ცუდად არის გამეორებული“.

ამასთან ერთად, გ. თუმანიშვილი გამოთქვამს მეტად დამაფიქრებელ შენიშვნას, რომელიც ეხებოდა ბევრ იმდროინდელ თეატრალურ წარმოდგენას. „სამწუხაროა, — ამბობს გ. თუმანიშვილი, — რომ ზოგიერთებს ჩვენში თეატრი ჰგონიათ ბალაგანი, სადაც უნდა საძაგელი ლანძღვით, ენისმტკრევით, „იმეს“ და „ემეს“ თქმით და ყირამალაებით გააცინოს ხალხი“...

ამგვარი აზრი გ. თუმანიშვილს, ჩანს, შემთხვევით არ გამოუთქვამს. მომავალ თეატრალურ მოღვაწეს უკვე თავისი გარკვეული შეხედულება ჰქონდა ქართული წარმოდგენების რეპერტუარსა და მათ სცენიურ განსახიერებაზე.

გ. თუმანიშვილის პრინციპულად მართებული შეხედულება მაინც არ გაიზიარა ვინმე ივ. ციმაკურიძემ, რომელმაც განსხვავებული აზრი გამოთქვა იმავე გაზეთის ფურცლებზე („უფ. ალ. თუთაევის კომედიაზე“)<sup>2</sup>. მისი აზრით, ალ. თუთაევის კომედიის მარტივი იმაში მდგომარეობს, რომ მასში აღწერილია ნამდვილი ამბავი, რომელიც მათ თანამემამულეს — გორელ ვაჰარს გადახდა. ამიტომაც, ამ კომედიის წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გორელ საზოგადოებაზე.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 131.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 140.

ი. ციმაკურიძე არ იზიარებს გ. თუმანიშვილის არც იმ შენიშვნას, რომელიც კომედიის ენას ეხება და ყველა „ცოდვას“, ამ მიმართულებით, მსახიობებს მიაწერს. საერთოდ კი იმ შეხედულები-საა, რომ „არარაობას ცხრა უღელი კატა სჯობიან“. იგი კრიტიკოსს საყვედურობს სიმკაცრეს განათლების არმქონე ავტორისადმი.

ი. ციმაკურიძის ამგვარმა წერილმა გ. თუმანიშვილი აიძულა კვლავ შეჩერებულიყო აღ. თუთაევის კომედიაზე და პასუხი გაეცა თავისი კრიტიკოსისათვისაც<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილმა ი. ციმაკურიძის ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებაზე, რომ ყოველგვარი ცხოვრებისეული დეტალი არ გამოდგება სინამდვილის რეალისტური ასახვისათვის; რომ „მხოლოდ გარეგანი, ყველასათვის ცხადი მხარეა ცხოვრებისა გამოხატული უფ. თუთაევის პიესაში და არა თვით ცხოვრება“. ამასთან ერთად, თავის კრიტიკოსს მან მოაგონა ისიც, რომ მაყურებლის ტაში და მოწონება ყოველთვის არ ნიშნავს სპექტაკლის ნამდვილ წარმატებას; ამგვარი წარმატება ხშირად აქვთ ხოლმე ბალაგანში წარმოდგენილ სცენებსაც.

რაც შეეხება კომედიის დამახინჯებულ ენას, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, ამაში ბრალი ავტორს მიუძღვის და არა მსახიობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორს, რომელიც თვითონ რეჟისორობდა თავის პიესის წარმოდგენას, უფლება არ უნდა მიეცა როლების შემსრულებლებისათვის სურვილისამებრ დაემახინჯებიათ ავტორისეული ტექსტი.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, აღ. თუთაევის კომედიის სისუსტე არ უნდა აიხსნას მხოლოდ ავტორის გაუნათლებლობით, ვინაიდან „დრამატურგისათვის ისე საჭირო არ არის განათლება, როგორც სცენის ცოდნა, ნამდვილი ცხოვრების სეინდისიანი შესწავლა და პოეტიკური გრძნობა“...

გ. თუმანიშვილი არ ღებულობს ი. ციმაკურიძის შენიშვნას, თითქოს ის დასცინოდეს კომედიის ავტორს და თავის სიმკაცრეს ქართული თეატრის ინტერესებით ხსნის: „მე მხოლოდ მებრალემა ქართული სცენა და არ მინდა, რომ ის დაუნათესავდეს ყოველად უნიჭო კომედიებსო“.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 142.

გ. თუმანიშვილის ამ წერილის შემდეგ გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება თვით კომედიის ავტორის ალ. თუთაევის წერილი „კიდევ ჩემი კომედიის თაობაზე“<sup>1</sup>.

ალ. თუთაევის პასუხი უმწეო და არაფრისმთქმელია. ეს გარემოება თითქოს თითონაც უგრძნია და თავისი წერილის დასასრულს კრიტიკოსს მიმართავს: „რას მიწუნებთ კომედიას, გულს ვერ დამწვამთ, რომ კიდევ ნაკლულევანება ჰქონდეს, ამისთვის რომ მე ჩემს დღეში სასწავლებელში არ გავზრდილვარ, ოჯახის სიღარიბისა გამო“....

ამ „საბუთით“ და იმ მოტივით, რომ გ. თუმანიშვილი მის კომედიას მხოლოდ რეპეტიციასზე გაეცნო, ალ. თუთაევი გ. თუმანიშვილის კრიტიკას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მაგრამ მას ავიწყდება, რომ გ. თუმანიშვილმა მხოლოდ კომედიის შინაარსსა და ენაზე გაამახვილა ყურადღება, ამისათვის კი საკმარისი იყო პიესის რეპეტიციასზე გაცნობაც.

ალ. თუთაევის უმწეო პასუხით უნდა აიხსნას ისიც, რომ გ. თუმანიშვილმა საკვიროდ აღარ ჩათვალა პასუხი გაეცა მისთვის.

ასე დამთავრდა გ. თუმანიშვილის პირველი პოლემიკური ნათლობა.

თავისი მომდევნო კრიტიკული გამოსვლები გ. თუმანიშვილმა მთარგმნელობით საქმიანობასა და მისი ავკარგიანობის საკითხს მიუძღვნა<sup>2</sup>. საბაბი მისი ამ პრობლემაზე მსჯელობისა გახდა ნ. გამრეკელის მიერ რუსული ენიდან ნათარგმნი ბროშურა — „წესდება სასჯელთა ზედა, რომელთაცა გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი“.

გარდა იმისა, რომ ამ წესდების გამოცემით კრიტიკოსს საბაბი მიეცა ესაუბრა ხალხის უუფლებო მდგომარეობასა და ჩამორჩენი-

---

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 158.

ის გარემოება, რომ ივ. ციმაკურიძე „დროების“ (და საერთოდ ჩვენი პრესის) ფურცლებზე მხოლოდ ზემოდასახელებული ერთადერთი წერილით („უფ. ალ. თუთაევის კომედიაზე“) გამოჩნდა, ხოლო ალ. თუთაევმა თავის წერილს სათაურად მისცა „კიდევ ჩემი კომედიის თაობაზე“, რომელშიც სრულებით არ ახსენებს ივ. ციმაკურიძეს, თუმცა ბევრ რამეში იმეორებს მას, გვაფიქრებინებს, რომ ივ. ციმაკურიძე იგივე ალ. თუთაევია.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1877, № 148.

ლობაზე, იგი კიდევ ერთხელ მიაქცევდა მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ხალხისათვის ძვირფასი შეიძლება იყოს მხოლოდ ის წიგნი, რომელიც მას სასარგებლო ცოდნას აძლევს და დაწერილია მისთვის გასაგები ენით. დასახელებული წესდება კი, მისი თქმით, თარგმნილია დამახინჯებული და გაუგებარი ქართული ენით. კერძოდ, იგი იმ შეხედულებისაა, რომ მთარგმნელი კარგად უნდა ფლობდეს თანამედროვე გრამატიკულ ნორმებს იმ ენისას, რომელზეც თარგმნის. ამასთან, თარგმანი ცალკეული სიტყვების იზოლირებულად თარგმნას არ ნიშნავს. ამის გამოა, რომ იგი მკაცრად გმობს ნ. გამრეკელის არა მხოლოდ ენას, არამედ მთარგმნელობით მეთოდს საერთოდ. „მთარგმნელს, — შენიშნავს ის, — აუღია მხოლოდ წესდების სიტყვები და ცალ-ცალკე უთარგმნია ისინი. სულ ერთიაო, უფიქრია მას, — ამ წიგნში სიტყვების მეტი ხომ არაფერია სათარგმნიო!“.

სამწერლო ენის სიწმინდის საკითხს გ. თუმანიშვილი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ნაწარმოების ღირსების შეფასებისას თითქმის გამამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ბევრ ჩვენ ნიწერალს იგი საყვედურობდა ბარბარიზმების სიჭარბისათვის და ქართული ზმნის თავისებურებათა უგულვებელყოფისათვის. „ქართულს ენაზე ბევრი წიგნია, — შენიშნავს იგი, — მაგრამ წაკითხვის ღირსნი წიგნი კი ცოტაა. ვისაც კი როდისმე რამე თხზულება წაუკითხავს,... ის რასაკვირველია, ხელს არ მოჰკიდებს სხვადასხვა უანრო ასოთსამღერალებს და ვითომ ლექსებს ჩაქუჩ-ოღლანებისას, სკანდარნოვებისას და სხვ.. სადაც სხვა ღირსებასთან დამატებულია სომხურად დამახინჯებული ენა, ის ენა, რომლითაც ლაპარაკობენ ანტონოვის და ერისთავის კომედიებში სხვადასხვა კარაპეტები და მინასები“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> მთარგმნელ ნ. გამრეკელს, როგორც ჩანს, საპასუხო წერილიც გაუგზავნია „ღროებისათვის“, მაგრამ არ გამოქვეყნებულა. ამისაღმი მიწერილ ბარათში გ. თუმანიშვილი წერს: „მესხმა შემატყობინა, რომ გამრეკელისაგან მიიღო ვრცელი საწინააღმდეგო მოსაზრება ჩემს წერილზე“, მაგრამ იგი არ იქნება დაბეჭდილი „ღროებაში“ (იხ. „საარქივო მასალები“..., ე. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 153).

<sup>2</sup> გაზ. „ღროება“, 1880, № 132 („ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი მოთხრობანი“).

ასეთი შენიშვნა უდავოდ დროული იყო, ვინაიდან 80-იანი წლებისათვის უკვე ძალიან გახშირდა ქართული ენის სანახევროდ მცოდნე სომეხ ავტორთა „ნაწარმოებების“ ბეკდვა. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი წიგნების გამოსაცემად საჭირო თანხები ადვილად გაეღოთ, მაგრამ არ ფიქრობდნენ, შეეძლოთ თუ არა მათ წიგნებს საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა; მათთვის მთავარი იყო წიგნების ავტორები გამხდარიყვნენ.

გ. თუმანიშვილი განსაკუთრებით უქმაყოფილო იყო თარგმნილი ნაწერების ენით. და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. მთარგმნელობით მუშაობას ზოგჯერ ხელს კიდებდნენ ქართული ენის არცთუ ისე კარგი მცოდნენი, რის გამო უღვთოდ ანაგვიანებდნენ სამწერლო ენას. ამ მხრივ ზოგჯერ ჩვენი ცნობილი მწერლებიც ცოდავდნენ. წერილში — „ქართველი ქალებისაგან ნათარგმნი მოთხრობანი“<sup>1</sup> — გ. თუმანიშვილი წერს: „რაც შეეხება თარგმანს, ვისურვებთ, რომ ის გაუმჯობესდეს, ე. ი. ეხლანდელზე მეტად დაეტყოს ენას ქართველობა. ქართულს ენაზე თვით ზმნა გვიჩვენებს ვისაც ის შეეხება.. ასე რომ, ხშირი ხმარება ნაცვალსახელებისა სრულებითაც საჭირო არ არის“...

როგორც ვხედავთ, გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გ. თუმანიშვილმა გამოაქვეყნა მეტად საინტერესო კრიტიკული სტატიები, რომლებიც წარმოადგენენ რეცენზიებს იმ დროს გამოქვეყნებულ თხზულებებსა და თხზულებათა კრებულებზე. მაგრამ ამჟამად ისიც, რომ ამ წერილების დანიშნულება უალრესად კონკრეტულია და ავტორი თითქმის მოკლებულია განზოგადებული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. როგორც ჩანს, ამას თვითონაც გრძნობდა და ვადაუწყვეტია გადაედგა უფრო საიმედო ნაბიჯი ამ მიმართულებით. ამასთან, საკუთარი ორგანოს დაარსების სურვილიც გასჩენია, მაგრამ მისი აღსრულება არცთუ ადვილი საქმე იყო. ამიტომ მას „ალმანახის“ გამოცემა ვადაუწყვეტია და ეს კიდევაც განახორციელა. სამოცდაათიანი წლების დასასრულს მან გამოსცა თავისი „ალმანახის“ ორი ტომი: პირველი — 1878 წელს, მეორე — 1879 წელს.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1880, № 132 („ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი მოთხრობანი“).

## პოლემიკის სამყაროში

პირველი ბეკვდური ქართული ალმანახების შემდგენელ-რედაქტორი გ. თუმანიშვილი იყო. ამ ალმანახების საერთო ღირსება-ნაკლოვანების დახასიათება ამჯერად სცილდება ჩვენი ინტერესების ფარგლებს, მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მათ დაიმსახურეს მკითხველის ფართო ინტერესი და გამომხაურება.

საკმარისია ითქვას, რომ მის ავტორიანობაზე თავისი აზრი გამოთქვას ი. ჭავჭავაძემ<sup>1</sup>, ნ. დავითაშვილმა<sup>2</sup>, ალ. ჭყონიამ<sup>3</sup> და სხვ.

ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა „ალმანახში“ გამოქვეყნებული გ. თუმანიშვილის ორი სტატია: „შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალეირება“ („ალმანახი“, ტ. I) და „ეხლანდელი ქართული უურნალ-გაზეთების მიმართულება“ („ალმანახი“, ტ. II). აღნიშნულ სტატიებში. გ. თუმანიშვილი წარმოდგა ფართო დიპაზონის მქონე კრიტიკოსად, რომელსაც ძალუძს არა მხოლოდ კონკრეტული ნაწარმოებების და ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების კრიტიკული შეფასება, არამედ მწერლობისა და პრესის საერთო ხასიათისა და მიმართულების გარკვევაც.

„შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალეირება“ დაწერილია 1877 წლის ნოემბერში და ერთ-ერთი იმ სტატიათაგანია, რომლებითაც საფუძველი დაედო ქართული მწერლობის წლიური მიმოხილვების ტრადიციას.

გადაუქარბებლად შეიძლება იქვას, რომ გ. თუმანიშვილის აღნიშნულ სტატიას პრინციპული ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ავტორის შემოქმედებითი ევოლუციისათვის, ასევე ქართული კრიტიკისათვისაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ გ. თუმანიშვილმა, პირველად ამ სტატიაში, თავი გამოამჟღავნა როგორც კავკასიის ხალხთა ლიტერატურით დაინტერესებულმა კრიტიკოსმა, როგორც იგი შემდეგში გვევლინება.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, უკანასკნელი ორი წელი აღი-

<sup>1</sup> ჟურნ. „ივერია“, 1879, № 2 („სხარტულა“).

<sup>2</sup> ჟურნ. „ივერია“, 1879, № 1 („ფიქრი და შენიშვნა“).

<sup>3</sup> გაზ. „დროება“, 1879, № 33 (მაკახელიძე — „ორიოდე სიტყვა უფ. გ. თუმანიშვილს“).



ნიშნა კავკასიელ ხალხთა, კერძოდ კი, ქართული ლიტერატურის. განსაკუთრებული აღმავლობით. ამის უტყუარი საბუთია ახალ-ახალი გაზეთების გამოცლა: რუსული გაზეთები „კავკაზი“ და „ტიფლისისკი ვესტნიკი“, ქართული გაზეთი „დროება“ ყოველდღიურ გაზეთებად გახდნენ; გამოცლა დაიწყო კვირეულმა გაზეთმა „ივერიამ“, რომელიც ხშირად ჟურნალის მოცულობითაც კი გამოდიოდა; მომავალი წლიდან გამოცვლას დაიწყებს ნ. ნიკოლაძის გაზეთი „ობზორი“, რომელიც კავკასიის „ტაინსობას“ გვირდება, და სხვ. ამ ლიტერატურული აღმავლობის მიზეზად, ამბობს გ. თუმანიშვილი, ბევრი რუსეთ-თურქეთის ომით შექმნილ სიტუაციას მიიჩნევს, მაგრამ „ჩვენი მწერლობის განცხოველებაში მარტო ომი არ არის დამნაშავე“, „მარტო ომს არ შეეძლო ასე ემოქმედა ჩვენი მწერლობის გამდიდრებაზე“. სრულიად მართებულად, ამ გარემოების მიზეზს იგი კონკრეტულ საბაბში არ ხედავს. ბევრი და სხვადასხვაგვარი იყო ამის მიზეზი, დასძენს ის, მაგრამ თუ მათი გაერთიანება აუცილებელია და „მრავალგვარ საგნების დასახელების მაგიერ ვისურვებთ დასახელება ერთი კაცის, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მწერლობის გაღვიძების მიზეზი იყო ნ. ნიკოლაძე (სკანდელი)“.

ნ. ნიკოლაძის ჟურნალისტური მოღვაწეობის ამგვარი აღიარება იმდროისათვის შეიძლება არც გადაქარბებული და არც მოულოდნელია, მაგრამ, გარკვეული აზრით, გაბედული უდავოდ იყო. ნ. ნიკოლაძეს ამ დროს მწვავე პოლემიკა ჰქონდა ბევრ გამოჩენილ მოღვაწესთან და, ცხადია, მათი მხრიდან გ. თუმანიშვილის ასეთი მოსაზრებისათვის მხარდაჭერა მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

გ. თუმანიშვილი, ალბათ, ვარაუდობდა ამ ვითარებასაც და მრავალმეტყველად შენიშნავს: „ჩვენში ბევრი იმისთანა კაცია, რომელნიც ვერ იცნობენ კეთილ სინდისიან შრომის ნაყოფად უფ. ნიკოლაძის ნაწერებს, მაგრამ მე მგონია ესენიც დამეთანხმებიან, როცა ვიტყვი: უფ. ნიკოლაძეს აქვს ისეთი ლიტერატურული ნიჭი, რომელიც აღვიძებს ბევრ მძინარე მწერალს და ააღებინებს იმათ კალამს ხელში. 1870 წლის აქეთ ვადევნებ თვალს უფალ ნ. ნიკოლაძის თხზულებებს და შემომჩნევია, რომ როგორც ნიკოლაძე გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე, მაშინვე ასტყდება ხოლმე ლიტერატურული აყალ-მაყალი: ზოგი მიწასთან ასწორებს ამ მწერალს, ზოგი მითომ ესარჩლება იმისგან გამოთქმულ აზრებს, ზოგი

მოიგონებს თავის დავიწყებულ თხზულებას და ასწორებს და ცდილობს იმის დაბეჭდვას, ზოგსაც, გატაცებულს ნიკოლაძის ცოცხალი სტატიებით, ერთ წამს მაინც შეუყვარდება მწერლობა და გაზეთების ბეჯითად კითხვა. იქნება ეს გავლენა ჩვენ ზემომოსხენებულ მწერლისა ვინმემ ახსნას ამ მწერლის გესლიანობით, ჭიუტ განდევნით სამართლისა და პატიოსნებისა. ამის მთქმელს ჩვენ ვურჩევთ გადაათვალიეროს ჩვენი ძველი „ცისკრები“ და სხვა ყურნალ-გაზეთები, იქ იპოვით ბევრ ლანძღვას, ბევრ ცხადად უსამართლო ოდებს და ფილიპიკებს, მაგრამ ამ სისაძაგლეს არასდროს არ დაუბადია მწერლობაში სიცოცხლე... არა, ნ. ნიკოლაძე მოქმედებს ესე ძლიერად ქართულ და საზოგადოდ კავკასიელ მწერლობაზე თავის ცოცხალ კალმით, თავის ლიტერატურული ნიჭით და გამოცდილებით. ეს ნიჭი და გამოცდილება აძლევს უფ. ნიკოლაძეს ღონისძიებას, გაიგოს ყოველ წამს — ვისთვის და რისთვის უცემს გული საზოგადოებას, რა აცინებს და რა ატირებს მკითხველს“.

ეს ვრცელი ამონაწერი, შეიძლება ითქვას, ნ. ნიკოლაძისა და მისი მოღვაწეობის პირველი სრულყოფილი დახასიათებაა, მაგრამ საუკეთესოდ ახასიათებს მის ავტორსაც. ამ სიტყვებით ნ. ნიკოლაძის შეფასება შეეძლო იმ კრიტიკოსს, რომელიც არა მხოლოდ ნ. ნიკოლაძის, არამედ მთელი ჩვენი ყურნალისტიკის წინსვლასა და განვითარებას ადევნებდა თვალს, წვდებოდა მის ხასიათსა და თავისებურებებში, თანაც გაბედულებაც შესწევდა ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა.

მეორე პრინციპული მნიშვნელობის საკითხი, რომლის ასხნა-განმარტებასაც შეეცადა გ. თუმანიშვილი თავის სტატიაში, იყო 1877 წლისათვის ქართული მხატვრული ლიტერატურის მიღწევათა ჩვენება. მისი თქმით, ეს წელი აღინიშნა გაზრდილი მაჩისცემით, ორიგინალური და თარგმნილი თხზულებების სიუხვით.

თარგმნილ თხზულებათა შორის გ. თუმანიშვილი საგანგებო მნიშვნელობის მოვლენად თვლის „მეფე ლირის“ თარგმანს. იგი მიესალმება ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბელის ამ თარგმანს პირველყოვლისა იმიტომ, რომ უშუალოდ ინგლისური ენიდან არის შესრულებული. „ამას იქითაც, — წერს იგი, — კარგი იქნება, რომ გამოვესალმოთ უცხო ქვეყნელ თხზულებების თარგმანს რუსულიდან. რუსულ მწერლობაში, როგორც იქაურმა კრიტიკამ აღმოაჩინა, ბევ-

ზი უნიკო, უკეთ ვთქვათ, უგვარო თარგმანია. ვისაც წაუკითხავს პეინე ნემეცურ ენაზე და რუსულზე, ვისაც წაუკითხავს „ტარტიუფი“ ფრანციკულად და რუსულად, ის დარწმუნებულია, რომ დიდი განსხვავებაა ნემეცურ და რუსულ პეინეს შუა. რუსულად დამახინჯებულ კლასიკოსების თარგმნა ქართულად სწორედ საენო საქმეც არის. ქართველი მკითხველები მოიძულებენ ევროპულ გენიოსებს უგვარო ქართულ თარგმანების გამო. ამ მხრივ სწორედ თანაგრძნობის ღირსია „მეფე ლირის“ ქართულად გადმოღება“.

გ. თუმანიშვილის მიერ მთარგმნელობითი საკითხის ამგვარ დაყენებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და დროულიც იყო. უკვე ფეხს იკიდებდა ევროპელ მწერალთა თხზულებების რუსული ენიდან თარგმნის პრაქტიკა, რაც გამართლებული არ იყო. მით უფროა, რომ ქართველ მწერალთა შორის მოიპოვებოდნენ ევროპულ ენათა კარგი მცოდნენი, რომელთაც შეეძლოთ უშუალოდ ავტორისეული ტექსტიდან ეთარგმნათ მხატვრული თხზულებანი.

სწორი იყო გ. თუმანიშვილის ვარაუდი ამ მიმართულებით „მეფე ლირის“ თარგმნის დიდი მნიშვნელობის შესახებაც. „მეფე ლირი“ ის ფესხედნიერი მეკვლე იყო, რომელსაც შემდეგში მოჰყვა არა მხოლოდ შექსპირის სხვა გენიალური ტრაგედიების თარგმნა, არამედ — უშუალოდ უცხო ენებიდან თარგმნილი ბევრი სხვა თხზულებაც. დრომ გვიჩვენა, რომ ჩვენს მთარგმნელობით ლიტერატურაში „მეფე ლირმა“ ეპოქალური როლი შეასრულა. მისმა მთარგმნელებმა, ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა, უკვე საბოლოოდ დაამკვიდრეს ავტორისეული ენიდან თარგმნის ტრადიცია. ეს კარგად განსპერითა ახალგაზრდა კრიტიკოსმა. მისი აზრით, „მეფე ლირის“ თარგმნას თავისთავადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შექსპირის სილიადე და გენიოსობა ევროპულ კრიტიკაში სადავო აღარ არის ლესინგის შემდეგ. დღეს თითქმის ყველასათვის აშკარაა, რომ შექსპირმა „მშვენივრად იცის კაცის ხასიათი და იმის ცხოვრება გამოსახვა“. უფრო მეტიც, ფსიქიატრებმა ნათელჰყვეს, რომ ის ბრწყინვალედ იცნობს „ადამიანის ხასიათის სნეულებებსაც“. „ეს გენიოსია ისევე სწორედ ხატავს მელანხოლიკებს და ლუნატიკებს, როგორც ანჩხლებს, ორგულებს, შურიანებს და სხვა ადვილად შესახვედრ ხასიათებს“.

„მეფე ლირს“ გ. თუმანიშვილი უწოდებს ერთ-ერთ საუკეთეს-

სოს დიდი ტრაგიკოსის შემოქმედებით მემკვიდრეობაში, რომელშიც ნაჩვენებია კვარცხლბეკიდან დანარცხებული განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე პიროვნების ტრაგედიის საზარელი სურათი. „სანამ ლირი ბრძანდებოდა ყოველ შემძლებელ მეფეთ დიდ განცხრობაში, — წერს ის, — იმის წინააღმდეგ სიტყვას ვერვინ იტყოდა დაუსჯელად, მაგრამ აგერ იგივე ლირი, როცა ის მეფედ აღარ არის, სათამაშოა თავის უმადურ ქალების ხელში“. შეუზღუდავ უფლებებს მეფის ხედვაც დაუბრმავებია, „მხოლოდ უბედურებაში ესმის ლირს, რომ ეს ქვეყანა სევსეა უსამართლობით“.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, შექსპირის ტრაგედიებში, კერძოდ, „მეფე ლირში“, ბოროტების ზეიმთან ერთად, მაინც გამოსჭვივის რაღაც იმედის სხივი; „ამ ჩვენ დაუნდობელ ცხოვრების სურათს, — განაგრძობს კრიტიკოსი, — შექსპირმა ჩაჰმატა ორისამი ანგელოზი სული, მაგალითად, ლირის უმცროსი ქალი — კორდელია და კენტი, რომელნიც თავიანთი კეთილშობილური მოქმედებით თითქმის გვანუგეშებენ: „ნუ დავარდებით, გამხნევდით, ცარიელ ღონეს და შეძლებას არ დარჩენიაო ბურთი და მოედანი, ქვეყანა მარტო ავაზაკებით არ არის სავსეო, ვეცადოთ და ამ ჩვენ ცოდვილ მიწაზე აყვავდება ძმობა, თავისუფლება და თანასწორობა“.

როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილს სურს „მეფე ლირის“ საერთო იდეური აზრი ერთგვარად დაუახლოოს თავის ქვეყნისა და თავისი ღროის სინამდვილეს, რათა ბრძოლის სურვილი და უკეთესი მომავლის რწმენა გაუღვიოს თანამემამულეთ.

კრიტიკოსი დაკვირვებით გაცნობია „მეფე ლირის“ თარგმანის ავტორგიანობას და ანგარიშგასაწვევი შენიშვნებიც დაჰბადებია. მართალია, იგი პრეტენზიას არ აცხადებს ინგლისური და ქართული ენების ღრმა ცოდნაზე, მაგრამ საჭიროდ თვლის მკითხველს მაინც გაუზიაროს თავისი ეჭვი. „დიდ ეჭვში ვართ, — შენიშნავს იგი, — შეძლეს თუ არა „მეფე ლირის“ მთარგმნელებმა ამ ტრადიციის ხასიათის გამოთქმა ქართულად. მოქმედნი პირნი ამ თხზულებაში ლაპარაკობენ გრძელ წინადადებით და ერთი აზრის გამოსათქმელად ხმარობენ მძიმე მწიგნობრულ ენას. ეს ლაპარაკის გაკვიანურება ცოტად მაინც ასუსტებს იმ ღრმა-შთაბეჭდილებას, რომელიც რჩება ხოლმე მკითხველს შექსპირის თხზულების კითხვიდან. უკე-

თეს რუსულ ნათარგმნებს შექსპირის ტრადიციებისა, რამდენადაც გვახსოვს, ეს ნაკლულევალება არა აქვთ და ამიტომაც მეტი შთაბეჭდილება რჩება იმათგან მკითხველს“.

გ. თუმანიშვილის ეს შენიშვნა, როგორც ირკვევა, არცთუ უსაფუძვლოა. ყოველ შემთხვევაში, ამასვე შენიშნავს ქართული შექსპირიანას საუკეთესო სპეციალისტი, მწერალი ვახტანგ კელიძე „მეფე ლირის“ თარგმანის შესახებ<sup>1</sup>.

კონკრეტულია და უფრო უდავოც კრიტიკოსის მეორე შენიშვნა, რომელიც „მეფე ლირის“ შესამე მოქმედების მეოთხე სურათს შეეხება. ქართული თარგმანის მიხედვით, — შენიშნავს იგი, — ისე გამოდის, რომ გლოსტერმა იცნო კენტი, სინამდვილეში კი გლოსტერა კენტთან საუბრის დროს ისე იგონებს კენტს, რომ არ იცის თვით მას რომ ესაუბრება. ეს ადგილი სრულიად გასაგებადაა რუსულ თარგმანებში, კერძოდ, დრუზინინის თარგმანში.

ქართული კრიტიკის ისტორიაში მითითებულია გ. თუმანიშვილის ამ შენიშვნების საფუძვლიანობა. პროფ. ი. ბოცვაძის თქმით, „გ. თუმანიშვილის ეს მცირე შენიშვნები ძირითადად სწორია“<sup>2</sup>.

ამგვარად, გ. თუმანიშვილმა საფუძვლიანად მიმოიხილა „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი და გამოთქვა საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისათვის საერთოდ და კერძოდ მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის.

თავის სტატიაში გ. თუმანიშვილი იწონებს აგრეთვე ფრანგული ენიდან ნათარგმნ ალფონს დოდესა და ერკმან-შატრიანის პატარა

---

<sup>1</sup> „ამ ტრაგედიაში („მეფე ლირი“ — ზ. გ.), — წერს ვ. კელიძე, — უსათუოდ იგრძნობა მთარგმნელთა დიდი პოეტური ნიჭი და ემოცია, მშვენიერი ენა, დიალოგის ბუნებრივობა, მაგრამ ცალკეულ შეუსაბამობას ამ თარგმანში შეაქვს დისონანსი, ირღვევა ჰარმონიულობა... თარგმანში მეტისმეტად არის გაზრდილი სტრიქონების რიცხვი, რაც იწვევს მთარგმნელების მიერ ზედმეტი ფრაზების ჩამატებასა და ტავტოლოგიას. აზრი ხშირად არ არის სწორად გაგებული!“ („ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, 1963, გვ. 247).

<sup>2</sup> ი. ბოცვაძე, ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, (იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, 1957, გვ. 64).

მოთხრობების გამოქვეყნებას<sup>1</sup>. კიდევ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე ეკ. ლვინიაშვილის მიერ ნათარგმნ მოთხრობას „ვირთავას“<sup>2</sup>. „აჲ, — შენიშნავს იგი, — ცოცხლად, მაგალითად ნაჩვენებია, რომ კაცის ზნეზე დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ წესს; ხშირად სიღარიბეა დედა ყოველგვარ ავკაცობისა, მაგრამ კაცის ხასიათი ადვილად გამოიცვლება, კარგ გზაზე დგება, თუ რომ ბოლოს მოვეუღებთ სიღარიბეს, უსამართლო სიმძლავრეს და სხვა ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ უვარგისობას. ამგვარი აზრები მოგდით თავში, როცა კითხულობთ კაცთმოყვარეობით, გრძნობით საგსე სტრიქონებს „ვირთავასას“.

ჩვენ ხშირად ვესესხებით კრიტიკოსის იმ სიტყვებს, რომლებიც უშუალოდ მიგვანიშნებენ მის პოზიციაზე ნაწარმოების ღირსებათა შეფასებისას. აშკარად ჩანს, რომ მთავარი ამოსავალი მისთვის არის ნაწარმოების შემეცნებითი ფასეულობა მოწინავე იდეების შუქზე.

ნიშანდობლივია ისიც, რომ გ. თუმანიშვილმა ჩვენი მწერლობის ყურადღება მიაპყრო ერთ უაღრესად მტკივნეულ საკითხს, რომლის მთლიანად გვერდის ავლა მაინც შეუძლებელი იყო. მისი შეხედულებით, „საქმე იმაშია, რომ ჩვენი ახალი ხელოვნური მწერლობა შორს ვერ წავიდა: ის დიდი ხანია შედგა ილ. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის ლექსებზე, „კაცია-ადამიანზე“ და „მგზავრის წიგნებზე“ (გ. წერეთლის — ზ. გ.). ჩვენ ახალ მწერლობას უფრო პუბლიცისტური ხასიათი აქვს. ვერც ერთმა ჩვენ მწერალთაგანმა, გამოსულმა სალიტერატურო ასპარეზზე, ამ უკანასკნელ ათ წელს, ვერ გამოიჩინა შესანიშნავი პოეტური ნიჭი. ამ უკანასკნელ ათ წელს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში გვინახავს ბევრი ცოცხლად დაწერილი ფელეტონი, საფუძვლიანი პუბლიცისტური სტატია, მეტად საინტერესო პოლიტიკური წერილი, მაგრამ ნიჭიერად დაწერილი ქართული ლექსი ან სცენა ამ ათ წელიწადში გვინახავს ცოტა და, რაც გვინახავს, ის შეადგენს ძველ კალმის ნაწარმოებს. ხელოვნურად დაწერილი კომედია, მოთხრობა ან რომანი ხომ სრულებით არ შეგვხვედრია ჩვენ მწერლობაში ამ უკანასკნელ დროს“.

<sup>1</sup> ალფონს დოდეს ერთი მოთხრობა („მარშლის გულმტკივნეულობა“) თარგმნა გ. თუმანიშვილმაც („დროება“, 1876, № 76).

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1876, № 15, 16.

როგორი მკაცრიც არ უნდა გვეჩვენოს გ. თუმანიშვილის ეს სიტყვები, სერიოზული ანალიზისა და დაკვირვების შემდეგ მაინც იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ისინი საკმაოდ მართებულად გამოხატავენ იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ვითარებას. მართლაც, ამ დროისათვის დიდი აღმავლობით ვითარდებოდა პუბლიცისტიკა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით მხატვრულ ლიტერატურაზე. ამ უბანზე ნაკლებად ჩანდნენ იმედის მომცემი ახალგაზრდა შემოქმედნი, მთავარ ძალას კვლავ სამოციანელები წარმოადგენდნენ. ამასთან, ეს უკანასკნელნიც პუბლიცისტიკით უფრო იყვნენ ვატაცებულნი ამ დროისათვის. ეს გარემოება, ცხადია, ცხოვრების საჭიროებით იყო განპირობებული, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, აქვე უნდა შევნიშნათ, რომ როცა გ. თუმანიშვილი ამბობს — „ჩვენ ახალ მწერლობას უფრო პუბლიცისტური ხასიათი აქვსო“, იგი გულისხმობს არა პუბლიცისტური ელემენტის გაძლიერებას მხატვრულ თხზულებებში, არამედ პუბლიცისტური ქანრების აღმავლობას საერთოდ; ცნებას „მწერლობა“ იგი ფართო მნიშვნელობით ხმარობს და არა „მხატვრული ლიტერატურის“ აზრით.

ამგვარი ვითარებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზას გ. თუმანიშვილი ხედავს რუსი და ევროპელი კლასიკოსების თხზულებათა თარგმნაში და ამ საქმიანობაში განსაკუთრებით მეორეხარისხოვანი მწერლების ჩაბმას მოითხოვს. „იმ მეორე ხარისხის პოეტებმა და საზოგადოდ მწერლებმა, — წერს ის, — რომელთაც არა აქვთ ხერხი ან დრო შეთხზან რამე გამოჩენილი, ორიგინალური, რომ მიჰყონ ხელი თარგმანებს, უკეთესი იქნება. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ არცერთ კლასიკოსს რიგიანად არ იცნობს ჩვენი მკითხველი. იმისთანა უკვდავი თხზულებანი, როგორც „ტარტიუფი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „ფაუსტი“, „ავაზაკები“ (შილერის), „ჩაილდ-ჰაროლდი“, „მანფრედი“, „ვეკფილდის მღვდელი“ და სხვ., ჯერ არ არიან ნათარგმნი ქართულად“.

საკითხის ამგვარი დასმაც არ იყო უდროო და გაუმართლებელი. ბევრ იმ მწერალს, რომელსაც ძალა არ შესწევდა შეექმნა მნიშვნელოვანი ორიგინალური თხზულება, შეეძლო გამოჩენილი კლასიკოსების ნაწარმოებთა თარგმნით ასე თუ ისე გაემდიდრებია ჩვენი ლიტერატურა. მით უმეტეს, რომ, როგორც გ. თუმანიშვილი ამ-

ბობს, ბევრი იყო ისეთი, რომელმაც კარგად იცოდა ფრანგული და რუსული ენები.

გ. თუმანიშვილი იწონებს ქუთაისელ ახალგაზრდა მწერალთა წამოწყებას, რომელსაც მოჰყოლია ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილის“ და ბომარშეს „ფიგაროს ქორწინების“ თარგმნა. „თუ ეს თხზულებანი ხეირიანად არიან ნათარგმნი, — ამბობს ის, — იმათი დაბეჭდვა ასჯერ უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის, ვინემ დაბეჭდვა ათას უბოლოვო კორესპონდენციებისა ამინდზე, სხვადასხვა ჩინოვნიკების გასაოცარ პატიოსნებაზე და სხვა მოულოდნელ შემთხვევებზე. ზემოხსენებულ ოსტროვსკის კომედიაში საკვირველ ცოცხალ სურათებში გამოხატულია რუსული ჩინოვნიკობა; „ფიგაროს ქორწინება“ დაცივნაა იმათზედ, რომელთათვის ღმერთს მიუცია კარგი გვარიშვილობა და შეძლება, და არა ნიკი, ჭკუა და შრომის სიყვარული. დაბალი ხალხიდან გამოსული ხერხიანი ფიგარო ადვილად ამარცხებს თავის აზნაურ-ბატონს. ეს სატირიკული პიესები ისევე სასიამოვნონი არიან კითხვაში, როგორც სცენაზე, და ამიტომაც განვიმეორებთ, სასურველია, რომ ისინი დაიბეჭდონ ქართულ ენაზე, თუ გადმოთარგმნილი არიან ნიკიერად“.

ამ პიესების თარგმნასა და მათ წარმოდგენას ქუთაისის სცენის მოყვარულთა მიერ მართლაც სიამოვნებით შეხვდა საზოგადოებრიობა და პრესაც<sup>1</sup>, მაგრამ გ. თუმანიშვილი მართებულად ამახვილებს ყურადღებას მათი დაბეჭდვის საჭიროებაზე. ამასთან, მიუთითებს იმაზეც, თუ როგორი თხზულებები უნდა ითარგმნოს, მათ რომ წარმატება ხვდეთ.

შემდგომში ქართული ლიტერატურა მართლაც ბეჭითად მდიდრდებოდა ახალ-ახალი თარგმნილი თხზულებებით, რომლებიც კეთილსასურველ გავლენას ახდენენ ჩვენი მკითხველის აზრსა და გემოვნებაზე.

გ. თუმანიშვილმა, როგორც მივეთითეთ, გულისტკივილი გამოთქვა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ორიგინალური თხზულებების სიმციროს გამო, რისთვისაც მას მართლაც ჰქონ-

<sup>1</sup> იხ. აკ. წერეთლის „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო“, „დროება“, 1874, № 450; დლიური, „დროება“, 1875, №№ 95, 101, 116.



და საბაბი. მაგრამ მან მიუთითა იმაზეც, რომ ჩვენი ცნობილი მწერლები არც ამ მხრივ ყოფილან მთლად ხელცარიელნი.

ქართული ორიგინალური ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან შენამატად 1877 წლისათვის გ. თუმანიშვილი ქსნის-ხეველის (გრ. ორბელიანის) ლექსს „მუშა ბოქულაძეს“ მიიჩნევს. და რაც მთავარია, ამ ლექსის მთავარ ღირსებას ის იმდროინდელი ქართველი მუშის ფიქრისა და განცდის სწორად და დამაჯერებლად გადმოცემაში ხედავს. მისი თქმით, ბევრი რამ დაწერილა ახალ ქართულ მწერლობაში მუშის შესახებ. ახალგაზრდა მწერლები ცდილობდნენ „ჩვენი მუშისთვის ეთქმევიანებინათ ის, რასაც თითონ ფიქრობდნენ, ან რასაც ფიქრობს ევროპელი თავისუფალი მუშა“, ნათში გამოხატული იყო „ესლანდელი საზოგადოებრივი წესის ურიგობა, შრომის მნიშვნელობა და სხვისი შრომით უსვენდისო სარგებლობა“, მაგრამ „მაშინვე მიხვდებით, რომ ახალ პოეტს არც კი უნახავს რიგიანად ჩვენებური მუშა და ათქმევიანებს იმას უცხო-კეცხელ წიგნებიდან ამოკითხულ აზრებს“. ამის ნიმუშად მიაჩნია მას. მაგალითად, ოქრიაშვილის ლექსი „მუშის სიმღერა“<sup>1</sup>, რომელშიც „მუშა გრძნობს თავის თავში ძალას“ და „ამაყი თხოულობს სივებისაგან სამუშაოს“, მაგრამ „ეს ლექსი მიბაძევა თომას გუდისაღმი და ამგვარი სიტყვები უადგილონი არ არიან ნემეცი და ინგლისელი მუშის პირში. რადგანაც ევროპაში მუშა დაჯილდოებულია ცოტად მაინც პოლიტიკური თავისუფლებით და განათლებით“, ჩვენებური მუშა კი აღარ დაეძებს „თავისი სიღარიბის მიზეზს, რადგანაც ის თავისთავს გრძნობს ისე სუსტად, რომ იპედოე არ აქვს ჯაუშჯობესოს თავისი მდგომარეობა, ...სახარება, სულის უკვდავეზა. თანასწორობა საიქიოს. უზრუნველი ყმაწვილობის მოგონება,—  
რა ჰკლავს ჩვენ მუშაში იმ სიბრაზეს, სიანჩხლეს, რომელსაც ვხედავთ ევროპელ მუშაში“...

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, გრ. ორბელიანმა პირველად დაგვიხატა ჩვენებური მუშის კეშმარიტი ხასიათი, რომელიც კარგად ჩანს განსაკუთრებით იმ სიტყვებში, რომელსაც ის მიმართავს „განცხრომის ძეს, ნებიერად გაზრდილსა“.

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1877, № 6. „ოქრიაშვილი“ — ფსევდონიმი ი. ბაქრაძის.

„ე. ძმავ, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით.  
შე ჩემს ბარჯსა როგორმე იქ მოვიხსნი...  
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,  
საუკუნოდ განსასვენსა ადგილსა!“

დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ გ. თუმანიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „მუშა ბოქულაძე“ ისეთივე წმინდა სახალხო ლექსია, როგორც ალ. ჭავჭავაძის „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ და გრ. ორბელიანის „იარალისადმი“, „დომ. ონიკოვის დარდები“ და „მუხამბაზები“. შინაარსით კი... „მუშა ბოქულაძე“ უფრო მაღლა დგას აქ ხსენებულ ლექსებზე... ლექსში მუშის ხასიათით იხატება ჩვენი საზოგადოებრივი წესი. ამ ლექსს რომ კითხულობთ... უეკველად მოგივთ თავში შემდეგი ფიქრი: „ჩვენში კაცი რომ იღუპება, ის ვერც კი ბედავს დასწყევლოს თავისი დამღუპველი, ან იქნება ჩვენში დაღუპული კაცი ისე საშინლად დაღუპულია, რომ ვერც კი ხედავს ხოლმე ის თავის დამღუპველს. ჩვენ დაჩაგრული მუშის ხმაში ისმის მხოლოდ მონობა, უბოლოო მორჩილება, დამამცირებელი კაცის ღირსებისა“.

როგორც ვხედავთ, თავის საყურადღებო დასკვნას „მუშა ბოქულაძის“ შესახებ გ. თუმანიშვილმა მისცა პუბლიცისტური სინაზვილექც, — ხაზი გაუსვა იმდროინდელი ჩვენი მუშის არა მხოლოდ მძიმე ცხოვრებას, არამედ მის დაბეჩავეებასა და პოლიტიკურ გაუთვითცნობიერებას.

„მუშა ბოქულაძის“ შესახებ გამოთქმულ გ. თუმანიშვილის შეხედულებებში შესაძლოა ზოგიერთი რამ სადავოც იყოს; თუნდაც იმდროინდელი მუშის სოციოლოგიური დახასიათება, მაგრამ უდავოა, რომ კრიტიკოსმა სწორად შეიქნო და მართებულად შეაფასა ამ ლექსის საერთო იდეურ-მხატვრული თავისებურება, მისი ადგილი ჩვენს ლიტერატურაში. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ გ. თუმანიშვილი პირველი იყო, რომელმაც ასე საფუძვლიანად განიხილა „მუშა ბოქულაძე“, აშკარა გახდება მისი წვლილი ამ ნაწარმოებისა და მისი ავტორის შესწავლის საქმეში.

1877 წლის ქართულ ორიგინალურ თხზულებებზე მსჯელობა გ. თუმანიშვილმა დაამთავრა რაფ. ერისთავის „ივლიანე ყრონტის ნაამბობის“ მოკლე დახასიათებით: „ყრონტის ნაამბობი“ თითქო თეატრში წასაკითხად იყოს დაწერილი“. ამასთან, კვლავ გაიმეო-

რა სტატიის დასაწყისში გამოთქმული შეხედულება იმის შესახებ, რომ მხატვრულმა თხზულებებმა „ამ უკანასკნელ დროს დაკარგეს თავიანთი პირველი ადგილი“ „ჯერ მეფობდა, — წერს იგი, — აკის ფელეტონი, ეხლა მეფობენ პუბლიცისტური სტატიები და ცარიელი გაზეთური შენიშვნები. ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ჩვენ ეხლა გვაქვს სამი გაზეთი და არც ერთი ჟურნალი. ლექსები და მოთხრობები ან ობლად, ცალკე წიგნებად გამოდიან, ან გაზეთების მფარველობის ქვეშ მოიკუნტებიან რომელიმე გადაჯარგულ კუთხეში უთვალავ კორესპონდენციებს შუა“.

თავისი „ალმანახის“ (ტ. I) ფურცლებიდან გ. თუმანიშვილმა ბევრი დამაფიქრებელი შენიშვნა და შეხედულება გამოთქვა ჩვენი მწერლობისა და პრესის შესახებ, რასაც სათანადო გამოძახილი უნდა მოჰყოლოდა. გ. თუმანიშვილიც, ცხადაა, მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როცა მისი „ალმანახის“ შეფასება დაიბეჭდებოდა. „ალმანახის“ პირველი ტომი ჯერ კიდევ სტამბაში იყო, როცა გ. თუმანიშვილი თავის იმას (ვასალს) სწერდა: „ჩემი ეს პირველი ქართული წიგნი ალბათ დაინტერესებს აქაურ საზოგადოებას! თუმცა წიგნიდან ცენზურის მიერ ამოღებულია ჩემი საინტერესო სტატია ომის შესახებ. თუ მოლოდინი გამიცრუვდა და ჩემი წიგნი შეუმჩნეველი დარჩება, დიდი ხნით დავემშვიდობები ქართულ ლიტერატურას, სერიოზულად დავიწყებ რუსულად წერას“<sup>1</sup>.

მართლაც, კრიტიკამ, თავდაპირველად, თითქოს ვერც შენიშნა; გამოქვეყნდა მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ხასიათის განცხადებები მის გამოსვლასთან დაკავშირებით. უნდა ვიფიქროთ, იმიტომ, რომ გ. თუმანიშვილის მიერ დასმული საკითხები და მათზე გაცემული პასუხები მოითხოვდნენ დაფიქრებასა და სერიოზულ მსჯელობას, მით უმეტეს, რომ მალე უნდა გამოსულიყო „ალმანახის“ მეორე ტომიც.

გ. თუმანიშვილი, ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ დუმილი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. შეუძლებელი იყო ჩვენს მოღვაწეებს გვერდი აეელოთ მის მიერ საკმაოდ მძაფრად დასმული საკითხებისათვის. „ჩემი პირველი წიგნის გამოჩენისთანავე, — წერს გიორგი

<sup>1</sup> იხ. საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. ელ. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 154.

კვლავ თავის ძმას ვასილს 1878 წლის 16 იანვარს, — უკვე წაიზუ-  
ზუნეს „დროებამ“, „ივერიამ“ და „ობზორამ“, მაგრამ ჯერჯერო-  
ბით არ გამოხმაურებიან. იმედი მაქვს, რომ მალე გამოხმაურები-  
ან, რადგან მკითხველი საზოგადოება დაინტერესდა ჩემი „ალმა-  
ნახით“<sup>1</sup>.

ღიას, ღრუბლები გროვდებოდნენ, მაგრამ ქექა-ქუხილი საგან-  
გებოდ ივვიანებდა; ჩანს, იგი ელოდებოდა „ალმანახის“ მეორე  
ტომს. მაგრამ მოსალოდნელი ამინდის „მაინე“ მაინც გამოჩნდა: გა-  
ზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში“ (21 I. 1878 წ.) დაიბეჭდა ხელმოუწე-  
რელი სტატია („ადგილობრივი ქრონიკა“). სტატიის ავტორი, „ალ-  
მანახს“ და მის შემდგენელს საყვედურობს, პირველყოვლისა, „ივე-  
რიის“ 1877 წლის მერვე ნომრის მოწინავეს კრიტიკისათვის, რო-  
მელიც მოცემულია გ. თუმანიშვილის სტატიაში — „შარშანდელი  
ქართული მწერლობის გადათვალელება“. მაგრამ გ. თუმანიშვილს,  
ცხადია, უფრო მეტად „დროების“ და „ივერიის“ რედაქციათა შე-  
ხედულება აინტერესებდა. ისინი კი თავს იკავებდნენ.

გ. თუმანიშვილი, როგორც მისი ბარათები გვარწმუნებენ, მაინც  
კმაყოფილი იყო იმ დიდი ინტერესით. რასაც რიგითი მკითხველი  
იჩენდა მისი ალმანახისადმი. ჩანს, ზეპარ „რეცენზიებსაც“ საკმაოდ  
უხვად ეცნობოდა იგი. შეიტყო, ალბათ ისიც, თუ ვინ და რით იყო  
უკმაყოფილო. დავას, ცხადია, უფრო მის კრიტიკულ სტატიაში  
(„შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალელება“) გამოთქ-  
მული შესედულებები იწვევდნენ. ამიტომაც მან „ალმანახის“ მეო-  
რე ტომისათვის საგანგებოდ მოამზადა სტატია „ენსლანდელი ქარ-  
თული ეურნალ-გაზეთების მიმართულება“, რომელშიც შეეცადა  
კვლავ. და უფრო ღრმად, შეხებოდა მის მიერ ადრე დასმულ პრინ-  
ციპული ხასიათის საკითხებს.

გ. თუმანიშვილი თავის სტატიას კვლავ იმაზე მითითებით იწ-  
ყებს, რომ ქართული ეურნალ-გაზეთების მდგომარეობა საკმაოდ  
შეიცვალა, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ცვლილება, ანდა რა პერს-  
პექტივა აქვს მას, ამის თაობაზე არავინ არაფერს წერს. მისი შე-  
ხედულებით, „ეს მოხდა იმიტომ, რომ ყოველ ახალ საქმეს, ცვლი-  
ლებას თან მოჰყავს ახალი კაცები. ქართულ მწერლობაში კი ისე

<sup>1</sup> იხ. საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველო-სა-  
ზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ. ელ. აბაშიშვილის რედაქ-  
ციით. 1965, გვ. 156.

წავიდა საქმე, რომ იმის მდგომარეობა თუმცა ძლიერ გამოიცვალა, მაგრამ იმის მედროშენი კი ისევ ისინი დარჩნენ, რომელნიც იყვნენ“. როგორც თვითონ ამბობს, მას მხედველობაში ჰყავს იმ თაობის წარმომადგენლები (ი. ჰავკავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ა. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ.), რომლებიც ათიოხუთმეტობადე წლის წინათ გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე.

კ. თუმანიშვილის შეხედულებით, ახალი ვითარება მოითხოვდა მოღვაწეთა ახალ თაობას, ანდა წინა თაობის წარმომადგენელთა ახლებურ მოღვაწეობას, მაგრამ ეს კანონზომიერება არ განხორციელდა, რაც აშკარად დაეტყო ჩვენი მწერლობის ვითარებას, განსაკუთრებით 1875 წლიდან.

კრიტიკოსი, ცხადია, არ უარყოფს სამოციანელთა დიდ დამსახურებას. „ჩვენს საზოგადოებაში, — ამბობს ის, — შემოვიდა ახალი თაობა ახალი აზრით, ახალი სწავლით. ის გვიქადაგებდა გლეხების განთავისუფლებას, დაბალი ხალხის განათლებას, ჩქარ და სწორ სამართალს და სხვ.“. მაგრამ ის ქურნალ-გაზეთები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ („საქართველოს მოამბე“, ადრინდელი „დროება“, „კრებული“, „მნათობი“), „იყო ქადაგება და მხოლოდ ქადაგება“. „აიღებდით ლექსს, — განაგრძობს გ. თუმანიშვილი, — ის თქვენ არ დაგატყობდათ მუსიკალური რითმებით ან ბუნების აღწერით. არა, იმას სხვა მიზანი ჰქონდა. წავიდოდა, ავლიდა, ივლიდა და ბოლოს მაინც ან გლეხის თავისუფლებაზე დაგუგუნებდა ან ხალხის სიყვარულზე და განათლებაზე. აიღებდით მოთხრობას, რომანს, თქვენ ვერ იპოვიდით იქ საყვარლების დაწვრილებით ამბავს, იმათ ტანჯვას და სიტყბოებას; ვერ იპოვიდით იქ ვერც ლამაზ სურათებს. მთელი მოთხრობა დაწერილი იყო ხოლმე ან ჩვენებური ბატონების და ვაჟრების გასაკიცხავად, ან მუშა კაცის სანუგეშებლად“. იგივე ითქმის, მისი შეხედულებით, იმდროინდელ ქართულ პრესაზე საერთოდ; გაზეთის უკანასკნელი გვერდიც კი სხვადასხვა დარიგებებს ეკირა და არა გასართობ ან საცნობარო მასალას. „მაშინ იწერებოდა უეჭველად სტატია და არა პატარა შენიშვნა, მოთხრობა და არა უმნიშვნელო ფოტოგრაფიული სცენა, თვითური და წლიური „მიმოხილვა“ და არა „დღიური“.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, სამოციანელთა ამგვარი მოღვაწეობა გამართლებული იყო არსებული ვითარებით და პასუხობ-

და მის მოთხოვნებს. ამიტომ მას შედეგიც ჰქონდა. მაგრამ 1875 წლიდან სურათი შეიცვალა: ჟურნალები დაიხურა, „დროებამ“ კი გააოსვლა დაიწყო კვირაში სამჯერ, მაგრამ უკვე მცირე ფორმატით, თანაც მის ფურცლებზე სტატიათა ადგილი წერილმანმა ამბებმა დაიჭრა. აქედან მოყოლებული, იგი აღარ არის „საზოგადოების წინაძღოლი, იმის წინასწარმეტყველი, ახალი გზის განმათებელი; ის შეურიგდა საზოგადოებას და ჰკითხა: „რა მოგართვაო?“. ამის შემდეგ იგი ცდილობს „დააკმაყოფილოს იმათი დღიური მოთხოვნა“.

ერთი სიტყვით, დაასკვნის გ. თუმანიშვილი, რუსული და ევროპული ბევრი გაზეთის მსგავსად, „დროებამაც“ მიზნად დაისახა ახალი ამბებისა და გასართობი ანდაზების გავრცელება და მათი საშუალებით მკითხველის დაკმაყოფილება. მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა „ივერია“, რომელმაც გამოსვლა დაიწყო 1877 წელს და რომელსაც რედაქტორობდა „საქართველოს მოამბის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, მაგრამ მისი ძველებური კილო და ქადაგება, თანაც დაწერილი მძიმე ენით, გაუგებარი აღმოჩნდა. ამის გამო ის იძულებული გახდა დაეწყო მარტივად და გასაგებად ლაპარაკი. მაგრამ „აღმოჩნდა, რომ „ივერიას“ არ შეუძლიან ახალი, ცოცხალი აზრის თქმა, რომ ის იმეორებს თავის ძველ „მრწამსს“ დუნეთ, რომ ის დაუმოყვრდა უნიჭო მწერლებს, რომლებიც „ლეკავენ“ საანბანო კეშმარიტებებს“.

ამის შემდეგ, გ. თუმანიშვილის თქმით, „ივერიაც“ „დროების“ გზას დაადგა და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რასაც მათი განსხვავებული პერიოდულობა განაპირობებს. მაგრამ ვინაიდან „ივერია“ მომავალში ჟურნალად გამოვა, თუ მან მთლიანად არ შეიცვალა თავისი ხასიათი, „დროებაზე“ გაცილებით უარესი გახდება; თავის „გადარჩენას“ იგი შეეცდება მხოლოდ გასართობი და პირუტყველი გრძნობების გასაღვიძებლად დაწერილი რომანების ბეჭდვით, მაგრამ იმედია, — დასძენს კრიტიკოსი, — „ივერია“ „ცისკრობას“ არასდროს არ იქმს და არც იხმარს ამ გამრყენელ ღონისძიებებსო“.

გ. თუმანიშვილი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ, მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, ქართული ჟურნალ-გაზეთები მაინც არ დაცემულან რუსული და ევროპული ბევრი გამოცემის

დონემდე. „მართალია, — ამბობს ის, — ქართული ჟურნალ-გაზე-  
თობა აღარ კისრულობს თავის ძველ როლს სამშობლოს მასწავ-  
ლებლისა და წინასწარმეტყველისა, მაგრამ არც მთლად ურაც-  
დება თავის ახალ მკითხველს და ხშირად ჩუმად არის, როცა ჩვენი  
ვითომ განათლებული საზოგადოება აღელვებულა რამე ახალი ამ-  
ბით, ...ქართულმა ჟურნალ-გაზეთობამ ირჩია უფერულობა, რომე-  
ლიც. რასაკვირველია, ბევრად სჯობია ჰრელ საექვო ფეროვნებას  
ევროპულ გაზეთებისას, და ბევრად დაუვარდება ადრინდელ ჟურ-  
ნალ-გაზეთების ქადაგებას“.

ერთი სიტყვით, გ. თუმანიშვილი იმ შეხედულებისაა, რომ დრო  
გამოიცვალა, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა კი ვეღარ პასუხობს თანა-  
მედროვე ცხოვრების მოთხოვნებს, იგი არა თუ ვერ წარმართავს  
საზოგადოებრივ აზრს, არამედ უკან მიჩანჩალებს მას. უკანასკნე-  
ლი წლების ქართული პრესით მკითხველი ვეღარ ეცნობა იმ სახელ-  
მძღვანელო აზრს, რომელსაც ადრე იძენდა მისი საშუალებით;  
საპროგრამო და განზოგადებული იდეების ნაცვლად ჩვენი პუბლი-  
ცისტები კონკრეტული შემთხვევებისა და ყოველდღიური ამბების  
აღწერით კმაყოფილდებიან. რაც მთავარია, ქართული მხატვრული  
ლიტერატურა ვეღარ ასრულებს საზოგადოებრივი აზრის წამმართ-  
ველის როლს; ჩვენი ცნობილი მწერლები ან საყოველთაოდ აღიარ-  
ებული ჰეშმარიტების განმეორებით კმაყოფილდებიან, ანდა პუბ-  
ლიცისტის კალამს ირჩევენ.

ამგვარი შეხედულების ნათელსაყოფად გ. თუმანიშვილი პარა-  
ლელს ავლებს ილიასა და აკაკის წინანდელ და ბოლოდროინდელ  
შემოქმედებით მოღვაწეობას შორის. მისი თქმით, მწერალი, რომ-  
ელმაც ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა თხუთმეტეოდე  
წლის წინათ, ილია ჰვაკვაძე იყო. მისი მაგივრობა არც უკანასკნე-  
ლი სამი-ოთხი წლის მანძილზე უკისრია ვინმეს, კვლავ იგი მოქმე-  
დებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე, „თუმც იმას მეათედი  
გავლენა არა აქვს, რაც ადრე ჰქონდა“. ამის მიზეზი კი თვით მისი  
შემოქმედების ხასიათში უნდა ვეძიოთ.

„აიღეთ გინდ „მუშა“ და „პოეტი“, რომელნიც იყვნენ დაბეჭ-  
დილნი „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში, — წერს გ. თუ-  
მანიშვილი, — და ისე ძლიერ მოსწონდნენ უკეთეს ახალგაზრდო-

ბას, რომ იზეპირებდა კიდევ მათ. შეადარეთ ეხლა ეს ლექსები შარ-  
შანდელ პოემას, იგივე პოეტისა, „დიმიტრი თავდადებული“, რომე-  
ლიც მოიწონა ერთმა, ორმა მწერალმა, წაიკითხეს „ივერიის“ მკი-  
თხველებმა და ჩქარა დაივიწყეს. ზოგმა წაიბუტბუტა: „კავკავაძეს  
აღარ აქვსო ძველებური პოეტური ნიჭი“ და ამით გათავდა ის  
შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა თავის წამკითხველებზე  
ი. კავკავაძის ახალმა ლექსმა“.

პოემა „დიმიტრი თავდადებული“ ქართული ლიტერატურის  
მცირე მნიშვნელობის შენაძენი როდი იყო. თავის მხატვრული ფორ-  
მითა და იდეური მრწამსით მან სერიოზული როლი შეასრულა ქარ-  
თული პოეტური ეპოსის განვითარებაში. ამის უარყოფას არც  
კრიტიკოსი ცდილობს. მისი თქმით, „დიმიტრი თავდადებული“ და-  
წერილია უფრო მსუბუქი ლექსით და ცოცხალი ხალხური ენით,  
ვინემ „მუშა“ და „პოეტი“. მართალია, თქვენ შეგიძლიათ მითხ-  
რათ, რომ ის არ არის მდიდარი ნამდვილი პოეზიით... მაგრამ ვერც  
ეს შენიშვნა აგვიხსნის რასმეს, რადგან ალ. კავკავაძის ლექსს აღ-  
რეც ნეკრასოვის ლექსის ხმა ჰქონდა დავარდნილი“. მაშ რატომ  
უნდა მივცეთ უპირატესობა მის იმ ლექსებს, რომლებიც სამოციან  
წლებში დაიწერა? რა იყო მათი ღირსება და უპირატესობა? ამ კი-  
თხვეებზე გ. თუმანიშვილი სავსებით გარკვეულ პასუხს გვაძლევს.  
მათა დიდი ღირსება და მნიშვნელობა, ამბობს ია. იმანში მდგომარე-  
ობს, რომ „ისინი უპასუხებდნენ იმ კითხვებზე, რომელნიც დღე  
და დამ მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენ განათლებულებს. ჩვენ  
ვპოულობდით ამ ლექსებში ახალ გრძნობას, ახალ აზრებს“.

გ. თუმანიშვილი სამართლიანად გასაზრავს „მუშის“ აქტუალობა-  
სამოციანი წლებისათვის, როცა ადამიანის მიერ ადამიანის უმო-  
წყალო ჩაგვრის ისეთი ფორმა, როგორც ბატონყმობაა, ჯერ კიდევ  
ძალაში იყო; „დაცინვა ამ უგულო ბატონობაზე და ტირილი „მუშა  
კაცის“ უბედურებაზე ახალი რამ იყო ჩვენს მწერლობაშიო“, დას-  
ძენს იგი. ასევე საინტერესო და აქტუალური იყო, კრიტიკოსის  
შეხედულებით, „პოეტის“ იდეური აზრიც. მანამდე „თითქმის მთე-  
ლი ქართული პოეზია ჩაყლაპული იყო „ვარდ ბუღბუღის“, „წალ-  
კოტისა და იადონის“, „არშიყთ კიკჭიკის“ სიმღერებით. არავის არ  
აგონდებოდა რომ პოეტი უნდა იყოს ხალხის შვილი და იმისთვის



სულდგმულობდეს“. და აი. ასეთ დროს „ი. კავკავაძის „პოეტმა“ გვითხრა ახალი სიტყვა, კაცთმოყვარეობით საესე. მქებელი ჭმობისა და თანასწორობისა“.

ახალგაზრდა კრიტიკოსის მიერ ილ. კავკავაძის „მუშისა“ და „პოეტის“ ამგვარი შეფასება, ცხადია, მსოლოდ მოწონებას იმსახურებს: მას სწორად და ალლოიანად აქვს შემეცნებული ამ ლექსების მნიშვნელობა. მაგრამ ყოველივე ამის ხაზგასმა მას სკორღება იმისათვის, რომ იდეის სიახლისა და აქტუალობით საპირისპირო პოლუსზე დააყენოს „დიმიტრი თავდადებული“. ამ პოემაში, მისი აზრით, მწერალს არ დაუსვამს რაიმე ახალი პრობლემა. მართალია. იგი გვინერგავს კეთილშობილ გრძნობას „თავგანწირვით გიყვარდეს სამშობლო“, მაგრამ „ამგვარ უეკვო კეშმარიტებაზე სიმღერა ახლა. როდესაც თავში გვერევა ათასი ძნელი გადასაწყვეტი საგანი, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფრით გვეკაშნიკება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასჯერ და ათასჯერ მეტი ზემოქმედება ექნებოდა ჩვენზე ილ. კავკავაძის პოემას. თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზრდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუქებული კაცის ტანჯვა ერთი ლუქმა პურის შოვნაზე. აბა ერთი დაეხატა, სწორედ ილ. კავკავაძეს, რამდენჯერ ექნება ხოლმე რალახში ჩაეჩუტება, რამდენჯერ ივიწყებს ხოლმე ის თავის წმინდა გრძნობას. რომ შიმშილით არ მოკვდეს... რა ადვილია ჩვენებური გლეხის დაქცევა და დანელება და მაშინ დარწმუნებული იყავით. ილ. კავკავაძის ახალ პოემას ისევე დიდი გავლენა ექნებოდა ჩვენში, როგორც ჰქონდა იმის „მუშას“ და „პოეტს“, ან ნეკრასოვის „ფიქრები სადარბაზო შესასვლელთან“, ან ჰიუგოს „Les châtiments“.

როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილი პოემა „დიმიტრი თავდადებულს“ არ მიიჩნევს არც სუსტ მხატვრულ ნაწარმოებად და არც უმნიშვნელო, ან ნაკლებად კეთილშობილური იდეის შემცველ თხზულებად<sup>1</sup>. მაგრამ იგი ილია კავკავაძისაგან, და სწორედ ილია კავკავაძისაგან, მოითხოვდა ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც პასუხს გასცემდნენ იმ დროის უფრო საჭირობოროტო კითხ-

<sup>1</sup> ამ მხრივ მისი შეხედულება განსხვავდება ალ. სარაჯიშვილის შეხედულებისაგან. რომელიც მან გამოთქვა „დიმიტრი თავდადებულს“ შესახებ („დროება“, 1879, №31, 34).

ვებზე. ამ გარემოებას, ჩანს, თვით ილია ჭავჭავაძეც გრძნობდა და მალე მკითხველს კიდევ მიაწოდა სოციალური უსამართლობის ამსახველი ისეთი მაღალმხატვრული და ფსიქოლოგიური შინაარსის მოთხრობა. როგორცაა „სარჩობელაზე“.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი გარემოებაც. ილია ჭავჭავაძის ლექსს ზოგნი და, როგორც ვნახეთ, მათ შორის გ. თუმანიშვილიც, არ მიიჩნევდნენ მაღალმხატვრული პოეზიის ნიმუშად. მათი აზრით, ილია ჭავჭავაძის ლირიკულ ქმნილებებს თითქოს აკლდა პოეტური მადლი, მუსიკალური ჟღერადობა და მელოდიურობა. რითმის დახვეწილობა და ა. შ. იმდროისათვის საკმაოდ გავრცელებული ეს აზრი დღევანდელი ლიტერატურათმცოდნეობისათვის არცთუ მისაღებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძემ ფორმაც შესატყვისი შეურჩია თავის ლექსებს. უფრო სწორად, ახალი შინაარსის შემცველი ლექსებისათვის მოძებნა შესაფერისი ფორმა, რომელმაც კარგად შეასრულა თავისი დანიშნულება და გაბატონდა კიდევ შემდგომი პერიოდის ჩვენს მწერლობაში. ამიტომაც, რომ „პოეტის“, „მუშის“, „მესმის, მესმის“, „ჩემო კალამოს“, „პარიზის კომუნის“ და სხვათა ავტორს დღევანდელი მკითხველი პოეტური მადლით სიღარიბეს ვერ უსაყვედურებს. ილია, ამ მხრივაც, ნოვატორი იყო, რის გამო, გარკვეული დროის მანძილზე, საჭირო გახდა მკითხველის სმენა შეჩვეოდა მისი ლექსის ახლებურ ჟღერადობას.

ანალოგიურ სურათს ხედავს გ. თუმანიშვილი აკ. წერეთლის შემოქმედებით ევოლუციისაშიც, თუმცა განსხვავებასაც არ უარყოფს. მისი თქმით, „ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში აკ. წერეთელი თავდაპირველად უფრო უმნიშვნელო როლს ასრულებდა, ვინემ ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ეს გამოწვეული იყო არა მისი პოეტური ნიჭის სისუსტით, არამედ იმით, რომ იგი დაშორებული იყო იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებმაც განიცადეს რევოლუციონურ-დემოკრატიული პრესის, კერძოდ, „სოვრემენიკის“, გავლენა. მაგრამ მთლიანად არც მას ასცდენია ეს გავლენა და მის „მუშურს“ ილ. ჭავჭავაძის ლექსებზე ნაკლებად არ მოჰყავდა ალტაცებაში ჩვენი დაწინაურებული საზოგადოება იმიტომ, რომ ამ „მუშურში“ გამოითქმოდა იგივე სატირა, იგივე რჯული, რომლის მომტანნი იყვნენ

რუსეთში ნეკრასოვი, დობროლიუბოვი და იმათი ამხანაგები და ჩვენში — ილ. ჭავჭავაძე“.

გ. თუმანიშვილის ეს შეხედულება აკ. წერეთელსა და მისი „მუშურის“ შესახებ, ძირითადად, გასაზიარებელია. აკაკის ადრინდელ ლექსებს მართლაც აკლიათ სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მიმართული ის პათოსი, რომელიც წამყვანი იყო ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის. სწორად აქვს კრიტიკოსს შენიშნული ისიც, რომ „მუშური“, ამ მხრივ, ერთგვარი გარდატეხის მჩვენებელია. საგულისხმოა ისიც, რომ გ. თუმანიშვილმა ყურადღება გამახვილა ნეკრასოვისა და დობროლიუბოვის პოეზიასთან ქართულ სამოციანელთა შემოქმედებით ნათესაობაზე, რაც შემდგომში კიდევ უფრო საფუძვლიანად იქნა დასაბუთებული ჩვენს კრიტიკაში.

მაგრამ „მუშურის“ ავტორი, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, 70-იანი წლების მეორე ნახევარში კვლავ გვერდს უვლის ცხოვრებას დღის წესრიგში მდგომ მწვავე საკითხებს და თავის პოეზიაში ყურადღებას ამახვილებს ყველასათვის ცნობილ ჭეშმარიტებაზე — ძველ ქართველთა განთქმული გმირობისა და ძმობის, თავისუფლებისა და პატრიოტიზმის მნიშვნელობაზე. ამის დამადასტურებლად მიაჩნია მას პოემა „ორი ქართველი“ და „სხვა და სხვა ერი“, რომელთა დახასიათების შემდეგ კრიტიკოსი დაასკვნის: „ამგვარ ადამის-ყამის ძველი ჭეშმარიტებების დამტკიცება ვერ დააყრიდა ხეირს ვერც პოეტს აკ. წერეთელზე უფრო ნიჭიანს. იმათთვის წერა მოუხდება მხოლოდ გენიოსს; მხოლოდ იმას შეუძლიან გამოსძებნოს უეჭვო ჭეშმარიტებაში ახალი, ჯერ არნახული სხვებისაგან კუთხეები და გამოგვიხატოს ესენი ახალფეროვან წამლებით“.

გ. თუმანიშვილმა სათანადოდ ვერ შეაფასა ვერც ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის“ და ვერც აკაკის „ორი ქართველის“ იდეური აზრის მნიშვნელობა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. მან სათანადოდ ვერ შეიცნო ის აუცილებლობა, რომელიც ცნობილ ჭეშმარიტებათა განმეორებას განაპირობებდა. იგი ყოველთვის ვერ ახერხებს მთელი სიღრმით ჩაწვდეს ქართული მწერლობის ძირითადი დანიშნულების არსს, ეროვნული მოტივის ხასიათსა და აუცილებლობას. გ. თუმანიშვილი ზოგჯერ ქართულ მწერლობას განიხილავს და აფასებს რუსული და ევ-

როპული მწერლობის წინაშე მდგომი ამოცანების შექმნე და ნაკლებად ხედავს მის თავისებურებას.

ერთი სიტყვით, სამართლიანად მიგვაჩნია გ. თუმანიშვილის საყვედური ჩვენი ცნობილი მწერლებისადმი (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი) სოციალური პრობლემატიკით ნაკლებად დაინტერესების გამო 70-იან წლებში, მაგრამ სრულებით ვერ გავიზიარებთ მის შეხედულებას ეროვნულ მოტივზე დაწერილ მათ თხზულებათა შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი საერთოდ სწორად ვერ აუხსებს აკაკი წერეთლის პოეტურ შესაძლებლობასაც და მოურიდებლად მსჯელობს მასზე.

მიზნად აქვს რა გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართული პრესის მიმართულებისა და ხასიათის გარკვევა, გ. თუმანიშვილი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის იმ გარემოებასაც, რომ ჩვენი უფრონალ-გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა ისეთი მხატვრული ნაწარმოებებიც, რომლებიც პასუხობდნენ ცხოვრების უშუალო მოახლოვნებს. ასეთები იყო, მისი აზრით, 1878 წელს „დროებაში“ დაბეჭდილი აკ. წერეთლის „თვლების ახილვა“ და ბავრელის (სოლომონ ასლანოვის — ზ. გ.) „ზამთარი“ და „არტაქსანიდამ წერილი“, „ივერაში“ გამოქვეყნებული ზოგაერთი „პოლიტიკური მიმოხილვა“ და სხვ.

უდავოდ საინტერესო და პუბლიცისტური სიმახვილით დაწერილი აკ. წერეთლის ლექსი და სხვათა დასახელებული სტატიები, პირველყოვლისა, წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელ სოციალურ გარემოზე. ამიტომაც გ. თუმანიშვილი მათ საგანგებოდ გამოჰყოფს. თანაც იგი მოელის მკითხველის შეკითხვას: მაგრამ რა ახალი აღწერებია გამოთქმული მათში? ამიტომ იძულებულია განმარტოს თავისი პოზიციის ხასიათი. მისი თქმით, ყოველი ძველად თქმული კუშმარტება ახლად ითვლება, თუკი მას ჯერ კიდევ ვერ შერიგებია ხალხი. მაგრამ კრიტიკოსს ავიწყდება, რომ მკითხველს უდავოდ დაეხადებოდა მეორე კითხვა: რატომ ასეთსავე პოზიციასზე არ დგას იგი „დიმიტრი თავდადებულის“, „ორი ქართველის“ და სხვათა შეფასებისას? ეროვნულ-პატრიოტული პათოსით შთაგონებულ ამ ნაწარმოებებს განა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელ ჩვენი საზოგადოებრივი აზრისათვის?

ძნელი მისახვედრი არაა, რომ გ. თუმანიშვილის ამ სტატიას სა-

თანადო გამოცხადი უნდა მოჰყოლოდა. შეუძლებელი იყო მისთვის გვერდი აევლო ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეებს. როგორცაც უშუალოდ ეხებოდა იგი. მართლაც, „ალმანახის“ მეორე ტომის გამოსვლისთანავე, მას გამოეხმაურა „დროება“, „ივერია“, „ობზორი“ და „კავკაზი“.

გაზეთ „დროებაში“<sup>1</sup> დაიბეჭდა ალ. სარაჯიშვილის რეცენზია, რომელშიც. ძირითადად, დადებითი შეფასება აქვს მიცემული გ. თუმანიშვილის მიერ გაწეულ მუშაობას. მაგრამ რედაქტორმა ს. მესხმა საჭიროდ ჩათვალა მწვავე შენიშვნა გაეკეთებინა აღნიშნული წერილისათვის. „ჩვენ, — წერს ის, — ვერ ვეთანხმებით ჩვენს პატივცემულ თანამშრომელს ამ სტატიის თაობაზედ გამოთქმულს აზრში; სტატია „ეხლანდელი ქართ. ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“, ჩვენი აზრით, კრიტიკა კი არ არის. არამედ, უკაცრავად ავტორთან, ბავშვური ტიტინია ერთმანეთის მოწინააღმდეგე ფრაზებისა და უმწიფარი მსჯელობა ისეთ საგანზე. რომელიც ავტორს არ შეუსწავლია!“

იყო სხვა აზრიც. პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა ალ. ჭყონიამ „დროების“ ფურცლებზევე დაბეჭდა სტატია („ორიოდე სიტყვა უფ. გ. თუმანიშვილს“)<sup>2</sup>, რომელშიც ის იზიარებს გ. თუმანიშვილის მიერ გამოთქმულ ყველა სადაო დებულებას.

ასევე საყურადღებოა ნ. ნიკოლაძის შეხედულება საერთოდ „ალმანახის“ და კერძოდ გ. თუმანიშვილის პრობლემური სტატიების შესახებ, ვინაიდან მასში ახალგაზრდა პუბლიცისტის მოღვაწეობას საკმაოდ მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული<sup>3</sup>.

მან, მართალია, დაიწუნა „ალმანახში“ შეტანილი თარგმანები. მაგრამ ძალიან მოიწონა აკ. წერეთლის იუმორისტული მოთხრობა „კრიკ და ხშირ“! მსჯელობის მთავარ საგნად კი. ცხადია, გ. თუმანიშვილის სტატია გახდა.

ნ. ნიკოლაძე ძირითადად დაეთანხმა სტატიის ავტორს ქართული ჟურნალისტიკის ბოლოდროინდელი ვითარების შეფასებაში, მაგრამ

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1879, №№ 21, 23, 29.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1879, № 33.

<sup>3</sup> იქვე.

განსხვავებულად ახსნა მისი განმაპირობებელი მიზეზები<sup>1</sup>. ამას-  
თან ერთად, „დროების“ რედაქტორს მან უსაყვედურა ახალგაზრდა  
კრიტიკოსის სტატიაზე გამოთქმული მწვავე შენიშვნების გამო.

„ალმანახის“ გამოსვლა სასიამოვნო მოვლენად მიიჩნია „კავ-  
კაზის“ რეცენზენტმა მ. წერეთელმა<sup>2</sup>.

თავისი შეხედულება გამოთქვა „ივერიამაც“, რომელმაც დაბეჭ-  
და ნ. დავითაშვილის (ნ. ქანანოვის) სტატია „ფიქრი და შენიშვნა“<sup>3</sup>  
და ილ. ჭავჭავაძის „სხარტულა“<sup>4</sup>.

ნ. დავითაშვილმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა გ. თუმანიშვი-  
ლის „ალმანახი“, არ მოიწონა მისი არც ლიტერატურული და არც  
პუბლიცისტური ნაწილი. მკაცრად დაესხა თავს თვით გ. თუმანი-  
შვილს ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის მნიშვნელობის  
გაზვიადებისა და „ალმანახში“ ისეთი თარგმნილი თხზულებების  
შეტანისათვის, როგორც იყო ოფენბახის „მშვენიერი ელენე“.

თავის აზრის გამოსათქმელად კალამი აიღო ილ. ჭავჭავაძემაც  
და „ალმანახის“ შემდგენელს ნაცადი იარაღით — „სხარტულით“  
გაუმასპინძლდა. მაგრამ მართო გ. თუმანიშვილს? არა! ყველა მათ,  
ვინც ოდნავ მაინც მოიწონა „ალმანახი“ და მასში მოთავსებული  
პასალა.

ილ. ჭავჭავაძის „სხარტულა“ პუბლიცისტური ოსტატობის უკმ-  
მარიტი შედეგია, რომლითაც ავტორმა უაღრესად შთამბეჭდავად  
თქვა თავისი სათქმელი. იგი დაუნდობლად გაუმასპინძლდა გ. თუ-  
მანიშვილს იმ შენიშვნებისათვის, რომელიც მან ფაქტიურად ი. ჭავ-  
ჭავაძის და „ივერიის“ მისამართით გააკეთა. დიდმა მწერალმა არ

---

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილმა ამოიკითხა ნ. ნიკოლაძის სტატიის ქვეტექსტიც და  
იგრძნო, რომ რეცენზენტს არც იგი დაუნდვია. ამიტომაც, რომ თავის ქმას, ვა-  
ნოლს, 1879 წლის 31 იანვარს წერს: „წერილთან ერთად გივზავნი ჩემს ფეცს  
ქმნილება კრიტიკოსების ნიკოლაძის, მესხის და სარაჭევის გამობნაულებით.  
პირველი ორი მიბრუნდებიან. რადგან ჩემს კრიტიკულ წერილში მე მათ ეუმ-  
ღერე ძე profumilis. (ოღო უკანასკნელმა, როგორც ჩემი თაობის წარმომად-  
გენელმა, სწორად გამოგო და დამლოცა“ (იხ. საარქივო მასალები..., ელ. აბრამი-  
შვილის რედაქციით, 1965, გვ. 161).

<sup>2</sup> გაზ. „კავკაზი“, 1879, № 38.

<sup>3</sup> ეურნ. „ივერია“, 1879, №№ 1, 2.

<sup>4</sup> ეურნ. „ივერია“, 1879, № 2.

გაიზიარა შეხედულებები „ივერიის“ ენის არქაულობაზე და მკაცრად ამხილა თვით გ. თუმანიშვილი ქართული ენის სუსტ ცოდნაში. კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით უარყო მან გ. თუმანიშვილის ის ბრალდება, რომელიც ქართული მწერლობის თითქოსდა არააქტუალური პრობლემებით გატაცებას შეეხებოდა. ი. ჭავჭავაძემ აშკარა გახადა გ. თუმანიშვილის არალოგიურობა ქართულ ლიტერატურაში პატრიოტული მოტივის განსაკუთრებული მნიშვნელობის შეუფასებლობის გამოც. „ალმანახის“ შემდგენელს. ცხადია, არც „მშვენიერი ელენეს“ თარგმნა მოუწონა და არც ბავრელის მსგავს პუბლიცისტთა შექება; ყველასათვის თვალსაჩინოდ აჩვენა ახალგაზრდა ლიტერატორის მსჯელობის წინააღმდეგობრივი ხასიათიც.

ი. ჭავჭავაძის „სხარტულამ“ გ. თუმანიშვილი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. პასუხის გაუცემლობა შეუძლებელი იყო, მაგრამ პასუხიც დიდ წინდახედულებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდებოდა<sup>1</sup>. ყოველივე ეს უსათუოდ გაითვალისწინა გ. თუმანიშვილმა, როდესაც „დროების“ ფურცლებზე გამოაქვეყნა „ორიოდე სიტყვა სტატიებზე: „ფიჭრი და შენიშვნა“ და „სხარტულა“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილმა თავის პასუხში აშკარად გვერდი აუარა თავის იმ მთავარ დებულებებს, რომლებიც ი. ჭავჭავაძემ უარყო. ამის საბუთად კი ის მოიტანა, რომ თითქოს მსჯელობად არ ღირდა ოპონენტის საწინააღმდეგო არგუმენტები. ეს, რა თქმა უნდა. იძულებითი სიფრთხილე იყო. ილიას ის შეხედულებები, რომლებსაც მან გვერდი აუარა, საეცებით დასაბუთებულნი იყო და მათ წინააღმდეგ გალაშქრება კიდევ მეტ შეცდომებს გამოიწვევდა. ამიტომაც, გ. თუმანიშვილმა ი. ჭავჭავაძეს პასუხი გასცა ძირითადად იმ შენიშვნებზე, რომლებიც გამოწვეული იყო „სხარტულას“ ავტორის მიერ „ალმანახის“ „შეცდომათა გასწორების“ შეუძინელობით.

<sup>1</sup> თავის ძმას, ვასილს. 1879 წლის 16 მარტს. გ. თუმანიშვილი ატყობინებს: „ივერიის“ შელაიულმა თავმოყვარეობამ კი გამოამხეურა ორი დიდი წერილი (ერთი — კანანოვისა, მეორე — ი. ჭავჭავაძის), სადაც ცდილობენ დააბტაცონ ჩემი კრიტიკული წერილის დებულების წინააღმდეგობრიობა და სასაყლოე აიგდონ ჩემი არცოდნა ქართული ენისა“ (იხ. საარჩევო მასალები... ელ. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 162).

<sup>2</sup> გაზ. „დროება“. 1879, № 57.

რაც შეეხება ნ. დავითაშვილის (ნ. ქანანოვის) შენიშვნებს, მათი უმეტესობა გ. თუმანიშვილისათვის მართლაც ადვილად უარსაყოფნი აღმოჩნდნენ. გ. თუმანიშვილმა ნ. დავითაშვილს, ცხადია, დაუმტკიცა, რომ ნ. ნიკოლაძეს 1876—1877 წლებში საკმაოდ ბევრი და საინტერესო სტატიები ჰქონდა გამოქვეყნებული გაზეთ „დროებაში“; რომ სხვადასხვა ცნებებია „საკუთარი კორესპონდენტი“ და „კორესპონდენტი“; რომ მას მხოლოდ ჩინოვნიკთა შესახებ წერილათვის არ მოუწოდებია მწერლობისათვის და სხვ.

ამგვარად, გ. თუმანიშვილის საპასუხო სტატიას („ორიოდე სიტყვა“) აკლია დამაჯერებლობა; თუმცა არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ იმ მდგომარეობაში, რომელშიც გ. თუმანიშვილი აღმოჩნდა ილ. ჰავკავაძის „სხარტულას“ წყალობით, მან მაინც უკეთესი გამოსავალი მოძებნა: მოკრძალებული პასუხი გასცა მხოლოდ იმ შენიშვნებს, რომელთა შესახებ მართლაც ეთქმოდა.

\* \* \*

არ გასულა დიდი ხანი და გ. თუმანიშვილი კვლავ პოლემიკაში ჩაბმული აღმოჩნდა. ამჯერად პოლემიკის საბაბი გახდა გაზეთ „დროებას“ 1880 წლის 26 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი ხელმოუწერელი წერილი „ქართული წარმოდგენა 24 ოქტომბერს“<sup>1</sup>.

წერილის ავტორი, ეხება რა რ. ერისთავის „ადვოკატების“ წარმოდგენას, შენიშნავს: „ამბობენ, ავტორმა ეს პიესა გავლილ ზამ-

---

<sup>1</sup> აღნიშნული წერილის ავტორი უნდა იყოს თვით რედაქტორი ს. მესხი. ეს ჩანს როგორც წერილის ენიდან და სტილიდან, ასევე — შინაარსიდან. კერძოდ. ერთგან ავტორი წერს: „აქ. წერეთელი ორჯერ-სამჯერ წაბოძიკდა თავის მშვენიერ ახალ ლექსის კითხვის დროს (რომელიც დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება)“...

ამგვარი ფრაზა („დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება“) შეეძლო, პირველ ყოვლისა, დაეწერა მხოლოდ რედაქტორს, რომელიც გაზეთის ნომრის კურსში იყო. ამასთან ერთად, საპასუხო წერილს გ. თუმანიშვილი იწყებს ასე: „ბატონო რედაქტორო, კვირის ნომერში საყვედურს უცხადებთ ქართულ თეატრალურ ამსანაგობას, რატომ „ადვოკატები“ რაფ. ერისთავის კომედია შარშან წარმოსადგენათ დაიწუნეთ“...

აქედანაც აშკარად ჩანს, რომ გ. თუმანიშვილი წერილის ავტორად თვლის თვით რედაქტორს, რის გამო პირდაპირ მიმართავს: „საყვედურს უცხადებთ“...



თარში პრემიაზე წარუდგინა ჩვენ თეატრალურს კომიტეტსაო, მაგრამ კომიტეტმა დაიწუნაო და არათუ პრემია, წარმოდგენის ღირსიც არ გახადესო. თუ ეს მართალია, მარტო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ იმ კომიტეტში თეატრის საქმისა და სცენურ ხელოვნების მკოდნე პირები არ ყოფილან... პიესა, თუ ზოგიერთ წვრილმან ნაკლოვანებას არ მივაქცევთ ყურადღებას, ჩინებული სასცენო პიესა არის და ავტორის აზრიც — ახლანდელ ადვოკატების დაცინვა — ცოცხლად არის იმაში გამოხატული”<sup>1</sup>.

„ადვოკატების“ ღირსებათა ამგვარი კატეგორიული ტონით შეფასების შემდეგ, ცხადია, შეუძლებელი იყო თავი არ ემართლებინა მას, ვინც იგი დაიწუნა. ასეც მოხდა. გაზეთ „დროების“ მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა გ. თუმანიშვილის „წერილი რედაქტორთან“, რომელშიც ნათქვამია: „რადგან უმთავრესი მიზეზი ამ დაწყებისა მე გახლდით, ამიტომაც ვალათ ვრაცხ პასუხი გავცეთ“.

ყოველგვარი დიპლომატიური მობოდიშების გარეშე, გ. თუმანიშვილი აცხადებს, რომ ჩემი რეჟისორობის დროს ვცდილობდი წარმომედგინა ისეთი პიესები, რომლებსაც მაყურებლის დაფიქრება და აღელვება შეეძლო; სასაცილოსა და სალაზღანდაროს კი ხელს არ ვკიდებდი. ამიტომ, რეპერტუარი შევავსე მხოლოდ კომედიებით, აზრიანი მელოდრამებით და ინტრიგის ვოდევილებით. „პატარა ვოდევილები და ვოდევილური სცენები... წარმოსდგებოდნენ ხოლმე სპექტაკლის ბოლოს მხოლოდ სხვათა შორის... თ. რ. ერისთავის ხსენებული „კომედია“ მე ჩავთვალე „გრძელ ვოდევილურ სცენებათ“. რათა? ამის პასუხს დაწვრილებით მოგახსენებთ, როცა „ადვოკატები“ მეორედ წარმოსდგება (თუ ავტორს არ შეუცვლია). პირველ წარმოდგენაზე მე ვერ დავესწარი და თითონ პიესაც შარშანდელი წაკითხვით მთლად არ მახსოვსო“. გ. თუმანიშვილი არ მალავს, რომ ამ პიესით, როცა იგი პირველად ავტორის წაკითხვით მოისმინა, ძალიან აღფრთოვანებულა და ნამდვილ სასცენო კომედიადაც მიუჩნევია. მაგრამ, იქვე შენიშნავს, „ხელმეორედ რომ ყურადღებით გადავიკითხე, დავრწმუნდი, რომ პირველი ჩემი აზრი შეცდომა იყო და „ადვოკატები“ — გრძელი ვოდევილური სცენ-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1880, № 227.

ნებია. ავტორს ნება ვთხოვე, რომ ზოგიერთი სცენა წარმოდგენილიყო, ავტორმა ნება არ მომცა და პიესა დარჩა წარმოუდგენელი“.

გ. თუმანიშვილის ამგვარმა განცხადებამ იძულებული გახადა კომედიის ავტორი რ. ერისთავი პოლემიკაში ჩაბმულიყო. თავის წერილში („ორგვარი გრძნობის და ორნაირი შეხედულების პატრონი“) <sup>1</sup> მან ჯერ გაკვირვება გამოთქვა: როგორ შეიძლება სხვის მიერ წაკითხული და საკუთარი თვალთ წაკითხული ასე სხვადასხვაგვარად აღიქვას კაცმაო! ხოლო შემდეგ კამათი თეორიულ ასპექტში გადაიტანა; შეეცადა დაემტკიცებინა, რომ გ. თუმანიშვილს ცუდად ესმის დრამატურგიის თეორია და ვერ ერკვევა ისეთი ჟანრების თავისებურებაში, როგორცაა ვოდევილი და მელოდრამა. რ. ერისთავს არ მოსწონს ცნება „გრძელი ვოდევილური სცენები“ და დასძენს: „ვოდევილი, როგორც მე ვუწყვი, არის პიესა, რომელშიაც სიმღერებია ჩართული და არც გრძელი სცენების მქონეა. „ადვოკატებში“ ვერც ერთს სტრიქონსაც ვერ იპოვით სიმღერისას და სცენებიც იმ ზომისანი არიან, რა ზომისაც თვითონ პიესის მოქმედება და მსვლელობა მოითხოვდა. სჩანს აქედან, რომ გ. თუმანიშვილს არ სცოდნია: რა არის ვოდევილი“.

რაც შეეხება მელოდრამას, რ. ერისთავის შეხედულებით, იგი „ისეთი პიესა არის, რომელშიაც სიტყვები და მუზიკა ერთი მეორეს ადგილს უცვლიან... თუმანიშვილის შეხედულებით კი — სულ სხვა ყოფილა“.

რ. ერისთავის მიერ ვოდევილისა და მელოდრამის ამგვარმა განმარტებამ, ცხადია, გ. თუმანიშვილს შესაძლებლობა მისცა პასუხი გაეცა სახელოვანი მწერლისათვის. საქმე იმაშია, რომ რ. ერისთავი ვოდევილსა და მელოდრამას ტერმინთა სემასიოლოგიური შინაარსისა და თავდაპირველი ჟანრობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე განმარტავდა. და ეს მაშინ, როცა იმდროისათვის როგორც ვოდევილს, ასევე მელოდრამას უკვე ახლებური შინაარსი და ფორმა ჰქონდათ მიღებული. ამიტომ იყო, რომ გ. თუმანიშვილმა გაბე-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1880, № 229.

და წერილისათვის მიეცა ირონიული სათაური: „ანბანი ზოგიერთისათვის“<sup>1</sup>.

„ვოდვეილური სცენები ის სცენებია, — წერს გ. თუმანიშვილი, — რომელთაც ვოდვეილური ხასიათი აქვთ: შეუძლიათ სიმღერას მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ უბრალო ხუმრობის მნიშვნელობა კი უნდა უეჭველად ჰქონდეთ. ამიტომ უსაფუძვლოა თ. რაფ. ერისთავის საყვედური: „ჩემს „ადვოკატებში“ სიმღერა არ არის, ვოდვეილური სცენები რათ დაარქვითო“, და იქვე განაგრძობს: „მელოდრამა არის ეფექტებით სავსე დრამა, რომელშიც მუსიკასაც აქვს მონაწილეობა; შეიძლება მუზიკაც არ იყოს“...

გ. თუმანიშვილმა, უნდა ითქვას, მართებულად განმარტა ვოდვეილისა და მელოდრამის ქანრული თავისებურება. ამიტომ მასზე პასუხის გაცემა თითქოს აღარ ღირდა, მაგრამ რაფ. ერისთავმა მაინც საჭიროდ ჩათვალა ეპასუხნა, თანაც საპასუხო წერილს სათაური საკმაოდ გონებამახვილურად შეურჩია: ვინაიდან გ. თუმანიშვილმა თავის წერილს სახელმძღვანელოთა მსგავსი სათაური („ანბანი ზოგიერთისათვის“) მისცა, მანაც საპასუხო წერილს „ბიბლიოგრაფია“ უწოდა. ამ პასუხიდან საინტერესოა ვოდვეილისა და მელოდრამის ავტორისეული განმარტება.

„ანბანის შემდგენელს არა სცოდნია, — წერს რ. ერისთავი, — საიდგან შესდგა სიტყვები: ვოდვეილი და მელოდრამა და არც იმათი მნიშვნელობა. ამისათვის ვურჩევთ მიჰმართოს ლექსიკონებს: ტოლისა და სხვებს, სადაც გაიგებს ამ სიტყვების ახსნის და ან, პირველათ, რის მიზეზით მიეცათ ეს სახელწოდება“.

ამჯერად დიდი პოეტი სწორად მსჯელობს. სახელწოდებები (ვოდვეილი, მელოდრამა) მართლაც მუსიკასთან კავშირზე მიუთითებს და პირველად მართლაც ისე ესმოდათ, როგორც რაფ. ერისთავი განმარტავდა, მაგრამ იმ დროისათვის უკვე ისე იყო გაგებული, როგორც გ. თუმანიშვილმა აღნიშნა.

კვლავ საპასუხო წერილით გამოსვლა გ. თუმანიშვილმა, სრულიად მართებულად, ზედმეტად მიიჩნია.

როგორც ვხედავთ, გასული საუკუნის 70-იან წლებში გ. თუმანი-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1880, № 231.

შეილი საკმაოდ გაბედულად გამოჩნდა ქართული კრიტიკის არენაზე და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო. რაც მთავარია, მას კარგად ჰქონდა შეგნებული ის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენი მწერლობისთვის ჰქონდა კრიტიკას, და, კერძოდ, კრიტიკას გაზეთის ფურცლებიდან. ქართველ ქალთა ნათარგმნ მოთხრობათა კრებულზე დაწერილ რეცენზიაში („მწერლობა“)¹ იგი საგანგებოდ მსჯელობს ამის შესახებ. „მხოლოდ ამ ღონით შეიძლება მკითხველის თვალყურამდე მიაღწიოს ყოველმა ნიჭიერად და კეთილსინდისიერად დაწერილმა წიგნმა და გამოაშკარავდეს სისულელე და უმეცრება იმ წიგნებისა, რომელნიც აძულებენ ქართველს თავის სამშობლო ენას, თავის სამშობლო მწერლობასო“, — დასძენდა იგი. მართალია ამავე წერილში მან ხაზგასმით აღნიშნა ის მძიმე ხვედრი, რომელიც ქართველ კრიტიკოსს თითქმის გარდუვლად ელოდა, მაგრამ წერილის საერთო პათოსი მკითხველს მაინც იმაში არწმუნებდა, რომ გ. თუმანიშვილი კვლავაც განაგრძობდა კრიტიკული სტატიებით მკითხველთან გასაუბრებას.

მოლოდინი არ გამართლდა. გ. თუმანიშვილმა შეწყვიტა კრიტიკული სტატიების წერა, თუმცა მას ჯერ კიდევ არ შეეწყვიტა ქართულ პრესაში თანამშრომლობა. პირიქით, თუ მანამდე მისთვის ღია იყო მხოლოდ „დროების“ რედაქციის კარი, ახლა იგი „ივერიამაც“ მიიწვია. ღიახ, სწორედ მას შემდეგ, რაც მკაცრი კრიტიკული წერილებით გაუმასპინძლდნენ „ივერიის“ რედაქტორი და მისი თანამშრომელი, გ. თუმანიშვილი საყურადღებო პუბლიცისტურ წერილებს სწორედ ამ გაზეთში აქვეყნებს². ეს გარემოება კი აშკარად მეტყველებდა ილ. ჭავჭავაძის დადებით შეხედულებაზე გ. თუმანიშვილის ნიჭისა და შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, გ. თუმანიშვილის თანამშრომლობა ქართულ პრესაში ამის შემდეგ დიდხანს მაინც აღარ გაგრძელებულა. თავისი მოღვაწეობის ასპარეზად მან თბილისური რუსული და ცენტრალური პრესა აირჩია. ამ მხრივ იგი, თუ შეიძლება ითქვას, ნ. ნიკოლაძის გზას გაჰყვა და, ამის შემდეგ ქართულ მწერლობასა და ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას რუს მკითხველს აცნობდა.

¹ გაზ. „დროება“, 1880, № 132.

² ურნ. „ივერია“, 1881, №№ 1, 4, 5, 9; 1883, № 2.

ქართულ პრესაში არცთუ ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე გ. თუმანიშვილმა მაინც ყურადღება მიიქცია როგორც ლიტერატურის კრიტიკოსმა, პუბლიცისტმა და თეატრალურმა კრიტიკოსმა.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას თითქმის ყოველთვის სისუსტეს უსაყვედურებდნენ, მაგრამ ეს საყვედური ყოველთვის როდი იყო გამართლებული. კერძოდ, 70-იან წლებში ქართული ლიტერატურული კრიტიკის მოამაგეთა შორის ვხედავთ ილია ქავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, აკაკი წერეთელს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, სტეფანე ჭრელაშვილს, სერგეი მესხს და სხვ. ასე რომ, მათი მოღვაწეობის ფონზე ახალბედა კრიტიკოსის გამოჩენა და მისი საყოველთაო აღიარება მცირე მნიშვნელობის მოვლენად ვერ ჩაითვლება.

როგორც უკვე ვაჩვენეთ, გ. თუმანიშვილმა — კრიტიკოსმა ერთერთმა პირველმა მისცა საფუძვლიანი შეფასება ჩვენს ისეთ გამოჩენილ მწერლებს, როგორებიც იყვნენ: ნ. ბარათაშვილი, გრ. რჩეულიშვილი, დ. ჭონჭაძე და ლ. არდაზიანი. მათი შემოქმედების შესწავლისადმი მიძღვნილი კრიტიკული სტატიებით გ. თუმანიშვილმა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა დასახელებულ მწერალთა შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამასთან, დასეა და, შეძლებისამებრ, პასუხი გასცა იმდროინდელი ქართული ლიტერატურის საინტერესო და აქტუალურ საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო მისი განმზოგადებელი ხასიათის სტატიები („შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალთვლება“, „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“), რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენი კრიტიკული აზროვნების გაცხოველებასა და შემდგომ აღმავლობას.

ქართული ლიტერატურის აღმავლობის საქმეში გ. თუმანიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი მწერლების თხზულებათა გაცემავში მონაწილეობითაც, რასაც იმდროისათვის არსებითი ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ყოველივე ამას დაუვმატებთ იმ ნაყოფიერ მოღვაწეობასაც, რომელსაც ეწეოდა იგი როგორც პუბლიცისტი, ჟურნალისტი და თეატრალური კრიტიკოსი, აშკარა გახდება გ. თუმანიშვილის დამსახურება ქართული კრიტიკისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში.

თავის მხრივ, ქართულმა პრესამ გ. თუმანიშვილს აკვნობა გაუწია და მოამზადა იგი რუსულ პრესაში ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გასამუქებლად.

### რუსულ პრესაში

80-იანი წლებიდან გ. თუმანიშვილი ცენტრალური და კავკასიური რუსული პრესის აქტიური თანამშრომელი ხდება. 1891—1903 წლებში კი თვითონ რედაქტორობდა სოლიდურ რუსულ გაზეთს „ნოვოე ობოზრენიეს“. ამ გარემოებამ, ცხადია, გ. თუმანიშვილის კრიტიკული და პუბლიცისტური შემოქმედების თემატიკაზეც გარკვეული გავლენა მოახდინა. საგრძობლად მრავალფეროვანი გახდა საკითხთა ის წყება, რომლის გაშუქებასაც იგი ეაახურებოდა. გარდა იმისა, რომ რუსულ პრესაში მთავარი ადგილი თვითონ რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ მასალას უნდა დაეჭირა, კავკასიურ რუსულ პრესას ჰქონდა თავისი არსებითი ხასიათის სპეციფიკაც: რუსი მკითხველისათვის უნდა გაეცნო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ყოფა.

გ. თუმანიშვილმაც თავისი პუბლიცისტურ-კრიტიკული მოღვაწეობა სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას დაუკავშირა. ერთი მხრივ, იგი კავკასიელ მკითხველს ესაუბრებოდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო მომენტებზე, მეორე მხრივ, რუს მკითხველს აცნობდა კავკასიის ხალხთა ცხოვრების თავისებურებასა და მათ კულტურულ-ისტორიულ სახეს. მაგრამ ძნელი არაა იმის დანახვაც, რომ გ. თუმანიშვილი, ძირითადად, მაინც ქართული თემატიკით დაინტერესებულ პუბლიცისტად რჩება. ასევე ადვილი შესამჩნევია, რომ მის შემოქმედებაში წამყვან ადგილს სწორედ პუბლიცისტიკა იკავებს, თუმცა ინტერესი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიულ-თეორიული საკითხებისადმი არც შემდეგ შეუსუსტებია. ამის დამადასტურებელია მისი საინტერესო წერილები ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, ზ. ანტონოვის, ლ. არღანიანის, რ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, დ. ერისთავის, ავქს. ცაგარელის, ალ. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის და სხვათა შესახებ.

ქართველ მწერალთა შესახებ რუსულ პრესაში გამოქვეყნებულია გ. თუმანიშვილის სტატიები, ძირითადად, ერთ მიზანს ემსახურება: მოკლედ გააცნოს რუს მკითხველს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მხარეები. ეს წერილები შემდეგში ავტორმა, მეტნაკლები ცვლილებებით, შეიტანა თავის ცნობილ ნაშრომში — „დახასიათებები და მოგონებები“, რომელიც სამ წიგნად გამოვიდა რუსულ ენაზე<sup>1</sup>.

ამ წიგნში შესულ სტატიებზე საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად საინტერესოა თვით ავტორის შეხედულება, რომელიც მას გამოთქმული აქვს პირველი წიგნის წინასიტყვაობაში.

„შემოთავაზებული ნარკვევები, — წერს იგი, — დროდადრო იბეჭდებოდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ და ზოგიერთ სხვა გამოცემებში, ისინი მსუბუქი ჩანახატების ხასიათისაა და არასრული ბიოგრაფიები, მემუარები ან კრიტიკულ-ისტორიული მონოგრაფიები. გარდა ამისა, ეს ნარკვევები შეიძლება რამდენადმე ცალმხრივი არიან. უმეტესი ნაწილი დაწერილია ვინმეს გარდაცვალების, იუბილის ან სხვა საზეიმო შემთხვევის გამო, და ამიტომ მიზნად ისახავენ წარმოაჩინონ ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობის უფრო ძლიერი, ვიდრე სუსტი მხარეები<sup>2</sup>.

ანალოგიური ხასიათის მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. თუმანიშვილს წიგნის მეორე და მესამე ნაწილების წინასიტყვაობებშიც. ამიტომ მისი გათვალისწინება უდაოდ აუცილებელია, მაგრამ მათი უკრიტიკოდ გაზიარებაც არ შეიძლება. კერძოდ, მრავალი მოღვაწის შესახებ დაწერილი სტატიების ხასიათს მართლაც სწორად წარმოადგენს ავტორის ჩვენს მიერ ციტირებული სიტყვები, მაგრამ ბევრის მიმართ იგი საკმაოდ შეუფერებელია; გ. თუმანიშვილის მიერ დახასიათებული ზოგიერთი მოღვაწე შეფასებულია სუბიექტურად და ტენდენციურად.

მიუხედავად ამისა, გ. თუმანიშვილის წერილები გვაწვდიან ბევრ ისეთ ცნობას, რომელთაც პირველწყაროს მნიშვნელობა

<sup>1</sup> პირველი წიგნი გამოვიდა 1900 წელს, მეორე — 1905 წელს, მესამე — 1907 წელს.

<sup>2</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, I, 1900, გვ. 4.

აქვთ და ადვილი შესაძლებელია სხვა შემთხვევაში ჩვენამდის არც მოეღწია.

რუსულ პრესაში გამოქვეყნებული გ. თუმანიშვილის კრიტიკული წერილების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით შესწავლას დღეს უკვე აღარა აქვს პრინციპული მნიშვნელობა; მათი თემატური პრინციპით განხილვა უფრო სრულად წარმოაჩენს ავტორის დამსახურებას ქართული ლიტერატურის კრიტიკის წინაშე.



ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთაგან რუს მკითხველს გ. თუმანიშვილმა პირველყოვლისა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვახტანგ ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა გააცნო. როგორც უკვე ვიცით, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ კრიტიკოსმა ჯერ კიდევ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოთქვა თავისი შეხედულება<sup>1</sup>, მაგრამ მაშინ იგი პოეტის ლექსთა პირველი გამოცემის შესახებ ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლა. 1893 წელს კი, როცა, პოეტის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით, ძლიერ გაიზარდა ინტერესი ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“ ფურცლებზე მან გამოაქვეყნა საინტერესო წერილები, რომლებშიც შეფასებულია ამ დიდი ქართველი რომანტიკოსის მაღალი პოეტური ნიჭი<sup>2</sup> და მოთხრობილია მის მიერ განვლილი მძიმე ცხოვრების შესახებ<sup>3</sup>.

აღნიშნული წერილები, თითქმის უცვლელად, ერთი კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევის სახით, ავტორმა შემდეგ შეიტანა თავის წიგნში „დახასიათებები და მოგონებები“.

გ. თუმანიშვილი თავის სტატიას („ტფილისი, 24 აპრილს“) იწ-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1876, №№ 60, 61.

<sup>2</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893, № 3207. აღნიშნული წერილი („ტფილისი, 24 აპრილს“) ხელმოუწერელია. მის ავტორზე მითითებული არაა არც ნ. ალანიას „ნ. ბარათაშვილის ბიბლიოგრაფიაში“, მაგრამ მისი გ. თუმანიშვილისადმი კუთვნილება სადაო არაა, ვინაიდან იგი ავტორს შეტანილი აქვს თავის წიგნშიც („დახასიათებები და მოგონებები“, წიგნი I).

<sup>3</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893, №№ 3209, 3213 (წერილის სათაურია: „ნ. ბარათაშვილი“).



ყებს ნ. ბარათაშვილის პოეტური ტალანტის ღირსებათა დახასიათებით და ცდილობს მკითხველს აჩვენოს, თუ როგორი დიდი როლი შეასრულა მისმა პოეზიამ ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მოკლედ, მაგრამ საკმაოდ გამოკვეთილად და გასაგებად, მიუთითებს იგი ქართველი რომანტიკოსის პოეტური მემკვიდრეობის წარუვალ მნიშვნელობაზე, მისი პოეზიის ღრმა შინაარსსა და დახვეწილ მხატვრულ ფორმაზე, მისი თქმით, „იშუათა პოეზია, ჩვენზე უფრო კულტურული ქვეყნებისაჲ კი, მოეკუპისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორც ბარათაშვილია. იგი არა მარტო დიდი ტალანტი იყო, არამედ სინათლის სხივი იმ დროის შაბლონურ, მალაღფარდოვან, სპარსულისებრ სენტიმენტალურ პოეზიაში. ძლიერი, რკინისებრი ლექსი, ღრმა როგორც ოკეანე, სევდა მებრძოლისა, ვისიც არ ესმოდათ, თავდავიწყებული ჭიყვარული კაცობრიობისა — ყველაფერი ეს იყო ისეთი გაუგებარა სიახლე 30—40 წწ. ქართულ—და არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, რომ ადვილი წარმოსადგენია ის ნაღველით სავსე ფილა, რომელიც ბოლომდე გამოცალა უდროოდ ჩამქრალმა პოეტმა. მისმა დაუცხრომელმა ბრძოლამ თანამედროვე საზოგადოების ცრურწმენათა წინააღმდეგ, მისმა ბობოქარმა მრისხანებამ უპირველეს ყოვლისა თვითონ იგი მოცელა. ის მოწყვეტილი იყო საზოგადოებას და დაიღუპა ისე, რომ 30 წელსაჲ კი ვერ მიაღწია!“

კრიტიკოსი ფატალურ კავშირს ხედავს „მერანის“ წინასწარმეტყველურ ფრაზებსა და პოეტის უცხო მხარეში უდროოდ გარდაცვალებას შორის. ამასთან, იგი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მადლიერმა მშობლიურმა ხალხმა მისი ცხედარი უკვე გადმოასვენა თბილისში, რამაც კიდევ უფრო გააცხოველა პოეტისადმი ინტერესი.

კ. მამაცაშვილის მოგონებასა და ი. მეუნარგიას მიერ შეგროვილ ბიოგრაფიულ ცნობებზე დაყრდნობით, გ. თუმანიშვილი მკითხველს აცნობს ნ. ბარათაშვილის ცხოვრებას, რისი შესაძლებლობაც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა „დროებაში“ თანამშრომლობის დროს.

შეიძლება ითქვას, რომ გ. თუმანიშვილმა ამჯერად საკმაოდ სრულად და საინტერესოდ წარმოადგინა ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები, რომლებიც კარგად დაუკავშირა მის პოეტურ მოღვაწეობას. მან მიუთითა იმაზეც, რომ ბარათა-

შვილის შესახებ დაგროვილი მასალის გაცნობამ იგი კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავისი მამის — მიხეილ თუმანიშვილის მონათხრობთა სინამდვილეში, რაც განსაკუთრებით ფასეულია.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, თავისი ზნეობრივი სახით ნ. ბარათაშვილი ტიპიური ოცდაათიანელია. მისთვის ნიშანდობლივია „სულიერი ძალების მოკარბება ცხოვრებაზე გულაცრუებასთან ერთად, ბაირონიზმი პოეზიასა და სინამდვილეში, ძლიერი ლტოლვა საზოგადო მოღვაწეობისადმი — და საბოლოოდ მუდმივი სწრაფვა მაღალი საზოგადოების ზიზილ-პიპილებსაკენ“<sup>1</sup>.

გამამდიდრა რა თავისი საინტერესო მონათხრობი ნ. ბარათაშვილის მრავალი ბიოგრაფიული დეტალით, გ. თუმანიშვილი აკეთებს დასკვნას: „ბარათაშვილი დიდად იყო დაჭილდოებული ბუნებისაგან სიტყვის მადლით, პოეტური გზნებით, შრომისმოყვარეობით, ყოველგვარი უსამართლობის მიმართ ფაქიზი სულით, და რადგან ვერ პოულობდა ყველა ამ შესანიშნავი თვისებებისათვის გამოსავალს, იცვლებოდა, რის გამოც იტანჯებოდა და მისი უსამართლობისაგან მძიმედ დაავადებული სულის კვნესა ირეკლებოდა შესანიშნავ ლექსებში“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილის კრიტიკული ნარკვევის საშუალებით ვგებულობთ იმასაც, რომ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი გამოცემა (1876 წ.) სწორედ გ. თუმანიშვილის უშუალო მონაწილეობით შესრულებულა: „გასული საუკუნის 70 წლებში, ქართული ლიტერატურის რამდენიმე მოყვარულთან ერთად, ტიფლისში დავაარსე პატარა ამხანაგობა იმ მიზნით, რომ გამოგვეცა ქართველ კლასიკოსთა წერილები. უპირველეს ყოვლისა ჩვენ დავიწყეთ ბარათაშვილის ლექსების შეგროვება, რომლებიც გაფანტული იყო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და აგრეთვე იმ ლექსებისა, ჯერ რომ პრესაში არ დაბეჭდილიყო“<sup>3</sup>.

აღნიშნულ გამოცემაში შესულია 31 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. მეორე გამოცემა (1879 წ.) ამ გამოცემის განმეორებაა.

---

გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893, № 3209.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გ. შ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 151.

გ. თუმანიშვილი გადმოგვცემს იმასაც, რომ გამოცემლებს, ე.წ. ზუნიათ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულისათვის დაერთო პოეტის ბიოგრაფია და სურათი, მაგრამ თბილისში ვერ აღმოუჩინიათ მისი ისეთი ახლო ნათესავი, რომელიც პოეტის ცხოვრებას მკოდნე იქნებოდა. ვერ უპოვიათ ვერც სურათი. მაგრამ გ. თუმანიშვილს თავისი მამის ქაღალდებში უპოვია ფანქრით შესრულებული ჩანახატი, რომელზეც მიწერილი ყოფილა „ხ. ბ.“ ეს ჩანახატი მას გადაუცია ილ. ქავჭავაძისათვის, რომელსაც იგი უჩვენებოდა დისა და სხვა ნათესავებისათვის. ამგვარი შემოწმების შედეგად კი ილიას მათთვის შეუტყობინებია, რომ ასლობლების თქმით სურათზე ნ. ბარათაშვილია გამოსახული, მაგრამ ვერაა კარგად შესრულებული, იგი პოეტის ბიძას ილია ორბელიანს უფრო ჩამოგავს. ვინემ თვითონ პოეტსო. ეს სურათი, როგორც გ. თუმანიშვილი ამბობს, მაშინ ხელიდან ხელში გადასულა და დაკარგულა კიდევ. მაგრამ, როგორც ცნობილია, იგი მიკვლეული იქნა და რამდენიმე გზის გამოქვეყნდა კიდევ.

გ. თუმანიშვილის ცნობით, შემდეგში ნ. ბარათაშვილის პორტრეტი მხატვარმა დახატა მისი დის სახის მიხედვით, ვინაიდან გადმოცემით პოეტი ძალიან ჰგავდა თავის დას, მაგრამ ამას იგი ყოველად გაუმართლებელს უწოდებს.

„მამაჩემი, — წერდა იგი, — რა თქმა უნდა, არ იყო ნამდვილი მხატვარი, მაგრამ მისი ფანქრით შესრულებული დილეტანტური ჩანახატები ძალზე გავდნენ იმ ორიგინალებს, რომლებსაც ხატავდა. ამიტომაც ჩემის აზრით ჯობდა ნ. ბარათაშვილის გამოცემლებს ესარგებლათ სწორედ ამ ჩანახატებით, ვიდრე მიემართათ ზემოთ-მოხსენებული ხერხისათვის, ანდა გამოეცათ წიგნი უპორტრეტოდ, როგორც ეს გავაკეთეთ ჩვენ, ბარათაშვილის პირველმა გამოცემლებმა“<sup>1</sup>.

საგულისხმოა, რომ ნ. ბარათაშვილის პორტრეტთან დაკავშირებით, გ. თუმანიშვილს სხვა დროსაც მოუხდა პრესაში გამოსვლა. მხედველობაში გვაქვს მისი სტატია („მექრონიკის შენიშვნები“), რომელიც გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაიბეჭდა 1897 წელს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 152—153.

<sup>2</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1897, № 4549.

ამჟერად გ. თუმანიშვილმა გაილაშქრა გაზეთ „ივერიისა“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ, ვინაიდან მან თავის გაზეთში ადგილი დაუთმო ერევნელ ობივატელის წერილს, თითქოს ერევანში აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის პორტრეტი<sup>1</sup>. მაგრამ მისი ეს გალაშქრება არცთუ გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს. „ივერია“ და მისი რედაქტორი დაინტერესებულნი იყვნენ ნ. ბარათაშვილის პორტრეტის მოძებნით, ამიტომ ყოველგვარი ცნობა ამ მიმართულებით მათთვის საინტერესო იყო. განა ილია ჭავჭავაძემ ჭეშმარიტებად მიიღო ეს ცნობა? ხოლო იმის თქმა, რომ „ყველა ამ შენახვის გაფანტვა ადვილად შეეძლო გაზეთის რედაქტორს, რომელსაც ხელთ ჰქონდა ბარათაშვილის ნამდვილი პორტრეტი“, გამართლებული არაა. ილია ჭავჭავაძეს ხელთ ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ მ. თუმანიშვილისეული ჩანახატი და დის სახის მიხედვით მხატვრის მიერ შესრულებული სურათი. ორივე ამ სურათზე, როგორც უკვე ვნახეთ, თვით გ. თუმანიშვილიც დადებითი შეხედულებებისა არ ყოფილა. და რომელი მათგანი უნდა მიეჩნია ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილის „ნამდვილ პორტრეტად“ და აღარ გაეგრძელებინა ძიება?

მაგრამ ერთი რამ უდავოა. გ. თუმანიშვილმა, როგორც კრიტიკოსმა და მოღვაწემ, დიდი ამაგი დასდო თავისი მამის საამაყო მეგობრის, ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. მისი მონაწილეობით მომზადდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი გამოცემა, მან მიაკვლია მამის არქივში ნ. ბარათაშვილის სახის ჩანახატს, მან დაწერა პირველი კრიტიკული სტატიაჲ პოეტის თხზულებათა პირველ გამოცემასთან დაკავშირებით, მანვე გამოაქვეყნა შემდეგში პოეტის ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევი რუსი მკითხველისათვის, რომელშიც გამოთქვა ბევრი საყურადღებო და დღესაც ანგარიშგასაწევი მოსაზრება დიდი რომანტიკოსი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების იდეურ-მხატვრული თავისებურების შესახებ.

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1897, №№ 52, 54.



1894 წელს, იმავე გაზეთის ფურცლებზე, გ. თუმანიშვილი თბილისში წერილით („პოეტი-მოქალაქე“)<sup>1</sup> გამოეხმაურა ვახტანგ ორბელიანის ლექსთა კრებულის გამოსვლას.

კრიტიკოსი მკითხველს მოაგონებს, რომ პოეტის, და განსაკუთრებით ლირიკოსის, შემოქმედების დახასიათებისას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს თვით ავტორის პიროვნებას, ვინაიდან იგი უშუალო კავშირშია მის პოეზიასთან. მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ თითქმის ყველა დროისა და ყველა ქვეყნის პოეტი თავის შემოქმედებით ტალანტს ახალგაზრდობაშივე ავლენს. ვახტანგ ორბელიანმა კი თითქოს დისონანსი შეიტანა ამ საერთოდ აღიარებულ წესში. პოეტური მოღვაწეობა მან თითქოს მაშინ დაიწყო, როცა სხვები, ჩვეულებრივ, ამთავრებენ. „ვ. ორბელიანის პირველი ლექსები — წერს გ. თუმანიშვილი, — რომელიც დაბეჭდილია განსახილველ კრებულში, დაწერილია 1857 წელს, როცა ავტორი უკვე 35 წლისა იყო. თითქმის ყველა სხვა ლექსი, ე. ი. 52, 55-დან, განეკუთვნება 1879-90 წწ. ე. ი. როცა პოეტი 67—78 წლისა იყო“<sup>2</sup>.

კრიტიკოსის თქმით, საკვირველი არაფერია იმაში, რომ დარეინმა და ბოკლმა თავიანთი დიდი გამოკვლევები სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერეს, რადგან ისინი მეცნიერული გამოკვლევებია, რომლებიც სათანადო მასალის შესაგროვებლად და გასაანალიზებლად, ათეულ წლებს საჭიროებენ; არც ის გვაკვირვებს, რომ მწერალი-ეპიკოსებიც ხშირად ჰასაკში შესულნი ავლენენ თავიანთი ტალანტის სიძლიერეს, „რამდენადაც ვიცი, ლირიკოსთა შორის, ორბელიანის მოღვაწეობა უმაგალითოა“.

მაგრამ გ. თუმანიშვილი შეცდომაში შეჰყავს ვ. ორბელიანის ლექსთა კრებულის პირველ გამოცემას, რომელშიც სწორად არ არის დათარიღებული ადრეული ნაწერები. სამწუხაროდ, ახალგაზრდობის წლებში დაწერილი ვ. ორბელიანის ლექსების უმეტესობას საერთოდ არ მოუღწევია ჩვენამდე. ბევრი მათგანი, ალბათ, საბოლოოდ გამოეთხოვა თავისი ავტორის სახელს, მაგრამ საყოველ-

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1894, № 3621.

<sup>2</sup> იქვე.

თაოდ ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ვახტ. ორბელიანი უკვე პოეტად იყო ცნობილი და აღიარებული. ამჯერად კი უკვე მოგვეპოვება ვ. ორბელიანის მიერ 1833 წელს დაწერილი ლექსიც „გამოსალმება“, რომლითაც იგი სამშობლოს გამოეთხოვა და რომელიც ავტორის პოეტურ ოსტატობაზეც აშკარად მეტყველებს:

„მშვიდობით, ვეღწო, საყვარელო: ზერმეხტნო ვეღწო!  
ბორცენო, ქალაქნო მშვენიერნო, ტურფა არენო,  
მთანო ამაყნო. ახოვანნო, ცად მიბჯენილნო,  
წყალნო აღმასნო. მოცინარნო. მოკაშკაშენო!  
მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო, ჩემო მამულო!  
მშვიდობით. მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...  
გმირთ ძეთ სამარევე, იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,  
სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი!“

ამგვარად, ვ. ორბელიანმა ახალგაზრდობაშივე გამოავლინა თავისი პოეტური ტალანტი. ამ მხრივ ის რაიმე გამონაკლისს არ წარმოადგენს, მაგრამ ნიშანდობლივი ისაა, რომ საკმაოდ ხანდაზმული პოეტიც ახალგაზრდული შემართებით ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას და თხზავდა საუკეთესო ლირიკულ ლექსებს. ამ მხრივ ის გვაგონებს გრიგოლ ორბელიანს, რომლის მუზას წელთა სიმრავლემ ვერაფერი დააკლო.

გ. თუმანიშვილმა მართებულად მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ვახტ. ორბელიანის ლექსების დიდი ნაწილი დაწერილია 70—80-იან წლებში, რომანტიკოსი პოეტისთვის შეუფერებელ ისტორიულ-კულტურულ გარემოში. მაგრამ კრიტიკოსმა, ჩვენი აზრით, სათანადო და ამომწურავი შეფასება ვერ მისცა პოეტის ამ პერიოდის შემოქმედებას. მისი თქმით, „შინაარსის მიხედვით მისი ნაწარმოებები მთლიანად შეესაბამება მხოლოდ უახლესი ქართული ლიტერატურის მიმდინარეობას, სწორედ იმ პერიოდს, როცა მისი ლექსები იწერებოდა, ანუ 70—80 წწ. ეს ლექსები რომ 30 ან 40-იან წლებში გამოჩენილიყო, მკვეთრ დისონანსად აულერდებოდა იმდროინდელ პოეტთა ლექსებს შორის. იმ დროისათვის უცხო იყო „მოქალაქეობრივი სევდა“ და პოეზიაც მკაცრად იცავდა ინდივიდუალისტურ მიმართულებას. ქართულ პოეტურ ლიტერატურაში, ისევე როგორც რუსულში, ლირიზმი არ ამადლებულა საზოგადო-

ებრივ მოტივებამდე. იმ დროს სამშობლოს კეთილდღეობაზე. განათლების სარგებლიანობაზე, ღარიბთა უფლებების დაცვაზე ღალადი ფუჭი რეზონირობა იქნებოდა. პირადი სიყვარული, პირადი ტანჯვა, ბუნების სილამაზე — აი, რა იყო იმ დროს მთავარი, თუ არა ერთადერთი წყარო პოეტური შთაგონებისა, მაშინ ისეთი თემების წამოყენება, როგორსაც ჩვენ ვხვდებით თავ. ვ. ორბელიანის ნაწარმოებებში, გაუგონარი კადნიერება იქნებოდა“<sup>1</sup>.

მართალია, 70—80-იან წლებში ვ. ორბელიანი ზოგჯერ ინტერესდება ისეთი თემატიკით, რომელსაც არ შეიძლება იგი გაეტაცუნა ოცდაათიან-ორმოციან წლებში, მაგრამ მისი შემოქმედების გ. თუმანიშვილისეული შეფასება კრიტიკას მაინც ვერ უძლებს.

პირველ ყოვლისა, ვ. ორბელიანის 70—80-იანი წლების პოეზიის ერთი მთავარი ნიშან-თვისება სწორედ ისაა, რომ არ შეესატყვისება ეპოქის მაჯისცემას, მასში, უმთავრესად კვლავ რომანტიზმის ეპოქის მხატვარი და მოაზროვნე გვესაუბრება, რომელსაც არ სურს დაინახოს ახალი პერსპექტივები და კვლავ ძველი ეპოქის აღდგენაზე ოცნებობს; პოეტი კვლავ იმ იდეურ ხაზს აგრძელებს, რომელსაც იგი ოცდაათიან წლებში ადგა. ამ მხრივ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ახალი სოციალური გარემოს ზოგიერთი მხარის, კერძოდ სავაჭრო ბურჟუაზიის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დანახვამ, ვინაიდან ამ საკითხს იგი სრულიად შეუფერებელ იდეურ ასპექტში განიხილავს. მისი შეხედულებით, სავაჭრო ბურჟუაზიის გამოჩენა იყო არა ისტორიული კანონზომიერების, არამედ თავადაზნაურობის ბედოვლათობის შედეგი; ამ უკანასკნელმა დალუპა თავისი ქონება, მან ჩაუგდო ხელთ გლეხობა ეპკრებს („პოეტი“, „სამშობლო ქვეყნის პასუხი“). ამგვარი „თვითკრიტიკით“ მას სურდა თავისი წოდების მდგომარეობის გამოსწორება და არა ახალი სოციალური ძვრების აღქმა და მისთვის ობიექტური შეფასების მიცემა.

გ. თუმანიშვილს, ცხადია, ვერ დავეთანხმებით ვერც იმაში. რომ ოცდაათიან-ორმოციანი წლების ქართული და რუსული პოეზიისათვის თითქოს უცხო ყოფილიყოს „სამოქალაქო სევდა“ და ლირიზმი არ ამალღებულებიყოს საზოგადოებრივ მოტივებამდე. ა. პუშკინ-

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1894, № 3621.

ნის, მ. ლერმონტოვის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ქავკავაძის და სხვა-  
თა პოეზია ამ შეხედულების სრულიად საწინააღმდეგო სურათს  
ჩძლევს.

შეუძლებელია აგრეთვე, რომ ვახტ. ორბელიანის ისეთი ლექ-  
სები, როგორცაა „იმედი“ და „ძველი დმანისი“ მივიჩნიოთ ახალი  
ეპოქისა და ახალი სიოს გავლენის ნაყოფად. ორივე ეს ლექსი არის  
წარსულის მომღერლისა და ტიპიური რომანტიკოსი პოეტის სუ-  
ლიერი აღსარება. „იმედში“ სრულიადაც არაა ლაპარაკი უკეთესი  
მომავლის იმედზე, ცხოვრების განვითარების კანონზომიერებიდან  
გამომდინარე ტენდენციებსა და მისადმი ერთგულებაზე. პოეტს  
სჯერა, რომ კვლავ აღსდგება იგი, რაც იყო და რაც უკვე დაინგრა.  
ეს იმედი კი ტიპიური რომანტიკული ილუზიაა და არა ახალი ეპო-  
ქის ხასიათით განპირობებული ოცნება უკეთეს მომავალზე. აღა-  
რაფერს ვამბობთ ლექსზე „ძველი დმანისი“, რომელიც წარსულის  
რომანტიკული აპოლოგიაა მხოლოდ.

მეტად თავისებურად აქვს გაგებული გ. თუმანიშვილს ვახტ.  
ორბელიანის ლექსის „დედოფლის“ იდეური აზრიც. სადედოფლოს  
მიერ მეფისადმი მიმართული სიტყვები („ქვრივი, ოხერი, შეიწყა-  
ლე და შეიბრალე, და დავრდომილი სახლი — არე მას გაუახლე;  
მშიერის ობლის ცრემლთან, მეფევ, ცრემლი აფრქვიე, და ის  
ობოლნი გულს ჩაიკარ და მოეხვიე“) კრიტიკოსს ისე აქვს გაგებუ-  
ლი, თითქოს პოეტის იდეალი იყოს ხალხის თავისუფლება და სი-  
კეთე. დავრდომილთა წამოყენება და ღარიბთადმი ხელის გაწვდე-  
ნა. სინამდვილეში კი აქაც საქმე გვაქვს იმ ტიპურ რომანტიკულ  
ილუზიასთან, რომლის გამო პოეტს ყოველმხრივ იდეალურად ეჩ-  
ვენებოდა ერეკლე მეორე და მისი ეპოქა; მონარქი და მონარქიუ-  
ლი წყობილება.

ასე რომ, ვ. ორბელიანის პოეზიას დისონანსი შეაქვს არა რო-  
მანტიკოსთა შემოქმედებაში, არამედ სწორედ 70—80-იანი წლების  
ქართულ პოეზიაში, რომელსაც გამოჩენილი სამოციანელნი და მა-  
თი ახალგაზრდა მიმდევრები ქმნიდნენ.

გ. თუმანიშვილმა, ჩანს, სათანადო დასკვნა ვერ გააკეთა ილია  
ქავკავაძის იმ წერილიდან, რომელიც წამძღვარებული აქვს სწორედ  
მის მიერ სარეცენზიოდ აღებულ ვახტ. ორბელიანის ლექსთა კრე-



ბელს. ილიას თქმით: „უმთავრესი ძარღვი ვასტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თათო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატყენ გულისაგანაა წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულის დამხოზის დიდებას... გრიგოლ ორბელიანმა ჩვენს პოეტზე უწინ მიგვახედა წარსულს და ამით ახალი საგანი გაუჩინა ჩვენს პოეზიას, მაგრამ ამ გზაზე ისე გადუხეველად, ისე სისწვრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია. როგორც ვასტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა... დედა მის წარსულის სიყვარულია — მამულისშვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორის ძუძუთი“<sup>1</sup>.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ამგვარი შეფასება დღესაც უცვლელად შეიძლება გავიმეოროთ. რადგანაც შემდგომდროინდელმა კვლევა-ძიებამ კიდევ უფრო აშკარა გახადა ილიას ამ სიტყვების აზრი და კეშმარტება.

გ. თუმანიშვილმა მართებულად მიუთითა ვასტ. ორბელიანის ლექსთა კრებულის გამოცემის სასურველ დონეზე. კერძოდ. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მას დართული აქვს ბ. უმიკაშვილისა და ილ. კავჭავაძის წერილები, მაგრამ იქვე დასძენს: „დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ეს უკანასკნელი იძულებული იყო შემოფარგლულიყო მეტად მწირი ბიოგრაფიული მასალით. ბატონიშვილი თეკლეს ოჯახი (მეფე ერეკლეს ქალიშვილის) და მისი შვილები ალექსანდრე, დიმიტრი და ვასტანგ ორბელიანები ქვეყნის უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და ჩვენი კულტურის ისტორიკოსისაგან სერიოზულ ყურადღებას იმსახურებენ“<sup>2</sup>.

თეკლე ბატონიშვილისა და მისი ოჯახის შესახებ, ცხადია, შეიძლება მეტის თქმაც. მეტის თქმა შეეძლო, პირველ ყოვლისა, თვით ილია კავჭავაძეს, მაგრამ იყო ეს საჭირო? ილია კავჭავაძის

---

<sup>1</sup> ილია კავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953. გვ. 240, 243.

გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1894, № 3621.

მიერ დაწერილი ვახტ. ორბელიანის ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევი, შეიძლება ითქვას, სანიმუშოა საერთოდ. როგორც მართებულიადაა მითითებული, „ილია კავკავაძის მიერ დაწერილი ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია დღემდე რჩება, როგორც ისეთი ნარკვევი, რომელზეც მეტიც შემდგომი დროის მკვლევარებსაც არა მოუციათრა... ილია თავისუფალია იმ ზედმეტი ქება-დიდებაგან, რომელიც ბიოგრაფიის მწერალთ ზოგჯერ მოსდით ხოლმე“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილმა ჩვენს მიერ უკვე გაცნობილი თავისი სტატია, მცირეოდენი ცვლილებებით, შემდეგ შეიტანა წიგნში — „დახასიათებები და მოგონებები“. ამ ცვლილებათაგან საულისხმოა, პირველ ყოვლისა, ის კორექტივი, რომელიც ლექსს „იმედს“ ეხება. ამთავრებს რა მსჯელობას „დედოფლის“ შესახებ, გ. თუმანიშვილი ამბობს: „მეორე მნიშვნელოვანი ლექსი თავ. ვ. ორბელიანისა არის „ორი შენობა“... აქაც ისევე, როგორც თავის საუკეთესო ლექსში „იმედი“, პოეტი წყდება თანამედროვეობას, რომ უმღეროს სამშობლოს საუკეთესო წარსულს“<sup>2</sup>. ეს შეხედულება კი გარკვეულად უპირისპირდება ავტორის იმ მოსაზრებას, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით და რომელიც კვლავ უცვლელად აქვს დატოვებული წიგნში შეტანილ ნარკვევშიც.

გ. თუმანიშვილმა ამჯერად ყურადღება გაამახვილა იმ მნიშვნელობაზეც, რომელიც 1832 წლის შეთქმულებას უნდა ჰქონოდა ვახტ. ორბელიანის განწყობილებისა და პოეზიის ჩამოყალიბების საქმეში. მკითხველს იგი ცნობას აწვდის იმის შესახებაც, რომ ლექსი „დედოფალი“ რუსულ ენაზე თარგმნა ს. ვ. ამირეჯიბმა. ხოლო „ორი შენობა“ — ი. თხორეყესკიმ.

გ. თუმანიშვილმა მკითხველს გააცნო თავისი პირადი შთაბეჭდილება ვახტ. ორბელიანის პიროვნებაზე; კმაყოფილებით გაიხსენა ის მხარდაჭერა, რომელიც მას და მის მეგობრებს მიუღიათ ვახტ. ორბელიანის, დიმ. ყიფიანის, კ. მამაცაშვილისა და სხვა ღვაწლმოსილი მოღვაწეებისაგან მუდმივი თეატრის დაარსებისათვის ბრძოლის დროს.

ამგვარად, მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, გ. თუმანიშვილმა

<sup>1</sup> ავ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, 1962, გვ. 224.

<sup>2</sup> გ. თ. თუმანიშვილი, დახასიათებები მოგონებები, I, 1913, გვ. 158.

მაინც შეძლო თავისი წვლილი შეეტანა ქართველი რომანტიკოსი პოეტის ვახტანგ ორბელიანის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.



გ. თუმანიშვილი შეუძლებელია დაინტერესებული არ ყოფილიყო 50-იანი წლების ქართველ მწერალთა პლეადით. მამის დიდი გავლენით აღზრდილ კრიტიკოსს, ბუნებრივია, განსაკუთრებული სიმპათიები ჰქონოდა გიორგი ერისთავისა და მისი თანამებრძოლების მიმართ. ეს გარემოება უდავოდ იგრძნობა მის კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში. ამას მოწმობს კერძოდ. სტატია — „ზურაბ ანტონოვი“<sup>1</sup>, რომლითაც მან მკითხველს გააცნო ამ პლეადის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ტრაგიკული თავგადასავალი და დიდი დამსახურება ქართული თეატრისა და დრამატურგიული მწერლობის წინაშე.

გ. თუმანიშვილმა თავისი მსჯელობა ამ ნიჟიერ დრამატურგზე, სამწუხაროდ, ძირითადად ბიოგრაფიული ფაქტების გაცნობით შემოფარგლა. და ეს, ჩანს, შემთხვევითი არ ყოფილა. ზ. ანტონოვის — როგორც დრამატურგის მნიშვნელობასა და დამსახურებას იგი უკვე ისტორიის საკუთრებად მიიჩნევს. ამაზე მეტყველებს სტატიის დასასრულიც, სადაც ვკითხულობთ: „ანტონოვის კომედიები მოძველდნენ, სომეხი ვაჟრებისა და იმერლების დამტვრეული ქართულის უხეშმა ფარსმა საბოლოოდ დაუთმო ადგილი ქართულ სცენაზე უფრო გააზრებულ რეპერტუარს“<sup>2</sup>.

ისტორიამ არ გაამართლა გ. თუმანიშვილის ეს შეხედულება. ზ. ანტონოვის კომედიები დღემდე აგრძელებენ სიცოცხლეს ქართული თეატრის სცენაზე. უფრო მეტიც, კემმარტი სცენური განსახიერება ზ. ანტონოვის საუკეთესო კომედიას — „მზის დაბნელება საქართველოში“ წილად ხვდა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში.

გ. თუმანიშვილს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ მხატვრულმა ნაწარმოებმა, რომელიც სწორად ასახავს ამა თუ იმ

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893, № 3128.

<sup>2</sup> იქვე

ეპოქას, შეუძლებელია მთლიანად დაკარგოს ინტერესი, თუმცა ეს ინტერესი სხვადასხვა დროს, ცხადია, ერთნაირი არ იქნება; ამ საერთო წესს მხოლოდ გენიალური ქმნილებები არ ემორჩილებიან!

რაც შეეხება ზ. ანტონოვის ისტორიულ დამსახურებას, გ. თუმანიშვილი მას უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს. ქართული თეატრის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის შემდეგ, იგი თავის თავს უფლებას აძლევს საჯაროდ განაცხადოს: „მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიარა გრძელი ეკლიანი გზა, ადგილობრივმა ხელოვნებამ მოიპოვა საზოგადოებაში ერთგვარი პატივისცემა და არსებობის უფლება. სცენის პირველ მოღვაწეებს მოუხდათ თითქმის მოწამებრივი ცხოვრება და ამ ნიჭიერ მოღვაწეთა შორის ზურაბ ანტონოვს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია“<sup>1</sup>.

ზ. ანტონოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დახასიათებისას გ. თუმანიშვილი, ძირითადად, ემყარება ივ. კერესელიძის ცნობებს<sup>2</sup>, რომლებიც, სამწუხაროდ, ხშირად არ შეეფერებიან სინამდვილეს. სხვათა შორის, გ. ერისთავის პიროვნებას საკმაოდ კარგი მკოდნე გ. თუმანიშვილი ადვილად ამჩნევს, რომ ი. კერესელიძე, ამავე წერილში, ბევრს ცოდავს დიდი ქართველი დრამატურგის წინაშე და საგანგებოდ შენიშნავს: „ამავე წერილში გვხვდება ცნობები ქართული თეატრის მეორე მოღვაწეზე თავ. გ. ერისთავზე, მაგრამ ჩვენ აქ მათ არ ვეხებით, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან იმ მონაცემებს, რომლებიც მასზე გამოჩნდნენ პრესაში და ამასთანავე პამფლეტურ ხასიათს ატარებენ“.

ამ გარემოებამ, ალბათ, გ. თუმანიშვილი დააეკვა ზ. ანტონოვის შესახებ ი. კერესელიძის მიერ მოწოდებული ცნობების სინამდვილეში, რის გამოც განსაკუთრებული ინტერესით ეკიდება ალალო თუთაევის იმ წერილს, რომელშიც სხვაგვარადაა წარმოდგენილი ნიჭიერი დრამატურგის გარდაცვალების ისტორია<sup>3</sup>. მან საკვიროდ დაინახა მკითხველისათვის გაეცნო ეს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვით ზ. ანტონოვი არც ცოფიან ძალს დაუკბენია და არც გა-

გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893, № 3128.

<sup>2</sup> იხ. გაზ. „ივერია“, 1893, № 17 („ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“).

<sup>3</sup> იხ. გაზ. „ივერია“, 1904, № 255 („როგორ მოკვდა ზ. ანტონოვი?“).

კაეებულა. იგი მსხვერპლი გახდა მირონ ამიროვის შურისძიების, რომელიც პოლიციის მოსყიდვით განხორციელდა<sup>1</sup>.

თავის მხრივ, გ. თუმანიშვილი არ გამორიცხავს ამ ვერსიის სინამდვილეს და შენიშნავს: „თუ ლეგენდამ ანტონოვის სიკვდილზე, უფრო სწორად, მკვლელობაზე იმდენად დიდხანს გასტანა საზოგადოებაში, რომ იგი კარგად ახსოვდა თუთაევს 50 წლის მანძილზე, ნიშნავს იმას, რომ ამ ლეგენდაში იმდროისათვის განსაკუთრებით დაუჭერბელი არაფერი იყო. ანტონოვი სასამართლომ გაამართლა, პოლიციამ კი სიკვდილით დასაჯა“<sup>2</sup>.

როგორც თვითონ წერს, გ. თუმანიშვილს 70-იან წლებში შემთხვევით გაუცვნია ზ. ანტონოვის ძმა, მაგრამ რაიმე საინტერესო ცნობები ვერც მისგან მიუღია. „როცა მე, პ. უმიკოვმა და წიგნის გამომცემლობის აშხანავობის სხვა წევრებმა მოვიხდომეთ.—წერს ის,— მისი კომედიელის კრებულის გამოცემა და მისთვის ჰოვრაფიული ნარკვევის წამძღვარება, დიდი სიძნელის წინაშე აღმოვჩნდი... ხოლო როცა შევუდექი „დახასიათებები და მოგონებების“ მე-2 გამოცემაზე მუშაობას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ზ. ანტონოვი სამუდამოდაა დავიწყებული... ვერსად ვერ მივაკვლიეთ მის პორტრეტს, თუმცა ქართულ გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ ამ წიგნის გამომცემელი ეძებს მის პორტრეტს. გამოგვეხმაურა მხოლოდ ქართული ჟურნალის „თეატრისა და ცხოვრების“ ყოფილი რედაქტორი — გამომცემელი იმედაშვილი და მაცნობა, რომ რამდენიმე წლის წინათ აწ გარდაცვლილმა ა. თუთაევმა მასთან რედაქციაში მიიტანა ზ. ანტონოვის პორტრეტი. მაგრამ იგი გაქრა ჩხრეკის დროს, მასთან, იმედაშვილთან რომ ჩაატარეს, რასაც შემდეგ დაჭერაც მოჰყვა“<sup>3</sup>.

გ. თუმანიშვილის ამ სიტყვებზე ყურადღების გამახვილება გვინდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ წარმოვაჩინოთ მისი ცდა, თავისი წვლილი შეეტანა ტრაგიკულად დაღუპული ნიჭიერი დრამატურგის ცხოვრების შესწავლაში, არამედ იმიტომაც, რომ აშკა-

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: დ. გამეზარდაშვილი, „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, 1961, ტ. 1, გვ. 203--210.

<sup>2</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები. 1913, I, გვ. 170--171.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 173.

რა ხდება აღ. თუთაევის ახლობლობა ზ. ანტონოვთან. ამას კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს მის მიერ მიწოდებულ ბიოგრაფიულ ცნობებთან მკვლევარის დამოკიდებულების შესამუშავებლად.



„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ შესახებ საინტერესო კრიტიკული წერილების გამოქვეყნების შემდეგ<sup>1</sup> დიდი დრო გავიდა, მაგრამ გ. თუმანიშვილი კვლავ დაინტერესდა მისი ავტორის პიროვნებითა და შემოქმედებითი ინდივიდუალობით.

1900 წელს მან დაწერა ლ. არდაზიანისადმი მიძღვნილი კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც თავისი წიგნის („დასასაათებები და მოგონებები“) პირველ ნაწილში შეიტანა.

როგორც ამ ნარკვევიდან ჩანს, გ. თუმანიშვილი ამჯერადაც იმ შეხედულებისაა, რომ „როგორც გ. ერისთავი იყო ქართული კომედიის მამა, ასევე შეიძლება ლავრ. არდაზიანი ჩაითვალოს ქართული რეალისტური რომანის მამად“<sup>2</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ტალანტით იგი ვერ შეედრება შემდეგდროინდელ ბელეტრისტებს, მან მაინც თავისი საკუთარი სიტყვა თქვა ქართულ მწერლობაში; ყურადღება მიიქცია ცხოვრებაზე დაკვირვების ნიჭითა და იუმორით.

კრიტიკოსი კვლავ ხაზს უსვამს მეჯღანუაშვილის ცხოვრებისეულობას და აყენებს ასეთ მოსაზრებას: „არდაზიანის რომანში კარაკატურის გვერდით ბევრი ცხოვრებისეული სიმართლე, ფსიქოლოგიური წვდომა და ბევრი ცრემლნარევი სიცილია. მისი მეჯღანუაშვილი ბოროტმოქმედია, მაგრამ ადამიანურ თვისებებს მოკლებული არაა. ამ მხრივ მეჯღანუაშვილი ყველაზე მეტად უახლოვდება გ. სუნდუკიანცის ზოგიერთ გმირს“<sup>3</sup>. თანაც იქვე უენიშნავს, რომ სუნდუკიანცის თხზულებები დაწერილია „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ შემდეგ.

---

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1877, №№ 18, 19, 20, 21; გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკი“, 1878, № 241.

<sup>2</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დასასაათებები და მოგონებები, I, 1913, გვ. 175.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 179.

გ. თუმანიშვილი ვერ ავითარებს თავის ამ შეხედულების მთავარ აზრს, არ ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რატომ ვერ ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში სათანადო გაგრძელება „მეჯღანუაშვილის“ თემამ (მხედველობაში თუ არ მივიღებთ გ. წერეთელს), მაგრამ მიგვანიშნებს კი ამგვარ ვითარებაზე.

საყურადღებოა სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ტრაგედიის მიხეზის ახსნა და შეფასებაც. გ. თუმანიშვილი ამ საქმეში ამჭერადაც დიდ მნიშვნელობას აძლევს თვით გმირის „ცოდვებს“, მაგრამ ეს უკვე აღარ მიაჩნია ერთადერთ ფაქტორად. იგი ყურადღებას ამაჩვილებს, აგრეთვე წმინდა სოციალური ხასიათის წინააღმდეგობაზე. „მაგრამ, — წერს იგი, — მეჯღანუაშვილის უბედურება მხოლოდ ცუდი წინათგრძნობით არ შემოიფარგლება. ამ გმირის გამარჯვებები, ადვილად რომ მოიპოვა, ყველაფერი ის, რასაც ბედნიერება უნდა მოეტანა, გაანადგურა კაცმა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება უწოდებს არა მარტო მოუქნელს, არამედ უგუნურსაც. ამ შემთხვევაში ასეთი კაცი აღმოჩნდა ახალგაზრდა სამართალმცოდნე რაინდოძე... მან მილიონერ მეჯღანუაშვილის ქალიშვილს ამჯობინა ღარიბი, მაგრამ სანდომიანი თავადის ქალი ელენე, და ამის გამო მას ქებას არ შეასხამდნენ თანამედროვე საქმოსნები, რომელთა თვალში ასეთი საქციელი უბრალოდ სისულელედ ითვლება. თუმცა ახალგაზრდა თავადის ამგვარი სისულელე ყოვლისშემძლე მეჯღანუაშვილისათვის საბედისწერო აღმოჩნდა“<sup>1</sup>.

ამგვარი ახსნა, ცხადია, უფრო დამაჭერებელი და გამართლებულია თვით მწერლის პოზიციებიდანაც. მეჯღანუაშვილებს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ წინააღმდეგობას უწევდნენ რაინდიძეები და გამორიცხული არ იყო შემთხვევა ამ უკანასკნელთა გამარჯვებისა ამა თუ იმ გარემოებაში (თუმცა ეს არცთუ ტიპიურ მოვლენად მოჩანს იმპრონინდელი ვითარების ფონზე), მაგრამ კრიტიკოსს შეუმჩნეველი აღარ რჩება, რომ ყოველივე ეს არის მწერლის მიერ ხელოვნურად აღმართული ბარიერები მეჯღანუაშვილთა სავალ გზაზე, რაც იმის მაუწყებელია, რომ რეალისტი ლ. არდაზიანი თავისუფალი არ არის მცდარი ტენდენციისაგან. მისი დასკვნით, „უნდა ვაღიაროთ, რომ რომანის ამგვარმა ტენდენციურობამ საკმაოდ ავნო მხატვრულ

<sup>1</sup> გ. ნ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები. I, 1913, გვ. 179.

სიმართლეს. თავის ტენდენციების ასახსნელად ავტორი ხშირად იძულებულია შექმნას არაბუნებრივი მდგომარეობა, დაგვიხატოს დაუჭერებელი იდეალური ტიპები“<sup>1</sup>.

ცხადია, ეს მართებული შეხედულება უკვე პრინციპულად განსხვავდება იმ ტექსტისა და ქვეტექსტისაგან, რომლითაც გ. თუმანიშვილმა დაამთავრა „დროებაში“ გამოქვეყნებული სტატია.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანში გატარებული ტენდენციურობისათვის გ. თუმანიშვილმა მხოლოდ მწერალს როდი დააკისრა პასუხისმგებლობა. მისი თქმით, ამგვარი არაბუნებრივობა ხშირად გვხვდება „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ მსგავს ნაწარმოებებში, რომელთაც მიზნად აქვთ მრავალმხრივი ამოცანები: სინამდვილის ასახვა, მისი კრიტიკა და ზნეობრივი იდეალების შემუშავება.

გ. თუმანიშვილი არც ამჯერად დალატობს თავის ჩვეულ მანერას და ყურადღებას ამახვილებს არდაზიანის მიერ სომეხი ვაჭრის (მეჯღანუაშვილის) იმგვარად დახატვაზე, რომ მას ხელს მოაწერდა სომესი მწერალიც. „არდაზიანი უღმობლად გვიხატავს ვაჭართა ცხოვრების ბნელ მხარეებს, — წერს იგი, — მაგრამ არასოდეს არ იჩენს მათი ეროვნებისადმი შეუღმწყნარებლობას... ქართველი არდაზიანის ნაწარმოებისათვის თავისუფლად შეეძლო მოეწერა ხელი სომეხ დრამატურგს გ. სუნდუკიანს“<sup>2</sup>.

ამ შემთხვევაშიც გ. თუმანიშვილმა-კრიტიკოსმა ადგილი დაუთმო გ. თუმანიშვილს-პუბლიცისტს, რომელიც მაშინ საკმაოდ ბევრს წერდა ქართულ-სომხური ურთიერთობის ჩრდილოვან მხარეებზე.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ გ. თუმანიშვილი არ იცნობს ლ. არდაზიანის მეორე რომანს — „მორჩილს“, ამას მოწმობს არა მხოლოდ ის, რომ მის შესახებ არაფერს ამბობს, არამედ მისი შემდეგი სიტყვებიც:

„ყველაფერი, რაც მან შექმნა თავისი ცნობილი რომანის დაწერამდე თუ მის შემდეგ, კრიტიკის ყურადღების ღირსი არაა. ჭერ ერთი ესაა „ჰამლეტის“ პროზად თარგმნა, მეორე — 60-იანი

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი. დახასიათებები და მოგონებები, I, 1913, გვ. 161.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 182.



წლების ახალგაზრდობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური წერილები, რომლებიც დაიბეჭდა „ცისკარში“ ფსევდონიმით „ბიძია თონიკე“, მესამე ხელნაწერი, სიკვდილის შემდეგ რომ დარჩა, სადაც გვხვდება შენიშვნები XVIII საუკუნეზე და აბატ გეტეს წიგნის თარგმანი, რომელიც მიმართულია რენანის „იესოს ცხოვრების“ წინააღმდეგ“<sup>1</sup>.

ამგვარ ვითარებას გ. თუმანიშვილი მართალია მწერლის მძიმე ცხოვრებითა და მოხელის მკაცრი ზვედრითა ხსნის, მაგრამ მოულოდნელია „ცისკარში“ გამოქვეყნებული მეორე რომანის („მორჩილი“) მის მიერ არცოდნა, მითუმეტეს, როცა ის მწერლის გამოუქვეყნებელ ნაწერებსაც კი იცნობს. ეს მით უფრო დასაწინაა, რომ „მორჩილი“ მას მისცემდა მდიდარ მასალას მწერლის შემოქმედების უფრო ღრმა გაგებისა და სრულად წარმოდგენისათვის.

„დახასიათებებისა და მოგონებების“ ლ. არდაზიანისადმი მიძღვნილი თავიდან ვგებულობთ იმასაც, რომ გაზეთ „დროებაში“ (1877 წ.) და გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში“ (1878 წ.) დაბეჭდილი გ. თუმანიშვილის სტატიების საბაზი გამხდარა „სოლომონ ისაკი მეჯღანუაშვილის“ პირველი გამოცემა (1878 წ.) „მინდოდა რა მიმეპყრო მკითხველის ყურადღება ამ გამორჩეული ნაწარმოებისათვის, — წერს იგი, — მე მაშინვე დავბეჭდე მისივე გარჩევა გაზეთ „დროების“ (1877) 4 ფელეტონში და ერთი ფელეტონი რუსულ გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში“ (1878)“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, გ. თუმანიშვილს რომანის გამოცემის პროცესში, სანამ ის ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი, გამოუქვეყნებია თავისი სტატია „დროებაში“, რითაც, უნდა ვივარაუდოთ, კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი ამ რომანისა და მისი პირველი გამოცემისადმი.

ყოველივე ზემოთქმულადან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გ. თუმანიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთ-ერთი პირველი ქართველი რეალისტი მწერლისა და მისი რომანის („სოლომონ ისაკი მეჯღანუაშვილის“) შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ის ფაქტი, რომ „სოლომონ ისაკი მეჯღანუაშვი-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, I, 1913, გვ. 163.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 184.

ლის“ და მისი ავტორის შესახებ პირველი კრიტიკული სტატია როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში გ. თუმანიშვილმა მოათავსა, თავისთავად მეტყველებს ამ გარემოებაზე. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ამით არ ამოიწურება კრიტიკოსის დამსახურება ლ. არდაზიანის შემოქმედების შესწავლის საქმეში. თავის კრიტიკულ სტატიებში გ. თუმანიშვილმა საფუძვლიანად გაარკვია და სწორად მიუთითა, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ იდეურ-მხატვრული ავკარგიანობის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა უმეტესობა გაზიარებულია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში.

ექვს გარეშეა, რომ გ. თუმანიშვილს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ლ. არდაზიანის ცნობილი რომანის როგორც პირველი გამოცემის (1878), ასევე მომდევნო გამოცემათა განხორციელებაში.

\* \* \*

გ. თუმანიშვილმა თავისი შეხედულება გამოთქვა 50-იანი წლების კიდევ ერთი გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის, რაფიელ ერისთავის შესახებაც.

განსხვავებით ყველა სხვა კრიტიკოსისაგან, გ. თუმანიშვილმა ბევრი რამ საერთო მონახა რაფ. ერისთავსა და ალ. ყაზბეგს შორის. თავისი ნარკვევიც რაფ. ერისთავის შესახებ მან სწორედ ამ მსგავსება-განსხვავებათა ხაზგასმით დაიწყო<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავი და ალ. ყაზბეგი, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, იყვნენ სხვადასხვა თაობათა წარმომადგენელნი, სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონენი და განსხვავებული სახის მხატვრული ხერხების მფლობელნი. ერისთავი 50-იანი წლების მოქალაქეა; ყაზბეგი კი — სამოცდაათიანი წლების, პირველი ჩინოვნიკი იყო, მეორე — მემამულე, პირველის ძალა — ლექსებშია, მეორისა — რომანებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „მათ აახლოებდა მიმართულების ერთგვარობა. თავიანთი სიმაღლიდან ორივე დაეშვა ხალხამდე, გულწრფელად შეიყვარეს და ხოტბა შეასხეს მას. მეორე, რაც მათ აახლოებდა, იყო თავდავიწყებული გატაცება საზოგადოებრივი მოღვაწეობით და ლიტერატურით. არცერთი არ იფარ-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები. 1, 1913. გვ. 132.

გლებოდა ვიწრო სფეროთი, მუშაობდნენ ლიტერატურის ყველა დარგში, ორივე წერდა თეატრისათვის, ორივე ლებულობდა მონაწილეობას ლიტერატურულ საღამოებში, ორივე ეწეოდა ეთნოგრაფიულ კვლევას და ა. შ.“<sup>1</sup>.

საკმარისად საინტერესო დაკვირვება და პარალელებია მოწოდებული კრიტიკოსის ამ სიტყვებში.

საგულისხმოა ისიც, რომ გ. თუმანიშვილი, განსხვავებით ბევრი სხვა კრიტიკოსისაგან, რაფ. ერისთავს მიიჩნევს ორმოცდაათიანი წლების და არა სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების თაობათა წარმომადგენლად ქართულ მწერლობაში, როგორც ამას უკანასკნელ დრომდე აქვს ადგილი. ამასთან ერთად, იგი საგანგებოდ მიუთითებს რაფ. ერისთავის სიახლოვეზე ხალხთან და მის შემოქმედებში მრავალფეროვნებაზე, რასაც ყოველთვის ანგარიში უნდა გაეწიოს გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის შესწავლისას.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საერთო შეფასება, რომელიც გ. თუმანიშვილმა რაფ. ერისთავს შემოქმედებასა და მოღვაწეობას მისცა, დღესაც მისაღები და გასაზიარებელია. „რ. დ. ერისთავი, — წერს იგი, — არ იყო ქართულ პოეზიაში უპარველესი ვარსკვლავი, მაგრამ ლიტერატურის ყოველ დარგში, რომლებშიც მონაწილეობას ლებულობდა, დასტოვა თავისი განსაკუთრებული ნიჭის კვალი. ლირიკული ლექსები — ეროტიული, ელეგიური, მოქალაქეობრივი და ხალხური მოტივები. იგავ-არაკები, სცენები და პიესები, ორიგინალურები და გადმოკეთებულები, ეთნოგრაფიული გამოკვლევები — როგორც ამბობენ, ყველგან თავის სახლში იყო, ლიტერატურის ყველა დარგს იოლად ძლევდა“<sup>2</sup>.

ამ სიტყვებით ბევრი რამ არის ნათქვამი: მითითებულია მწერლის ადგილზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში და მისი შემოქმედების ძირითად მოტივებზეც; აშკარად იგრძნობა რაფ. ერისთავის შემოქმედებაში კრიტიკოსის ღრმად წვდომაც.

ფაქიზი სულის მქონე რაფ. ერისთავი. გ. თუმანიშვილის შეხედვლებით, ადვილად აღიქვამდა ყოველივე ახალს და გულწრფელად რეაგირებდა იმ სასურველ სიკეთეზე, რაც ახალ ეპოქას მოპ-

გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1895, № 4062.

გ. მ. თუმანიშვილი. დახასიათებები და მოგონებები, 1913. I, გვ. 132.

ქონდა. ამიტომაც, სამოციან წლებში იგი გახდა მგზნებარე პროპაგანდისტი პროგრესული იდეებისა, რასაც ერთგულად ემსახურებოდა შემდეგშიც. თანამდებობრივმა მდგომარეობამაც ხელი შეუწყო მას ახლოს გაცნობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხთა ყოფას, მათ ზნე-ჩვეულებასა და ენას, რამაც მდიდარი მასალა მისცა შემოქმედებისათვის.

გ. თუმანიშვილის თქმით, „ხალხური ენის შესანიშნავმა ცოდნამ იგი (რ. დ. ერისთავი. ზ. გ.) სახალხო პოეტად აქცია“. მაგრამ, ცხადია, რომ მხოლოდ ხალხური ენის კარგი ცოდნა ვერ გახდინდა რაფ. ერისთავს ქეშმარიტ სახალხო პოეტად. ამასათვის საჭირო იყო ბევრი სხვა და უფრო დიდი ღირსებებიც: თუმცა, როგორც ვნახეთ, არც ეს „სხვა“ დარჩენია კრატიკოსს შეუმჩნეველი. რ. ერისთავის ცნობილი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ გ. თუმანიშვილს მიაჩნია პოეტის საუკეთესო ქმნილებად, რომელსაც არა მხოლოდ ზეპირად სწავლობდა ხალხი, არამედ მღეროდა კიდევ მას. შეუძლებელია კრატიკოსს არ დავეთანხმოთ იმაში, რომ თავისი ხალხის ყოფისა და ხალხური ენის კარგმა ცოდნამ უდავოდ დიდი სამსახური გაუწია რაფ. ერისთავს გამხდარიყო ნიჭიერი მეცნიერ-რაქე და დრამატურგი, რომელმაც განსაკუთრებით გადმოკეთებულ იხსნელა თავი.

გ. თუმანიშვილი საინტერესო ცნობებს გვაწვდის რაფ. ერისთავის პიესების შემოქმედებით ისტორიაზეც. კრატიკოსის თქმით, რაფ. ერისთავი უშუალოდ იყო დაკავშირებული ქართული თეატრის მუშაობასთან და მის დასთან, განსაკუთრებულად აკვირდებოდა ყოველივეს, რაც წინ ეღობებოდა და ხელს უშლიდა თეატრს წარმატებაში. ამის გამო შეუძლებელი იყო არ ეზრუნა მის რეპერტუარზეც, რომელიც მეტად ღარიბი იყო სამოცდაათიანი წლებისათვის. მან ვალდებულად ჩათვალა თავისი თავი, საკუთარი წვლილი შეეტანა ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრებაში. თანაც ისეთი პიესები უნდა შეექმნა, რომელთა წარმოდგენას მაშინდელი ქართული დასი შეძლებდა. ამიტომაც, შენიშნავს კრატიკოსი, „რაფიელ ერისთავი არა მარტო წერდა თავის ნიჟის შესატყვის პიესებს, არამედ სწორედ ისეთ როლებს ქმნიდა, რომლებიც შეესაბამებოდა დასში არსებული ძალების ნიჟს. საკმარისია განვიხილოთ

უნდაც იგივე „ბიძიასთან გამოხუმრება“. ეს პიესა თითქოს განგებაა შექმნილი საფაროვა-აბაშიძისა და კ. ყიფიანისათვის“<sup>1</sup>.

ანალოგიური ფაქტები ბევრი იცის დრამატურგის, კერძოდ კი ქართული დრამატურგის ისტორიამ, მაგრამ ამ გარემოების უყუჩადღებოდ დატოვება მაინც შეუძლებელია რაფ. ერისთავის პიესების შესწავლისას, რადგან უმეტესი მათგანის ხასიათი უშუალოდ ამ ვითარებითაა განპირობებული. ნიშანდობლივია ისიც, რომ სხვა შემთხვევაში არც სხვისთვის და არც რაფ. ერისთავისათვის დიდი წარმატება არ მოჰქონდა ქართულ სცენაზე პიესების წარმოღვევნას. უფრო მეტიც, სხვაგვარ პიესებს, როგორც გ. თუმანიშვილი შენიშნავს, ელოდათ სერიოზული ჩავარდნა სცენაზე. ასეთ ისტორიებს, ცხადია, არც რაფ. ერისთავი გადარჩენია. ამის მაგალითი იყო თუნდაც „ქაჩუას“ წარმოდგენა და მისი არასასურველი ეფექტი, მაგრამ: „ამგვარი დაუმსახურებელი ფიასკო გადაჰქონდა რაფ. ერისთავს ისეთი წმინდა ქრისტიანული შეკვრებით, რომ შეუძლებელი იყო შეხვედროდი მასზე ათასჯერ უფრო უნიჭო მწერალთან... და რაც ყველაზე მეტად საოცარია, მას ამგვარი ფიასკოს შემდეგ სრულიად არ აკლდებოდა სიყვარული თავისი საქმიანადმი. იგი მეორე დღესვე ახალი გატაცებით კიდებდა ხელს საქმეს, და ასე დაუსრულებლად — სანამ ძალა შესწევდა“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილის ეს დაკვირვება, ცხადია, ექვს არ იწვევს, რადგან იგი იმდროინდელი თეატრის მუშაობის და მასთან დაკავშირებულ ქართველ დრამატურგთა საქმიანობის უშუალო მონაწილე და მოწმე იყო. მაგრამ მასში საკვირველიც არაფერია: რაფ. ერისთავისათვის უდავოდ უფრო მთავარი იყო ქართული თეატრის წარმატებები, ვინემ საკუთარი, როგორც დრამატურგის თავმოყვარეობა. მითუმეტეს, რომ მისი პიესები („ბიძიასთან გამოხუმრება“, „ადვოკატები“ და სხვ.) საერთოდ დიდი წარმატებით იღგმებოდნენ.

რაფ. ერისთავის ამგვარი ბუნება ვლინდებოდა არა მარტო თეატრთან ურთიერთობაში, არამედ საერთოდ მის მრავალფეროვან მოღვაწეობაში. როგორც თვითონ გ. თუმანიშვილი ამბობს: „რ. ერისთავი ღრმა მოხუცებულობამდე ცოცხლად ეხმაურებოდა დროის

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 138. იქვე, გვ. 138—139.

ყველა მოთხოვნებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული ინტელიგენციის ყველა წამოწყებაში. სკირდებოდა თუ არა დახმარება რომელიმე ლიტერატურულ წამოწყებას, საკირო იყო თუ არა სპექტაკლის ან ლიტერატურული საღამოს გამართვა, მონაწილეობის მიღება სოფლის მეურნეობის საზოგადოების ან გეოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების, წერაკითხვის გამავრცელებელი ან დრამატული საზოგადოების სხვაგვარში — ყველგან შეიძლება დაყრდნობოლით თავ. რაფ. ერისთავის გულისხმიერებას“<sup>1</sup>.

ამ მოკლე დახასიათებით გ. თუმანიშვილმა მკითხველს გამოკვეთილად წარუდგინა რაფ. ერისთავის, როგორც საზოგადო მოღვაწის სახეც. ეს გარემოება კი მისი — როგორც ესეისტის ოსტატობაზეც მეტყველებს.

საგულისხმოა გ. თუმანიშვილის დაკვირვება რაფ. ერისთავის მოქალაქეობრივი ტაქტისა და წინდახედულების შესახებაც. მისი სამართლიანი თქმით, ყოველთვის გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული რაფ. ერისთავის საქმიანობა საზოგადოებრივი მოღვაწეობის არენაზე, ვინაიდან მას საკმაოდ საპასუხისმგებლო და სპეციფიური ხასიათის თანამდებობები (მაზრის უფროსი, მეფას ნაცვლის კანცელარიის „სტოლნაჩალნიკი“, ცენზორი) ეკავა. „განსაკუთრებით საჩოთირო იყო, — შენიშნავს ის, — მისი მდგომარეობა. როგორც ცენზორისა, მაგრამ მას შესწევდა უნარი ისე გამოსვლიყო მძიმე მდგომარეობიდან, რომ პრესის ინტერესებისთვის ზოგჯერ არ მიეყენებინა“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილის უკანასკნელ სატყვებში, ცხადაა, უნდა ვაგულისხმოთ არა მაშინდელი ცენზურის ინტერესები ბეკდვითი სატყვისადმი, არამედ მწერლობისა — პრესისადმი. თორემ ცენზურის წინაშე სხვა ცენზორები უფრო ღვაწლმოსილები იყვნენ.

დასახელებულ ნარკვევში გ. თუმანიშვილი გვაცნობს აგრეთვე თავის პირად ურთიერთობას რაფ. ერისთავთან, რომლის ფონზეც მოკლედ და ოსტატურად მოწოდებული ბიოგრაფიული ცნობების შემდეგ, საკმაოდ ნათელი წარმოდგენა გვექმნება დიდი მწერლის

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოკონებები, 1913. I, გვ. 135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 124—135.

პიროვნებაზეც. ამ უტყუარ ფაქტებსა და უშუალო შთაბეჭდილებებს კი ძვირფასი პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ როგორც მწერლის სულიერი და მორალური სამყაროს შესასწავლად. ასევე თვით კრიტიკოსის ბუნებისა და მწერლობასთან დამოკიდებულების გასათვალისწინებლად, რის გამო მის გახსენებას ზედმეტად არ ვთვლით. „როცა მე იგი გავიცანი, — წერს გ. თუმანიშვილი. — საქმისადმი მისი ორიგინალური დამოკიდებულება ღრმად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ორიგინალური იყო მისი სრული უპრეტენზიულობა. ყველაზე შარიანი დამკვირვებელიც კი ვერ შენიშნავდა მკირეოდენ პატივმოყვარეობასა და ავტორისეულ თავდაჭერებულობას. არა თუ სრულიად არ იწონებდა თავს, არამედ ერთი ბეწო მისწრაფება არ ჰქონდა იმისაკენ, რომ მისი ნიჭის შესაფერისი როლი ეთამაშა. ეს უჩვეულო თავმდაბლობა ძალზე სასიკეთოდ გამოარჩევდა მას მისივე საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ამხანაგებისაგან...

1878 წ. განვიზრახე გამომეცა ლიტერატურული კრებული ქართულ ენაზე და სხვებთან ერთად მივმართე სახელოვან პოეტს დახმარებისათვის. ჩემს თხოვნას იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა, თუმცა პირადად არ მიცნობდა, და ხალისით შემომთავაზა სქელი რვეული ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსებით. მაგრამ თითქოს ეს ეცოტავა. შემპირდა ახალი რამე დაეწერა. მე, რა თქმა უნდა, ვერ გავბედე ბოლომდე ამომეწურა ჩემი ახალი მეგობრის თავაზიანობა და იმით დავეკმაყოფილდი, რომ ვთხოვე ეთარგმნა კრებულისათვის ბერანჟეს ლექსი „მათხოვარი“. მე იგი ვთარგმნე პროზაულად ფრანგულიდან. რუსულზე, შემდეგ კი თავ. რაფ. ერისტოვმა ქართულ ენაზე გადაიღო ლექსად. ლექსი გამოვიდა თეთრი, ურითმო, მაგრამ ამით თითქმის არაფერი დაუკარგავს“<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავის შესახებ დაწერილ გ. თუმანიშვილის ამ მოგონება-დახასიათებას, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის მწერლის პიროვნებით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი. ამასთან, მისი უტყუარი სინამდვილის გამო, შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი. დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 136—137.

შენაძენია რაფ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის, რაც გარკვეულად ზრდის ჩვენი კრიტიკოსის წვლილს მისი შესწავლის საქმეში.

• • •

გ. თუმანიშვილი უფრო ახლო და მჭიდრო კონტაქტში იყო ცნობილ სამოციანელებთან, რომელთა მოღვაწეობის მაგალითზეც აღიზარდა იგი და რომლებთანაც დაკავშირებული იყო მთელი თავისი მოღვაწეობით. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო: სამოციანი წლებიდან დაწყებული საუკუნის დასასრულამდე მათ ხელში იყო ქართული მწერლობისა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სადავეები; ისინი გამოხატავდნენ და წარმართავდნენ ქართველი ხალხის ფიქრსა და ინტელექტუალურ შესაძლებლობას. მათ შემდეგ გამოსული ყველა მოღვაწე, მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, მეტ-ნაკლებად დავალებული იყო სამოციანელთა მოღვაწეობითა და უშუალო ხელისშეწყობით.

როგორც თვითონაც არაერთგზის აღნიშნავს, გ. თუმანიშვილის გამოსვლასაც სამოღვაწეო ასპარეზზე ბიძგი მისცა ილია ჭავჭავაძემ და მისმა უურნალმა „საქართველოს მოამბემ“. ხანგრძლივი დროის მანძილზე ილია ჭავჭავაძე გ. თუმანიშვილისათვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო არა მხოლოდ ქართველ მოღვაწეთაგან, არამედ საერთოდ. ილია ჭავჭავაძეც, თავის მხრივ, დაკვირვებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდა გ. თუმანიშვილის მოღვაწეობას და ცდას არ აკლებდა სასურველი მიმართულებით წარმართულიყო იგი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი დამოკიდებულება მათ შორის ბოლომდე არ გაგრძელდა, რაშიც ბრალი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგობებით აღსავსე სინამდვილეს და გ. თუმანიშვილის მერყევ და ბუნდოვან პოზიციას ეროვნული მნიშვნელობის ზოგიერთი მტკივნეული საკითხის გადაწყვეტის დროს.

ამ გარემოების გაუთვალისწინებლობა, ცხადია, შეუძლებელია, როცა საკითხი ეხება გ. თუმანიშვილს, როგორც ილია ჭავჭავაძის კრიტიკოსს.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების შესახებ ქართულ



პრესაში გამოთქმულ გ. თუმანიშვილის შეხედულებებს უკვე გავეცანით ნაშრომის წინა თავში. ამჟამად ჩვენ მსჯელობა გვექნება გაზეთ „ზაკავკაზიეში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე („როგორ შევიყვარე ქართული ლიტერატურა“)¹ და „დახასიათებები და მოგონებების“ მესამე წიგნში შეტანილ სპეციალურ ნარკვევზე. რომელსაც ეწოდება „თ. ილ. გ. ჭავჭავაძე“.

გ. თუმანიშვილის სტატია „როგორ შევიყვარე ქართული ლიტერატურა“ გაზ. „ზაკავკაზიეში“ გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს და შეუძლებელია განსაკუთრებული ყურადღება არ მიეპყრო მას. მკითხველი უდავოდ დაინტერესდებოდა იმით, თუ რას ამბობდა ილიას შესახებ ის მოღვაწე, რომელთანაც საკმაოდ თავისებური ურთიერთობა აკავშირებდა ტრიგიკულად დაღუპულ დიდ ქართველ პოეტს.

ამ გარემოებას, ცხადია, გრძნობდა გ. თუმანიშვილიც, რომლის წინაშე, ალბათ, მტკივნეულად დადგა საკითხი: გაჩუქებულიყო თუ ეთქვა რამ ამ მძიმე მწუხარების დროს? როგორც სტატიის სათაურიდანაც იგრძნობა, მას არ შეეძლო გაჩუქებულიყო და არაფერი ეთქვა იმ ადამიანის შესახებ, რომლისგანაც ყველაზე მეტად იყო დავალებული. გ. თუმანიშვილს ამჟამად უნდა დაევეწყო ილიას მკაცრი კრიტიკა მის მიმართ 80—90-იან წლებში და დამსახურებულად უნდა მიეზლო იმ კეთილმყოფელი გავლენისათვის, რომლის წყალობითაც მან მწერლისა და მოღვაწის გზა აირჩია. ასეც მოიქცა.

გ. თუმანიშვილმა თავისი სტატია დაიწყო იმის გახსენებით, თუ როგორი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოსვლამ ქართველ საზოგადოებრიობასა და ქართულ მწერლობაზე. დიდი იმედებისა და საერთო გამოცოცხლების ეპოქაში, შენიშნავს იგი, ქართველმა სამოციანელებმა, როგორც რეალისტებმა და მატერიალისტებმა, გააღვიძეს საუკეთესო ადამიანური გრძნობები, მკითხველი აზიარეს მოწინავე იდეებს და ახალგაზრდობა შთააგონეს შემოქმედებითა მოღვაწეობისათვის.

„მეც კი, 8 წლის ბიჭი, — წერს ის, — დავინტერესდი ჟურნალით, ჭავჭავაძის ჟურნალიდან მე პირველად შევიტყვე ბელინსკისა და დობროლუბოვის, პრუდონისა და ბასტაას არსებობა. მაგრამ

¹ გაზ. „ზაკავკაზიე“, 1907, № 164.

მათი გაგება მიჰქირდა და სხვებზე მეტად ჩემი სიმშათეა ვიქტორ ჰიუგომ (იბეჭდებოდა მისი რომანი „საბრალონი“) და თვით რედაქტორმა მიიბჰყო... ქავჭავაძის პოეტურ და ბელეტრისტულ ნაწარმოებებში ბევრი იდეალიზმი, ბევრი პოეტური შთაგონებაა და არ შეიძლებოდა ბავშვის სული არ გაეტაცა მათ. მე მთელი გულით შევიყვარე ქართული ლიტერატურა და თავადაც პოეტი გავხდი. დავიწყე ქართულ ენაზე ხელნაწერი ჟურნალის შედგენა და თავაულებლად ვკითხულობდი ქართულ წიგნებს“.

როგორც ვხედავთ. გ. თუმანიშვილმა საგანგებოდ მიუთითა ამ როლზე, რომელიც ი. ქავჭავაძის ნაწერებმა და მასმა ჟურნალმა შეასრულეს მომავალი მოღვაწის ფორმირების საქმეში. იგი ლაპარაკობს იმ დიდ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებასეუ. რომელიც მასზე მოუხდენია ილია ქავჭავაძის ვიზიტს თუმანიშვილების ოჯახში და მის შთამაგონებელ სახეს. „მომეჩვენა, — იგონებს ის — თბილისის მის სახეზე შევნიშნე ღვათაბრივი შთაგონების ნიშანი და მას შემდეგ ეს სახე არ დამვიწყებია“.

საინტერესო ცნობას გვაწვდის გ. თუმანიშვილი ამავე სტატიაში ილიასთან მამის ჟრთიერთობის შესახებ. როგორც ირკვევა, მ. თუმანიშვილს „საქართველოს მოამბის“ რედაქტორის მიერ წინადადება ჰქონდა მიცემული ეთანამშრომლა ჟურნალში, მასაც ამის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ, საგლახო რეფორმის მოსამზადებელი საქმეებით გადატვირთვის გამო ეს სურვილი ვერ განუხორციელებია. სამაგიეროდ მას ილიასათვის მიუწოდებია გამოჩენილი ქართველი რომანტიკოსების ნაწერთა ბიბლიოგრაფია და მასთან დაცული მათი ნაწერები. გ. თუმანიშვილის თქმით, „მან (მიხეილა — ზ. გ.) შესძლო გადაეცა რედაქციისათვის მხოლოდ ის ლექსები, ხელთ რომ ჰქონდა, ნ. ბარათაშვილის, ალ. ქავჭავაძის და გრ. ორბელიანის. ეს იყო იმ დროისათვის თითქმის ერთადერთი სრული სია, და ის სიხარულით გამოიყენა ილ. ქავჭავაძემ თავის ახალგაზრდა ჟურნალისათვის“.

„საქართველოს მოამბემ“ მართლაც დიდი როლი შეასრულა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების პუბლიკაციის საქმეში. ხოლო მასში მიხ. თუმანიშვილის მონაწილეობის შესახებ მოწოდებულ ამ საიმედო ცნობას, ცხადია, გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და ჟურნალისტურ მოღვაწეობას სამოციან წლებში ისეთი დიდი გავლენა მოუხდენია ჩვენს მომავალ კრიტიკოსსა და პუბლიცისტზე, რომ იგი საგანგებოდ შენიშნავს: „ამის შემდეგ გავეცანი რუსულ პოეზიას. ბევრს ვკითხულობდი ლერმონტოვს, პუშკინს, გოგოლს. გატაცებული ვიყავი მსოფლიო გენიოსებით — შექსპირით, ბაირონით, შილერით და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ჩემი პირველი სიყვარულის ერთგული დავრჩი. მე ხარბად ვადევნებდი თვალყურს ყველაფერს, რაც ქართულ ენაზე გამოდიოდა. ხარბად ვეწაფებოდი ყოველგვარ ლიტერატურულ სიახლეს“.

თავისი ახალგაზრდული პერიოდის მეორე ეტაპად გ. თუმანიშვილი მიიჩნევს სამოცდაათიანი წლების დამდეგს, როცა ქართველი მკითხველის ყურადღება მიიპყრო ჟურნალმა „კრებულმა“, რომელშიც წამყვანი ადგილი, კრიტიკოსის თქმით, კვლავ ილია ჭავჭავაძემ დაიკავა. მისი „მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“ (სრულად), „კაკო ყაჩაღი“ და სხვ., რომლებიც ამ ჟურნალში გამოქვეყნდა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მკითხველზე. ამ დროისათვის, შენიშნავს იგი, აღარ მაკმაყოფილებდა მხოლოდ პოეზია და დიდი გატაცებით ვკითხულობდი ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, პისარევს და სხვებს. „მაგრამ ამან არ გამინელა მე ქართულად კითხვის სიყვარული“. ამასთან ერთად, გ. თუმანიშვილს კვლავ დაუწყია ქართული ხელნაწერი ჟურნალების შედგენა. სულ მალე კი იგი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოჩნდა.

სტატიის დასასრულს გ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძით ამგვარი გატაცება მხოლოდ მისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ი. ჭავჭავაძის ნაწერებით გატაცებული იყო მთელი იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ამ გარემოებამ კი ქართულ ლიტერატურას შესძინა გავლენის დიდი ძალა და ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც მას ადრე ნაკლებად გააჩნდა.

„მან (ილია ჭავჭავაძემ — ზ. გ.) მასწავლა ქართული ლიტერატურის სიყვარული, იმ ლიტერატურისა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მის გამოჩენამდე, საღათას ძილში იყო. თუ მანამდე მისი ცალ-

კეულო ნიკიერი წარმომადგენლები ვილაცეების აღტაცებას იწვევდნენ და ისიც მხოლოდ მცირერიცხოვანი მკითხველების ვიწრო წრეში, ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ქართულმა ყურნა-ლისტივამ და ლიტერატურამ მხოლოდ „საქართველოს მოამბის“ განოსვლის შემდეგ მოიპოვა ქართველთა შორის. ილია ჭავჭავაძის სახელი. როგორც ქართული აზრის და მოქალაქეობრივი გრძობის გამომავლიზლებელისა, არასოდეს არ მოკვდება. მისი ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება მათ შორის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის კულტურული ინტერესები“.

როგორც ვხედავთ, ასეთი გულწრფელი აღიარებით, გ. თუმანი-შვილმა შეძლო თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა იმ დიდი შემოქმედის წინაშე, რომლის მოღვაწეობამაც არსებითი მნიშვნელობის როლი შეასრულა მის ლიტერატურულ მომწიფებასა და ჩამოყალიბებაში. მაგრამ ეს იყო არა ილია ჭავჭავაძის, როგორც დიდი შემოქმედისა და მოღვაწის, სრული შეფასება, არამედ ახალგაზრდობაზე მისი დიდი გავლენის აღიარება. ამასთან, კრიტიკოსი, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, შემოიფარგლა ილია ჭავჭავაძის სამოც-სამოცდაათიანი წლების მოღვაწეობის დახასიათებით და თავი აარიდა მისი მოღვაწეობის შემდგომ პერიოდს, როცა მან საკვიროდ ჩათვალა რამდენიმეგზის მკაცრად შეეთითებინა გ. თუმანი-შვილის მოღვაწეობის ზოგიერთ ჩრდილოვან და ბუნდოვან მხარეზე. მაგრამ ბოლომდე დუმილით გვერდის ავლაც თითქმის შეუძლებელი იყო. სხვა რომ არაფერი, უხერხული იყო გ. თუმანიშვილს თავის წიგნში სპეციალური ნარკვევი არ ეძღვნა ილია ჭავჭავაძისათვის. ასეც მოხდა, და ეს მოხდა 1907 წელსვე<sup>1</sup>.

ამჟერად გ. თუმანიშვილი შეეცადა საერთო დახასიათება მიეცა ილია ჭავჭავაძის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობისათვის. მისი შეხედულებით, ილიას დამსახურებას ქართული საზოგადოების წინაშე ზოგიერთი გადაჭარბებულად აზვიადებს, ზოგიერთი კი — საგანგებოდ ამცირებს. და ასეთი ვითარება მას სრულიად კანონზომიერად მიაჩნია. მისი თქმით, „ისეთი დიდი ადამიანი, როგორც აწ გარდაცვლილი იყო და ისეთი ბოზოქარი მოღვაწე.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, III.

რითაც იგი გამოირჩეოდა, ერთსა და იმავე დროს წარმოშობს ზომიერებას მოკლებულ აპოლიგეტებსაც და მოსისხლე მტრებსაც<sup>1</sup>. ამასთან ერთად, იგი გამოთქვამს რწმენას, რომ სიკვდილის შემდეგ კრიტიკა თავს დააღწევს უკიდურესობებს და ილია ჭავჭავაძეს მოუძებნის მის კუთვნილ ადგილს ჩვენი ქვეყნის კულტურულ განვითარების ისტორიაში.

გ. თუმანიშვილის მართებული შეხედულებათ, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მთავარი სფერო იყო მწერლობა — პოეზია და ბელეტრისტიკა. ამასთან ერთად მიუთითებს იმ ძლიერ გავლენაზე, რომელიც, მისი აზრით, ილია ჭავჭავაძე-პოეტზე ჰქონდა ნეკრასოვსა და ბარათაშვილს, ხოლო ილია ჭავჭავაძე-ბელეტრისტზე გოგოლს, გონჩაროვს და ხალხოსან ბელეტრისტებს. მაგრამ რაში მდგომარეობდა კონკრეტულად ეს გავლენა, ამის შესახებ გ. თუმანიშვილი არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ მითითებული აქვს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაზე“ და ნ. გოგოლის „ძველი დროის მემამულეებზე“. აქედან გამომდინარე კი, ცხადია, შეიძლება გავაგეთოთ ზოგიერთი დასკვნა. კერძოდ, მისი შეხედულებით ეროვნულ საკითხში ილია ჭავჭავაძე ანვითარებს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ იდეურ აზრს, ხოლო სოციალურ საკითხში — ნ. გოგოლის „ძველი დროის მემამულეების“ იდეურ კრედოს. რაც შეეხება ნეკრასოვს, გონჩაროვს და ხალხოსან ბელეტრისტებს, ძნელია იმის დაზუსტება, თუ რა კუთხით აკავშირებდა მათთან კრიტიკოსი ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას. თუმცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რაიმე კონკრეტული შეხების წერტილებს ილიასა და მათ შორის გ. თუმანიშვილი. ცხადია, ვერც მოძებნიდა.

საყურადღებოა, რომ გ. თუმანიშვილი მიუთითებს იმ კავშირზეც, რომელიც სამოციანელთა და წინა პერიოდის ქართველ რეალისტთა შორის არსებობს. და ყოველივე ამის შემდეგ იგი დაასკვნის:

„მაგრამ ჭავჭავაძე მაინც დიდად ნიჭიერი პოეტი და ბელეტრისტი იყო. მის ნაწარმოებებს დიდი წარმატება ხვდათ წილად და დღესაც გატაცებით კითხულობენ ქართული ლიტერატურის დამფასებლები. მართალია, იმ რეალისტურმა და დემოკრატიულმა მი-

მართულებამ ქართულ ლიტერატურაში, რომლის გამომხატველიც ი. ჭავჭავაძე იყო, ადრეც იჩინა თავი (იხ. კონქაძის, არდაზიანის და სხვათა ნაწარმოებები), მაგრამ ი. ჭავჭავაძე იყო ამ მიმართულების ყველაზე სრული გამომხატველი და სამართლიანად ითვლება ახალი სკოლის, მამამთავრად ქართულ ლიტერატურაში<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილი უკვე სხვა შეხედულებისაა ი. ჭავჭავაძის პოეზიის მხატვრულ ღირსებებზე. მას მოსწონს „დიმიტრი თავდადებულისა“ და „განდეგილის“ ენა და პოეტური მეტყველება, რასაც ავტორის მაღალი პოეტური ნიჭის გამოვლენად მიიჩნევს. „ლიტერატურული მოწინააღმდეგენი და ზოგიერთი ნეიტრალური კრიტიკოსი (ამ უკანასკნელთა რიცხვს ვეკუთვნი მეც),—შენიშნავს გ. თუმანიშვილი, — ჭავჭავაძეს საყვედურობდნენ ფორმის სიმძიმეს, რომლითაც იგი მოსაგდა თავის ლექსებს (იხ. ჩემი „ალმანახი“, 1879). მაგრამ ეს საყვედური მალე გააქარწყლა მოგვიანებით დაწერილი პოემებით. პირველი გვერდები პოემისა „დიმიტრი თავდადებული“ და მთელი პოემა „განდეგილი“ დაწერილია ისეთი მსუბუქი, ლამაზი ლექსებით, რომ ძალაუვნებურად ქედს იხრი მათი ავტორის ლეთავრივი პოეტური ნიჭის წინაშე“<sup>2</sup>. ამასთან ერთად, ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს კრიტიკოსი ურჩევს გაეცნოს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ (1892, №№ 2896, 2897; 2902) გამოქვეყნებულ გ. მაიაშვილის სტატიას („ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი“).

გ. მაიაშვილმა კი, როგორც ცნობილია, მაღალი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძის პოეზიას, მის პოეტურ ტალანტს და კონკრეტული ანალიზის საფუძველზე აჩვენა ილიას პოემებისა და ლექსების ნოვატორული ბუნება, ილიას ლექსის ორიგინალობა. „მან, აკაკი წერეთელთან ერთად, თავის დროზე ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძის ლირიკის შესწავლისა და გაგების საქმეში... ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა გაამდიდრა საინტერესო დაკვირვებებით ილია ჭავჭავაძის პოეტური ტალანტისა და მხატვრული ოსტატობის თავისებურებათა შესახებ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი. დახასიათებები და მოგონებები, III, 1907, გვ. 167.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 167—168.

<sup>3</sup> მ. კანდელაკი. გ. მაიაშვილი (ზვანოვიჩი)—ეურნალისტი და კრიტიკოსი (იხ. გ. მაიაშვილი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1968, გვ. 567).

ამგვარად, გ. თუმანიშვილმა მკითხველს სათანადო სისრულით ვერ უჩვენა ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების იდეურ-მხატვრულ ღირებულებას, მაგრამ მაინც გარკვეულად მიუთითა მის როგორც დიდი ბელეტრისტიკოს და პოეტის დამახასიათებლად.

ანის შემდეგ გ. თუმანიშვილი თავის შესჯდულებას გამოთქვამს ილია ჭავჭავაძის როგორც ჟურნალისტიკოს შესახებაც. „ილ. ჭავჭავაძე, როგორც ჟურნალისტი, — წერს იგი, — მე მესასება დიდად გამოჩეულად, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც პოეტი და ბელეტრისტი“<sup>1</sup>.

მართალია, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, ი. ჭავჭავაძის ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“ ღრმა კვალი დატოვა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში, იგი იყო აშკარად პროგრესული მიმართულების პირველი ქართული ჟურნალი, რომლის გარშემოც დაიარაზნა მთელი იმდროინდელი ქართველი ახალგაზრდობა, მაგრამ მან მხოლოდ ერთი წელი იარსება. შემდგომ წლებში მთელი ჟურნალისტური სიმძიმე გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულს“ დააწვა. „ივერია“ შედარებით გვიან (1877 წ.) გამოვიდა და მხოლოდ „დროების“ დახურვის შემდეგ გახდა ყოველდღიურ გაზეთად და ათი წლის მანძილზე თითქმის ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ილიამ დიდი შრომა და თანხა შეწირა ამ გამოცემას, „ივერიას“, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, დამძიმებული სტილისა და არქაული ენის გამო, თავიდანვე არ ჰქონია დადი წარმატება.

ი. ჭავჭავაძის ჟურნალისტური მოღვაწეობის საერთო შეფასებაში და „ივერიის“ დახასიათებისას გ. თუმანიშვილი, ცხადია, არაა ობიექტური. პირველ ყოვლისა, „ივერიის“ მსგავსი წარმატება სხვა ქართულ გაზეთს არასოდეს ჰქონია. ამასთან, „ივერიის“ ენის არქაულობასა და მძიმე სტილზე მართალია სხვებიც ლაპარაკობდნენ. მაგრამ ამგვარი მოსაზრება კონკრეტული ფაქტებით არავის დაუსაბუთებია. ასეთი შეხედულება, ჩვენი აზრით, შეიქმნა იმის გამო, რომ „ივერიის“ რედაქტორი შეეცადა ბოლო მოელო იმ ენობრივი სიჭრელისათვის, რომელიც დამახასიათებელი იყო სხვა გამოცემებისათვის, გაილაშქრა ენის გახალხურების იმგვარი პრაქტიკის წი-

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, III, გვ. 166.

ნაადმდეგ, რომელიც დიალექტიზმების ხელაღებით შემოტანას გულისხმობდა. მაგრამ ყოველივე ამის დანახვა, ჩანს, გაუძნელდა გ. თუმანიშვილს, რომელსაც არცთუ იშვიათად და მკაცრად ამხელდა „ივერია“ და მისი რედაქტორი.

გ. თუმანიშვილისათვის კიდევ უფრო ძნელი იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც პუბლიცისტის ობიექტური შეფასება. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ილიას — როგორც ლიტერატურის კრიტიკოსს, განსაკუთრებით „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის კრიტიკულ სტატიებს, მაგრამ საგანგებოდ ამცირებს ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ ოსტატობასა და მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობის ქვეშარიტ იდეურ აზრს. „როგორც დრომოკმეული ჟურნალის „ცისკრის“ კრიტიკოსი, — წერს გ. თუმანიშვილი, — ჭავჭავაძე იყო მკაცრი და უღმობელი. მისი სატირა იყო გამამათრახებელი. მაგრამ როგორც პუბლიცისტი დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. უყვარდა მრავალსიტყვაობა, რიტორიკა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იყო არქაული, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. მის მიერ ძველი ქართული წეს-ადათების დაცვა რეაქციული ტენდენციების შთაბეჭდილებას ტოვებდა. პროგრესისტი, რომელიც ადრე თავის საუკეთესო პოეტურ და ბელეტრისტულ ნაწარმოებებში ამხელდა ძველ ბატონყმურ წყობას, ახლა თითქოს ძველის აპოლოგეტად გადაიქცა. ჭავჭავაძის ეს შემობრუნება ბურჟუსში იყო გახვეული. გასაგები ენა, მახვილი სატირა შეცვლილი იყო გაუგებარი მსჯელობებით და ბუნდოვანი ფილოსოფიით“<sup>1</sup>.

იმის თქმითაც კი, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი თითქოს შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, საკმარისია მკითხველი უნდობლად და ეკვიტ განეწყოს გ. თუმანიშვილის შეხედულებებს ი. ჭავჭავაძეზე. შესაძლებელია მას საბაზი ჰქონდა ელაპარაკა ილიას იდეურ მიმართულებაში მომხდარი გარკვეული ცვლილების შესახებ 80-იან წლებში, ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებების შენიღბულ და ბუნდოვნად გადმოცემაზე, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ ილია თითქოს ძველის აპოლოგეტი გამხდარიყოს, ანდა თავისი ძველი ენა და სტილი ვეღარ შე-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, III, გვ. 170—171.



ენარჩუნებინოს, აშკარა ცილისწამებაა დიდ მოაზროვნესა და მოღვაწეზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ი. ჰავეკავაძის შეფასებისას გ. თუმანიშვილი თავს ვერ აღწევს სუბიექტივიზმს და ვერ მალღდება პირადულ ურთიერთობაზე, თანაც, რაც უფრო სამწუხაროა, აშკარა გახადა, რომ მან ბოლომდე ვერ შეიგნო თავისი შეცდომები და ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა მშრომელი და ნიჭიერი სომეხი ხალხი და სომეხი პლუტოკრატია. ამიტომაც, ილია ჰავეკავაძის კრიტიკა, ამ უკანასკნელთა მიმართ, სრულიად არაობიექტურად აქვს გაგებული და შეფასებული. ამაზე მეტყველებს მისი ის სიტყვებიც, რომელთა მიზანია ი. ჰავეკავაძის ბოლოდროინდელი პუბლიცისტური მოღვაწეობის დახასიათება. „მე აღარ ვლაპარაკობ ი. ჰავეკავაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის იმ პერიოდზე, — წერს გ. თუმანიშვილი, — როდესაც იგი მოექცა ველიჩკოს გავლენის ქვეშ, და როცა მას სურდა თავის ვიწრო პატრიოტიზმი მეცნიერებითაც აღეჭურვა. ჩემი აზრით, ეს არის ი. ჰავეკავაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის ყველაზე სამწუხარო ფურცელი, რადგან მას შეეძლო გამოეწვია ნაციონალური შუღლი ორ მეზობელ ხალხს — ქართველებსა და სომეხებს შორის. ვამბობ „შეეძლო“ რადგან სინამდვილეში ი. ჰავეკავაძის ცდას წარმატება ხვდა მხოლოდ თავყანისმცემლების ვიწრო წრეში და საბედნიეროდ მის ფარგლებს არ გასცილებია“<sup>1</sup>.

პირველ ყოვლისა, ფაქტებით ცნობილია, რომ ველიჩკო ილია ჰავეკავაძესთან დაკავშირებული იყო მხოლოდ როგორც მისი ლექსების მთარგმნელი. უდავოა ისიც, რომ ილია ჰავეკავაძე არავისზე ნაკლებად არ ყოფილა დაინტერესებული ორი მეზობელი ხალხის კეთილი ურთიერთობით. განა მას შეიძლება ფიქრად მოსვლოდა ქართველთა და სომეხთა შორის ეროვნული შუღლის ჩამოგდება? რა სარგებლობა უნდა დაენახა ქართველ პატრიოტს ამ არასასურველ ურთიერთობაში? და განა არის თუნდაც ერთი ფრაზა ილია ჰავეკავაძის ნაწერებში, რომელიც ამგვარი ვარაუდის საბაბს იძლეოდეს? ტყუილად ირჩება გ. თუმანიშვილი, როცა „გვარწმუნებს“, რომ ილიას „ქვეათა ღაღადს“ შეეძლო რაიმე არასასურველი ურთიერთობის შექმნა მეზობელ ხალხთა შორის. პირიქით, მან ხელი

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, 111, 33. 171.

შეუწყო ამ ხალხთა ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, ვინაი-  
დან ილიამ სააშკარაოზე გამოიყვანა ისინი, ვინც ხელს უშლიდნენ  
ამ კეთილშობილურ და ორივე ხალხის საანუკვარ ოცნებას; ილიამ  
დაუნდობლად ამხილა პლუტოკრატია და მისი ანტერესების დამც-  
ველი ვაი მეცნიერები, რომლებიც შულს თესავენ მოძვე ხალ-  
ხთა შორის.

გ. თუმანიშვილი კისრულობს ი. ჭავჭავაძის, როგორც მოღვა-  
წის დახასიათებასაც. მაგრამ მის მოღვაწეობაზე მსჯელობისას  
იფარგლება მხოლოდ ორი სფეროთი: ილია — ბანკის დირექტორი  
და ილია — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმ-  
ჯდომარე. ცხადია, ეს არ არის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის თუნ-  
დაც რამდენადმე სრული დახასიათება, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე  
შთაბეჭდილებას ტოვებს ის გარემოება, რომ გ. თუმანიშვილი ამ-  
ჯერად ვერ დგას მიუდგომელი კრიტიკოსისა და ბიოგრაფის პოზი-  
ციაზე. იგი, ცხადია, ვერ უარყოფს ილიას დიდ დამსახურებას ბან-  
კის წარმატებას საქმეში, მაგრამ საგანგებო მსჯელობის საგნად  
ხდის საკითხს, იყო თუ არა იგი შეუცვლელი ამ თანამდებობაზე.  
მასი თქმით, ლიტერატორთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის შე-  
საძლოა მასზე უფრო შესაფერისი ამ თანამდებობისათვის არაფერ  
ყოფილა, მაგრამ „ნებისმიერ საქმიან მოსამართლეს ან განათლებულ  
კომერსანტს შეეძლო სურვილისამებრ, დიდი შრომის დახარჯვის  
გარეშე შეგუებოდა ბანკის მმართველისა როლს ისევე, როგორც  
შეეგუა მას პოეტი ი. ჭავჭავაძე. ტიფლისის სათავადაზნაურო სა-  
ადგილმკაულო ბანკს მხოლოდ იმიტომ კი არ ჰქონდა წარმატება,  
რომ მას სათავეში ედგნენ ნიჭიერი ადამიანები, არამედ იმიტომ,  
რომ მანამდე ჩვენ არ გავაჩნდა კრედიტის არაფითარი სხვა  
ფორმა“<sup>1</sup>.

დღევანდელი მკითხველისათვის აშკარაა, რომ გ. თუმანიშვილ-  
მა ვერ შეძლო იმის გაგება, თუ რატომ შეაღია ეგზომ დიდი დრო  
და ენერჯია ილიამ ბანკს და რაში მდგომარეობს ამ ბანკის დაშა-  
ხურება ქართველი საზოგადოების წინაშე. შესაძლოა რომელიმე  
საქმოსანსა და კომერსანტს ბანკის საქმე კარგად წარემართა, მაგ-  
რამ ეს რა სიკეთეს მოუტანდა ჩვენს საზოგადოებრიობას? შეიძ-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907. III, გვ. 173.

ლება მეტი ზოგებად ჰქონოდა ამ ბანკს სხვისი დირექტორობის დროს, მაგრამ რით წაწვედა იგი ჩვენი კულტურის საქმეს? ილია ბანკი და მისი მოგება ქართული კულტურული დაწესებულებებზე დასაარსებლად და შესანარჩუნებლად გამოიყენა. ამიტომ იყო იგი შეუცვლელი ამ თანამდებობაზე და არა იმიტომ, რომ ნების დირექტორობა სხვა ახავეის შეეძლო. ამ გარემოებას კი გ. თუმანიშვილი ან არ ხედავს, ან ვერ ხედავს.

ყურადღებას იქცევს ბანკის სხდომებზე ილიას მიერ წარმო-  
თქმულ სიტყვათა გ. თუმანიშვილისეული დახასიათებაც. „მისი სატყუა გამოირჩეოდა მისივე ლიტერატურული ნაწარმოებების ყველა ღირსებითა და ნაკლით. იგი შეუდარებელი იყო, როცა აფრ-  
ქვევდა პოეტურ სახეებს, ანეგდოტებს, კალამბურებს და სარკას-  
ტულ შენიშვნებს, მაგრამ საკმაოდ მოსაწყენი და ერთფეროვანი, როცა იწყებდა საქმიან მსჯელობას“<sup>1</sup>.

ამ სიტყვებში თითქოს საოცარი არაფერია. ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებს ის გარემოება, რომ ილიას სიტყვა მაშინ უფრო საინტერესო და მიმზიდველი იყო მსმენელთა ფართო წრისათვის, როცა მას მხატვრული სახეებისა და საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდა, ვინემ მაშინ, როცა ის ბალანსზე და სხვა ანალოგიურ კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობდა. სხვაგვარად წარმოდგენელიც არის, მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის, თუ რატომ უკავშირებს გ. თუმანიშვილი თავის ამ შთაბეჭდილებას ილიას მხატვრული ნაწერების ღირსებებსა და ნაკლოვანებებს. კერძოდ, გაუგებარია ილიას მხატვრული შემოქმედების რა ნაკლოვანება აქვს კრიტიკოსს მხედველობაში?

რაც შეეხება გ. თუმანიშვილის შეხედულებას, რომ საზოგადოებრივი უწყებებიდან, რომელსაც ილია ხელმძღვანელობდა, მისთვის უფრო მახლობელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო, დავას არ იწვევს. სწორედ ამ საზოგადოების ამოცანებისა და სხვა ანალოგიური ინტერესების განხორციელებას დაუკავშირა ილიამ ბანკის თავმჯდომარის მოუსვენარ და უსიამოვნო თანამდებობაზე თავისი ხანგრძლივი ყოფნა. ეს უნდა აღენიშნა და ეჩვენე-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები. 1907. III, გვ. 173—174.

ბინა გ. თუმანიშვილს მიუდგომელი ბიოგრაფის როლში რომ გვეხილა.

დახასიათებათა მისთვის საყვარელი ქარგის შესატყვისად, გ. თუმანიშვილი დასასრულს მკითხველს აცნობს თავის პირად ურთიერთობას ილია ჭავჭავაძესთან და საკუთარ შთაბეჭდილებას მის მოქალაქეობრივ მრწამსზე.

გ. თუმანიშვილის თქმით, იგი იყო ძალიან ახალგაზრდა იმისათვის, რომ ახლოს გაეცნო ილია ჭავჭავაძე მისი მოღვაწეობის საუკეთესო პერიოდში — როცა იგი უპირატესად პოეტი და ბელეტრისტი იყო. მას იგი გაუცვნია 1875 წელს, უნივერსიტეტის კურსის დაძმავების შემდეგ, როცა თბილისში დაბრუნდა და ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაება.

„მაშინ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, — წერს ის, — რომ ი. ჭავჭავაძე ბედის ნებეირაა და მცირედი წინააღმდეგობაც კი დიდად შეურაცხყოფს. როცა (1879 წ.) ჩემს ქართულ კრებულში „ალმანახი“ შევეცადე მიმეთითებინა ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ეს უკანასკნელი თავის თანამშრომლებით თავს დამესხა ასეთი კადნიერებისათვის. არც მე დევრჩენილვარ ვალში და ვუბასუხე „დროებაში“. მაგრამ ჩვენი პირადი ურთიერთობა ამას არ გაუფუჭებია. მოგვიანებით, 1892-93 წწ., როცა მიმდინარეობდა გამწვავებული ბრძოლა ჭავჭავაძესა და მახაბლის მომხრეებს შორის ბანაკში, მე დიდად თანაუფრძნობდი პირველს. რადგან ჭავჭავაძის მოღვაწეობაში ვხედავდი უფრო იდეურს და პროგრესულ მიმართულებას, მაგრამ როცა თემატიკა პირტიებს შორის მიაღწია ისეთ სიმწვავეს, რომ ორივე მხარე განუზრჩეველი აღმოჩნდა ბრძოლის ხერხებში და კიდევ უფრო გვიან, როცა ჭავჭავაძე თავის მომხრეებით ველიჩკოს ბანაკში აღმოჩნდა, მე ჩემს მოვალეობად ჩავოვალე უარი მეთქვა მასთან სოლიდარობაზე.

მაშინ ბრძოლრეული ჭავჭავაძე არ იშურებდა ჩემთვის მოწამლულ ისრებს. მაგრამ, როგორც უწინ, მე ვცდილობდი არ გამეფუჭებინა პირადი ურთიერთობა მასთან. სიცოცხლის ბოლომდე თავს ვიკავებდი მწვავე კრიტიკისაგან, რადგან კარგად მახსოვდა მისი დიდი

დამსახურება ლიტერატურაში და ყოველთვის ვივიწყებდი მის პირად ნაკლს“<sup>1</sup>.

ამ დახასიათება-მოგონებაში ბევრი რამ მცდარი და ბუნდოვანია. ილია ჭავჭავაძე ბედის მიერ არასოდეს ყოფილა გათამამებული, მაგრამ მოვალეობის გამო იძულებული იყო ხშირად დაუნდობელი ყოფილიყო.

გ. თუმანიშვილი ცოდავს ფაქტების წინაშე, როცა საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს ილია მას თავს დაესხა იმის გამო, რომ მან მიუთითა მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. ამის გამო ილია არასოდეს და არავის თავს არ დასხმია. იგი ამ მხრივ სამაგალითოა ჩვენს მწერალთა შორის. ის არასოდეს არ იცავდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებს, რადგან სწამდა, რომ ისინი თვითონ დაცავდნენ საკუთარ თავს, ანდა სხვა კრიტიკოსები იტყოდნენ მართალ სიტყვას. მაგრამ როცა საქმე ეხებოდა საერთო ეროვნულ საქმეს, ილია არავის აპატიებდა აუგად და შეუფერებლად მოქცეოდა მას. ილიამ გ. თუმანიშვილი გააკრიტიკა „ივერიის“ მიკერძოებული შეფასების გამო, „ივერიის“ საქმიანობას კი მხოლოდ საკუთარ საქმედ არ თვლიდა იგი. ილიამ გ. თუმანიშვილი არ დაინდო არც მაშინ, როცა მან ორი შეუთავსებელი საქმის შეთავსება სცადა: შეუძლებელი იყო მას სომეხი პლუტოკრატის ინტერესებიც დაეცვა და ჭარბი ხალხის ფიქრთა მესაიდუმლეც ყოფილიყო. ამიტომ გახდა გ. თუმანიშვილი იძულებული თავი შეეკავებინა მკაცრი პოლემიკისაგან, თუნდაც იმიტომ, რომ პატივს სცემდა ილიას დიდ დამსახურებას.

ნიშანდობლივია გ. თუმანიშვილის შემდეგი სიტყვებიც: „ამ ნარკვევში ვცდილობდი ვყოფილიყავი რაც შეიძლება ობიექტური. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის გამო იგი თანაბრად არ დააკმაყოფილებს როგორც პოეტის თავყვანისმცემლებს, ასევე მის მოწინააღმდეგეებს“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილი მართლაც შეეცადა ობიექტური ყოფილიყო. ბევრ შემთხვევაში ეს აშკარადაც იგრძნობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოლომდე მიიწვია ვერ შეძლო. სწორედ ამის გამოა, რომ გამართლდა

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, III, გვ. 176—177

<sup>2</sup> იქვე, გვ. 177.

ავტორის წინასწარმეტყველება: მან ვერც ილიას პატივისმცემლები დააკმაყოფილა და ვერც მოწინააღმდეგეები. მიუხედავად ამისა, კრიტიკულად მიღგომის შემთხვევაში გ. თუმანიშვილის ამ ნარკვევს ილია ჭავჭავაძის შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის სხარტებლო სამსახურის გაწევა შეუძლია.



გ. თუმანიშვილს რამდენადმე თანმიმდევრული თვალსაზრისის შემუშავება გაუძნელდა აკაკი წერეთლის შემოქმედებითა მოღვაწეობის შესახებაც. დროთა განმავლობაში იგი სხვადასხვაგვარ და მოკიდებულუბას ამჯღავენებდა დიდი პოეტისა და მოღვაწის მიმართ. რაც შეკარად იგრძნობოდა მისი პრაქტიკულ-ეურნალისტური მოღვაწეობიდან. მაგრამ იგი რატომღაც თავს არიდებდა ამ განწყობილების ფართოდ გამოხატვას და, საჭიროების თუ აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ ცალკეული გამონათქვამებით იხდიდა ვალს.

აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გ. თუმანიშვილს დაუწერია კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი რუსულ ენაზე („დ. აკაკი წერეთელი“), რომელიც ამჟამად დაცულია მის არქივში<sup>1</sup>. ეს ნარკვევი სავარაუდოა, დაიბეჭდა კიდევაც. მაგრამ ჩვენ მას ვერ გვაკვლიეთ. მისი მოკლე შინაარსი ასახულია ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილი თავის ნარკვევს იწყებს იმ დიდი სახალხო ზემომის მოგონებით, რომელიც აკაკის იუბილემ გამოიწვია მთელ კავკასიასა და რუსეთის იმპერიაში. მაგრამ უფრო დიდი გამოაზილი მოჰყვა, მისი თქმით, პოეტის გარდაცვალებას, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა აკაკის უდიდესი პოპულარობა: „ეს იყო ერთი მწუხარება. გლოვობდნენ უდიდეს მწერალს, ეროვნულ პოეტს“, — დასძენს კრატეოსი.

გ. თუმანიშვილის შესხედულებით, აკაკი წერეთელი სხვა პოეტებისაგან გამოირჩეოდა არა თემატიკით, არა მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა შინაარსით, — არამედ მხატვრული ფორმით, რომლის

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის არქივი, საქმე — № 113.

<sup>2</sup> გაზ. „თემი“, 1915, № 205.

დახვეწისა და გამდიდრების საქმეში მან ბევრი სიახლე შეიტანა. კერძოდ, მისმა მსუბუქმა, ყოველგვარი ნაძალადეობისაგან თავისუფალმა, ენამ, ხალხურმა მეტყველებამ, ბრწყინვალე მხატვრულმა სახეებმა და დახვეწილმა რითმებმა აშკარა გავლენა მოახდინა მთელ იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაზე. ამ მხრივ ჩვენს სინამდვილეში მან შეასრულა იგივე როლი, რაც პუშკინმა და ბერანემ თავიანთ მშობლიურ ლიტერატურაში. მაგრამ ამგვარ აღიარებაშიდე აკაკის იოლად არ მიუღწევია, თავდაპირველად მას კრიტიკა და მაღალი წოდების მკითხველი გულგრილად და უარყოფითად შეხვდა: „მანსოვს ბავშვობაში — წერს გ. თუმანიშვილი, — როგორი აგლებით ექცეოდნენ საზოგადოებაში მის პიროვნებას და როგორ არ ცნობდნენ, როგორც მწერალს“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილი იმოწმებს თვით აკაკის სიტყვებს „ჩემი თავდადასავლიდან“, რომელშიც პოეტი იგონებს, თუ როგორ არ მოიწონეს მისი. პირველი ლექსები იმის გამო, რომ ისანი თითქოსდა „წმინდა პოეზიის“ გამოხატულებას წარმოადგენდნენ. როგორც კრიტიკოსი ამბობს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებითა და ნიპოლისტური განწყობილებებით გატაცების დროს, როცა თვით პუშკინსა და ლერმონტოვს არ ინდობდნენ, აკაკი წერეთლის პოეზიაც გაუგებარი აღმოჩნდა. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა არსებულად შეიცვალა. ამ მხრივ გარდამტეხად იქცა ლექსი „მუშური“, რომელმაც ავტორს დემოკრატი პოეტის სახელი მოუპოვა. ამას დაემატა აკაკის უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა ჟურნალ-გაზეთებსა და ქართულ თეატრში; მისი ახალ-ახალი ლექსები დიდებისა და პატარებისათვის, ფელეტონები და მოთხრობები, ზღაპრები და უგვეს სცენები და პიესები, ისტორიული, ეკონომიკური და კრიტიკული ხასიათის სტატიები, ხალხური საუნჯის შეგროვება და გამოქვეყნება, საჯარო ლექციების კითხვა და სხვ. ეს დაუღალავი მუშაობა, — შენიშნავს კრიტიკოსი, — აღდგობს საზოგადოების გულგრილობას და ნელნელა იწყებენ მის დაფასებას. მაგრამ ყველაზე ადრე პოეტი დააფასა უბრალო ხალხმა, მისი ლექსები გადადის ხელიდან ხელში, მის სიმღერებს მღერის ხალხი. მის გონებაშიმხილურ ფელეტონებს გატაცებით კითხულობს გაზეთის მკითხველი, მისი პიესე-

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის არქივი. საქმე № 113.

ბით მოხიბლულია მაყურებელი. იგი შეიყვარეს ბავშვებმა. და ბოლოს მისი დაფასება დაიწყო კრიტიკამაც<sup>1</sup>.

როგორც სამოცდაათიანელი, გ. თუმანიშვილი საგანგებოდ მსჯელობს იმ დიდ როლზე, რომელიც აკაკიმ — პოეტმა და მოღვაწემ — შეასრულა 70-იანი და მომდევნო პერიოდის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. „მივეკუთვნებოდი რა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების თაობას, — წერს იგი, — კარგად მახსოვს, აჰ გამოჩენილი პოეტის მონაწილეობამ როგორი ბიძგი მისცა ქართული თეატრის აღორძინების, ქართული სახალხო სკოლის ჩასახვის და ყოველდღიური პრესის განვითარების საქმეს“<sup>2</sup>.

სრულიად სამართლიანად, გ. თუმანიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკაკის საბავშვო პოეზიას ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისა და ქართული სკოლის წინსვლის საქმეში. მისი თქმით, „ბავშვებს შეეძლოთ გულით შეეყვარებინათ მშობლიური ენა მსოლოდ ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებების კითხვით, როგორიც იყო აკაკის საბავშვო მოთხრობები და ლექსები, მისი არაკები და ზღაპრები, დაწერილი ცოცხალი, ხალხური ენით“<sup>3</sup>. გასაკვირი არაა, რომ, ბრწყინვალე საბავშვო თხზულებების ავტორი და კრილოვის იგავ-არაკების შეუდარებელი მთარგმნელი აკაკი, სულ მალე გახდა ნორჩი მკითხველის უსაყვარლესი მწერალი და საყმაწვილო ლიტერატურის ტონისა და მიმართულების მიმცემი.

გ. თუმანიშვილი საგულდაგულოდ ჩერდება აკაკის ღვაწლზე ქართული თეატრის აღორძინების საქმეში. მისი გადმოცემით, გაზონ, როცა ქართულ თეატრს, ერისთავისა და ანტონოვის პიესებს ეარდა, თითქმის არაფერი არ მოეპოვებოდათ ორიგინალურ რეპერტუარში, აკაკი წერეთელმა ხელი მოჰკიდა მისთვის ახალ საქმეს — პიესების წერას. მართალია, ყველა მათგანი არ არის ერთი ღირსების, მაგრამ „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „კინტო“ და სხვ.

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილის არქივი, საქმე № 113.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



დღემდე უძლებენ თეატრალურ გამოცდას. ამასთან ერთად, აკაკი თვითონაც გამოდიოდა სცენაზე, რეჟისორობდა და პირველ ქართველ ანტრეპრენიორადაც მოგვევლინა.

ასევე მაღალ შეფასებას აქლევს გ. თუმანიშვილი აკაკის ნაყოფიერ თანამშრომლობას ქართული პრესის ფერცლებზე. როგორც იგი შენიშნავს, იმ დროისათვის ჭირდა ხელმომწერთა შოვნა. ამ მხრივ უჭირდა თვით „დროებასაც, რომლის რედაქციამ, მდგომარეობის გამოსასწორებლად, მიმართა ახალ საშუალებას: გაზეთში საგანგებოდ აქვეყნებდა ფელეტონებს საჭირობოროტო საკითხებზე, რისთვისაც აკაკი წერეთელი მიიწვია. მანაც დიდი სიყვარულით მოჰკიდა ხელი ამ საპასუხისმგებლო საქმეს და გაზეთს შეძინა ბევრი ახალი მკითხველი, რომელიც „ხარბად ეწაფებოდა გაზეთებს, ეძებდა მათში უპირველეს ყოვლისა აკაკის ნაწარმოებებს“.

აკაკის უჩვეულო პოპულარობისა და სიდიადის მიზეზი. ცხადია, მაინც მისი მრავალფეროვანი და მაღალმნატვრული პოეზია იყო. აკაკი იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, რომელმაც ხალხის ფიქრი და განცდები გამოხატა. დღემა პატრიოტმა და მაღალი პოეტური ნიჭით მომადლებულმა შემოქმედმა მკითხველთა ფართო მასის გული დაიპყრო, მისი სულის სიღრმეში ჩაწვდა. აკაკის წყალობით მხატვრული ლიტერატურა კიდევ უფრო მინაწევდომი გახდა მშრომელი ხალხისათვის. აბიტომ, სრულიად გადაუჭარბებლად გვეჩვენება გ. თუმანიშვილის სიტყვები: „მან დაუახლოვა ლიტერატურა ხალხს, ხოლო ხალხი ლიტერატურას. მისმა ცოცხალმა ენამ, მისმა მახვილმა სიტყვამ ქართველი ხალხი იძულებული გახადა შეეყვარებინა ქართული ლიტერატურა“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის აზრით, დიდი ქართველი პოეტის მხატვრული შემოქმედებით იმთავითვე დაინტერესდა რუსი მკითხველიც და აკაკის ბევრი ნაწარმოები წარმატებით თარგმნეს თხორევესკებმა, ველიჩკომ, გრინევსკაიამ და სხვებმა.

ზაგრამ გ. თუმანიშვილს თავის ნარკვევში გამოთქმული აქვს მცდარი მოსაზრებებიც: კერძოდ, კრიტიკას ვერ უძლებს შეხედულება იმის შესახებ, რომ აკაკი თითქოს „როგორც პუბლიცისტი, კრიტიკოსი და სწავლული იყო არადამაჯერებელი და არათანმიმდევ-

<sup>1</sup>გ. თუმანიშვილის არქივი, საქმე №113.

ვრული“. ამგვარი უსაფუძვლო ბრალდების წაყენება როგორც ილია ჭავჭავაძის, ასევე აკაკი წერეთლის მიმართ გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ თითქოს მათ მხარი დაეჭირათ ველიჩკოსათვის ანტი-სომხური განწყობილებების გავრცელებაში, რაც არაფრით არ მტკიცდება და კრიტიკოსის მხოლოდ ლიტონი განცხადებით კმაყოფილდება. მართალია, იგი აღნიშნავს, რომ შემდეგში აკაკის ამგვარი განწყობილებები აღარ ასახიათებდაო, მაგრამ პოეტი არ საჭიროებს ასეთ „შედავას“. მისი როგორც მხატვრული, ასევე პუბლიცისტური შემკვიდრება იმაზე მეტყველებს, რომ დიდი ქართველი პოეტი იყო ხალხთა ძმობის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მქადაგებელი იმდროინდელ მწერალთა შორის.

ასევე უსაფუძვლო და მიუღებელია გ. თუმანიშვილის მტკიცება, თითქოს „თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი (აკაკი — ზ. გ.) ყურნალ „ცისკრის“ რეაქციულ წრეს ემხრობოდა“. მართალია, აკაკი წერეთელი „საქართველოს მოამბის“ გამოსვლის შემდეგაც „ცისკარში“ დარჩა, მაგრამ მას არაფერი საერთო ჰქონია ე. წ. „მამათა“ ბანაკთან და მხოლოდ და მხოლოდ „თერგდალეულთა“ იდეების მქადაგებელი იყო იმთავითვე. ამგვარი ბრალდება მისთვის არცერთ სამოციანელს არასოდეს არ წაუყენებია.

მიუხედავად ასეთი ხარვეზებისა, გ. თუმანიშვილის კრიტიკული ნარკვევი აკაკი წერეთლის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ მაინც სასარგებლო მასალას აწვდის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს. მასში წარმოდგენილია მახვილგონივრულად შენიშნული ბევრი საინტერესო მომენტი.

\* \* \*

გ. თუმანიშვილმა საინტერესო მოგონება-დახასიათება გამოაქვეყნა გიორგი წერეთლის შესახებაც გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“<sup>1</sup>. აღნიშნული ნარკვევი მან შემდეგ შეიტანა თავის წიგნში<sup>2</sup>, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიტიკოსი მცირე ადგილს უთმობს მწერლის მხატვრული შემოქმედების გარჩევას და უფრო მეტად მის საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და მოქალაქეობრივ ღირსებებზე ამახვილებს ყურადღებას.

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1900, №№ 5456, 5461.

<sup>2</sup> გ. თ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 3—19.

გ. თუმანიშვილმა გ. წერეთელი მკითხველს წაჩუდგინა როგორც ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საზოგადოებრივი ინტერესებან სამსახურს. მისი სამართლიანი შეფასებით, ქართული პრესის ისტორიაში გ. წერეთელმა დაიმკვიდრა გაზეთ „დროების“ პირველი რედაქტორისა და ნიჭიერი ბელეტრისტის სახელი. ამასთანავე, მას კრიტიკოსი თვის პირველ პროფესიონალ ქართველ ჟურნალისტად და მწერლად, რაც არ შეიძლება სადავოდ არ მივიჩნიოთ.

თავის პირველ მოგონებას გ. წერეთელზე გ. თუმანიშვილი უკავშირებს პანსიონში სწავლის წლებს, როცა მომავალი მწერალი მათი მასწავლებელი იყო და თავის მოსწავლეებს ხიბლავდა ახალგაზრდული ენერჯითა და პოეტური შთაგონებით. „იგი სრულებით არ ჰგავდა სხვა მასწავლებელ-ხელოსნებს, — წერს გ. თუმანიშვილი, — ჩვენ ვიცოდით, რომ იგი ლიტერატორი იყო, ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ იგი მხურვალე მონაწილობას იღებდა ქართველ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. ჩვენ, ბავშვებს თავბრუს გვახვევდა ლიტერატურა და თეატრი, დღე და ღამე ვოცნებობდით დაგვედგა სპექტაკლი ან დაგვეაჩსებია გაზეთი. იმ ატმოსფეროში, რომელშიც ჩვენ ვიპყობოდით პანსიონში, ერთიც შეეძელით და მეორეც... ყველა ჩვენს წამოწყებაში დიდ როლს თამაშობდა ჩვენი მასწავლებლის გ. ე. წერეთლის გადამდები მაგალითი. განსაკუთრებული ყურადღება მან მიაქცია გაზეთს და მხარდაშეკრა შეფასებებით ახალისებდა ჩვენს ლიტერატურულ დებიუტებს“.<sup>1</sup>

გ. თუმანიშვილის ეს მოგონება უდავოდ საინტერესო დეტალებით ამდიდრებს გ. წერეთლის პედაგოგიური მოღვაწეობის ისტორიას; იკვებება მისი ნათელი სახე პირველ სამოღვაწეო ასპარეზზე, ვლინდება მომავალი დიდი შემოქმედის ხასიათი და ინტერესთა სამყარო.

გ. თუმანიშვილი საგანგებოდ ჩერდება გ. წერეთლის როლზე ჟურნალ „კრებულის“ წარმატების საქმეში, რაშიც მართლაც უდავოდ მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი, მაგრამ მას მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ ჟურნალის ფაქტიურა რედაქტორი ნ. ნიკოლაძე იყო.

<sup>1</sup>გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 8—9.

გ. წერეთლის მხატვრული ნაწერებით გამოწვეულ პირველ შთაბეჭდილებებზე ნათელ წარმოდგენას გეიქმნის გ. თუმანიშვილის შემდეგი სიტყვები: „მე ხარბად ვეწაფებოდი მის ბელეტრისტულ ნაწარმოებებს... მათი დიდი ნაწილი გამოირჩეოდა მხატვრული ნიჭით“.

გ. თუმანიშვილის გადმოცემით, „დროებაში“ გამოქვეყნებული გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ თავებს ისე გაუტაცნია მხცოვანი ლიტერატორი მიხეილ თუმანიშვილი, რომ გადაუწყვეტია პირადად გაეცნო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ავტორი<sup>1</sup>. ასევე კარგად მიუღია მკითხველს „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“, რომლის შესახებ გ. თუმანიშვილი თავის საინტერესო შეხედულებას ვეთავაზობს. „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“, — წერს იგი, — ბავშვური ცხოვრების ფსიქოლოგიით და ახალი ადამიანების იდეალიზაციით ბევრად გვაგონებს ა. შელერ-მიხაილოვის ნაწარმოებებს („დამპალ ჭაობებს“, „შუპოვის ცხოვრებას“ და სხვ.)<sup>2</sup>.

ამგვარად, გ. თუმანიშვილმა მოგვაწოდა თავისი საყურადღებო დაკვირვება, რომელსაც, სამწუხაროდ, გვერდს უვლიან გ. წერეთლის მეკლავრები.

ალექსანდრე შელერი (1838—1900), რომელიც ა. მიხაილოვის ფსევდონიმით წერდა, გ. წერეთლის თანამედროვე მწერალია. 1857 წელს იგი თავისუფალ მსმენელად შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელიც დატოვა 1861 წელს სტუდენტთა ცნობილ არეულობასთან დაკავშირებით.

ა. შელერი გატაცებული იყო სოციალური და პედაგოგიური პრობლემატიკით. შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო ჯერ როგორც პუბლიცისტმა, შემდეგ — როგორც პოეტმა; 1863 წელს ეურნალ „სოვრემენიკში“ (№10) გამოაქვეყნა პირველი ლექსი, ხოლო მომდევნო წელს იმავე ეურნალში დაბეჭდა თავისი ცნობილი რომანები („დამპალი ჭაობები“, „ცხოვრება შუპოვის, მისი ნათესაე-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 9.

<sup>2</sup> გ. თუმანიშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში გ. წერეთელი წერს: „პირველი ჩემი ნაბიჯი ლიტერატურის ასპარეზზე, თუ გახსოვს, მამაშენმა გადაამადგმევინა და გამამხნევა ჩემი „მგზავრის წიგნების“ მოწონებითო!“ (იხ. კრებული, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, 1, გვ. 527, პრაფ. მ. დუდუჩავას პუბლიკაცია).

<sup>3</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 10.

ბის და ახლობლების“) და ლექსები. ამის შემდეგ იგი ბევრს წერდა და აქვეყნებდა ცნობილ რუსულ ჟურნალებში. მან, როგორც მწერალმა, მკითხველთა ფართო წრის უურადლება დაიმსახურა, მართალია, მის ნაწერებს ემჩნევა ერთგვარი მხატვრული შაბლონი მზამზარეული იდეების აშკარა გავლენა, მაგრამ ეს იდეები სასოციალურად მოწინავე იდეებია, რის გამო მკითხველი მაინც დიდი ინტერესით ეკიდებოდა მას.

ა. შელერის რომანებისათვის ნიშანდობლივია პუბლიცისტური ელემენტის სიუხვე და ოცნებით შეფერადებული, იდეალიზებული ადამიანების ერთგვარად სქემატური სახეები. ა.ე რომ, გ. თუმანიშვილის შვილის შეხედულება გ: წერეთლის „ჩვენი ცხოვრების ყვეაღლისა“ და ა. შელერის რომანების მსგავსების შესახებ სულაც არაა მოკლებული დამაჯერებლობას, თუმცა ამას საგანგებო დაკვირვება ესაჭიროება.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. თუმანიშვილი გაზეთ „ტრულისსკი ვესტნიკში“ გ. წერეთლის თანამშრომლობასთან დაკავშირებითაც. 1878—79 წლებში, როცა ამ გაზეთთან რედაქტორი კ. ბუბუთოვი პეტერბურგში გადავიდა და სხვა წამყვანი თანამშრომლებიც შემოეფანტა გაზეთს, გ. წერეთელი საგანგებოდ იქნა მიწვეული რედაქტორის მიერ და მანაც დიდი ამაგი დასდო მის მუშაობას.

„გ. წერეთელი, — წერს გ. თუმანიშვილი, — გაზეთს ავებდა სხვადასხვაგვარი მასალით — მოწინავე წერილებით, ფელეტონებით, თეატრალური რეცენზიებით, პოლიტიკური მიმოხილვებით და სხვა, მან აქაც გამოიჩინა ის ლაოცარი გულიანობა, რომელიც კეთილისა და ცოცხალის მიმართ საზოგადოებაში, რის ვარეშეც წარმოუდგენელია ნამდვილი ჟურნალისტი... მე მასთვის დიდი წარმატება გ. წერეთლის წერილისა „ტიფლისსკი ვესტნიკში“ სასამართლოში თარჯიმნების როლის შეახებ“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის მიერ მოწოდებულმა ამ ცნობებმა დიდი სამსახური გაუწიეს გ. წერეთლის მკვლევართ, რათა დაედგინათ და შეესწავლათ ქართველი პუბლიცისტის მიერ გამოქვეყნებული ნაწერები „ტიფლისსკი ვესტნიკში“, რამაც უადრესად საინტერესო ფურცელი შემატა მის შემოქმედებით ბიოგრაფიას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გ. თ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები 1913, I, გვ. 12—13.

<sup>2</sup> იხ. ა. კილაია, ვიორგი წერეთელი, 1967, გვ. 90—102.

გ. თუმანიშვილი ყურადღების გარეშე არ ტოვებს გ. წერეთლის ურთიერთობას ქართულ თეატრთან და მის ამაგს მუდმივი ქართული თეატრის ფეხისადგამში 70-იან წლებში. როგორც ამ საქმის უშუალო მონაწილე, იგი ლაპარაკობს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც მაშინ ჰქონდა ბექდურ პროპაგანდასა და შინაური წარმოდგენების გამართვას სალსის თეატრით დასაინტერესებლად. ამასთან, ხაზგასმით მიუთითებს გ. წერეთლის წვლილზე ამ დიდი ეროვნული საქმის განსორციელებაში. მისი თქმით, გ. წერეთელმა „ტიფლისსკი ვესტნიკში“ გამოაქვეყნა საინტერესო თეატრალური რეცენზიები, მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა და შექმნა ორიგინალური დრამები. მაგრამ გ. წერეთლის დრამები, — შენიშნავს იგი, — მაშინვე არ დადგმულა და არც წარმატება ჰქონია სცენაზე. ეს დრამები მოკლებული არ იყო ლიტერატურულ ღირსებებს, მაგრამ მათში ისმოდა იმერული ეარგონია... ხოლო ეს ეარგონი ერისტოვისა და ზ. ანტონოვის ადრეულ პიესებში გაუხამსდა“<sup>1</sup>.

გ. წერეთლის დრამების სცენურ წარუმატებლობაში გ. თუმანიშვილი ბრალს სდებს იმდროინდელ თეატრალურ დასასაც, რომელიც თითქმის მთლიანად დაკომპლექტებული იყო კომიკური როლების შემსრულებლებით და დრამატული როლების შესრულებას ძნელად თუ ახერხებდნენ.

ესება რა გ. წერეთლის მოღვაწეობას 90-იან წლებში, გ. თუმანიშვილი მიუთითებს, რომ მან, თავის მეუღლესთან ერთად, დააარსა გაზეთი „კვალი“. ამ ცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „კვალის“ ოფიციალური რედაქტორი იყო გ. წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი, გიორგის და და ცხადია გ. თუმანიშვილს შეეძლო ზუსტად სკოდნოდა ამ გამოცემის ისტორია.

საგანგებო მნიშვნელობას იძენს გ. თუმანიშვილის შემდეგი სიტყვებიც: „ამჟერად იგი (გ. წერეთელი. — ზ. გ.) მოგვევლინა როგორც ქართველი პუბლიცისტი და პრეტენზიას აცხადებდა ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმართველის როლზე. ნიქის მრავალმხრიობა უწინდებული ჰქონდა... მაგრამ წარბოზდა პუბლიცისტური ძარღვი. ამავე დროს იგი საერთო ღინებას კი არ მიჰყვებოდა,

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები. 1913, I, გვ. 13—14.

არამედ უპირისპირდებოდა მას. ცხოვრების გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ არსებული პარტიები მეტისმეტად ცალმხრივი არიან... ამჯერად იგი გაემიჯნა თავის თაობას, 60-იანელებს, თავის უღრნალში მარქსისტები მიიზიდა (ნ. ჟორდანიას, ე. ნინოშვილი და სხვებთან). მან გამოაცხადა მესამე პარტიის (მესამე დასის) ჩასახვა, რომელსაც „ახალი გზით უნდა ევლო“<sup>1</sup>.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გ. თუმანიშვილი ამას წერდა 1900 წელს, გასაგები გახდება, თუ როგორ აქვს გავებული კრიტიკოსს გ. წერეთლის მსოფლმხედველობრივი ევოლუციონიზმი და იდეური პოზიციონი 90-იან წლებში. მარჯამ ამასვე ვერ ვიტყვით იმ დახასიათებაზე, რომლის მიხედვით გ. წერეთელი თიბქილიდან საგრძნობლად გამოირჩეოდა თავისი სახელოვანი კოლეგებისაგან ეროვნულ საკითხში, კერძოდ, სომხებთან ურთიერთობის საქმეში. უფრო სწორად, გ. თუმანიშვილი, ამ შემთხვევაში, არასწორად წარმოადგენს არა გ. წერეთლის, არამედ სხვა ქართველ მოღვაწეთა პოზიციას.

უადრესად საინტერესოა გ. თუმანიშვილის შეხედულება გ. წერეთლის მოღვაწეობაზე მრეწველობის განვითარების საქმეში. მისი თქმით, გ. წერეთელმა პრაქტიკულად ვერ შეძლო კვალი დაემჩინა ამ სფეროში და ფაქტიურად დარჩა გაბედული ოცნებების სამყაროში: „მუდამ ეძებდა მსხვილ მეწარმეებს. რადგან დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი მდიდარი ბუნების წყალობით მათ აქვთ. ფართო ასპარეზი... მრეწველობას იგი თვლიდა ცივილიზაციის უდიდეს ფაქტორად და სურდა ჩახედული ყოფილიყო მის საიდუმლოებებში, სურდა ყოფილიყო ამ მრეწველობის შექმნის მონაწილე“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილის ეს სიტყვები ყურადღებას იქცევენ უფრო მეტად იმიტომ, რომ იგი ემყარება არა მხოლოდ გ. წერეთლის ნაწერებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს, არამედ აზრთა უშუალო გაცვლა-გამოცვლის შედეგად გაკეთებულ დასკვნას.

საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში მდგომი საკითხებისადმი გ. წერეთლის ფხიზელი დამოკიდებულების ერთ-ერთ უამხასიათებელ მაგალითად გ. თუმანიშვილის მიაჩნდა მის მიერ ქარ-

1 გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები. 1913, I, გვ. 13-14.

2 იქვე, გვ. 15.





ხებ ადრე გამოქვეყნებული ორივე მასალა, რომელთაც დაუმატა სათანადო შესავალი და დასკვნითი ნაწილი<sup>1</sup>.

როგორც ილია ქავჭავაძის, ასევე ალ. ყაზბეგის შეფასებაში თუმანიშვილმა, თავის წინამორბედ კრიტიკოსთაგან, მხოლოდ გ. მაიაშვილის მიერ გამოთქმული შეხედულება გაიზიარა. „ა. ყაზბეგა. — წერს ის, — ერთ-ერთმა მისმა კრიტიკოსმა გ. მაიაშვილმა უწოდა ხალხოსანი... და ამით ბევრია ნათქვამი. მკითხველებს შორის მისი წარმატების საიდუმლო ისაა, რომ უნარი შესწევდა შეხებოდა ხალხის ცხოვრების ყველაზე მიმზიდველ მხარეებს“<sup>2</sup>.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ გ. მაიაშვილი და გ. თუმანიშვილი ალ. ყაზბეგს ნაროდნიკული მიმართულების წარმომადგენლად მიიჩნევენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. გ. მაიაშვილმა ალ. ყაზბეგს ხალხოსანი უწოდა არა ამ სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით; გ. მაიაშვილი ალ. ყაზბეგს უწოდებს ხალხის, კერძოდ მთიელი ხალხის, ცხოვრების მხატვარს, რაზეც აშკარად მეტყველებს მისი ლიტყვები: „ვეუწოდებთ. რა ყაზბეგს ხალხოსანს, ხოლო მის მოთხრობებს ხალხურს, ჩვენ დამატებით უნდა შევნიშნოთ, რომ მის მოთხრობებში ფიგურირებს არა მთლიანად ხალხი, არამედ გარკვეული მისი ნაწილი, კერძოდ მთიელი ქართველები“<sup>3</sup>.

ძნელი არ არის იმის დანახვაც, რომ გ. თუმანიშვილიც სწორედ ამ აზრით უწოდებს ალ. ყაზბეგს ხალხოსანს. მისი თქმით, ალ. ყაზბეგის მთავარი დამსახურება მდგომარეობს უბრალო ხალხისა და მისი წარმომადგენლების ამალღებულად წარმოდგენაში, მათი მალაღამიანური ღირსებების ჩვენებაში. თავის საყვარელ ხალხს და მათ წარმომადგენლებს იგი გვაცნობს არა როგორც ყოფა-ცხოვრების ჩვეულებრივი აღმწერელი, მთიელთა რომანტიკული თავგადასავლითა და მათი ყოველდღიური ცხოვრებით გატაცებული მხატვარი, არამედ, როგორც დიდი მცოდნე იმ გარემოსი, რომელშიც ცხოვრება უხდებოდა მის საყვარელ გმირებს. ალ. ყაზბეგი, შენიშნაფს კრიტიკოსი, მთის ხალხს გვაცნობს ხან სახალხო სასამართლოს სჯის ფონზე, ხან საზოგადოებრივ შეკრებაზე, ხან ჩვენთვის უცნობ ადამიანებთან მიმართებაში, ხან მაშინ, როცა

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1, 1913, გვ. 116—130.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 116—117.

<sup>3</sup> გ. მაიაშვილი, რჩეული ნაწერები, 1968, ტ. II, გვ. 14.

მათ სტანჯავენ ისინი, რომლებსაც სრულებით არ ესმით ბუნების ამ მიამიტ შვილთა ფიქრები და ტკივილები.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, „ყაზბეგს ქართველებისათვის ისეთივე მნიშვნელობა ქონდა. როგორაც რუსებისათვის გრიგოროვიჩს, ხოლო სომხებისათვის — რაფის. მათ მსგავსად ყაზბეგი იყო არა მარტო მხატვარი. არამედ მისი თანამედროვე საზოგადოების განწყობილების გამომხატველი“<sup>1</sup>. ეს მოსაზრება სერიოზულ კორექტივს საჭიროებს.

გ. თუმანიშვილის ამ სიტყვებს, ცხადია, შეეძლო რუსი მკითხველის შეცდომაში შეყვანა. კრიტიკოსს ერთგვარი საბაბი ჰქონდა პარალელი გაეგლო გრიგოროვიჩსა და ყაზბეგს შორის, როგორც უბრალო ხალხის ცხოვრებითა და ბუნების სურათებით დაინტერესებულ მხატვრებს შორის, მაგრამ მათი, როგორც თავიანთი თანამედროვე საზოგადოების საუკეთესო მისწრაფებათა გამომხატველების შედარება თითქმის შეუძლებელია. როგორც ცნობილია, დ. ვ. გრიგოროვიჩი (1822—1900) ვერ ამალღდა ზომიერ-ლიბერალური პოზიციებიდან და დაუპირისპირდა კიდეც ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებას რუსულ მწერლობაში. რაც შეეხება რაფს (1835—1888), შეიძლება ითქვას, რომ პარალელი არც მასთან არის მართებულად გავლებული. სომხური რომანტიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი, რაფი იყო დიდი რომანისტი, რომელმაც ისტორიული თემატიკის მოშველიებით გააღვივა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები, მაგრამ თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობით იგი მაინც იმდენად განსხვავდება ალ. ყაზბეგისაგან, რომ სხვადასხვაგვარ ადგილს იჭერენ თავიანთ მშობლიურ ლიტერატურათა ისტორიებში.

გ. თუმანიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა, სრულიად სამართლიანად ხაზი გაუსვა ალ. ყაზბეგის პიროვნების ტრაგიკულ ხასიათს, იმ უცნაურობით აღსაცხე ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელმაც კიდეც დაამძიმა და კიდეც დაამშვენა დიდი ბელეტრისტის ბიოგრაფია. ყაზბეგის ცხოვრება, შენაშნავს კრიტიკოსი, არის რომანის ბრწყინვალე თემა; ყაზბეგი კი იყო გამოკვეთილი ტიპი, რომელიც განასახიერებდა ლიტერატურულ ბოჰემას, — ამ სიტყვის სა-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 118.

უკეთესო მნიშვნელობით. „ემსახურებოდა რა ლიტერატურას ხელოვნებას და ივიწყებდა ყველაფერ სხვას, წერს გ. თუმანიშვილი, ცხოვრებაში იგი დიდ უსიამოვნებებს იტანდა“<sup>1</sup> თავადისა და გენერლის შვილი შეუდგა მომთაბარე მწყემსის ცხოვრებას მართლდ იმის გამო, რომ უკეთ გაეცნო ხალხი და სამსახური გაეწია ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. დიდმა ბუნებრივმა ნიჭმა და სტოიკურმა ცხოვრებამ თავისი გაიტანა — ალ. ყაზბეგი სულ რამდენიმე წლის მანძილზე გახდა მთელი ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი.

გაზ. „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ბრწყინვალე მოთხრობებმა, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, ალ. ყაზბეგს დამსახურებულად მოუპოვა დიდი მწერლის სახელი, მისი მოთხრობების გაგრძელებას მოუთმენლად ელოდა მკითხველთა ფართო წრე, მწერალიც დაუზოგავად ექცეოდა თავის სამუქროლო ტალანტს და აიძულებდა მეტის გაკეთებას. „ყაზბეგის მოთხრობები, რომელიც იბეჭდებოდა გაზეთის ან ჟურნალის რამდენიმე ნომერში, — დასძენს კრიტიკოსი, — მკითხველებს იძულებულს ზღიდა დიდი ინტერესით დალოდებოდნენ მათ გაგრძელებას. ამ დროს კი ავტორი მშოიერი და ციებისაგან აცახცახებული ბნელსა და ცივ ოთახში... სწრაფად წერდა ამწყობის მოუთმენელი მზერის ქვეშ, რომელიც ელოდებოდა მასალას სტამბმხათვის“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილი არ მალავს თავის გაოცებას იმის გამო, რომ ამგვარ მძიმე პირობებში ალ. ყაზბეგმა შექმნა მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც აღაფრთოვანა ისეთი მკაცრი შემფასებელიც კი, როგორც იყო გრ. ორბელიანი „იგი იყო ერთ-ერთი პირველი, — წერს კრიტიკოსი, — რომელიც აღტაცებაში მოიყვანა ყაზბეგის პირველმა მოთხრობამ „ელგუჯამ“ და მას შემდეგ განსტკიცდა ახალგაზრდა ბელეტრისტის სახელი“<sup>3</sup>.

მაგრამ ალ. ყაზბეგს ერთი ხელის დაკვრით არ მიუღწევია სამწერლო დიდებისათვის. ბელეტრისტული მოღვაწეობის ტრიუმფალურ წლებს წინ უსწრებდა თავისებური შემოქმედებითა წრთობა, ფორმირების პერიოდი, როცა იგი უფრო მეტად დრამატურაგითა

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 118.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 123.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 123.

და თეატრით იყო გატაცებული. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. თუმანიშვილი, რომელსაც საგანგებოდ მოუძებნია და გაუცვნია ალ. ყაზბეგი, რათა დახმარებოდა ახლად აღორძინებულ ქართულ თეატრს.

1879 წელს, მაშინ, როცა შეიქმნა მუდმივი ქართული თეატრალური დასი, რომელსაც უკიდურესად ესაჭიროებოდა პიესები ქართულ ენაზე, გ. თუმანიშვილისათვის დავით ერასთავს უცნობებია, რომ ვინმე ალ. ყაზბეგს ოცდახუთამდე თარგმნილი პიესა აქვს. „ეს რომ გავიგე, — წერს გ. თუმანიშვილი, — უშალ გავვარდი ცით მოვლენილი კეთილისმყოფელის საქებნელად, დიდი ძებნის შემდეგ მოვნახე... ეს იყო ახალგაზრდა, ფერმკრთალი კაცი, მაგრამ საკმაოდ სიმპათიური, ლამაზი სახისაც კი. მან მითხრა, რომ მართლაც ბევრი რამ თარგმნა, არც კი ახსოვს რამდენი, მაგრამ ყველაფერი დაულაგებელიაო. ამავე დროს, მან გამოთქვა სურვილი უსასყიდლოდ გაეწია სამსახური ქართული სცენისათვის, რითაც კი შეუძლია და ამხანაგობას გადასცა ხუმრობმელებიანი დრამა „ცხოვრების თანამგზავრი“<sup>1</sup>.

როგორც პროფ. აბ. მახარაძე შენიშნავს, „ეს სტრიქონები ქართული თეატრის ერთ-ერთ მოამბავს ეკუთვნის და ამდენად იგი საზნალო და საიმედო“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილი ახასიათებს ალ. ყაზბეგის შემდგომ მოღვაწეობასაც ქართულ თეატრში. კერძოდ, იგი მაღალ შეფასებას აძლევს მის სახალხო დრამას „არსენას“, მაგრამ მხოლოდ დრამატურგიით არ სურს შემოფარგლოს მწერლის ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე. კრიტიკოსის თქმით, „იგი გულმოდგინედ თარგმნიდა სხვადასხვა ლექსებს და კითხულობდა მათ დივერტისმეტებში, გამოდიოდა სცენაზე სრულიად სხვადასხვა როლებში, კომედიურში და დრამატიულში, თამაშობდა მოხუცებულებსაც და შეყვარებულებსაც, რვეისობდა როგორც თავის, ასევე სხვების პიესებს, იყო ადმინისტრატორი და რაღა არ იყო თავისი საყვარელი საქმისათვის“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 120-121.

<sup>2</sup> აბ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 11, 1955, გვ. 76.

<sup>3</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 122.

აღ. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ გააღიერდა ინტერესი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლიადაში. 1904 წელს გამოხულ მწერლის თხზულებათა კრებულს დართული აქვს დ. კარიკაშვილის მიერ შედგენილი ვრცელი ბიოგრაფიულ-კრიტიკული წარკვევი, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებშიც უკვე ხშირად იბეჭდებოდა მოგონებები და ბიოგრაფიული მასალები. მწერლის ნიჭის პატივისცემლებს სურდათ მადლიერი მკითხველისათვის მოეთხროთ საინტერესო მომენტები უდროოდ დაღუპულ ბელეტრისტის შესახებ, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც უღირსი ლეგენდა შექმნეს და აღ. ყაზბეგის ავტორობა ეჭვის ქვეშ დააყენეს. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ აიძულა გ. თუმანიშვილი მიმოეხილა მწერლის შესახებ გამოქვეყნებული ახალი ბიოგრაფიული ცნობები და, ერთ-ერთმა პირველმა, ხაზგასმითა და კონკრეტული საბუთების მოშველიებით, უარყო უსაფუძვლო მონაქორი, რომელსაც მწერლისადმი მტრულად განწყობილი „მახლობლები“ ავრცელებდნენ. იგი იმპრეზებს გაზეთ „ივერიის“ 1904 წლის 30 დეკემბრის ნომერში მოთავსებული. ხეთერელის წერილს და სხვათა მონათხრობს, რომლებიც ამჟამად ხდიან თუ როგორ წერდა აღ. ყაზბეგი თავის უკვდავ თხზულებებს. „ბევრი ხედავდა, — დასძენს იგი, — თუ როგორ წერდა ყაზბეგი თავის საუკეთესო მოთხრობებს გაზეთ „დროების“ რედაქციის შენობაში, ხედავდნენ როგორ წერდა და არა იწერდა...“<sup>1</sup>

გ. თუმანიშვილი მკითხველს აწვდის ცნობებს იმის თაობაზეც, თუ აღ. ყაზბეგის რომელი ნაწარმოებია თარგმნილი რუსულად და რა ღირსებისაა იგი. საინტერესოა, ამ მხრივ, მისი ცნობა „ელისოს“ თარგმანის გამოქვეყნების შესახებ. „მე დავიწყე, — წერს იგი, — გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, რომელიც იმ დროს ჩემი რედაქტორობით გამოდიოდა, განსვენებულის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობის „ელისოს“ ბეჭდვა, მაგრამ ცენზურა მის მიმართ მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა და მომიხდა თარგმანის შეკვეცა და დამახინჯებაც კი. ვანსაკუთრებით დაზარალდა ის ადგილები, რომლებიც ეხებოდა პოლიციას და თავისუფლების მოყვარული მთიელების გამირობას. დიდი ხნის შემდეგ იმავე მოთხრობის იგივე თარგმანი მესამე თავის დამატებით, რაც ადრე ცენზურის მიერ გამოტო-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 127.

ვებულო იყო, დაიბეჭდა „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ გამოცემაში“...!

ამგვარად, გ. თუმანიშვილმა გარკვეული სამსახური გაუწია რუს მკითხველთა შორის აღ. ყაზბეგის პოპულარიზაციის საქმეს და ბევრი საყურადღებო დეტალითაც გაამდიდრა დიდი მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფია.

\* \* \*

გ. თუმანიშვილმა თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა მკითხველს ასევე უდროოდ გარდაცვლილი მწერლის, ეგნატე ნინოშვილის შესახებაც.

1894 წელს, მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მან გამოაქვეყნა პატარა წერილი<sup>1</sup>, რომელშიც კარგად ჩანს კრიტიკოსის შეხედულება ეგნატე ნინოშვილის პიროვნებასა და მხატვრულ შემოქმედებაზე. იგივე წერილი, სულ მცირე დამატებით, გ. თუმანიშვილმა შემდეგ შეიტანა თავისი კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევების კრებულში<sup>2</sup>.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, გ. თუმანიშვილს ეგნ. ნინოშვილი გაუცნია გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, თუმცა მის ნაწერებს იგი ადრე იცნობდა „ივერიის“ ფურცლებიდან. პ. უმიკაშვილისაგან მას გაუგია ისიც, რომ მწერალი მოხარული იქნებოდა ემუშავა „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციაში, თუკი ხელს არ შეუშლიდა რუსული ენის არასაკმაო ცოდნა. ამის შემდეგ გ. თუმანიშვილი კიდევ უფრო დაინტერესებულა ახალგაზრდა მწერლის ნაწერებით. სულ მალე მას ქუთაისიდან მიუღია „პალიასტომის ტიპის“ ხელთუფლიშვილისეული თარგმანიც, რასაც აღუფრთოვანებია „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორი და მაშინვე გამოუქვეყნებია.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, თავისი საინტერესო ბიოგრაფიითა და შემოქმედებით ეგნ. ნინოშვილი ქართულ მწერლობაში მოვიდა როგორც ახალი ტიპის მწერალი, რომელმაც ცხოვრების ხანმოკლე, მაგრამ მძივე გზა გაწვლო. სიღარიბის გამო მან ვერც

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, გვ. 129—130.

<sup>2</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1894, № 3557.

<sup>3</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, I, 1913, გვ. 185—189.

სათანადო განათლება მიიღო და ვერც თბილისში ცხოვრება მოახერხა: მიუხედავად ამისა, მას არ შეუწყვეტია თვითგანვითარება და ყველას ანცვიფრებდა თავისი ერუდიციით, „იგი ტოვებდა საფუძვლიანი ლიტერატურული განათლების მქონე კაცის შთაბეჭდილებას“<sup>1</sup>.

უმწეო გლეხიკობის ცხოვრების უშუალო ცოდნამ ეგნ. ნინოშვილს შესაძლებლობა მისცა რეალისტურად და მიჰზიდველად ეჩვენებინა მაშინდელი სოფლისა და მისი ადამიანების სახეები. „მისი ეპირები არიან, — წერს კრიტიკოსი, — გლეხები, რომელთაც იკუმეს ქალაქის ცივილიზაცია და სოფელს რომ რყენიან, მეძავეები, სოფლის მწერლები, სოფლის წურბელები, წვრილი აზნაურობა და სხვ. იგი კარგად იცნობს ამ ფენას, რადგან ცხოვრების მკაცრი სკოლა ჰქონდა გავლილი“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა ჩვენს კრიტიკაში, მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ეგნ. ნინოშვილმა ქართულ ლიტერატურაში დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი თავის ნაწარმოებებში მან განახორციელა რომანტიკულ-იდეალიზებული და ულტრა-რეალისტური სახეებისა და სურათების შერწყმა, სინამდვილის კეშმარიტი მოვლენების ჩვენება ჯანსაღი ტენდენციის ფონზე. იდეურ-თემატიკურმა აქტუალობამ და სიუჟეტების შექმნის დიდმა ოსტატობამ ეგნ. ნინოშვილი საგრძნობლად განასხვავა მის თანამედროვე მწერლებისაგან. „ნინოშვილის მოთხრობები, — წერს კრიტიკოსი, — ყოველთვის გააზრებულთა, მათი იდეა ნათქვამია, ხოლო სიუჟეტად ჩვეულებრივ იყენებდა საქართველოს სოფლის ცხოვრების რომელიმე საჭირბოროტო საკითხს, უპირატესად კი გლეხების გაჭირვებას. განსვენებულის ნაწარმოებებში შეინიშნება რეალიზმის იშვიათი შერწყმა ტენდენციურობათან და ეს თვისება მკვეთრად ანსხვავებს მას ქართული ლიტერატურის ბევრ სხვა თანამედროვე წარმომადგენლებსაგან“<sup>3</sup>.

გ. თუმანიშვილს მიაჩნია, რომ შესამედსელებმა გარკვეულად გააზვიადეს ეგნ. ნინოშვილის მნიშვნელობა ქართული ლიტე-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 188.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 186—187.

რატურის ისტორიაში: „ცოტათი გადაქარბებულად შეაფასეს ნინოშვილი ახალი მიმართულების წარმომადგენლებმა“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილმა თავისი მოკრძალებული სიტყვა თქვა ეგნ. ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეშიც.



დიდი სიყვარულითა და პატივისცემის გრძობითაა გამთბარი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და დრამატურგის დავით გიორგის ძე ერისთავის ლიტერატურული პორტრეტი?; გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას ისიც, რომ ეს კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი ობიექტურად და ნათლად წარმოგვიდგემა დ. ერისთავის ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ მრავალფეროვან ლიტერატურულ-ჟურნალისტურსა და თეატრალურ მოღვაწეობას. ამ მხრივ იგი გამოირჩევა დ. ერისთავის შესახებ დაწერილ სტატიათა და გამოკვლევათა შორის.

გ. თუმანიშვილის თქმით, ქართულ ენაზე არსებულ პიესათა შორის ყველაზე პოპულარულია დრამა „სამშობლო“, მაგრამ იგი არაა დ. ერისთავის ორიგინალური თხზულება, არამედ წარმოადგენს სარდუს ცნობილი პიესის („Patrie“) გადმოკეთებას. მოღვაწეობის სულ 10-12 წლის მანძილზე დ. ერისთავი ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა როგორც პოეტი, ნოველისტი, ფელეტონისტი. დრამატურგი, რედაქტორი, დეკლამატორი, მსახიობი, რეჟისორი და სხვა. თანაც ყველა ამ სფეროში გამოამყლავნა შესაშური ნიჭი. „მაგრამ ამ მრავალმხრივმა მოღვაწეობამ, — შენიშნავს გ. თუმანიშვილი, — დაღუპა იგი, რადგან მიმოიფანტა და დახურდავდა, არც ერთ სფეროში არ დასტოვა მან ღრმა კვალი“.<sup>2</sup>

გ. თუმანიშვილის დახასიათებით, დ. ერისთავს არ ყოფნიდა ნებისყოფა მთელი შესაძლებლობით მოეკიდა ხელი რომელიმე ერთი საქმისათვის და ბოლომდე მიეყვანა ის. იგი იგონებს, თუ როგორი მოწინებით წარსდგა ამ ნიჭიერი პიროვნების წინაშე, რათა ეთხოვნა მისთვის ახლად აღორძინებული ქართული თეატრის საქმეების

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 189.

<sup>2</sup> ია. ეურნ. „ტიფლისსკი ჟურნალი“, 1913, № 7, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 19.



ხელმძღვანელობა, მაგრამ მას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ღირსება და თვისება გააჩნდა საამისოდ, მაინც ასე განუცხადებია: „სცენისათვის მე ძალიან ბევრს დავწერ და ვთარგმნი, მაგრამ არ შემიძლია სათავეში ჩავედგე საქმეს“.

დ. ერისთავს თავისი სიტყვა მართლაც კეთილსინდისიერად შესრულებია. 1878—79 წლებში იგი მხარში ამოდგომა სცენისმოყვარეთა და მუდმივი ქართული თეატრის აღდგენისათვის მებრძოლთ, უთარგმნია ბევრი პიესა, განააკუთრებით კრილოვიდან (ვ. ალექსანდროვი), რომელთაც თვითონ დგამდა და სხვებსაც ეხმარებოდა დადგამათა განხორციელებაში. 1881 წელს კი მან გადმოაკეთა და დადგა „სამშობლო“, რომელმაც დიდი გამოქაჩილი პოვა და განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული თეატრის წინსვლისა და ავტორიტეტის მოპოვების საქმეში.

დ. ერისთავი აქტიურად მონაწილეობდა ქართული და რუსული პრესის ცხოვრებაში. როგორც თუმანიშვილი გადმოგვცემს, მან დიდი დახმარება აღმოუჩინა კ. ა. ბებუთოვს გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ დაარსებაში, ამასთან, „მისი გონებამახვილური ფელეტონები ტიფლისის ცხოვრებიდან, ხელმოწერილი ფსევდონიმით „მეშკვიდრეობითი პოეტი“, გაზეთს დიდად პოპულარულს ხდის“<sup>1</sup>. პარალელურად იგი თანამშრომლობდა ქურნალ „კრებულსა“ და გაზეთ „დროებაშიც“.

უფრო გვიან დ. ერისთავს ეხედავთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ დროებით რედაქტორად, „გოლოსის“ კორესპონდენტად, იუმორისტული ქურნალის „ფალანგის“ თანამშრომლად და გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორად. გ. თუმანიშვილის თქმით, 1882—84 წლებში, როცა „კავკაზს“ დ. ერისთავი რედაქტორობდა, გაზეთი არნახულად გამოცოცხლდა. „ერისთავის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ძალზე დამოუკიდებლად ეჭირა თავი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. თუმცა ირგვლივ სამოციანელი დემოკრატები კი არა, არამედ ლიბერალი თანამშრომლები შემოიკრიბა. იყო რა „კავკაზის“ რედაქტორი, მას არ ეშინოდა კატკოვის თავდასხმების და განაგრძობდა თავის პატრიოტული პიესის „სამშობლოს“ დადგმას. შესაძლოა

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 21.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 20.

ამან განაპირობა, რომ 1884 წ. მთავრობამ არ ისურვა განეახლებინა მისთვის „კავკასის“ იჯარა ახალი ვადით“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, დ. ერისთავს ჰქონდა კიდევ ერთი სუსტი მხარე. რომელმაც დალი დააჩნია მის მოღვაწეობას. ესაა— მტკიცე და გარკვეული იდეალის უქონლობა, რომელსაც ადამიანი თავგანწირვით ემსახურება. გარდა ყოველგვარი შოვინიზმისაგან თავისუფალი პატრიოტული ვრძნობისა, იგი ყველაფერს თითქმის სკეპტიკურად უყურებდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი დამოკიდებულება ძველ და ახალი თაობებშიადმი. „იგი განუდგა ორივე თაობას, მაგრამ არ შეუწყვეტია მთი ბანაკისათვის ეტყორცნა თავისი მოწამლული სატირული ისრები. მისი ფაქიზი ესთეტიური გრძნობისათვის ამაზრზენი იყო ის კინკლაობა, რომელიც იყო ამ ორ ბანაკს შორის. გასაკვირი არაა, რომ მას ზურგი შეაქცია ორივე პანაკმა, როგორც აზიზს“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილის ამგვარი დაკვირვება, მართალია, არსებითად არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, მაგრამ სწორი არ იქნება იმის თქმა, რომ დ. ერისთავის პოზიცია თაობათა ბრძოლისას გაურკვეველი იყო. მისი სიმპათიები, ცხადია, ახალი თაობის მხარეზე იყო. ამიტომ იყო რომ ი. ჭავჭავაძემ თავისი „გამოცანები“ მას მიანდო გასავერცელებლად. მანაც არა მხოლოდ გაავრცელა ისინი, არამედ რუსულადაც ბრწყინვალედ თარგმნა და ანონიმურად მიაწოდა საზოგადოებას.

დ. ერისთავი-სატირაკოსი უდავოდ იქცევა ყველას ყურადღებას. ცნობილი იყო მისი გონებამახვილობა და ენამახვილობა; მისი ნატყორცი „ისრები“ ადვილად ირჩეოდა სხვებისაგან. 80-იან წლებში, როცა თითქოს სიწყნარე ჩამოვარდა, როცა დაბადება იწყეს ჩებოვის გამირებმა, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, დ. ერისთავის სკეპტიციზმსა და სატირას დრო დაუდგა. გამოუჩნდნენ მას მიმბაძველებიც: ხონელი (ბახტაძე), კეზელი (დ. სოსლანი), ი. მეთუნარგია, ოპოჩინინი და სხვები მისეულ ტრადიციებს აღრმავებდნენ.

გ. თუმანიშვილი საგანგებოდ მიგვანიშნებს დ. ერისთავის, შუარისაგან თავისუფალი სულიერი სამყაროს ღირსებაზეც. მაშინაც

<sup>1</sup> გ. შ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 26—27.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 23.

კი, როცა საქმე ეხებოდა მისწრაფებებით მისგან განსხვავებულა ადაპიანის წარმატებას, დ. ერისთავი მაინც კმაყოფილებას გრძნობდა. მას გულწრფელად ახარებდა თანამემამულის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მიღწევები და პოპულარიზაციას უწყევდა მას. „განსაკუთრებით მალეღებდა მწერალთა უფროსი თაობის ყურადღება უმცროსისადმი. როცა ერისთავი გავიცანი, იგი უკვე ცნობილი ფელეტონისტი იყო, მე კი ახალგაზრდა ვიყავი და ის-ის იყო ვიწყებდი წერას, მაგრამ ასაკობრივი განსხვავება მას ხელს არ უშლიდა ჩემს მიმართ ყოველთვის ყოფილიყო თავაზიანი. იგი მებატიყებოდა „ფალანგანიც“, „გოლოსშიც“ და „კავკასშიც“. შემდეგ კი, როცა თანამშრომლობა დავიწყე „ვესტნიკ ევროპაში“ და „რუსსკოე მისლში“, მისი სიხარული მართლაც გულწრფელი იყო. იგი ყველგან ყვებოდა ჩემი წარმატებების შესახებ“<sup>1</sup>.

დ. ერისთავის შესახებ დაწერილ თავის სტატიას გ. თუმანიშვილმა დაურთო მწერლას მიერ მასთან მიწერილი ორი ბარათიც, რომლებიც კიდევ უფრო ნათელსა და უდავოს ხდიან მის მიერ მოწოდებულ დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს.

ასევე საინტერესოდ გააცნო მკითხველს გ. თუმანიშვილმა გამოჩენილი ქართველი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე აექსენტი ცაგარელიც.

ავტ. ცაგარელთან გ. თუმანიშვილს ბევრი რამ აკავშირებდა, პირველ ყოვლისა, თეატრალური მოღვაწეობა. გ. თუმანიშვილი ახლოს იცნობდა აექს. ცაგარელს როგორც მსახიობს, დრამატურგს და როგორც მოქალაქეს. ამიტომ მის კრიტიკულ-ბიოგრაფიულ ნარკვევს ნიჭიერი ქართველი დრამატურგის პიროვნებასა და თეატრალურ მოღვაწეობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

გ. თუმანიშვილის ცნობით, რაც სხვა მასალებითაც დასტურდება, აექს. ცაგარელი აქტიურად მონაწილეობდა ქართველ სცენისმოყვარეთა იმ წრეში, რომელიც 1879 წლიდან მუდმივი ქართული თეატრის დასად იქცა. ამ წრესა და ამ დასში იგი ითვლებოდა მეორე კომიკური როლების შემსრულებლად, და თუმცა თავისი აქტივორული ნიჭით არ ბრწყინავდა, თეატრისადმი დიდი სიყვარულისა

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 24.

და გაასრებული თამაშის წყალობით, იგი დასის უაღრესად საჭირო და სასურველი წევრი იყო.

1879 წელს კი ავქ. ცაგარელმა იპოვა ჰემმარიტი მოწოდება და დაწერა ცნობილი სამმოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ამ კომედიას, გ. თუმანიშვილის გადმოცემით, დიდი მოწონება ხვდა და მას შემდეგ ქართული სცენიდან აღარ ჩამოსულა. მას დაუმსახურებია სცენისმოყვარულთა წრის მიერ დაარსებული პირველი პრემიაც. პირველი კომედიის ამგვარი წარმატებით წახალისებულ ავქ. ცაგარელს შემდეგ დაუწერია კომედია „ხანუმა“, რომელსაც კიდევ უფრო დიდი მოწონება რგებია წილად და სომხურ ენაზეც მალე წარმოუდგენიათ. გულთბილად მიუღია მაყურებელს მისი მესამე კომედია — „ციმბირელი“.

ავქ. ცაგარელის კომედიათა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“) დიდ წარმატებას ქართულ და სომხურ სცენებზე აშკარად ადასტურებს ის მრავალრიცხოვანი რეცენზიებიც, რომლებიც მათ წარმოდგენას მიეძღვნა იმდროინდელი გაზეთების ფურცლებზე.

როგორც გ. თუმანიშვილიც შენიშნავს, ამის შემდეგ ავქ. ცაგარელმა დაწერა დრამები და სხვა კომედიებიც, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, აღარ ხვდათ ისეთი წარმატება, როგორც დასახელებულ კომედიებს.

„არ შეუწყვეტია რა მუშაობა მშობლიური სცენისათვის, — შენიშნავს იგი, — ცაგარელმა სცადა თავის ნიჭი ისტორიულ დრამებსა და ვოდევილებში, თუმცა არც ისეთი წარმატებით, როგორც ყოფით კომედიებში. ცაგარელმა კალამი მოსინჯა თანამედროვე ინტელიგენციის ცხოვრების აღწერაშიც (კომედია „ცისარტყელა“). მაგრამ აქ მან ისეთივე მარცხი განიცადა, როგორც სუნდუკიანცმა. პიესაში „მეუღლენი“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილი საგანგებოდ ჩერდება ავქ. ცაგარელის მძიმე ოჯახურ მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ თეატრს იგი ემსახურებოდა თავის უაღრესად ნიჭიერ მეუღლესთან, ნატო გაბუნიასთან ერთად, ოჯახის ეკონომიური უზრუნველყოფა

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1905, II, გვ. 68.

მას მაინც ვერ მოუხერხებია, რის გამოც რძულებული გამსდარა ჯერ რკინიგზაზე, შემდეგ კი რედაქციებში ემსახურა.

გ. თუმანიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ვაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ავქ. ცაგარელის თეატრალურ მოგონებასაც<sup>1</sup>. ამ გარემოებას კი საგანგებო მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგან ავტორი ბევრ რამეში ეკამათება და არ ეთანხმება სხვა ავტორებს ქართული მულმივი თეატრის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით. სრულიად მართებულად, გ. თუმანიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ დამსახურებაზეც, რომელიც დ. ერისთავს მიუძღვის ახალგაზრდა ავქ. ცაგარელის თეატრთან დაკავშირების საქმეში.

შეიძლება ითქვას, რომ თავის კრიტიკულ ნარკვევში გ. თუმანიშვილმა ობიექტური შეფასება მისცა ავქ. ცაგარელის დამსახურებას და სწორად განსაზღვრა მისი ადგილიც ქართული დრამატურგიის ისტორიაში. „ცაგარელს, — წერს იგი, — არ შეუქმნია ახალი სკოლა ქართულ დრამატულ ლიტერატურაში, მისი პიესებიც ერთგვარი გაგრძელება და შემდგომი განვითარება იყო გ. ერისთავისა და გ. სუნდუკიანის სიუჟეტებისა, მაგრამ ცაგარელი ეკუთვნოდა იმ ნიჭიერ და გამოჩენილ მოწაფეთა რიცხვს, რომლებიც ღირსეულად ღვანან თავიანთი მასწავლებლების გვერდით“<sup>2</sup>.

მთავარი, რამაც ავქ. ცაგარელის დრამატურგიის ასეთი წარმტება განაპირობა, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, იყო ის, რომ მის პიესებში აისახა თბილისური ცხოვრება მანამდე არნახული სისრულით. ამასთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა აგრეთვე იმ ბუნებრივმა და მდიდარმა იუმორმა, რომელიც ასე უხვადაა ჩაქსოვილი მის ცნობილ კომედიებში.

როგორც ვხედავთ, რუსულ პრესაში გამოქვეყნებული გ. თუმანიშვილის კრიტიკული და კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევების წარმოდგენილი მიმოხილვაც უდავოს ხდის, რომ ქართველმა კრიტიკოსმა საკმაოდ ბევრი გააკეთა რუს მკითხველთათვის ქართული მწერლობის გასაცნობად და ჩვენი ლიტერატურის ბუნდოვანი და შეუსწავლელი საკითხების გასარკვევად.

<sup>1</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1371.

<sup>2</sup> გ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1905, 11, გვ. 68.

## კვლავ ქართული პრესის ფურცლებზე

„ნოვოე ობოზრენიეს“ დახურვის შემდეგ თბილისში აღარ გამოდიოდა ისეთი დემოკრატიული მიმართულების და ავტორიტეტის მქონე რუსული გაზეთი, რომელსაც შეეძლო გ. თუმანიშვილის ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება. მართალია, იგი თავის პუბლიცისტურ სტატიებს აქვეყნებდა ადგილობრივ რუსულ პრესაში, მაგრამ რომელიმე მათგანთან განსაკუთრებული ინტერესებით დაკავშირებული არ ყოფილა. სამაგიეროდ, მან კვლავ აღადგინა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან თავისი ძველი ურთიერთობა და უშუალოდ დაუკავშირდა ქართველ მკითხველს.

„ცნობის ფურცლის“, „თემის“, „სახალხო ფურცლის“ და სხვა გამოცემათა რედაქციები დიდი სიამოვნებით აქვეყნებდნენ ამგვარი ქართველი კრიტიკოსისა და პუბლიცისტის სხვადასხვა შინაარსის, მათ შორის კრიტიკულ-ლიტერატურული ხასიათის, სტატიებს. მაგრამ გ. თუმანიშვილის ამ წერილებს უკვე აღარ ჰქონდათ ის აქტუალობა და მნიშვნელობა, რაც დამახასიათებელი იყო მისი ადრეული ნაწერებისათვის. ამჯერად კრიტიკოსის სტატიებს ცალკეული განმარტების გაკეთებისა და მოგონებებით ამა თუ იმ საკითხის გამდიდრების პრეტენზია ჰქონდათ მხოლოდ ამ გარემოებას განაპირობებდა, ერთი მხრივ, ავტორის მუშაობა თავისი კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევების კრებულზე („დახასიათებები და მოგონებები“); მეორე მხრივ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის უკვე მაღალი პროფესიული დონე, რომლის ფონზე გ. თუმანიშვილისეული კრიტიკის მანერა ფერმკრთალად გამოიყურებოდა.

მიუხედავად ამისა, მისი სტატიები („თავ. დავით ერისთავის ნაწერები და ბიოგრაფია“, „პირველ ქართულ პიესაზე“, „ვანო მაჩაბლის დაკარგვის 16 წლისთავის გამო“, „აკაკი წერეთლის მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში“, „თ-დ ნიკ. ბარათაშვილის ნაწერები“ და სხვ.), რომლებიც მეოცე საუკუნის ქართულ პრესაში გამოქვეყნდა, მაინც გარკვეული მნიშვნელობის მქონენი არიან და თავისი წვლილი შეაქვთ სათანადო საკითხების შესწავლის საქმეში.

როგორც უკვე გავეცანით, გ. თუმანიშვილმა რუსულ პრესაში საგანგებო წერილი გამოაქვეყნა დავით ერისთავის ლიტერატურული

პორტრეტს აღსადაგენად. მაგრამ კიდევ უფრო ადრე. განვთ „თემ-ში“, მან თავისი შესედულება გამოთქვა ამ ნიჭიერი მოღვაწის დრამატულ თხზულებათა ერთტომეულის გამოსვლასთან დაკავშირებით. წერილში „თავ. დავით ერისთავის ნაწერები და ბიოგრაფია“, გ. თუმანიშვილმა მკითხველს მოკლედ მოუთხრო დ. ერისთავის სამწერლო-ჟურნალისტურ დამსახურებაზე და, როგორც მისმა ახლოს მცნობმა, რამდენიმე შენიშვნა გააკეთა ი. მეუნარგიას მიერ შედგენილი ბიოგრაფიის გამო.

გ. თუმანიშვილმა ქართველი მკითხველის ხსოვნაში შთამბეჭდავად გააცოცხლა ოციოდე წლამ წინათ გარდაცვლილი, უაღრესად პოპულარული დრამის „სამშობლოს“ ავტორი, დავით გიორგის ძე ერისთავი. მან მადლობით მოიხსენია ქართული დრამატული საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობა დ. ერისთავის თხზულებათა ერთტომეულის გამოსაცემად, მოიწონა ი. მეუნარგიას მიერ შედგენილი მწერლის ბიოგრაფიაც, რომელიც თხზულებათა ამ კრებულს ჰქონდა დართული, მაგრამ გამოთქვა სამართლიანი კულისტკეილიც მწერლის თხზულებათა სრული კრებულის უქონლობისა და მისი ბიოგრაფიის არასრულად წარმოდგენის გამო. „ეს კრებული დრამატული ნაწერებისა, — შენიშნავს იგი, — სრული არ არის. მას აკლია, მაგალითად, „მშვენიერ ელენეს“ თარგმანი. ამ ოპერეტის ლიბრეტო, როგორც ვიცი, დაწერილია საფრანკეთის ნიჭიერი მწერლებისაგან — მელიაკისა და ვალევისაგან. ბიოგრაფიასაც ბევრი რამ აკლია, როგორც ამჟამ ქვევით დავინახავთ“.

რაც მთავარია, დ. ერისთავი არ ყოფილა მხოლოდ დრამატურგი. ამიტომ, სრულიად სამართლიანად, გ. თუმანიშვილი საკითხს აყენებს მისი მოთხრობის („წყლები“), ლექსების, ფელეტონებისა და პირადი მიმოწერის შეგროვებისა და გამოცემის შესახებ.

გ. თუმანიშვილის თქმით, დავით ერისთავის მოღვაწეობა იყო უაღრესად მრავალფეროვანი, ბიოგრაფს (ი. მეუნარგიას) კი დაავიწყდა შეხებოდა მთელ რიგ საინტერესო მომენტებს. მაგალითისათვის იგი მიუთითებს შემდეგ დეტალებზე: 1. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ დ. ერისთავი იყო კრაეესკის „სახალხთაშორი-

<sup>1</sup> გაზ. „თემი“, 1911, № 36.

სო ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელი“ და მისივე გაზეთის „გოლოსის“ განყოფილების გამგე. თანაც იქვე დასძინა: „დავით ერისთავი თავის მდგომარეობით სარგებლობდა, რომ მოეწვია უკეთესი თანამშრომლები და სააგენტოსა და „გოლოსის“ საშუალებით დაეცვა ჩვენი ქვეყნის ინტერესები მართებლობის და რუსეთის საზოგადოების და მწერლობის წინაშე. თითონ ცოტას წერდა, მაგრამ იცოდა მკოდნე თანამშრომლების შოვნა. დ. ერისთავის წყალობით ბევრმა ჩვენმა მწერალმა მოახერხა კორესპოდენციების მოთავსება „გოლოსში“. კარგი იქნებოდა, რომ ბიოგრაფს შეეტყობინებინა რა და რა საგნებს ეხებოდა „გოლოსი“ დავით ერისთავის თანამშრომლობის დროს; 2. ბიოგრაფიაში საკმარისად არ არის ნათქვამი არც იმის შესახებ, რომ დ. ერისთავმა მონაწილეობა მიიღო ქართული თეატრის ორგანიზაციაში (1879). მუდმივ რეჟისორობაზე უარი თქვა, მაგრამ როდესაც კი თავისუფალი დრო ჰქონდა, რეჟისორობდა, მეტადრე თავის პიესების წარმოდგენის დროს, ზოგჯერ ჰკრებდა არტისტებს და ასწავლიდა კითხვას სცენაზე“; 3. ი. მეუნარგია, იმონებებს რა ერთ ლექსს ნ. ნიკოლაძის ფელეტონიდან, დ. ერისთავს ახასიათებს ისეთ მოღვაწედ, რომელიც შრომასაც გაუბრობდა და ბრძოლასაც. „მართალია, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, დავ. ერისთავი სუსტი აგებულებისა იყო და „ბრძოლაც“ და „მტკიცე შრომაც“ მას უფრო ასუსტებდა, მაგრამ არც ბრძოლას და არც მტკიცე შრომას ის ნამდვილად არ ერიდებოდა... ისეთი მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელიც იკისრა დავ. ერისთავმა, შეუძლებელი იყო უბრძოლოდ და უშრომოდ... ის მარტო მწერალი არ იყო, ის სამი წლის განმავლობაში „კავკასში“ რედაქტორ-გამომცემლობდა, „თბილისის მოამბეში“ — ადმინისტრატორობდა, ქართულ დრამატულ საზოგადოებაში მოქმედებდა, იყო ტელეგრაფის სააგენტოს გამგე, „გოლოსის“ რედაქციის წარმომადგენელი კავკასიაში, როტშილდის საზოგადოებაში მსახურობდა, სცენაზე კითხულობდა და სხვა და სხვა. ყველა ამას უნდა ბევრი დრო და შრომა, რაც შეეხება ბრძოლას, ძლიერ ბევრჯერ გამოუცდია დავით ერისთავს... თვით მეუნარგია მოგვითხრობს, რომ ბანკში დავ. ერისთავი ილ. ჭავჭავაძეს ებრძოდა და ყველამ იცის, რომ ძნელი საქმე იყო ილ. ჭავჭავაძესთან ბრძოლა. ბევრი ბრძოლა მოუხდა დავ. ერისთავს „კავკა-



ზის“ მისაღებად (იმის წინათ და იმის შემდეგ ეს ოფიციალური გაზეტი მხოლოდ რუსს ეძლეოდა)“.

ამგვარად, გ. თუმანიშვილმა თავისი ამ სტატიით გარკვეული კორექტივები შეიტანა ი. მეუნარგიას მიერ დაწერილ დავ. ერისთავის ბიოგრაფიაში, რითაც დააზუსტა და გაამდიდრა მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატრიანე.

გარდა ამისა, დავ. ერისთავის დამსახურებას ჩვენი მწერლობისა და ჟურნალისტიკის წინაშე მან მისცა ობიექტური შეფასება. გ. თუმანიშვილი დ. ერისთავს უწოდებს მახვილი კალმის პატრონ ნიქიერ მწერალს, რომელიც ხშირად პოლემიკაში იყო როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის წარმომადგენლებთან, ერთგვარი სექსისიცი ახასიათებდა, „მაგრამ მისმა მხურვალე სიყვარულმა სამშობლოსადმი, რომელიც გამოიხატა მის მოთხოვნაში „წყლებზე“ და დრამაში „სამშობლო“, ჩვენი საზოგადოება თითქოს შეარიგა მასთან. მაგრამ არა მარტო შერიგებისა, ის ღირსია სიყვარულისაც და პატივისცემისაც. ამიტომ იმედია, რომ ქართველ საზოგადოებაში მოიპოვება ვინმე, რომელიც გამოსცემს უფრო სრულ კრებულს მის თხზულებისა, უფრო ვრცელ მის ბიოგრაფიას და მიწერ-მოწერას“.

გ. თუმანიშვილის ეს რწმენა და კეთილშობილი სურვილი ჭერაც არ განხორციელებულა, მაგრამ დაბეჭდვებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ გამოცემას უთუოდ გარკვეულ სამსახურს გაუწევს გ. თუმანიშვილის მიერ დავ. ერისთავის შესახებ მოწოდებული უაღრესად საინტერესო ცნობები და ბიოგრაფიული ხასიათის დეტალები.

ქართული ლიტერატურისა და დრამატურგიის ისტორიის შესწავლისათვის საგულისხმოა გ. თუმანიშვილის მიერ გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული მეორე სტატიაც („პირველ ქართულ პიესაზე“)<sup>1</sup>, რომელიც გ. ერისთავის კომედია „გაყრის“ ორიგინალობის საკითხს ეხება.

აღნიშნული სტატიის საბაბი გახდა 1912 წლის 15 იანვარს მაკო

<sup>1</sup> გაზ. „თემი“, 1912, № 58.

საფაროვა-აბაშიძის საპატივეცემულო დილანე წარმოთქმული აკაკი წერეთლის სიტყვა, რომელიც შემდეგ კიდევ გამოქვეყნდა<sup>1</sup>.

აკაკი წერეთელმა თავის ამ სიტყვაში აღნიშნა: „ერთხელ გიორგი ერისთავი მივიდა დიმიტრი ყიფიანთან და ნაა. რომ დივანზე გადაწოლილი წიგნს კითხულობდა და იცინოდა.

— რა ამბავია, ბ. დიმიტრი, რომ მაგრე ხარხარებ?

— უკაცრავად, ბ. გიორგი, რომ ამ წიგნმა გამიტაცა და გვიან შეგნიშნეთ! ერთ რუსის მწერალს, ვილაც პისემსკის, დაუწერია კომედია და „გაყრა“ დაურქმევია. საუცხოოდ არის შიგ ჩასახული ხასიათი, ზნე და ჩვეულება რუსეთის მებატონეების. მონაწილეები, რომ ერთმანეთს მეტ-ნაკლებობა არ დაუთმონ, შალს, წამოსასხამ შალს შუა სქრიან! საზოგადოდ ძალიან ხელოვნურად, მოსწრებულად და სასაცილოდ არის შეთხზული. ჩემო მგოსანო! შენც დაგვიპტიკე: რომ ტყუილად არ ყოფილხარ ვარშავაში გაგზავნილი, პოლიცეის მწერლობას გავლენა ჰქონდა შენზე და შენც ამგვარი რამ დაგვიწერე, თუ შეგიძლია, ჩვენი ცხოვრებიდან!

სტუმარმა მოისმინა, ჩამოართვა წიგნი და გაუდგა გზას სოფლისაკენ. არ გაუვლია დიდხანს, რომ ისევ ქალაქში დაბრუნებულმა ჰგოსანმა, ჩაუტანა და აჩვენა დიმიტრის ქართულად შეთხზული კომედია „გაყრა“, რომელსაც დღესაც კიდევ საპატიო ადგილი უჭირავს რუპერტუარში“.

როგორც ჩანს, დიდმა პოეტმა უკრიტიკოდ მიიღო ვილაცის მონა-თხრობი, რითაც მეტად არასასურველი სამსახური გაუწია საყოველთაოდ ცნობილ კომედიას და მის ავტორს.

ამ გარემოებისათვის შეუძლებელია ყურადღება არ მიექციათ ჩვენი ლიტერატურისა და თეატრის ისტორიკოსებს. კერძოდ, ამ ცნობას დაუინტერესებია გ. თუმანიშვილიც, რომელსაც, ცხადია, არ მოწონებია „გაყრის“ ორიგინალობის ექვეყნებში დაყენება, საგანგებოდ წესსწავლია ა. პისემსკისა და გ. ერისთავის ნაწარმოებთა ურთიერთმიმართება.

გ. თუმანიშვილმა სრულიად დამაჯერებლად უარყო ა. პისემსკის კომედიასთან გ. ერისთავის „გაყრის“ კავშირი და მკითხველთან ასეთი მსჯელობით წარსდგა: „გ. ერისთავის პიესა პირველად წარ-

<sup>1</sup> გაზ. „თემი“, 1912 № 55.

მოდვენილი იყო 1850 წ. სჩანს დაწერილია ან ამ წელს, ან უფრო ადრე. პისემსკის კომედიია კი დაბეჭდილია „სოვრემენნიკში“ 1853 წ., ე. ი. სამი წლის შემდეგ. მაშაადამე. შეუძლებელია. რომ დიმიტრი ყიფიანს და ერისთავს წაეკითხათ ჟურნალი 1819 ან 1850 წელს: რომ პისემსკიმ თავიაი პიესა დაბეჭდა მხოლოდ 1853 წ., ამას გვიმტკიცებენ ზელინსკის და ვეტრინსკის წერილები. პირველი დაბეჭდილია პისემსკის თხზულებების კრებულში (იხ. ჟურნალ „ნივას“ გამოცემა), მეორე იგივეს გვატყობინებს პისემსკის ბიოგრაფიაში, რომელიც დაბეჭდილია ოქსიანო-კულაკოვსკისაგან შედგენილ „XIX საუკუნის რუსული მწერლობის ისტორიაში“ (იხ. პესავე ტომი).

ამას გარდა, სიუჟეტი პისემსკის პიესისა ძლიერ ცოტად მოგვაგონებს გ. ერისთავის „გაყარას“. მართალია, ორივე პიესაში მებატონეების გაყრა სასატილოდ არის გამოყვანილი, მაგრამ სარჩული სხვადასხვა არის. ძველ კაცებს კარგად ახსოვთ, რომ ერისთავის ტიპები აღებულია ადგილობრივი ცხოვრებიდან; „გაყარაში“ ავტორმა გამოიყვანა თავისი თავი და თავისი ნაცნობ-ნათესაეები. მათი გვარი ზოგაერთს კიდევ ახსოვს და პისემსკისადმი მიბაძვას ადვილი არა ჰქონია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერისთავის „გაყარა“, ეს პირველი ქართული პიესა, ყოველად ორიგინალური თხზულებაა და არა გადმობღებული უცხო ენიდან“.

როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილმა საესებოთ დამაჯერებლად უპყრო „გაყარას“ ა. პისემსკის კომედიიდან მომდინარეობა და სავანგებოდ გაამახვილა ყურადღება მისი პერსონაჟების ქართულ სინამდვილესთან კავშირზე, რითაც კეთილი სამსახური გაუწია როგორც გიორგი ერისთავის სამწერლო ავტორატეტს, ასევე ქართული დრამატურგიის ისტორიას საერთოდ.

მოკლე, მაგრამ საინტერესო მოგონება („ვანო მაჩაბლოს დაკარგვის 16 წლისთავის გამო“)! გამოაქვეყნა გ. თუმანიშვილმა ვანო მაჩაბლოს შესახებად. ამ მოგონების გამოქვეყნების საბაბი, ჩვენს შეხედულებით, უნდა იყოს მისი მეუღლის, ანასტასია მაჩაბლოს წე-

რილი „სახალხო გაზეთის“ რედაქციისადმი, რომელიც დაიბეჭდა სათაურით — „ივ. მაჩაბლის თარგმანთა გამოცემა“<sup>1</sup>.

ანასტასია მაჩაბელი თავისი მეუღლის ნაცნობ-მეგობრებს მიმართავდა: „რადგანაც ძველი გამოცემანი ჩემი მეუღლის ივანე გიორგის ძის მაჩაბლის თარგმანებისა შექსპირის თხზულებათა უკვე აღარ მოიპოვება გასაყიდად და რამდენადაც ვიცი, მსურველი კი ამ წიგნებისა ბევრია, განვიზრახე ხსენებულ თარგმანების ერთად გამოცემა, რომელსაც, სხვათა შორის, დაერთვის ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიაც.“

ამის გამო მივმართავ იმ პირთ და დაწესებულებათ, ვისაც მოეპოვება ცნობები ივანე მაჩაბლის მოღვაწეობის შესახებ, მისი წერილები საზოგადო ხასიათისა, ან სხვა რამ მასალა, ბიოგრაფიისათვის გამოსადეგი, — მომაწოდონ დროებით და, გამოცემისათვის გამოყენების შემდეგ, უკანვე დაუბრუნებ დიდი მადლობით. აგრეთვე ვთხოვ მაცნობონ რა და რა პერიოდულ გამოცემებში ათავსებულა იგი თვით ნაწერებს და რა ფსევდონიმით“.

ანასტასია მაჩაბლის ამგვარი თხოვნის შედეგად, ჩანს, გ. თუმანიშვილს გამოუქვეყნებია თავისი მოგონება („ვანო მაჩაბლის დაკარგვის 16 წლისთავის გამო“)<sup>2</sup>.

როგორც თვითონ შენიშნავს, გიორგი თუმანიშვილი და ვანო მაჩაბელი ერთი ხნისანი ყოფილან და ერთ გიმნაზიაშიც უსწავლიათ, მაგრამ სხვადასხვა კლასში ყოფნის გამო ერთმანეთთან გაცნობილნი და დაახლოებულნი არ ყოფილან. მათ ერთმანეთი გაუცენიათ მხოლოდ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1876 წელს, ქ. ფოთში, სადაც გიორგი გამოძიებლად მუშაობდა, ხოლო ვანო მაჩაბელი, საზღვარგარეთ მიმავალი, ერთი დღით იქ შეჩერებულა.

ვანო მაჩაბელი, ჩანს, გიორგიზე ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ ეს შთაბეჭდილება განსაკუთრებით „ივერიაში“ მუშაობის დროს გაღრმავებულა და გამდიდრებულა.

გ. თუმანიშვილი განსაკუთრებული კმაყოფილებით იგონებს ვანო მაჩაბლის რეცენზიას მიხ. თუმანიშვილის ლექსთა კრებულზე, რომელიც თვითონ გიორგიმ გამოსცა. ამასთან ერთად ის გვაწვდის.

<sup>1</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, №833.

<sup>2</sup> გაზ. „თემი“, 1914, №182.

ერთ საყურადღებო ცნობას, რომლითაც ირკვევა, თუ როგორ მოავდა პუშკინის „ბაღჩისარაის შადრევანის“ მიხ. თუმანიშვილისეული თარგმანი „ივერიის“ ფურცლებზე. „დიდად მადლობელი ვიყავი ვანოსი,—წერს გ. თუმანიშვილი,—რომ თითქმის პირველმა მოავგონა ქართულ საზოგადოებას ჩემი მამის დავიწყებული ლექსები. ამ დროს მე გამოვეცი რჩეული ლექსები მამაჩემისა... და ვანომ „ივერიაში“ დასწერა თანაგრძნობით სავსე რეცენზია ამ წიგნზე. ამით არ იკმარა. გამოითხოვა ჯერ არსად არ დაბეჭდილი პოემა პუშკინის „ბაღჩისარაის შადრევანი“, გადათარგმნილი მამაჩემისაგან, და წაიღო ილია ჭავჭავაძესთან. მან ძალიან მოიწონა თარგმანი და დაბეჭდა „ივერიაში“ მთლად და შეუცვლელად“.

ამ ცნობით ნათელი ხდება პუშკინის „ბაღჩისარაის შადრევანის“ მიხ. თუმანიშვილისეულ თარგმანთან ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბლის დამოკიდებულება, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიისათვის. როგორც ცნობილია, პუშკინის ამ პოემის თარგმანის გამოქვეყნებას ყველა მოწონებით არ შეხვედრია. მაგალითად, ჟურნალ „იმედის“ რეცენზენტის დ. ა. აბღუშელიშვილის წეხედულებით, „რა საჭირო იყო ჩვენს დროში პუშკინიდან ნათარგმნი და მთელს ოცდარვა გვერდზე ვალექსილი ბაღჩისარაის შადრევანი... ზოგმა გიმნაზიის შეგირდმაც კი კარგად იცის, რომ ბევრი და თითქმის ნაწილი პუშკინის თხზულებისა თავისის მარგალიტის ენით არის შესანიშნავი და არა მათში გამოთქმული აზრებით“<sup>1</sup>.

ეს ყოველად უმართებულო შენიშვნა, ცხადია, უყურადღებოდ არ დაუტოვებია თვით ჟურნალ „ივერიას“ და „ახალი წიგნების“ განყოფილებაში მოათავესა საგანგებო წერილი, რომელშიც „იმედის“ 1881 წლის პირველი ნომერია მიმოხილული. წერილის ავტორი<sup>2</sup> „იმედის“ რეცენზენტს აღშფოთებით მიმართავს: „იქნება ზოგს გიმნაზიის შეგირდს კი ასე ეგონოს, მაგრამ თქვენ არ უნდა გგონოთ ასე, თქვენ, რომელსაც ყოველთვის ეურნალის კრიტიკო-

<sup>1</sup> ჟურნ. „იმედი“, 1881, №1.

<sup>2</sup> წერილი ხელმოწერაგადა, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს ი. მაჩაბელს. იხ. დ. გამეზარდაშვილის სტატია: „ივანე მაჩაბლის ჟურნალისტური მოღვაწეობიდან“, „მნათობი“, 1971, № 4.

სობა გაკისრიათ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ძვირად შეხვდება კაცი პუშკინის ლექსს, რომელშიაც აზრი და იდეა არა იყოს-რა გამოხატული. „ბაღისაარაის შადრევანის“ აზრი თუ თქვენ ვერ გიპოვიათ, ეგ რა პუშკინის ბრალია! მოჰკითხეთ პირველს გიმნაზიელ შეგირდს და ის შეგატყობინებთ“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილი თავის სტატიაში მიუთითებს იმაზე, თუ როგორ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვანო მაჩაბელი — როგორც: თეატრალური ამხანაგობის წევრი — ქართული თეატრის საქმიანობაში; როგორ აქეზებდა იგი სხვებს ეთარგმნათ პიესები და სხვ. მაგრამ ვანო მაჩაბელს არ შეეძლო მხოლოდ თეატრისათვის ეზრუნა. როგორც ამავე მოგონებიდანაც დასტურდება, „თითქმის იმავე დროს თბილისში დაარსდა წერა-კითხვის გაშავრცელებელი საზოგადოება. სათავადაზნაურო სკოლა და მასთან ცალკე საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. ყველა ამ დაწესებულებაში ვანომ მიიღო მხურვალე მონაწილეობა. პირველ ინსპექტორად სათავადაზნაურო სკოლაში ის იყო დანიშნული და მახსოვს, მთელი წელიწადი დაჰყო ამ თანამდებობაში. 1881 წ. ჟურნალი „ივერია“ გადავიდა ვანოს ხელში. თუმცა რედაქტორად ითვლებოდა ისევ ილ. ჭავჭავაძე, მთელი შრომა ზურგზე აწვა ვანოს“...

ი. მაჩაბლის ამ ბიოგრაფიულ დეტალებს, რომლებსაც გ. თუმანიშვილი გვაწვდის, არ ეთანხმება სხვა ავტორთა ანალოგიური ხასიათის ცნობები. ამასთან, ზოგიერთ მათგანს, ახალი შტრიხი შეაქვს სახელოვანი მოღვაწის ბიოგრაფიაში.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მიუხედავად გულწრფელი სიმპათიებისა, გ. თუმანიშვილი არ ამართლებს ვანო მაჩაბლის პიზიციას ილია ჭავჭავაძესთან ბანკის საკითხებზე კამათის დროს. „მე ისე მეჩვენებოდა, — ამბობს ის, — რომ ის აქ თავისუფლად არ მოქმედებდა. ემორჩილებოდა პარტიის დისციპლინას და ამ პარტიობამ ყოვლად დაიმორჩილა ის“.

80-იანი წლების შემდეგ გ. თუმანიშვილს ქართულ პრესაში თავისი შეხედულება აღარ გამოუთქვამს აკაკი წერეთლის შესახებ. საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ იგი რატომღაც ფავს არიდებდა ამ დიდი პოეტის, და საზოგადო მოღვაწის შესახებ გარ-

<sup>1</sup> ჟურნ. „ივერია“, 1881, № 3.

კვევით ეთქვა თავისი აზრი; ამის გაკეთებას იგი, ჩანს, გაუბრბოდა პოეტის სიცოცხლეში.

აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კი გ. თუმანიშვილმა გამოაქვეყნა სტატია „აკაკი წერეთლის მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში“<sup>1</sup>. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ახლა უკვე არავისთვის აღარ არის საეჭვო ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აკაკის პოეზიას აქვს ქართული ლიტერატურისათვის, მაგრამ სანგრძლივი დროის მანძილზე კრიტიკამ ვერ მოახერხა პოეტის სათანადო დაფასება.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, აკაკიმ „გაჰკაფა ახალი გზა სამშობლო ლიტერატურაში. ის იყო ქართველი პუშკინი, დაუახლოვა მწერლობა ხალხს და ხალხი მწეკრობაჲს“. ამ შეფასებით იგი ერთგვარად დაუპირისპირდა ნ. ნიკოლაძეს, რომლის თქმით „თავ. აკ. წერეთლის როლის ქართულ ლიტერატურაში მსგავსება პუშკინის მნიშვნელობასთან რუსულ ლიტერატურაში სამწუხაროდ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმისა და ენის მხრივ. ქართველმა პოეტმა, სავალალოდ, ვერ შესძლო გატოლებოდა რუს პოეტს და მოეზდინა ძირეული გადატრიალება არა მარტო ფორმის, არამედ ლიტერატურული ნაწარმოებების შინაარსის მხრივაც.

ეს დიდი პატივი — მიეცა მშობლიური ხალხის ლიტერატურული ძალებისათვის ახალი და ღირსეული ამოცანები — ქართულ ლიტერატურაში წილად ხვდა არა ა. წერეთელს, რომელსაც ყველაზე მეტად შეეფერებოდა, არამედ მეორე მწერალს, თავ. ი. ჭავჭავაძეს...“<sup>2</sup>.

ქვეშარიტება, ჩვენი ღრმა რწმენით, ნ. ნიკოლაძის მხარეზე; მაგრამ გ. თუმანიშვილი, როგორც ჩანს, შეგნებულად დაუპირისპირდა მას.

გ. თუმანიშვილი, ვფიქრობთ, შეგნებულად ამუქებს ლიტერატურული კრიტიკის გულგრილობას აკაკისადმი. სრულიად დაუსაბუთებელია მისი ის შეხედულებაც, თითქოს განათლებული მკითხველი აკაკის პოეზიას დიდხანს დასცინოდა და სხვ. როგორც ფაქტები მოწმობენ, აკაკი თითქმის თავიდანვე დიდი სიყვარულათ ნილო

<sup>1</sup> გაზ. „თემი“, 1915, №205.

<sup>2</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1889, № 1865.

მკითხველმაც და კრიტიკამაც. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამოწვევის შემთხვევებს, აკაკი-პოეტი, ამ მხრივ, ბედნიერი გამოწვევის კი იყო ჩვენს მწერლობაში. ის კი სწორია, რომ „ყველაზე ადრე პოეტი დააფასა ხალხმა“ და მართლაც „ორმოცდაათი წლის იუბილე იყო სახალხო სიხარული და უსაზღვრო აღტაცება“.

ერთ-ერთი თავისი უკანასკნელი სტატია ქართულ პრესაში გ. თუმანიშვილმა მიუძღვნა ნ. ბარათაშვილს. წერილში „თ-დ ნიკ. ბარათაშვილის ნაწერები“<sup>1</sup>, გ. თუმანიშვილმა გააშუქა კაბუჯი ბარათაშვილის მონაწილეობა თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალში („ცვეტოკ ტიფლისსკოი გიმნაზიი“). მამის არქივში მან იპოვნა ამ ჟურნალის ოთხი ნომერი (1, 2, 3, და 5), რომელთა გაცნობამ იგი მიიყვანა დასკვნამდე, რომ 1832 წლის შეთქმულებას ჰქონდა გავლენა გიმნაზიის ჟურნალის რედაქციაზე. მასში ხშირად იგონებენ საქართველოს ძველ გმირებს, იხსენებენ დოდაშვილის სტატიებს ქართული მწერლობის და საქართველოს ისტორიის შესახებ და სხვ.

ჟურნალს ეტყობა აგრეთვე გავლენა იმდროინდელ რუსულ მწერლობაში გამეფებული რომანტიზმისა.

ამგვარი დასკვნა, ცხადია, სავსებით შეეფერება სინამდვილეს. ეს სტატია საყურადღებოა იმითაც, რომ მას ერთვის განცხადება: მის. თუმანიშვილის „არქივს დაწვრილებით სინჯავს მ. თუმანიშვილის შვილი გიორგი მიხეილის ძე, რომელიც აპირებს ახლოხანს გამოსცეს თავის მამის ნაწერები, რუსულად და ქართულად ნაწერები (წერილები გლეხთა განთავისუფლებაზე, ქართული თეატრის დაარსებაზე თ-დ ვორონცოვის დროს, ლექსები, მიწერ-მოწერა იმ დროინდელ მოღვაწეობისა და სხვა)“.

სამწუხაროდ, გ. თუმანიშვილს თავის განზრახვა ვერ თუ არ ნუხორციელებია და დღემდე არ გვაქვს მიხეილ თუმანიშვილის თხზულებათა ამგვარი კრებული, თუმცა მისი საჭიროება დიდი ხანია იგრძნობა.

<sup>1</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, № 637.



### 3. თუმანიშვილი — რუსული ლიტერატურის კრიტიკოსი

რუსული მწერლობის საკითხებზე წერას გ. თუმანიშვილი, ძირითადად, 90-იანი წლების დამდეგიდან იწყებს. ამ მხრივ ყველაზე უფრო ნაყოფიერი იყო ის წლები, როდესაც იგი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორობდა (1891—1903 წწ.). ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილების ერთი ნაწილი, მცარეოდენი რედაქციით, მან შეიტანა სამ წიგნად, რუსულ ენაზე გამოცემულ თავის ცნობილ ნაშრომში „დახასიათებები და მოგონებები“. როგორც გ. თუმანიშვილის არქივიდან ჩანს, იგი გამოსაცემად ამზადებდა მეოთხე წიგნსაც, მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. ასევე განუხორციელებელი დარჩა მისი სურვილი — ცალკე წიგნად დაებეჭდა კრებული — „კავკასიური ლიტერატურა“ (რუსულ ენაზე), „დახასიათებებისა და მოგონებების“ პირველი წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში გ. თუმანიშვილი წერს: „პირველი გამოცემიდან აქ არაა შესული მხოლოდ სამი ნარკვევი „ი. ლ. ბახტაძე (ხონელი)“, „მ. ი. ლერმონტოვი“ და „რუსი მწერლები კავკასიაში“... ბოლო ორი ნარკვევი თავის ხასიათით უფრო შეეფერება წიგნს „კავკასიური ლიტერატურა“, რომლის ცალკე გამოცემასაც ვაპირებ...“

რუსული ლიტერატურის საკითხებს გ. თუმანიშვილი ეხება როგორც საგანგებოდ დაწერილ სტატიებში, ასევე იმ პუბლიცისტურ წერილებშიც, რომელებსაც იგი აქვეყნებდა საერთო რუბრიკით: „მექრონიკის ჩანაწერები“ და „მოხეტიალე მექრონიკის ჩანაწერებიდან“. როგორც თვითონაც შემიშნავს, გ. თუმანიშვილის ამ წერილებს არ აქვთ პრეტენზია ესა თუ ის მწერალი წარმოგვიდგინოს თავისი სრული ბიოგრაფიით და, მით უმეტეს, მოგვცეს მათი შემოქმედების ამომწურავი კრიტიკული დახასიათება: „უმეტესი ნაწილი დაწერილია ვინმეს გარდაცვალების, იუბილეს ან სხვა საზეიმო შემთხვევის გამო და ამიტომ მიზნად ისახავენ წარმოაჩინონ ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობის უფრო ძლიერი, ვიდრე სუსტი მხარეები“<sup>1</sup>. მაგრამ არცთუ იშვიათად, გ. თუმანიშვილს ამგვარი

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1900, I, გვ. 3.

წერილები გამოუქვეყნებია ამა თუ იმ მოღვაწის სწორედ სუსტი მხარის საჩვენებლად, რათა მკითხველი შეეცდომაში არავის შეეყუ-  
ნა (მაგალითად, ნარკვევი ველიჩკოზე და სხვ.).

გ. თუმანიშვილის, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსისათვის, დამახასიათებელია ლაკონიურობა, აზრის უაღრესად ნათლად და გა-  
საგებად გადმოცემა. მის ესეისტურ წერილებში საკმარისი სიზუს-  
ტით არიან დახასიათებულნი კრიტიკოსისათვის საინტერესო მწერ-  
ლები, გამოკვეთილია მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და დაძ-  
სახურება. ამ წერილების ლირებულებას, განსაკუთრებით დღევან-  
დელი მკითხველისათვის, ზრდის ის გარემოებაც, რომ მათში წარ-  
მოდგენილია არა მხოლოდ კლასიკოსების პორტრეტები, არამედ  
იმ მწერლებისაც, რომლებსაც უშუალოდ იცნობდა კრიტიკოსი და  
მათთან ჰქონია საქმიანი ურთიერთობა ან მიწერ-მოწერა.

რუსული მწერლობის საკითხებზე დაწერილი გ. თუმანიშვი-  
ლის წერილების დამახასიათებელი თვისება გახლავთ ისიც, რომ  
ყველა რუსი მწერალი და მათი შემოქმედება წარმოდგენილია, ძი-  
რითადად, კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან ურთიერ-  
ობის ფონზე. ეს პრინციპი წითელ ზოლად გასდევს მის ყველა  
წერილს.

მთავარი, რაც სრულიად აშკარაა გ. თუმანიშვილის კრიტიკული  
მემკვიდრეობის გაცნობისთანავე, ესაა დიდი სიყვარული და პატი-  
ვისცემა მდიდარი რუსული ლიტერატურისადმი და რწმენა მისი  
უკეთესი მომავლისადმი. ახალი რუსული მწერლობის განვითარე-  
ბის ისტორიაში ღრმად ჩახედული გ. თუმანიშვილისათვის უდავოა  
ის განსაკუთრებული როლი, რომელიც რუსულმა მწერლობამ შეა-  
სრულა არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, არამედ მსოფლიო ლიტერა-  
ტურის განვითარებაშიც. მას კარგად ესმის ის მსოფლიო-ისტორი-  
ული მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა პუშკინის, ლერმონტოვის,  
გოგოლის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ტოლს-  
ტოის, გორკის და სხვათა შემოქმედებასა და მოღვაწეობას.



რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ყველა  
ცნობილი მკვლევარმა იმ შეხედულებებისა; რომ კავკასია, და კერძოდ

საქართველო, ქემბარიტ პოეტურ თემად პირველად ა. ს. პუშკინმა აქცია. პროფ. ი. შადურის თქმით, „კავკასიაზე, საქართველოზე პუშკინამდეც წერდნენ, მაგრამ „ამ პოეტური მსარის“ ქემბარიტა პირველადმომჩენი იყო „კავკასიის ტყვეს“ ავტორი. მართალია, საქართველოზე ამ ნაწარმოებში ნაკლებადაა საუბარი, მაგრამ იგი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც პირველი კავკასიური პოემა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსული ლიტერატურის განვითარებაში და რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თემისათვის“<sup>1</sup>.

საგულისხმოა, რომ, ძირითადად, ამგვარადვე ესმოდა ა. ს. პუშკინის დამსახურება გ. თუმანიშვილსაც. იგი წერს: „თუ მხედველობაში არ მივიღებთ დერჟავინისა და ყუკოვსკის ორ უმნიშვნელო ლექსს, რომელთაც კავკასია არ უნახავთ, მაგრამ მაინც ალტაცებული იყვნენ და აღწერდნენ მის სილამაზეს — რუსულ საზოგადოებაში კავკასიის პირველ მგზნებარე პოპულარიზატორებად უნდა ვაღიაროთ პუშკინი და განსაკუთრებით მარლინსკი... ა. ს. პუშკინმა, რომელიც კავკასიაში მარლინსკიზე ადრე იყო (1820 და 1829 წწ.), ამ მხარეს უძღვნა პოემები „კავკასიის ტყვე“ (1821 წ.) და „გალუბი“ (1829.), „მოგზაურობა არზრუმში“ (1829 წ.) და პატარა ლექსები: „კავკასიონი“, „მონასტერი ყაზბეგზე“, „ზევი“ და სხვ. შემოთ ჩამოთვლილიდან პირველ პოემაში მისი გმირი ჩერქეზი ქალი ან კავკასიის ბუნება კი არ არის წინა პლანზე, არამედ რუსო ოფიცერი, კავკასიის ტყვე ჩაილდ-პაროლდის მოსასხამში გახვეული. პუშკინის მეორე, უფრო დასრულებული „გალუბი“ გამოირჩევა მთიელების მიერ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობის აღქმის საკმაოდ ოსტატურად დახასიათებით. „მოგზაურობა არზრუმში“ — ეს არის მსუბუქი, მაგრამ ხშირად ძალიან მასვილგონიერი ჩანაწერები საქართველოს სამხედრო გზაზე, მის მიდამოებზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე, თბილისისა და სასომხეთის ზოგიერთი ადგილის ღირსშესანიშნაობებზე... ზემოთდასახელებული პატარა...

<sup>1</sup> ვ ა ნ ო შ ა დ უ რ ი, პუშკინი და ქართული საზოგადოებრიობა, 1967, გვ. 6. (რუსულ ენაზე).

ლექსები კი ეძღვნება კავკასიის მთების პოეტურ ბუნებას და დაწერილია მსუბუქი. წმინდა პუშკინისეული ლექსით“<sup>1</sup>.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გ. თუმანიშვილმა, თავისი სტილის შესატყვისად. უალრესად ლაკონურად, და ამავე დროს სწავლულით მიუთითა იმ როლზე, რომელიც რუსულ მწერლობაში კავკასიური თემატიკის წარმოჩენის საქმეში მიუძღვის ა. ს. პუშკინს.

\* \* \*

ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ გ. თუმანიშვილმა რუსულ საზოგადოებრიობაში კავკასიის პოპულარიზაციის საქმეში ა. ს. პუშკინის გვერდით დააყენა ცნობილი მწერალი ა. ა. ბესტუჟე-მარლინსკი. ქართველმა კრიტიკოსმა, ცხადია, კარგად იცის, ა. ა. მარლინსკის არ შეუქმნია პუშკინის ნაწარმოებთა ტოლფასოვანი მხატვრული ქმნილებანი; მშვენიერად იცის, რომ ა. ა. მარლინსკის კავკასიურ თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებებიც არ არიან თავისუფალნი მისი ავტორისათვის დამახასიათებელი სტილისაგან (გაჭიანურებული თხრობა, გმირთა გადაჭარბებული იდეალიზაცია და სხვ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო რუსი მკითხველის წინაშე ფართოდ გადაეშალა მათთვის ჯერ კიდევ უცნობი სამყარო.

გ. თუმანიშვილს მხედველობიდან არ ეპარება არც ის, რომ რომანტიკოსი მარლინსკი დღევანდელი მკითხველისათვის უკვე ნაკლებ საინტერესო შემოქმედი. მაგრამ, სრულიად სამართლიანად, მას უწოდებს „თავისი დროის უსაყვარლეს მწერალს“, რომლის პოპულარიზაციას ძალიან შეუწყობ ხელი კავკასიის ახლოს გაცნობამ და კავკასიური თემატიკის უხვად გამოყენებამ, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მისი — როგორც დეკაბრისტის გადმოსახლებით კავკასიაში. „აქ, — წერს გ. თუმანიშვილი, — ამ პოეტურ გარემოში მისი რომანტიკული სული განსაკუთრებული ძალით ამეტყველდა და მან კავკასიის ბუნებას და კავკასიელებს (მთი-

---

გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1900, I, გვ. 194—195.

ლებს) მიუძღვნა ბევრი საუკეთესო ნაწარმოები. აღარ ჩამოვთვლით სხვადასხვა პატარ-პატარა ჩანაწერებს და მოთხრობებს, მივეუთითებთ მხოლოდ ორ მოთხრობაზე, რომლებმაც მას პირველი რომანისტის სახელი დაუმკვიდრა, „ამალათ-ბეგზე“ და „მოლა-ნურზე“. თუმცა ამ მოთხრობებს გააჩნიათ ის საერთო ნაკლი, რომელიც ახასიათებს ამ მწერლის ნაწარმოებებს, ნაკლი, რომელმაც საზოგადოებას მალე სრულიად გადაავიწყა იგი, კერძოდ კი ენის ღვარჭნილობა, დაბუზული სიტუაციები და გმირების ბავშვური, ერთფეროვანი იდეალოზაცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არიან მშვენიერნი, იმით, რომ მკითხველს გადაუშალეს სრულიად ახალი სამყარო. ძნელი იყო 30-იან წლებში რუსეთში მოგენახა განათლებული ადამიანი, რომელიც გატაცებით არ კითხულობდა ზემოთდასახელებულ მოთხრობებს და არ აღფრთოვანებულყო მამაცი მთიელით ამალათ-ბეგით, მისი საოცარი გარემოთი და კავკასიელი კარლ მორით — მოლა-ნურით. მაგრამ მომავალი თაობები აღარ კითხულობდნენ მარლინსკის, რადგან კავკასიის აღწერაში იგი დაჩრდილა მეორე, უფრო ნიჭიერი პოეტის, ლერმონტოვის ნაწარმოებებმა, და უკვე 40-იან წლებში ბელინსკის მარლინსკის მოთხრობებში მოსწონდა მხოლოდ ბუნების ზოგიერთი აღწერა და ჩერქეზული სიმღერები, რომლებიც „ამალათ-ბეგშია“ შეტანილი. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებების ზოგიერთი ადგილი ახლაც საინტერესოა, ვინაიდან გამოხატავს განათლებული და ჰუმანური თანამედროვის თვალსაზრისს იმდროინდელი ჩვენი კავკასიური ყოფის შესახებ<sup>1</sup>.

ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ გ. თუმანიშვილის მიერ გამოთქმული შეხედულება ა. ა. მარლინსკის შემოქმედების საერთო ხასიათისა და კავკასიურ სინამდვილესთან მისი დამოკიდებულების მნიშვნელობის შესახებ, ვინაიდან, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე თვალსაზრისითაც, მასში ჭეშმარიტი ისტორიული თვალთახედვითაა წარმოდგენილი დეკაბრისტი მწერლის პორტრეტი. ასევე სწორადაა გადმოცემული დიდი რუსი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1905, I, გვ. 194—196.

თვალსაზრისი კავკასიურ თემატიკაზე შექმნილ ა. მარლინსკის შემოქმედებაზე.

\* \* \*

სრულიად სამართლიანად, გ. თუმანიშვილს განსხვავებული ხასიათისად მიაჩნია კავკასიასთან, და კერძოდ საქართველოსთან, დიდი რუსი მწერლისა და მოღვაწის ა. ს. გრიბოედოვის ურთიერთობა.

მისი აზრით, კავკასიასთან უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ა. ს. გრიბოედოვს, მაგრამ ეს ურთიერთობა უფრო მეტად მაინც ოჯახურ და სამსახურებრივ სფეროს განეკუთვნებოდა, ვიდრე ლიტერატურულს. 1824 წელს ა. ს. გრიბოედოვი გადმოიყვანილ იქნა თბილისში, მთავარმართებელ ერმოლოვთან სამუშაოდ. აქ დაჰყო მან ერთი წელი და ამ დროს დაამთავრა კიდევაც თავისი უკვდავი კომედია „ვაი ჰკუისაგან“. საგულისხმოა, რომ გ. თუმანიშვილი გონებამახვილურს უწოდებს ბ. ბელინსკის იმ თვალსაზრისს, რომელიც მან ასე გამოთქვა «Дикая и величавая природа с той стороны (Кавказа), текущая жизнь и суровая поэзия ее сынов вдохновили его (Грибоедова) оскорбленные человеческие чувства на изображение апатического, ничтожного круга фамусовых — этих каррикатур на природу человеческую».<sup>1</sup>

როგორც ჩანს, კომედია „ვაი ჰკუისაგან“ საბოლოო რედაქციაზე საქმეში გ. თუმანიშვილი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს კავკასიის გავლენას მის ავტორზე. რაც შეეხება შედარებით ნაკლებად ცნობილ პოემას „ქართულ ღამეს“, მას აშკარად ქართული სინამდვილით შთაგონებულ ნაწარმოებად მიიჩნევს.

ა. გრიბოედოვის კავკასიასთან მჭიდრო ურთიერთობის დადებითი შედეგები, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, უფრო არსებითად მისი — როგორც სახელმწიფო მოხელის — მოღვაწეობაში გამოვლინდა. იმდროინდელი უპირველესი ქართველი თავადისა და

---

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და შოგონებები, 1900, I, გვ. 198.

ცნობილი პოეტის ალ. ჭვავჭავაძის სიძეს, ცხადია. მეტი სურვილი და მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ჩაწვდომოდა ქართველო ხალხის ისტორიულ წარსულს და ეფექტა მის უკეთეს მომავალზე.

გ. თუმანიშვილი იზიარებს ბიოგრაფთა იმ აზრს, რომლის მიხედვით ა. გრიბოედოვი იყო ერთ-ერთი იმ რუსი მოღვაწეთაგანი, რომელიც ფხიზლად ჰკვრეტდა საქართველოს მომავალს და მხურვალედ უთანაგრძობდა მას. კერძოდ, იგი იზიარებს დ. გ. ერისთავის შეხედულებას, რომლის მიხედვით: ა. გრიბოედოვის პასუხვიჩისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, რომ „იგი უყურებდა ხელისუფლების მართებული ურთიერთობის დამყარებას ადგილობრივ მოსახლეობასთან განათლებული და შორსმკვრეტელი სახელმწიფო მოხელის თვალთ“<sup>1</sup>. ამ მიზნით მის მიერ გაკეთებულმა ავტორიტეტულმა რეკომენდაციებმა და რჩევა-დარიგებამ, ცხადია, თავისი შედეგებიც გამოიღო. ამიტომაც გ. თუმანიშვილი საესებით ეთანხმება დ. გ. ერისთავის მიერ გაკეთებულ დასკვნას: „აი, რატომ ვაფასებდით მას ორმაგად: როგორც პოეტს და როგორც მშობლიური ქვეყნის მოქალაქეს“<sup>2</sup>.



ყველაზე უფრო ახლოს კავკასიასთან, გ. თუმანიშვილის თქმით, მაინც მ. ი. ლერმონტოვი მივიდა. ამიტომაც არის, რომ დიდი პოეტის გარდაცვალებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით დაწერილ თავის ვრცელ სტატიაში ქართველი კრიტიკოსი აღნიშნავს: „ამ დღეებში 50 წელი შესრულდება ჩვენი დაუვიწყარი პოეტის გარდაცვალებიდან, და ეს გარემოება გვაძლევს საბაბს დაუბრუნდეთ წარმოსახვით იმ დროს, როცა იგი კავკასიაში იზრდებოდა, ცხოვრობდა, მსახურობდა, წერდა და ბოლოს დაიღუპა“<sup>3</sup>.

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულა წერილების სერია — „ლერმონტოვი კავკასიაში“, გ. თუმანიშვილმა შექმნა თავის „დახასიათებების და მოგონებების“ პირველ წიგნში (1900 წ.) შეიტანა დამატებითა და დასასრულის რედაქციული ცვლილებებით.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1900, I, გვ. 199.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 200.

<sup>3</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1891. № 2598, 2603, 2615.

კავკასიის თემაზე დაწერილი მ. ი. ლერმონტოვის თხზულებების იდეურ-მხატვრული სრულყოფილება და სიდიადე გ. თუმანიშვილს უფლებას აძლევს დიდ რუს პოეტს კავკასიის პოეტიკ უწოდოს. მისი თქმით, „ლერმონტოვი არა მარტო რუსი პოეტია, არამედ კავკასიელიც. მან ისე ბევრჯერ უმღერა კავკასიას, ისე ხშირად ცხოვრობდა აქ, რომ ძნელია ვიმსჯელოთ „ჩვენი დროის გმირის“, „დემონის“, „მწირის“, შემქმნელზე და არ მოვიხსენიოთ მისი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი“<sup>1</sup>.

მ. ი. ლერმონტოვის კავკასიით გატაცებასა და საგანგებო დაინტერესებას გ. თუმანიშვილი პირველყოფლისა დიდ რუს პოეტზე ბაირონის გავლენით ხსნის. თუმცა იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დამლელმა არისტოკრატიულმა ცხოვრებამ და ვიწრო ბიუროკრატიულმა გარემომ, რომელთანაც ახალგაზრდა პოეტს გარკვეული შეხების წერტილები ჰქონდა, მ. ლერმონტოვში აღძრა მისწრაფება უფრო ამაღლებული და თავისუფალი გარემოსადმი, რომელიც შესაფერისი იქნებოდა არაჩვეულებრივი რაინდული თავგადასავლებისა და სულიერი მოსვენებისათვის. მან კი ასეთად იწამა კავკასია, რომლის მშვენიერი ბუნებითა და მჩქეფარე ცხოვრების პოეზიით შთაგონებულმა შექმნა თავისი საუკეთესო თხზულებები.

ლერმონტოვმა, როგორც გ. თუმანიშვილი უენიშნავს, დიდი სამსახური გაუწია თავის მეორე სამშობლოს: „უმღეროდა რა ჩვენს მხარეს რუსეთის განათლებულ საზოგადოებაში, მან შესაძლოა, სხვაზე მეტად დაახლოვა და დაანათესავა კავკასია რუსეთთან. აქ ჩამოსულმა ყოველმა ჩრდილოელმა, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი მხარით, ზეპირად იცის ლერმონტოვი და პირიქით, რუსეთში მოსახლე ყოველი განათლებული ადამიანი, რომელმაც ზეპირად იცის ლერმონტოვი... მისდაუნებურად დაინტერესდება ჩვენთ მხარით როგორც საოცარი, ზღაპრული სამყაროთი, როგორც პოეზიის ჯადოსნური სამშობლოთი. სწორედ ამგვარადვე კავკასიის მოსახლეობის განათლებულმა ნაწილმა ლერმონტოვის სახით შეიყვარა, რუსული პოეზია, განათლება, კულტურა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1900, I, გვ. 162.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 163—164.



მ. ლერმონტოვისა და მისი შემოქმედებისადმი ქართველი ხალხის სიყვარულის დამადასტურებლად მიაჩნია გ. თუმანიშვილს ის გარემოება, რომ მისი საუკეთესო თხზულებები დიდი ხანია ითარგმნება ქართულ ენაზე.

როგორც ვხედავთ, მ. ი. ლერმონტოვის კავკასიასთან ურთიერთობის შესწავლის საქმე გ. თუმანიშვილმა იმთავითვე სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით წარმართა. მის ყოველ ფრაზაში აშკარად გამოსჭვივის ყველა ერისა და ყველა პროგრესული მოაზროვნისადმი ჰემმარტი პატივისცემა. ეს გარემოება კი არსებითად განაპირობებს მის მიერ ლიტერატურულ ურთიერთობათა სწორი თვალსაზრისით შესწავლას.

მ. ლერმონტოვის კავკასიასთან დამოკიდებულებაზე კონკრეტულ მსჯელობას გ. თუმანიშვილი იმის აღნიშვნით იწყებს, რომ თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დიდი რუსი პოეტი კავკასიას ოთხჯერ ესტუმრა. ყოველი სტუმრობა რაღაც დიდი განცდებითა და შთაბეჭდილებების მაღებით მთავრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სტუმრობისას მ. ლერმონტოვი მხოლოდ ათი წლისა იყო, მან აქ პირველი სიყვარულის დაუვიწყარი ძალა და სადიადე განიცადა. რამდენიმე წლის შემდეგაც, მ. ლერმონტოვი იძულებულია ამ განცდისა და თავისი პირველი სიყვარულის ლამაზ ობიექტზე ილაპარაკოს:

«Белокурые волосы, голубые глаза, быстрые... нет, с тех пор я ничего подобно не видал, или это мне кажется, потому что я никогда так не любил, как в тот раз. Горы Кавказские для меня священы...»<sup>1</sup>

ამ პირველი დიდი შთაბეჭდავი გრძნობის უშუალო გამოთქმის ხედავს გ. თუმანიშვილი მ. ლერმონტოვის ლექსში — „მოძღვნა“ (1830 წ.), რომელშიც პოეტი ერთგვარ აღსარებასაც წარმოთქვამს:

«Прими, прими мой грустный труд  
И если, можешь, плачь над ним; —  
Я много плакал — не придут  
Вновь эти слезы — верю им

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოკონებები, 1900, I, გვ. 167. მ. ლერმონტოვის ეს ჩანაწერები გ. თუმანიშვილს მოტანილი აქვს მისი ბიოგრაფის ლუდიშკინის წიგნიდან:

Не освежить моих очей.  
Когда катился ошн,  
Я думал, думал все об ней,  
Жалел и ждал другие дни!..  
Уж нет ее, и слез уж нет —  
И нет надежд — передо мной  
Блестит надменный, глупый свет  
С своей красной пустотой!

Мой гений сплел себе венок  
В ушелнях кавказских скал. —  
Одним высоким увлечен  
Он только жертвует любви».

ამავე პერიოდში მ. ლერმონტოვი წერს ლექსს „კავკასია“, რომელშიც გ. თუმანიშვილის შეხედულებით, კიდევ უფრო აშკარად და მკვეთრად ჩანს პოეტის დიდი სიახლოვე კავკასიასთან, რაც ბისი ჩანაწერებიდანაც გარკვევით იგრძნობა. თავისი აზრის ნათელსაყოფად, ქართველ კრიტიკოსს მოჰყავს კიდევაც ერთი ადგილი ამ ჩანაწერიდან: «Синие горы Кавказа, приветствую вас! Вы взлелеяли детство мое; вы носили меня на своих одиночальных хребтах; облаками меня одевали; вы к небу меня приучили, и с той поры все мечтаю об вас да о небе...»

Все, все в этом крае прекрасно.  
Воздух там чист, как молитва ребенка;---  
И люди, как вольные птицы, живут беззаботно...»

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, ის ლტოიური ნაპერწკალი, რომელმაც შემდეგ შესაძლებლობა მისცა პოეტს შეექმნა მრავალი უკვდავი ნაწარმოები, პირველად კავკასიაში აენტო. რაც მთავარია, პოეტი იმთავითვე ცდილობდა უხვად მიეზლო კავკასიისათვის თავისი მუზის ასეთი ძლიერი ამეტყველებლათვის. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მ. ლერმონტოვი წერს პოემებს „ჩერქეზები“, „კავკასიის ტყე“ და სხვ., რომლებშიც პოეტი განიცდის დიდი პუშკინის აშკარა გავლენას. შემდეგში იგი კვლავ დაუბრუნდა კავკასიის თემას და კავკასიის მთიელთა ცხოვრებაზე შექმნა ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა: „აული ბესტუნჯი“, „კალი“ (ჩერქეზულად მკვლელი); „დემონი“, „ისმაილ-ბეი“, „ჰაჯი-აბრეკი“ და სხვ. „დე-

ჰონის“ წერა მან მართალია უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ თანაირი, გუდალი და კავკასიის ბუნების აღწერა მასში მხოლოდ 1832 წელს შეიტანაო, დასძენს კრიტიკოსი. მას ნაშანდობლივად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ მ. ლერმონტოვის ნაწარმოებთაგან პირველად (1835 წელს) გამოქვეყნდა (ეურნ. „ბიბლიოთეკა დღია ჩტენიაში“) „ჰაჭი-აბრეკი“. რომელიც ლერმონტოვის მეგობრებმა წარუდგინეს რედაქციას ავტორთან შეუთანხმებლად.

„ამგვარად, — სიამაყის გრძნობით დასკვნის გ. თუმანიშვილ, — პოეტის პირველი საუკეთესო ნაწარმოებები: „დემონი“, „ჰაჭი-აბრეკი და „ისმაილ-ბეი“ (ამ პოემას საუკეთესოდ თვლის ლერმონტოვის იკითხი საუკეთესო შემფასებელი, როგორც გერმანელი პოეტი ბოდენშტედტი) მიძღვნილი კავკასიისადმი. „ისმაილ-ბეი“ ასეთი წამოძახილითაც კი იწყება

«Приветствую тебя, Кавказ седой!  
Твоим горам я пугинок не чужой:  
Они меня в младенчестве носили  
И к небесам пустыни приучили.

• • • • •  
Как я любил, Кавказ мой величавый,  
Твоих сынов вопиственные нравы,  
Твоих небес прозрачную лазурь!»<sup>1</sup>

მოსკოვის უნივერსიტეტის იძულებით მიტოვებამ და სამხედრო სასწავლებელში შესვლამ, შემდეგ გვარდიაში სამსახურმა და არისტოკრატიულ-ფუჟაკაუტური ცხოვრებით გატაცებამ (1833—37 წწ.), გ. თუმანიშვილის აზრით, უარყოფითი გავლენა მოახდინა მ. ი. ლერმონტოვზე. ამ პერიოდში მისი მუზა ნაკლებად შთაგონებულია და ხშირად ველარ იგონებს ვერც შორეულ, საყვარელ კავკასიას. ა. ს. პუშკინის ტრაგიკულმა სიკვდილმა იგი უკიდურესად აღაშფოთა და მკაცრად განაწყო ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ. რაც გამოვლინდა მის ცნობილ ლექსში „პოეტის სიკვდილი“. ამ ლექსმა მ. ლერმონტოვს აუჯანყა მაღალი წრეები და იგი კვლავ კავკასიაში გაამწესეს, — ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც თემურ-ხანშურაში იდგა. მაგრამ ეს გადასახლება არცთუ სასქელი იყო პოეტისათვის. მან აქ მოძებნა ახლობლები, რომლებმაც სიხარ-

<sup>1</sup> გ. მ. თ. თუმანიშვილი. დახასიათებები და მოკონებები, 1950, I, გვ. 171, 172.

ლით მიიღეს იგი. აქვე მოიწვია მან თავისი ნათესავი და ბავშვობის მეგობარი აკიმ პავლეს ძე შან-გირეი, რომელმაც ნახქვეანის მაზრის უფროსად დაიწყო მუშაობა.

მ. ლერმონტოვის ამ პერიოდის ცხოვრებაში, გ. თუმანიშვილის აზრით, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა პოეტ-დეკაბრისტ ა. ი. ოღოვესკისთან დამეგობრებას. ამის საბუთს ხელდავს იგი ამ უკანასკნელისადმი მიძღვნილ ლექსშიც („ა. ი. ოღოვესკის ხსოვნას“), რომელიც ასეთი გრძნობით სავსე სიტყვებით იწყება:

«Я знал его: мы странствовали с ним  
В горах Востока..., и тоску изгнания  
Делили дружно; но к полям родным  
Вернулся я, и время испытанья  
Промчалось законной чередой;  
А он не дождался минуты сладкой:  
Под бедною походною палаткой  
Болезнь его сразила, и с собой  
В могилу он унес летучий рой  
Еще незрелых, темных вдохновений.  
Обманутых надежд и горьких сожалений».

გ. თუმანიშვილის თქმით, მ. ლერმონტოვის — როგორც დღე შემოქმედისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ მიმოსვლას, რასაც იგი ახერხებდა კავკასიის ორივე მხარეში. ამ მოგზაურობით მან მიიღო დიდი სიამოვნება და მდიდარი შთაბეჭდილება, რაც მის მხატვრულ შემოქმედებასაც მრავალფეროვანს ხდიდა. თავისი შეხედულების დასადასტურებლად, კრიტიკოსს მოაქვს ადგილები რაევსკისადმი გაგზავნილი პოეტის ბარათიდან. რომელიც ვკითხულობთ: «Наконец, меня перевели обратно в гвардию, но только в гродненский полк, и если бы не бабушка, то, по совести сказать, я бы охотно остался здесь. потому что вряд ли Поселение веселее Грузии.»<sup>1</sup>

С тех пор как выехал из России, поверишь ли, я находился до сих пор в непрерывном странствовании.. извездил линию всю вдоль, от Князяра до Тамани, переехал горы, был в Шуре, в Кубе, в Шемахе, в Кахетии... Хороших ребят здесь много, особенно в Тифлисе есть люди очень порядочные..»<sup>1</sup>

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოკონებები, 1, 83-176, 177, 178.

მეორეჯერ ყოფნამ კავკასიასა და კერძოდ საქართველოში მ. ლერმონტოვის შემოქმედებას შემატა ისეთი უკვდავი თხზულებანი, როგორიცაა პოემა „მწირი“ და რომანი „ჩვენი ცხოვრების გმირი“. გ. თუმანიშვილის აზრით, კავკასიამ შთააგონა პოეტს დაეწერა აგრეთვე პოემა „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“.

მაგრამ არა მხოლოდ მოგზაურობდა და ოცნებობდა მ. ლერმონტოვი კავკასიაში, — შენიშნავს ქართველი კრიტიკოსი, — არამედ მონაწილეობდა მთიელების წინააღმდეგ ომშიც. ერთი ამგვარი ისტორიის შედეგად დაწერილ ნაწარმოებად თვლის იგი ლექსს „ვალერიკი“. რაც შეეხება საერთო შთაბეჭდილებას, რომელიც კავკასიამ მ. ლერმონტოვზე დატოვა, გ. თუმანიშვილის შეხედულებით, ყველაზე რელიეფურად აისახა „დემონის“ აღრეული ვარიანტის დასასრულში, რომელსაც ეწოდება „შიძენა პოემა „დემონს“:

«Тебе, Кавказ, суровый царь земли,  
Я посвящаю снова стих небрежный:  
Как сына ты его благослови  
И осени вершиной белоснежной:  
От юных лет к тебе мечты мои  
Прикованы судьбою неизбежной;  
На севере, в стране тебе чужой,  
Я сердцем твой, всегда и всюду твой.  
Как некогда ребенку, твой привет  
Изгнаннику был радостен и светел,  
Он пролил в грудь мою забвенье бед  
И дружески на дружной зов ответил.  
И ныне здесь, в полуночном краю  
Все о тебе мечтаю и пою».

სწორად რომ შევაფასოთ მ. ლერმონტოვის კავკასიით აღფრთოვანება, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მისი პოეზია იყო უკიდურესად პესიმისტური, რის გამო ბელინსკი სამართლიანად აღნიშნავდა:

«Нигде нет пушкинского разгула на пиру жизни, но везде — вопросы, которые трачат душу, леденят сердце».

ამასვე ადასტურებს, ჩვენი კრიტიკოსის თქმით, მ. ლერმონტოვის გულწრფელი გამონათქვამებიც, რომელთა მაგალითებად მას მოჰყავს:

«Как Демон мой, и зла избраник».

«Как Демон хладный и суровый  
Я в мире вселился злом».

«Что без страданья жизнь поэта,  
И что без бури океан?»

«Царствует в душе какой-то холод тайный,  
Когда огонь кипит в крови».

გასაზიარებელია გ. თუმანიშვილის შეხედულება, რომ „უკანასკნელი აღიარება ძალზე მნიშვნელოვანია მიუხედავად ლერმონტოვის მუზის ღრმა სევდიანობისა და სასოწარკვეთისა, ეს უკანასკნელი ყოველთვის ანიჭებდა და ანიჭებს მკითხველს მხნეობას. ჩვენი პოეტის ლექსებში იგრძნობა ახალგაზრდობა და ძალა, ეს ალბათ იმიტომ, რომ „სისხლი უღულდა“. პოეტის ნაწარმოებებში ბელინსკი ხედავდა „მოქარბებულ ძალას, რომელიც ცეცხლოვან შადრევნად იფრქვეოდა“, „ტანჯვით გამოწვეულ გოდებას, მაგრამ ისეთა, რომელიც ტანჯვას ამსუბუქებს“. მაგრამ ამავე დროს, ვინც აკვირდება მელანქოლიურ ლერმონტოვის დამოკიდებულებას ჩვენი კუთხისადმი, — დააასკვნის კრიტიკოსი, — უნებურად უჩნდება აზრი, რომ მისი პოეზიის „ცეცხლოვანი შადრევანი“, ალბათ, სათავეს იღებს ჩვენს დიდებულ ბუნებასა და კავკასიელის უშუალო ნატურაში“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილია შეხედულებით, მ. ლერმონტოვის მეორეჯერ გადმოსახლება კავკასიაში, რაც 1840 წლის აპრილში მოხდა, არა მხოლოდ ტრაგიკულად დამთავრდა, არამედ საერთოდ ველარ იყო პოეტისათვის სიცოცხლის ძალის მიმცემი და სასიამოვნო შთაბეჭდილებით აღსავსე. 1841 წლის დასაწყისში მან მიიღო შევებულება და რამდენიმე თვე პეტერბურგში გაატარა. მას უკვე გული აღარ მოუწევდა კავკასიისაკენ, ფიქრობდა სამხედრო სამსახურისათვის თავი დაენებებინა და მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას მისცემოდა. მეტად, ვიდრე სხვა დროს, იგი დაუახლოვდა მწერლებს (კრაევსკის, ბელინსკის, ვიაზემსკის და სხვ.) და ჟურნალის გამოცემასაც ვარაუდობდა. მაგრამ ყველაფერი ეს განუხორციელებელი დარჩა და 1841 წლის აპრილში, თავის მეგობარ ა. სტოლი-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1900, I, გვ. 182—183.

პინთან ერთად, კვლავ დაბრუნდა კავკასიაში. ამჟერად კავკასია მან ველარ უწევს ჩვეულ მასპინძლობას, კავკასიით მისი გატაცება ძველებურად ძლიერი აღარ იყო. კავკასიის ბუნება და კავკასიის ცხოვრება თუ არის წარმოდგენილი მის იმდროინდელ შემოქმედებაში, უმთავრესად არა როგორც მთავარი სიუჟეტი, არამედ როგორც მხოლოდ ფონი („ჩვენი დროის გმირი“, „ვალერიკ“ და სხვ.). ხოლო განწყობილება პოეტისა, გ. თუმანიშვილის აზრით, ყველაზე უკეთ ჩანს ყაზბეგისადმი იმ მიმართებაში, რომელიც მან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა:

«Но есть одно желание...  
 Боюсь сказать... душа дрожит...  
 Что... если я со дня изгнания  
 Совсем на родине забыт?  
 Нанду ль там прежняя объятия?  
 Старинный встречу ли привет?  
 Узнают ли друзья и братья  
 Страдальца после многих лет?  
 Или среди могил холодных,  
 Тех добрых, пылких, благородных,  
 Деливших молодость со мной?  
 О если так... своей метелью,  
 Казбек, засыпь меня скорей,  
 И прах бездомный по ущелью  
 Без сожаления развеи».

მსგავსი განცდების გადმოცემას ხედავს გ. თუმანიშვილი „ვალერიკში“. მას მოჰყავს, აგრეთვე, ამონაწერები პოეტის მეგობართა მოგონებებიდან და თავით პოეტის ლექსებიდან, რომლებიც მოწმობენ, რომ შ. ლერმონტოვი თითქოსდა წინასწარვე გრძნობდა თავისი ცხოვრების უღროოდ და ტრაგიკულად დამთავრების გარდუვალობას.

ქართველი კრიტიკოსი საგანგებოდ ჩერდება დუელისა და მისი შემზადების ისტორიაზეც, მაგრამ გარკვევით ვერაფერს ამბობს, რადგან ყოველივე ეს ბურჟუას იყო მოცული. თუმცა ამ ბურჟუას იქით, იგი მაინც ხედავს იმას, რაც ნამდვილად მოხდა: დიდა პუშკინის ტრაგედიის განმეორებას. „დუელის კემმარტი მიზეზი, —

წერს იგი, — მიუხედავად 50 წლისა, რომელიც გავიდა ლერმონტოვის სიკვდილიდან, დღემდე გამოურკვეველია. მარტინოვი, რომელმაც მას შემდეგ დიდხანს იცოცხლა, ჯიუტად სდუმდა... ერთი სიტყვით, აქ განმეორდა პუშკინის ისტორია. უხამს საზოგადოებასთან უთანასწორო ბრძოლაში ლერმონტოვი აუცილებლად უნდა დაღუპულიყო“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილმა დიდი სიყვარულითა და საკითხის ცოდნით წარმოადგინა მ. ი. ლერმონტოვის დამოკიდებულება კავკასიასთან და ამ უკანასკნელის როლი დიდი რუსი პოეტის მხატვრულ შემოქმედებაში. კრიტიკოსმა შეძლო თავისი მკითხველიც მიეყვანა იმ დასკვნამდე, რომელიც თვითონ სწამდა: „ლერმონტოვი არა მხოლოდ რუსი პოეტია, არამედ კავკასიელი პოეტიცო“.

\* \* \*

თუ ა. ს. პუშკინი უნდა ჩაითვალოს კავკასიის პირველ ჰემმარტ აღმომჩენად რუს მწერალთა შორის, სამაგიეროდ — ბ. გ. ბელინსკი პირველი კრიტიკოსია, რომელმაც მახვილად შენიშნა და მაღალი შეფასება მისცა იმ როლს, რომელიც კავკასიის მომხიბლავი ბუნებისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხის გაცნობამ შეასრულა გამოჩენილ რუს მწერალთა შემოქმედებით ევოლუციაში.

„უცნაური რამაა, — წერდა ბელინსკი 1841 წელს, — კავკასია თითქოს მოწოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად და გამომბრძმედელად, მათ პოეტურ სამშობლოდ! პუშკინმა კავკასიას მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა — „კავკასიის ტყვე“, და კავკასიისადმი არის აგრეთვე მიძღვნილი მისი ერთ-ერთი უკანასკნელი პოემა. „გალუბი“. მისი რამდენიმე შესანიშნავი ლირიკული ლექსი ასევე კავკასიას მიეკუთვნება. გრიბოედოვმა კავკასიაში შექმნა თავისი „ვაი ჰკუისაგან“, ამ ქვეყნის ველურმა და დიადმა ბუნებამ, მის შვილთა მშფოთვარე ცხოვრებამ და მკაცრმა პოეზიამ ალაგზნო მისი

<sup>1</sup> გ. შ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1900, I, გვ. 189, 190,



შეურაცსყოფილი ადამიანური გრძნობა, რათა აესახა ფამუსოვიძის, სკალოზუბების, ზაგორეცკებმა, ხლესტოვეების, ტუგოუხოვების, რეპეტლოვების, მოლჩალინების — ადამიანური ბუნების იმ კარო-კატურათა აპატიური, არარაობითი წრე... და აი გამოჩნდა ახალი დიდი ტალანტი (ლერმონტოვი) — და კავკასია ხდება მის პოეტურ სამშობლოდ, რომელიც მას მგზნებარედ უყვარს. მუდმივი თოვლის გვირგვინით მოსილ კავკასიონის მიულწვეულ მწვერვალებზე აპოევებს იგი თავის პარნასს“...<sup>1</sup>

დიდმა კრიტიკოსმა ღრზად შეიცირო რუს შემოქმედთა კავკასიით შთაგონების ბრწყინვალე შედეგები, რამაც, თავის მხრივ, თვით იგიც სიმპათიით განაწყო ამ ქვეყნისადმი, თუმცა მისი მშვენიერების ძალა უშუალოდ არ უგემია. ამიტომ, ცხადია, ყოველი მკვლევარიათვის, რომელიც რუსულ-ქართულ. თუ რუსულ-კავკასიური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლითაა დაინტერესებული, სახელმძღვანელო და გზის მაჩვენებელია მგზნებარე რუსი კრიტიკოსის შთაბეჭდილებანი. აქედან გამომდინარე, გასაგებია ისიც, თუ რატომ ესესხება ასე ხშირად გ. თუმანიშვილი ბ. ბელინსკის შეხედულებებს, და რატომ არის განსაკუთრებული სიმპათიით მისადმი და მისი კრიტიკული მემკვიდრეობისადმი.

არ იშურებს რა არცერთ დიდებულ ეპითეტს ბ. ბელინსკის ნიქისა და დამსახურების წარმოსადგენად, გ. თუმანიშვილი მას უწოდებს დიდ რუს კრიტიკოსსა და ყველას საერთო მასწავლებელს.

1898 წლის 17 მაისს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნდა გ. თუმანიშვილის პეტერბურგიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია — „ბელინსკის ხსოვნის საღამო პეტერბურგში“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ შთაბეჭქდავად აცნობს მკითხველს იმ მღრ-დარ შთაბეჭქდილებებს, რომელიც მას მიუღია დიდი კრიტიკოსის საპატივემულოდ გამართულ ზეიმზე. იგი აღფრთოვანებულია, პირველ ყოვლისა, ხალხის ფართო გამოხმაურებითა და ინტერესის გამომქლავებით, ხოლო შემდეგ — იმ შინაარსიანი მოხსენებებით, — რომლებიც ამ შეკრებაზე მოუსმენია. მათ შორის საგანგებოდ ვა-

<sup>1</sup> იხ. კრებული, „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, ტ. I, 1949, გვ. 252.

მოყოფს პროფ. კოტლიარევსკის, ნ. კ. მიხაილოვსკის და სხვათა გამოხატვებს. ზეიმს მოყოლია ბანკეტი, სადაც ბევრი საინტერესო სიტყვა წარმოთქმულა; „განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხედნენ პოლონელი ვოდლევსკის სადღეგრძელოს, რომელმაც აღნიშნა, თუ როგორ შესძლო ბელინსკიმ უცხოელების რუსულ ლიტერატურასთან დაახლოება“<sup>1</sup>, — დასძენს გ. თუმანიშვილი თავის ინფორმაციაში. აქვე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ წინადადებას — შექმნილიყო ბელინსკის სახელობის „ლიტერატურული ფონდი“ — დიდი მოწონება გამოუწვევია და სულ რამდენიმე წუთში ქალაქის ფურცლები დაუფარავს მრავალრიცხოვან ხელმოწერებს. გ. თუმანიშვილი ნიშანდობლივად მიიჩნევს იმასაც, რომ სადილის შემდეგ ჭგუფ-ჭგუფად დანაწილებულ მონაწილეებს კიდევ დიდხანს გაუგრძელებიათ გულთბილი საუბარი ბაღში...

რამდენიმე დღის შემდეგ (1898 წლის 24 მაისს), იმავე გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა გ. თუმანიშვილის წერილი — „პეტერბურგული შთაბეჭდილებიდან“, რომელსაც კვლავ ამ ზეიმის დახასიათებით იწყებს: „პეტერბურგში საინტერესო მომენტში მოვხვდი. ჩემი ჩასვლიდან ორი დღის შემდეგ აღნიშნავდნენ დიდი რუსი კრიტიკოსის, ჩვენი საერთო მასწავლებლის ბ. გ. ბელინსკის ხსოვნას. დღესასწაული მოაწყო „მწერალთა კავშირმა“<sup>2</sup>.

ზეიმი გარეგნულად, კვლავ უსვამს ხაზს გ. თუმანიშვილი, მართლაც რომ დიდებული იყო: მრავალრიცხოვანი მსმენელი, აპლოდისმენტი, მხურვალე სადღეგრძელოები, და სხვ. მაგრამ დედაქალაქის უურნალ-გაზეთების რედაქციათა დიდი უმრავლესობა არ ჩანდა, „დღესასწაულში მხოლოდ ორი რედაქცია მონაწილეობდა „რუსსკოე ბოგატსტვო“ და „ნოვოსტი“<sup>3</sup>. ამის შემდეგ იგი გადადის პეტერბურგული პრესის დახასიათებაზე და მეტად მძიმე სურათს ხატავს.

1901 წელს გ. თუმანიშვილმა სპეციალური წერილი („ბიბლიოგრაფია“) უძღვნა ს. ა. ვენგეროვის რედაქციით ბ. ბელინსკის თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემის დაწყებას. პირველ ტომში

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობიზრენიე“, 1898, № 4935.

<sup>2</sup> გაზ. „ნოვოე ობიზრენიე“, 1898, № 4942.

<sup>3</sup> იქვე.

შესული წერილების (1838—1840 წწ.) შესახებ იგი შენიშნავს, რომ „ეს წერილები მოიცავდნენ კრიტიკოსის მოღვაწეობის იმ საინტერესო პერიოდს, როცა იგი გატაცებული იყო ჰეგელით და კონსერვატული მიმართულებით, რომელიც გამოიხატება ფოქრმულითა „ყველაფერი არსებული — გონივრულია“<sup>1</sup>.

ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია აგრეთვე ტომზე დართული წერილების დახასიათება და ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ბელინსკი საბოლოოდ მთლიანად განთავისუფლდა კონსერვატორულ-რეაქციული შეხედულებებისაგან.

რუსულ-ქართული და რუსულ-კავკასიური ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლით დაინტერესებული კრიტიკოსისათვის, ცხადია, ძვირფასი იყო არა მხოლოდ პუშკინის, ლერმონტოვის, მარლინსკის და სხვა დიდ შემოქმედთა სახელები, რომლებმაც თავიანთი მხატვრული თხზულებებით აღიდგეს და უკვდავყვეს კავკასია, მისი ბუნება და მეტროპოლი სულის მქონე ხალხი, არამედ სახელი იმ დიდი მოაზროვნისა და კრიტიკოსისაც, რომელმაც რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში თავისი ადგილი მიუჩინა კავკასიური თემატიკის მნიშვნელობას.



გამოჩენილ რუს მოღვაწეთა ურთიერთობა კავკასიასთან და ამ ურთიერთობის ორმხრივი მნიშვნელობა ყოველთვის ერთგვარი და ერთფეროვანი არ ყოფილა. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ურთიერთობის ხასიათი და მეთოდები იცვლებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მე-19 ს-ის 60-იანი წლებიდან რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობაში ახალი ეპოქა იწყება. პირველ ყოვლისა, ახლა უკვე ქართველი მწერლებისათვის გახდა რუსეთი მაღალი შთაგონების წყარო და საბაბი. ქართველმა სამოციანელებმა რუსეთში პოვეს პროგრესული იდეების საზრდო, მისაბაძი მასწავლებლები. რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ასოციაციური იდეები და ესთეტიკურ-ლიტერატურული მოძღვრება „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის მთავარ ფაქტორებად იქცნენ. ყველა

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობიეზრენიე“, 1901, № 5718.

მათგანმა საგანგებოდაც მიუთითა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც მათი ფორმირების საქმეში ჰქონდა რუსულ მწერლობასა და რუსულ პროგრესულ აზროვნებას, გამოჩენილ რუს მოღვაწეებთან უშუალო კონტაქტებს. მოვიგონოთ თუნდაც დიდი ილიას სიტყვები: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხაყნებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“<sup>1</sup>.

რუსული მწერლობისა და რუსი მოაზროვნეების როლზე ჩვენი სამოციანელების მომზადებისა და მიმართულების გარკვევის საქმეში საყურადღებო მასალას იძლევა აგრეთვე აკ. წერეთელი (იხილეთ მისი „ჩემი თავგადასავალი“) და განსაკუთრებით ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც ახლო პირადი ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ რუს მოღვაწეებთან. მისი „მოგონებანი სამოციან წლებზე“ მდიდარ და საინტერესო ცნობებს იძლევა ამ მხრივ და ნათელს ფენს განსაკუთრებით ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ქართველი სტუდენტობის ურთიერთობას. მაგრამ ეს „მოგონებები“ მოგვიანებით დაწერა ავტორმა. მანამ ისიც იძულებული იყო ან ჭრადფერი ეთქვა ამ თემაზე, ანდა მხოლოდ ეზოპეს ენით ეწერა: თავისი დიდი მასწავლებელი, ნაცვლად გვარისა და სახელისა, მოესხენებია როგორც „ესთეტიკური დამოკიდებულების“ ავტორი.



შეიძლება ითქვას, რომ რუს და ქართველ მოღვაწეთა ჰუმბარიტ ურთიერთობას, რომელიც იდეურ ნათესაობაზე იყო დამყარე-

<sup>1</sup> ი. ჰავცავაძე, ნაწერებს სრული კრებული, 1928, ტ. VIII, გვ. 285.

ბული, საფუძველი ჩაეყარა 60-იანი წლებიდან: და გადამწყვეტი როლი ამ საქმეში ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა შეასრულეს. ამ გარემოებას კი ერთ-ერთმა პირველმა სწორედ გ. თუმანიშვილმა მიაქცია ყურადღება და ამ საკითხს უძღვნა სპეციალური ნარკვევი — „ნ. გ. ჩერნიშევსკი და კავკასიელები“, რომელიც მან შეიტანა თავისი „დახასიათებები და მოგონებების“ პირველი წიგნის მეორე გამოცემაში.

წერილიდან ჩანს, რომ გ. თუმანიშვილი, ზედმიწევნით კარგადა იცნობდა ჩვენს სამოციანელთა ნაწერებს და მოღვაწეობას, იცნობდა ნ. ჩერნიშევსკისთან მათი დამოკიდებულების შესახებაც. ამიტომ მას საგანგებოდ შეუტყობინა ხელმისაწვდომი მასალები, რათა მოკლედ, მაგრამ საქმის ცოდნით გაუმახვილებია ყურადღება ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მეტად მნიშვნელოვან მოვლენაზე. მისი სამართლიანი თქმით, „გასული საუკუნის“ სამოციან წლებში რუსეთში აზრის გამოცოცხლებამ განსაკუთრებით კეთილი გავლენა იქონია იმ კავკასიელ სტუდენტებზე; პეტერბურგში რომ ცხოვრობდნენ. როგორც მგრძობიარე სამსრუთელები, ჩვენი სტუდენტები მგზნებარედ გამოეხმაურნენ ცხოვრების იმ ახალ მოთხოვნილებებს, რომლებიც მაშინ რუსეთის მოწინავე წრეებში წარმოიშვნენ. განსაკუთრებით დაუახლოვდნენ კავკასიელი სტუდენტები ჩერნიშევსკის და მის ოჯახს“<sup>1</sup>

როგორც ჩანს, კავკასიელ სტუდენტთა ნ. გ. ჩერნიშევსკისთან პირადი ურთიერთობის ისტორიის აღსადგენად გ. თუმანიშვილს მუშაობის ერთ-ერთ იმდროინდელ სტუდენტის, აჭყარად მოხუცი ი. პ. ისარლიშვილისათვის, რომლის მონათხრობიც შეტანილი აქვს მას ამ წერილში. უნდა ითქვას, რომ გ. თუმანიშვილის მიერ ჩაწერილ მონათხრობს დღემდე ხშირად იმოწმებენ ჩვენი მეკლევრები, რაც თავისთავად მეტყველებს კრიტიკოსის მიერ გაწეული შრომის მნიშვნელობაზე.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის „მოგონებანი“, ი. ისარლიშვილმა ეს მონათხრობი შესაძლოა ნაკლებ ინტერესს იმსახურებდეს, მაგრამ მას სრულიადაც არ დაუკარგავს ერთ-ერთად პირველი წყაროს მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ მისი სიზუსტე და

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 230.

სინამდვილე უფრო აშკარა გახადა ნ. ნიკოლაძის დასახელებულმა „მოგონებამ“.

ვ. თუმანიშვილის მიერ ჩაწერილ ი. ისარლიშვილის მონათხრობში ხაზგასმულია, რომ „ქართველი სტუდენტების წრეს, რომელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მოგვიანებით დიდი როლი ითამაშეს კავკასიაში პერიოდული პრესის შექმნაში და საერთოდ დიდად გამოაცოცხლეს კავკასიის საზოგადოებრივი ცხოვრება. ძლიერ იზიდავდა „სოვრემენიკის“ რედაქცია. ზოგიერთ ჩვენიგანს გულღიაობა და კეთილგანწყობილება, რომელსაც ჩერნიშევსკის ოჯახში ვხვდებოდით, გვიზიდავდა საღამოებზე, ამ სახლში რომ აწყობდნენ ექსპრომტად“<sup>1</sup>.

საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ ი. ისარლიშვილი თავის მოგონებაში ხაზს უსვამს ამ შეკრებათა აპოლიტიკურ შინაარსს: „დროს ჩვენ უბრალო საუბარში ვატარებდით. არც პოლიტიკურ შეთქმულებებს ვაწყობდით და არც ლიტერატურულ საღამოებს, უბრალოდ ვკამათობდით, ვხუმრობდით, ერთმანეთს ვუყვებოდით იმ ახალ ამბებს მთელ პეტერბურგს რომ აინტერესებდა. თვითონ ჩერნიშევსკი, ძალზე იშვიათად გამოდიოდა ჩვენთან“<sup>2</sup> გარეგნულად ეს მართლაც ასე იყო. ამ შეკრებებს პოლიტიკური ხასიათი და მნიშვნელობა არ ეძლეოდათ, არც ნ. გ. ჩერნიშევსკი აქტიურობდა ახალგაზრდათა ჭკა-ბაასში, მაგრამ რა იყო ბოლოს და ბოლოს, ის ახალი ამბები და ხმები, რომელთაც მოეცვა მთელი პეტერბურგი? ცხადია, ის აქტუალური პოლიტიკური და ლიტერატურული მოვლენები, რომლებიც მართლაც ბევრს აღელვებდა მაშინ. განა ისიც გასაგები არ არის, თუ რატომ ასე თავშეკავებული იყო თვით ჩერნიშევსკი და უფრო აქტიურად მისი მეუღლე ოლგა სოკრატის ასული მოქმედებდა. ეს ჩერნიშევსკისათვის დამახასიათებელი კონსპირაციულობის ჩვეული ჟესტი იყო, თორემ ან ასეთი შეკრებების უფლებას რატომ მისცემდა იგი თავის მეუღლეს, ანდა რატომ კავკასიელები და პოლონელები იყვნენ, ძირითადად, ამ შეკრებათა მონაწილენი? ეს ყველაფერი წინასწარ გააზრებული იყო, რასაც მშვენივრად ასხამდა ხორცს ჩერნიშევსკის მეუღლე და ქვეშაირიტი მე-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 230.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 231

გობარი — ოლგა სოკრატის ასული. ნ. ჩერნიშევსკი მხოლოდ საჭირო შემთხვევაში იჩენდა მასპინძლობას და სიახლოვეს ახალგაზრდა სტუდენტებთან; ასე სჯობდა მისთვის და ახალგაზრდა სტუმრებისთვისაც.,

გ. თუმანიშვილის მიერ ჩაწერილი ი. ისარლიშვილის მონათხრობიდან ვიგებთ, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის ოჯახის სტუმარ სტუდენტთა შორის იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ლოლობერიძე, ბ. ლოლობერიძე და სხვ. „ჩვენ იქ ხშირად ვხვდებოდით „სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. ა. დობროლიუბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევს და სხვ... იმ საქმეების შესახებ, სტუდენტების მოძრაობასთან რომ იყო დაკავშირებული, კავკასიელებიდან ბ. ლ. ლოლობერიძე... ხშირად ეთათბირებოდა ჩერნიშევსკის, ანტონოვიჩს, ელისეევს“<sup>1</sup>...

როგორც ვხედავთ, ეს შეხვედრები არც თუ თავისუფალი ყოფილა პოლიტიკური ინტერესებისაგან და არც ჩერნიშევსკი არ ყოფილა მათგან მოწყვეტილი, როცა ეს საჭირო იყო. სხვა დამკვირვებლების უფლებას არ იძლევა მოგონების მოტანილი ადგილი.

ი. ისარლიშვილის მოგონებისათვის რომ მეტი ანგარიში გავწიათ, გ. თუმანიშვილი საგანგებოდ შენიშნავს: მართალია მას დიდი როლი არ შეუსრულებია ქართველ სტუდენტთა წრეში, მაგრამ ერთგულად უთანაგრძნობდა იმ პერიოდის საერთო მოძრაობას და ორჯერ (1861 და 1864 წწ.) იგემა პატიმრობაცო. მეორე პატიმრობის დროს მისთვის აღმოუჩენიათ დეკაბრისტ მურავიოვის სურათიც წარწერით:

«Тюрьма мне в честь, не в укоризну,  
За дело правое я — в ней,  
И мне ль стыдиться сих цепей,  
Когда пошу их за отчизну!»

გ. თუმანიშვილის თქმით, ჩერნიშევსკის სამხრეთელი პატივისმცემლები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გახდნენ მისი იდეების მხურვალე პოპულარიზატორები პრესასა და საზოგადოებაში. კერძოდ, ნ. ნიკოლაძე ხშირად ახერხებდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეების გავრცელებას საზოგადოებაში. ურნალ

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 232

„კრებულში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „საახალწლო“ მას მოაქვს ვრცელი ამონაწერი რომანიდან „რა ვაკეთოთ?“, ცხადია, ავტორისა და რომანის დაუასახელებლად; იგი ხშირად მიმართავდა ჩერნიშევსკის ციტირებას თავისი გაზეთის „ობზორის“ ფურცლებზეც. აქვე გამოაქვეყნა მან შუააზიელი მოგზაურის პაშინოს მოგონება ჩერნიშევსკისა და სხვა სამოციანელთა შესახებ. „უფრო გვიან, 1882 წელს, ნიკოლაძე, როგორც შუამავალი, აწარმოებდა ცნობილ მოლაპარაკებას „მაღალ სფეროებსა“ და ნაროდოვოლცებს შორის, რომლის დროსაც ტერორის დროებით შეწყვეტის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ჩერნიშევსკის ციმბირიდან დაბრუნება, და მართლაც, 1883 წ. ჩერნიშევსკის ნება დართეს ციმბირიდან ასტრახანში გადმოსასლებულიყო“<sup>1</sup>.

აღმანახში — „საახალწლო“ (1880 წ.), შენიშნავს გ. თუმანიშვილი. ნ. ნიკოლაძემ მოათავსა მოგონებანი სტუდენტობის წლებზე, რომელშიც მოგვითხრობს, თუ როგორ იყო გატაცებული „სოვრემენნიკით“ და როგორი ყურადღებით სარგებლობდნენ ჩერნიშევსკის ოჯახში კავკასიელი სტუდენტები.

გ. თუმანიშვილის თქმით, მიუხედავად გადასახლებაში ყოფნისა, ნ. გ. ჩერნიშევსკი დარჩა უსაყვარლეს ადამიანად ახალი თაობისათვის კავკასიაში. „გაჟული საუკუნის 70-იან წლებში გიმნაზიაში, ზაღაც ვსწავლობდი, როცა მოწაფეებმა ლიტერატურული სადამოყრბის გამართვა დაიწყეს, უპირველეს ყოვლისა წაიკითხეს „რა ვაკეთოთ?“ და პისარევის წერილი ამ რომანზე. როცა მე ნოვოროსიის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავო, კავკასიელ სტუდენტებს ჩვენი ბიბლიოთეკა გვქონდა... ბიბლიოთეკაში ერთადერთი პორტრეტა ეკიდა და ეს გახლდათ ჩერნიშევსკის პორტრეტი. იმ დროს (70-იან წლებში) ძალიან სახიფათო იყო სტუდენტებისათვის ჩერნიშევსკის პორტრეტის შენახვა, და მიუხედავად ამისა, იგი თვალსაჩინოდ ეკიდა სტუდენტთა ბიბლიოთეკაში“...<sup>2</sup>

გ. თუმანიშვილი აქვე დასძენს, რომ უნივერსიტეტის დამთავრებისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მას არ დანანებია თავისი მცირე დანაზოგი, რათა შეეძინა „სოვრემენნიკის“ ძველი ეგ-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I. გვ. 235.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 237.



ზემპლარები, რომლებშიც ჩერნიშევსკის სტატუები იყო დაბეჭდილი. თანაც შენიშნავს: „ეს სრულიად არ იყო რაიმე განსაკუთრებული-მოვლენა. იგი სავსებით შეესაბამებოდა იმ საერთო თავყავისცემას, რითაც მოხილი იყო ჩვენს შორის ჩერნიშევსკის სახელი“<sup>1</sup>.

ასე აფასებდნენ ჩერნიშევსკის რუსეთის შორეულ კუთხეებშიც კი მამინ, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, როცა რეაქციამ იგი სახელმწიფო დამნაშავედ გამოაცხადა.

დასასვლელზე წერილში გ. თუმანიშვილმა მოჰყავს ერთი საყურადღებო ცნობაც. ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალება მას შეუტყვია პეტერბურგში ნ. კ. მიხაილოვსკის ბინაზე. თბილისში გამოგზავრების წინ. ნ. მიხაილოვსკი, — წერს ის, — „ჩვეულებრივთან შედარებით პირქუში და სიტყვაძუნწი ჩანდა. თურმე წინა დღით სარატოვიდან მოსულა დეპეშა ჩერნიშევსკის გარდაცვალების შესახებ. ჩემს გაოცებაზე, რომ გაზეთებში ამის შესახებ არაფერი წერია. მიხაილოვსკიმ მიპასუხა:

— იყო ორიოდ სტრიქონი რომელიღაც გაზეთში და ალბათ შეტეს არაფერს დაბეჭდავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ უბრალო პანაშვიდის გადახდის ნებასაც არ დართავენ.

მიხაილოვსკი არ შემცდარა. მხოლოდ მტრების ბანაკში, „ნოვოე ვრეშიაში“ დაიბეჭდა სკალკოვსკის პატარა ფელეტონი („მოგონებანი“) <sup>2</sup>.

შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ქართველ მოღვაწეთა კეთილშობილური ურთიერთობის ისტორია გ. თუმანიშვილმა დამაჯერებლად და გამიზნულადაც წარმოადგინა. მან, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ქართველ სტუდენტებისათვის ჩერნიშევსკისთან დაახლოებას და საქმიან ურთიერთობას ჰქონდა, მეორე მხრივ, გასაგებად აჩვენა მადლიერების გრძნობაც, რომელსაც ჩერნიშევსკისადმი მისი ქართველი თანამოაზრენი ყოველთვის და ყველა ვითარებაში ავლენდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ „მალაღსურებებსა“ და ნაროდნოვოლცებს შორის გაწეული მისთვის უსიამოვნო მოლაპარაკებისა-

<sup>1</sup> გ. ძ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, 1, გვ. 238.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 238—239.

თვის ნ. ნიკოლაძემ გასამრჯელოდ მოითხოვა არა რაიმე სხვა, არამედ თავისი საყვარელი მასწავლებლის, ნ. გ. ჩერნიშევსკის კატორღიდან განთავისუფლება, რასაც კიდევაც მიაღწია.

ჩვენს მიერ განხილული წერილიდან კარგად ჩანს ისიც, რომ გ. თუმანიშვილიც თავს თვლის ნ. ჩერნიშევსკის მოწაფედ და დიდად დავალებულად მისი ესთეტიკური მოძღვრებით. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ იგი ხმას იმაღლებდა იმ კრიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც ჩერნიშევსკის შემკვიდრეობას არ აფასებდნენ სათანადოდ.

\* \* \*

იგივე შეიძლება ითქვას ნ. ა. დობროლიუბოვის შესახებაც. თავისი შეხედულება ნ. დობროლიუბოვზე, გ. თუმანიშვილმა ჯერ კიდევ 1875 წელს გამოთქვა დისადმი (ტასოსადმი) ოდესიდან მოწერილ წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „როგორც შენი წერილიდან ჩანს, მაინცდამაინც არ გიყვარს დობროლიუბოვი. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გითხრა ჩემი აზრი ამ მწერლის შესახებ. ლიტერატურაში ყოველთვის არსებობდა და ახლაც არსებობს მოღვაწეთა ორი ტიპი: შემოქმედთა და პოპულარიზატორთა. მიანიჭო რომელიმე მათგანს უპირატესობა ისე, რომ მხედველობაში არ მიიღო საზოგადოებრივი მდგომარეობა, არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება პრინციპში გადაიქრას, თეორია ჯობია თუ პრაქტიკა? არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც თავის თავში მოღვაწეობს ორივე სახეს აერთიანებენ, მაგრამ ასეთები ცოტაა: და მათ შორის ბევრია უნიჭო; დობროლიუბოვი პოპულარიზატორია: სწავლულ, განათლებულ სამყაროსაც კი მან ცოტა რამ უთხრა ახალი, მაგრამ ალაპარაკდა იგი ახალი ტონით;... დობროლიუბოვის წერილები არის ელეგიები, ოდები, სატირა, ხოლო ბლაგოსვეტლოვის წერილები — მახვილგონივრული დიალექტიკა, წითელი მამხალები... დობროლიუბოვის ნაწერებში შეიძლება აღმოაჩინო ისეთი ნაკლიც, პუბლიცისტიკათვის რომ მნიშვნელოვანია... ძალიან დიდხანს ჩერდება წერილმანებზე, მაგრამ მასში ბევრია ისეთიც, რაც მას ბევრ რუს ლიტერატორზე მაღლა აყენებს; აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რუსეთში არ გა-

მოჩენილა არცერთი პუბლიცისტი, ცოტათი რომ გვაგონებდეს თავისი ენერგიულობით დობროლიუბოვს<sup>1</sup>.

შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ დიდი პატივისცემის მიუხედავად, რაც აშკარად იგრძნობა მოტანილი ამონაწერიდან, გ. თუშანიშვილს, ცხადია, ჭერ კიდევ სათანადოდ არ ესმის დობროლიუბოვის — როგორც კრიტიკოსის — დამსახურება მას იგი, როგორც ჩანს, თვლის დიდი მასწავლებლების შეხედულებათა ნიჟიერ პოპულარიზატორად და სათანადოდ ვერ აფასებს იმ წვლილს, რომელიც მან მატერიალისტური ესთეტიკის საგანძურში შეიტანა.

თავისი შეხედულება ნ. ა. დობროლიუბოვის შესახებ გ. თუშანიშვილს გამოთქმული აქვს პრესის ფურცლებზე. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ის წერილი („მექრონიკის ჩანაწერები“)<sup>2</sup>, რომელშიც ეხება კ. ტ. სოლდატენკოვის მიერ 1890 წელს გამოცემულ წიგნს — „მასალები ნ. ა. დობროლიუბოვის ბიოგრაფიისათვის“, რომელიც ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ იყო შეკრებილი, და მის შესახებ „ნედელიას“ ფურცლებზე დაბეჭდილ რეცენზიას.

დასახელებულმა წიგნმა, შენიშნავეს გ. თუშანიშვილი, ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის საერთო ყურადღება მიიპყრო. იგი შეიცავს წლების მანძილზე მისი მეგობრის (გვარს ვერ ახსენებებს) მიერ ნაგროვები მასალების კრებულს. უდროოდ გარდაცვლილმა კრიტიკოსმა, რომელმაც რუსულ მწერლობაში დიდი ხანია დაიმკვიდრა განსაკუთრებულად საპატიო ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მტერი ჰყავდა სიცოცხლეში თავისი „სვისტოკის“ წყალობით, სიკვდილის შემდეგ საერთო აღიარება პოვა და ახლაც, როცა მისი ბიოგრაფიული მასალები გამოქვეყნდა, მისი მტრებიც კი გაოცებულნი არიან ნიჟიერი კრიტიკოსის სუფთა და ამაღლებული პიროვნებით.

განუწყვეტელმა და დაძაბულმა შრომამ, ნ. დობროლიუბოვი, გ. თუშანიშვილის თქმით, მოტეხა ფიზიკურად და მორალურად, ბოლოს კი სამარემდე მიიყვანა. შემთხვევითი არ ყოფილა

<sup>1</sup> საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლებს საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ, ე. აბრამიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 151—152.

<sup>2</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, №2284.

თვით კრიტიკოსის უკანასკნელად წარმოქმული სიტყვები:  
«Милый друг, я умираю, оттого что был честен... Милый друг,  
я умираю, но спокоен я душой».

მაგრამ საგაზეთო სიბილწემ, განაგრძობს ჭარბი კრიტიკონი, არც ეს ნათელი პიროვნება დაინდო. ახლახან მას კვლავ ესროლეს ქვანი, და, რაც მთავარია, ისროლეს „მეგობართა“ ზანაქიდან, თუმანიშვილს მხედველობაში აქვს გაზეთ „ნედელიაში“, მოთავსებული რეცენზია, რომელშიც გამოთქმულია ცილისმწამებლური თვალსაზრისი ნ. დობროლიუბოვის მოღვაწეობაზე: თურმე იგი ყოფილა მიკერძოებული თავის კრიტიკულ მოღვაწეობაში, ხოლო მისი „სტივტოკი“ წარმოადგენს „ყველაფრის მიმართ უკმეხ და დაუნდობელ დაცინვას ისე, რომ არ გამოარჩევს კუდს კარგისაგან“. ამასთან, ყოველივე ეს „ახსნილია“ ნ. დობროლიუბოვის თითქოს მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრებით. მაგრამ გ. თუმანიშვილი დარწმუნებით აცხადებს: „ყველაფერი ეს — წმინდა წყლის ცილისწამებაა“.

მიმართავს რა პოლემიკურ ტონს, გ. თუმანიშვილი წერს: „ნედელიას“ რეცენზიას ყურადღება მივაქციეთ არა იმიტომ, რომ მასში ჩვენ თითქოს ბოროტი ცილისწამება დაგვენახოს, არა, ეს შეუძლებელია, რადგან იმავე რეცენზენტის მიერ, იმავე კრიტიკოსზე, იმავე რეცენზიაში ნათქვამია: „დობროლიუბოვის პიროვნება გვეხატება მთელი მისი მომსიბვლელობით: შეურყეველი, სწორხაზოვანი პატიოსნება, არაჩვეულებრივი ზნეობრივი დელიკატურობა და სისუფთავე, უჩვეულო მორიდება, საკვირველი შრომისმოყვარეობა და წიგნიერება“<sup>1</sup>. მაგრამ როგორ შევათავსოთ ეს აზრი იმ დახასიათებას, რომლის შესახებ ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, და, რომელიც სავსებით შეეფერება რეცენზიის ავტორისათვის დამახასიათებელ სულიერ სიღარიბეს? აი კითხვა, წერს გ. თუმანიშვილი, რომელიც გვანტერესებს ჩვენ და, რომელსაც ჩვენი აზრით, აქვს დიდი მნიშვნელობა ახლანდელი საზოგადოებრივი განწყობილების ასახნეულად. იგი მკაცრად ამხელს რეტროგრადულ პრესას და მის თანამშრომლებს, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავთ საქმეში ჩაუხედავი მკითხველი. ამგვარი მოქმედების მაგალითად მიაჩნია მას „ნედე-

<sup>1</sup> ე.პ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, №2284.

ლიას“ რეცენზენტის საქციელიც. განა შეიძლება საქმით ჰეგმარიატად დაინტერესებულმა ლიტერატორმა დობროლიუბოვსუ მსკელობისას უმთავრესად მისი პირადი ცხოვრება გამოაცხადოს, ხოლო მისი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა კი მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნიოს? — კითხულობს კრიტიკოსი. იგი მოითხოვს წინა პლანზე წამოსწიონ დიდი კრიტიკოსის წმინდა საზოგადოებრივი იდეალები, რომელსაც იგი ყველაფერზე მაღლა აყენებდა, და არასოდეს მიმართავდა უარყოფას მხოლოდ უარყოფისათვის, რაც მაშინდელ უპრინციპო პუბლიცისტებს ახასიათებდათ.

გ. თუმანიშვილის თქმით, თანამედროვე კრიტიკაში გამოჩნდა უფრო საფუძვლიანი მინიშნებაც. თუ რატომ არ შეიძლება მოწონდეს დღევანდელ მოღვაწეებს დობროლიუბოვი — როგორც კრიტიკოსი. კერძოდ, „ამტკიცებენ“ რომ ნ. დობროლიუბოვი — კრიტიკოსი თითქოს ნაკლებად იყო დაინტერესებული ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ხარისხით, მაგრამ ეს შეხედულება სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან „განსახილველ ნაწარმოებებში მხატვრულ სიმართლეს დობროლიუბოვიც ეძებდა და შეიძლება ამ მხრივ იგი არა ნაკლებ მომთხოვნი იყო, ვიდრე თანამედროვე სკოლის კრიტიკოსებია“; ამის დასტურად მიაჩნია მას. კერძოდ, პისემსკის შემოქმედების დობროლიუბოვისეული შეფასება. პისემსკის ნაწერებში დიდი კრიტიკოსი ვერ პოულობდა სინამდვილის ობიექტურ-მხატვრულ ასახვას, არაერთხელ მიუთითებდა გადაჭარბებული ტენდენციურობისა და ანტიმხატვრული ტენდენციების გამო და ეს მაშინ, როცა თანამედროვე კრიტიკოსები ასე მკაცრად აღარ ეკიდებიან მის მხატვრულ ღირსებას.

„ჰეგმარიატი განსხვავება დობროლიუბოვსა და თანამედროვე კრიტიკოსებს შორის ჩანს არა იმაში, წერს გ. თუმანიშვილი, რომ პირველისთვის ჭრულიად უცხო იყო განსახილველი ნაწარმოებების ესთეტიკური მხარე, არამედ იმაში, რომ მას მეტად აინტერესებდა განსახილველი ნაწარმოებების საზოგადოებრივი მხარე“. ამის მიზეზი კი თვით ცხოვრების სასიათში უნდა ვეძიოთ. მაშინ საზოგადოებრივი ცხოვრება უეცრად გამოცოცხლდა, მის ძიერ აღძრულმა საკითხებმა მოიცივეს მოღვაწეობის ყველა სფერო: საზოგადო-

1 გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, №2284.

ბის განწყობილება ძალაუნებურად აისახა იმდროინდელ ყველა საუკეთესო ნაწარმოებში. და ყოველივე ეს შეუძლებელია ვეუბნე-ჩნეველი გამხდარიყო მხატვრული კრიტიკისთვისაც. თანამედროვე ცხოვრება კი საპირისპირო საურათს იძლევა: პესიმიზმი, გავრცელებული თვითმკვლევლობანი, მისტიციზმი, ფუქსავატური გატაცებები, საზოგადოებრივი იდეალები უქონლობა. ასეთ ვითარებაში აპ. გრიგორიევი დიდი კრიტიკოსია, ვინაიდან როგორც მოქალაქე ძალიან ჰიმპათიური იყო; პ. მაიკოვი და ფეტი დიდი პოეტები არიან, ვინაიდან ბნელეთის მოციქულობას არ ქადაგებენ; ო. მილლერი დიდი ფილოსოფოსია, ვინაიდან, როგორც ადამიანი, უაღრესად პატიოსანი იყო და სხვ.

თანამედროვე კრიტიკოსები, — შენიშნავს გ. თუმანიშვილი, — ნ. დობროლიუბოვისაც მიაწერდნენ ასეთი კატეგორიის დიდ ადამიანთა რიცხვში, თუკი ის დარჩებოდა დაკანონებული მორალის ნიჟადაგზე; „მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდებოდა, დაიწყო ბრძოლა დრომოკმულ ცრუ რწმენის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი იდეალების გამო უნარი თქვა პირად ცხოვრებაზე და ამ მხრივ იგი სრულიად უცხოა თანამედროვე მთელეზარე საზოგადოებისათვის და მისი შემატიანებელათვის.“<sup>1</sup> გ. თუმანიშვილი წერს, რომ ჭანსად საზოგადოებას არ შეუძლია დიდხანს მიეცეს ძილს, და როცა გაიღვიძებს, ლიტერატურისაგან ის მოითხოვს არა რეპორტიორულ ტიტონს სხვადასხვა წვრილმანებზე, რომელთაც არ აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა, არამედ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების სერიოზულ წარმართვას. დაკანონებული მორალი აქ ვერ უშველს, საჭირო იქნება სხვა რამ. სწორედ ამ უკეთესი მომავლისაკენ უნდა მიისწრაფოდეს პროგრესის ყველა მომხრე, დობროლიუბოვის ყველა პატივიამცემელი.

1896 წელს გ. თუმანიშვილი სპეციალური წერილით („ბიბლიოგრაფია“) გამოეხმაურა ნ. დობროლიუბოვის თხზულებათა მეხუთე გამოცემის დაწყებას. როგორც კრიტიკოსი შენიშნავს, გამოცემა იხსნებოდა ა. მ. სკაბიჩევსკის წერილით დიდი კრიტიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ბიოგრაფიული ცნობები, — წერს იგი, საკმაოდ სრულია, მაგრამ ლიტერატურული დახასიათება უაღრე-

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, №2284.

სად მოკლე და ბურჟუაზი მოცული; მას უჭირავს სულ 8 გვერდი და ჯობდა საერთოდ არ ყოფილიყო ის ამ ბიოგრაფიულ ნარკვევში.

წერილების თანმიმდევრობის მხრივ, ახალი გამოცემა არ განირჩევა წინა გამოცემებისაგან, შენიშნავს ქართველი რეცენზენტი, რომ იგი კვლავ ქრონოლოგიურ პრინციპზეა დამყარებული, მაგრამ დართული სურათი კი ახალია, კრიტიკოსის სახე ამ ახალ პორტრეტში უფრო ცოცხალი და მეტყველია, ვიდრე ადრეულ პორტრეტებში. დასაარულს, იმედს გამოთქვამს, რომ ეს გამოცემაც, მსგავსად წინამორბედებისა, ფართოდ გავრცელდება, ვინაიდან „დობროლიუბოვი იყო რუსული ცხოვრების ყველაზე ნათელი ეპოქის ყველაზე მოწინავე ადამიანი, და ვიდრე მისი იდეები არ განხორციელდება, მის ნაწარმოებებს, რომლებიც გამოირჩევიან არაქებული ცრუ რწმენებისა და შაბლონური თვალსაზრისების დახვეწილი ანალიზით, დიდი ინტერესით წაიკითხავენ“<sup>1</sup>.

რთგორც ვხედავთ, თავისი პატარა წერილი უაღრესად შინაარსიანი დასკვნით დაასრულა გ. თუმანიშვილმა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ჰქონდა მართებული და საფუძვლიანი შეხედულება დიდი რუსი კრიტიკოსის დამსახურებასა და მნიშვნელობაზე.



ნ. ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლთა დამსახურებაზე გ. თუმანიშვილს არაერთხელ მიუთითებია პრესაში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს წერილები ცნობილი სამოციანელებისა და ჩერნიშევსკის თანამებრძოლების გ. ზ. ელისევევისა (1821—1891) და ნ. ვ. შელგუნოვის (1824—1891) შესახებ.

გ. ზ. ელისევევის პორტრეტის შესაქმნელად გ. თუმანიშვილი, პირველ ყოვლისა, ჩერდება იმ დამსახურებაზე, რომელიც მას მიუძღოდა რუსულ ეურნალისტიკაში ე. წ. „შინაური მიმოხალვის“ დამკვიდრებით. გ. თუმანიშვილი ამ რუბრიკის, და მის მიხედვით საკითხთა გარკვეული სფეროს გამოკვეთას, გ. ზ. ელისევევის პუბ-

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1896, № 4154.

ლიცისტურ მოღვაწეობასთან აკავშირებს. ინფორმაციები, ქრონიკები და წერილებიც შინაური ვითარების გასაშუქებლად მეტ-ნაკლებად, ცხადაა, მანამდე ქვეყნდებოდა რუსულ პრესაში, მაგრამ მასშედარებით შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, შემთხვევითი ავტორები წერდნენ და, რაც მთავარია, შიშველი ფაქტების გადმოცემით იყო შემოფარგლული.

1861 წლიდან, განაგრძობს გ. თუმანიშვილი, როცა საზოგადოებრივი საკითხების განხილვა უკვე შესაძლებელი გახდა პრესისათვის, ეურნალ „სოვრემენნიკის“ ფურცლებზე გამოჩნდა რუბრიკა „შინაური მიმოხილვა“, რომელსაც წლების მანძილზე წერდა და ადგენდა გ. ზ. ელისეევი. ამის შემდეგ კი, თითქმის ყოველი გამოცემა თავის მოვალეობად თვლიდა მკითხველისათვის მიეწოდებინა ასეთი მიმოხილვები.

გ. თუმანიშვილი შენიშნავს, რომ გ. ელისეევის ღირსება და დამსახურება არ ამოიწურება იმით, რომ იგი იყო რუსულ პრესაში დამკვიდრებული „შინაური მიმოხილვების“ მამა. მის ღირსებას განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ თავისი გარკვეული პროგრამით დიდი გავლენა ჰქონდა როგორც ეურნალისტიკაზე, ასევე საზოგადოებაზე. „ელისეევი, რომელიც 1863—66 წწ. „სოვრემენნიკის“ ერთ-ერთი რედაქტორი იყო, ხოლო მოგვიანებით 1868—84 წწ. „ოტენისტ. ზაპისკ.“ ახალი რედაქციის გავლენიანი წევრი, მტკიცედ მიჰყვებოდა აღიარებულ პრინციპებს, რომელთა თაყვანისცემას ლიტერატორთა ახალ თაობასაც ასწავლიდა“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, რუსულ ეურნალისტიკაში კიდევ უფრო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ნ. ვ. შელგუნოვი, რომელსაც გ. თუმანიშვილი ნიჭიერსა და განათლებულ მოძღვარს უწოდებს. მასივე სამართლიანი თქმით, „სალტიკოვ-შჩედრინის შემდეგ რუსულ ეურნალისტიკაში არ იყო მწერალი, უფრო გულისხმიერად რომ გამოხმაურებოდა თავის დროის საჭირობორტო საკითხებს, უფრო ახლოს რომ მიეტანა გულთან თანამედროვე საზოგადოების მოწინავე ნაწილის მოთხოვნილებები. 60-იანი წლების გამოჩენილი პუბლიცისტებისა და კრიტიკოსების შემდეგ, არ ყოფილა ჩვენში მწერალი, უფრო ჰუმანური და განმანათლებლუ-

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1891, №2451.



რი შეხედულებები ჰქონოდა თანამედროვე რუსულ სინამდვილეზე, ვიდრე... შელგუნოვი“<sup>1</sup>.

შელგუნოვის გ. თუმანიშვილსეული ეს დახასიათება დღესაც მთლიანად გასაზიარებელია.

გ. თუმანიშვილი უდავოდ საფუძვლიან თვალსაზრისს გვაფაზობს, როდესაც შელგუნოვში ხედავს თავისებურ ტიპს პუბლიცისტისას, უფრო სწორად — ჟურნალისტს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, „იგი, — წერს გ. თუმანიშვილი, ჩვეულებრივი ფელეტონისტისა და მექრონიკისაგან გამოირჩეოდა პროგრამის სერიოზულობით და რწმენის სიმტკიცით... ხოლო სწვლული პუბლიცისტ პროფესორისაგან შელგუნოვი გამოირჩეოდა დიდი ყურადღებით დროის მოთხოვნების მიმართ, დიდი პრაქტიკულობით ბოროტებასთან ბრძოლაში“<sup>2</sup>.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გ. თუმანიშვილის მოყვანილი სიტყვები მკაფიოდ წარმოგვიდგენს ნ. შელგუნოვის — ჟურნალისტის პორტრეტს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ქართველი კრიტიკოსი შელგუნოვის ნაწერების მნიშვნელობას ხედავს არა მხოლოდ მის გავლენაში საზოგადოების განწყობილებაზე, არამედ მის პრაქტიკულ მოღვაწეობაზეც.

მთავარი აზრი შელგუნოვის ხანგრძლივი სამწერლო მოღვაწეობისა, დასტენს გ. თუმანიშვილი, იყო სრულიად გარკვეული და უცვლელი; ეს აზრი კი მდგომარეობდა „საყოველთაო თანაბარი კეთილდღეობის იდეაში და ადამიანების თანაბარ მატერიალურ და ზნეობრივ ღირსებაში“, როგორც თვითონ აქვს ნათქვამი თავისი თხზულებების უკანასკნელი (1890 წ.) გამოცემის წინასიტყვაობაშიო.

საუკულისხმოა, რომ გ. თუმანიშვილს შენიშნული აქვს ის „ზიგზაგები“ და „გადახვევებები“, რასაც სრულიად შეგნებულად მიმართავდა ხოლმე პოლემიკურ ბრძოლაში შელგუნოვი, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ იგი არც ამ დროს დალატობდა თავის მთავარ იდეას: „...ცხარე ბრძოლაში, შელგუნოვი, ითვალისწინებდა რა დროის მოთხოვნილებებს, ცვლიდა არგუმენტებს, თხრობის ტონსა

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1891, №2523.

<sup>2</sup> იქვე.

და ფორმა, თავის შეხედულებებსაც კი ცვლიდა ამა თუ იმ საკითხებზე, მაგრამ ყველაფერ ამას იგი აკეთებდა თავის მთავარი იდეის გამარჯვებლათვის<sup>1</sup>.

თავის თანამედროვე საზოგადოებასთან შელგუნოვის მკიდრი ურთიერთობა გ. თუმანიშვილის თქმით, აშკარად გამოვლინდა ლეწლმოსილი მოღვაწის ავადმყოფობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებით; საზოგადოებამ თავისი სიყვარული და თანაგრძობა აშკარად და ფართოდ გამოხატა. წერილში ჩართული ბიოგრაფიული მონაცემების დასასრულს კი გ. თუმანიშვილი მიუთითებს იმაზე, რომ შელგუნოვი რამდენჯერმე იყო კავკასიაში და ყოველთვის მკურნალობის მიზნით; აქ ყოფნის პერიოდში მან მაინც შესძლო დაეწერა „რუსული ცხოვრების ნაკვეთი“.

1895 წელს, როცა ო. ნ. პოპოვა შეუდგა ნ. შელგუნოვის თხზულებათა მეორე გამოცემას, რომელიც ნ. კ. მიხაილოვსკის წინასიტყვაობით იხსნება, გ. თუმანიშვილმა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილი („ბიბლიოგრაფია“), რომელშიც მიუთითებს, რომ ოთხი წლის შემდეგ უკვე ახალი გამოცემის დაწყება, ისიც პუბლიცისტური თხზულებებისა, აშკარად მოწმობს წიგნისა და მისი ავტორის წარმატებასა და პოპულარობაზე. ეს, კიდევ ერთი საბუთია იმის ნათელსაყოფად, რომ „როგორც არ უნდა გვარწმუნებდნენ გ. ბ. ბობორიკინები, ვოლინსკები და სხვ., რომ 60-იანი წწ. კრიტიკა და პუბლიცისტკა მოძველდა და დაკარგა თავის მნიშვნელობა, ფაქტია თანამედროვე საზოგადოებაში ისეთი მეორეხარისხოვანი წარმომადგენლის თხზულებათა სწრაფად გავრცელებისა, როგორც ნ. ვ. შელგუნოვია, შეუძლებელია ეს აზრი არ უკუაგდოს“<sup>2</sup>.

შელგუნოვის თხზულებებისადმი მკითხველის ასეთი დიდი ინტერესის მიზეზს გ. თუმანიშვილი სამართლიანად ხედავს იმაში, რომ იგი მხურვალედ და გულწრფელად ეხმაურებოდა ცხოვრების მოთხოვნებს, და იხილავდა მათ იმდროინდელი მოწინავე აზრის შექმნე, რაც, სამწუხაროდ, აღარ ახასიათებთ თანამედროვე მწერალთ, რომლებიც ხურდავდებიან წვრილმან საგაზეთო მუშაობაზე და არ

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1891. №2523.

<sup>2</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1895, №3934.

არიან სავსებით თანმიმდევრული შეხედულებების მქონენი. ანდა მსჯელობენ განყენებულად, ცხოვრების დღის წესრიგში მდგომარეობის საკითხების უგულვებლყოფით.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ გამოჩენილ რუს სამოციანელთა პორტრეტების დახატვით, გ. თუმანიშვილმა უეჭველი გახადა თავისი მიმართება მათთან და თავისი ერთგულება რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებისადმი.



გ. თუმანიშვილისათვის რუსული მწერლობა მშობლიური ლიტერატურის ტოლფასოვანი იყო. ამის გარდა იგი უშუალო კონტაქტში იყო თავის თანამედროვე ბევრ რუს მწერალთან — ხვდებოდა და ესაუბრებოდა მათ, რაც მერტ შესაძლებლობას აძლევდა უფრო ღრმად ჩაეხედა მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატთა სულში და საკუთარი წარმოდგენა და შეხედულება შეემუშაებინა ყოველ მათგანზე.

საერთოდ, გ. თუმანიშვილის კრიტიკული წერილები უფრო მეტად იმითაა საინტერესო, რომ მათში ყოველთვის ავტორის საკუთარი აზრი და შთაბეჭდილებაა გადმოცემული ამა თუ იმ მწერალზე და თითქმის არ იგარძნობა სხვათა შეხედულებების გავლენა; ფართო განათლების მქონე ჟურნალისტი ყოველთვის შორს იყო ავტორიტეტთა ბრმა მორჩილებისაგან. რუსული ლიტერატურისა და რუსი მწერლების შესახებ მსჯელობისას მას უმთავრესად ერთი საკითხი აინტერესებდა: როგორ იყო ასახული მასში და მათ მიერ კავკასია და კავკასიელი ხალხი. ამ კუთხით აცნობს იგი, ძირითადად, რუს მწერლებს თავის მკითხველს და ბევრს საყურადღებო დაკვირვებასაც უზიარებს მას. ასე იქცევა იგი, კერძოდ, ნ. ლუკოვზე, ლ. ტოლსტოიზე, გლ. უსპენსკიზე, მ. გორკიზე, კ. მიხაილოვსკისა და ვ. გოლცევზე მსჯელობის დროსაც.

გამოჩენილ რუს ბელეტრისტებზე და კრიტიკოსებზე გ. თუმანიშვილი თავისი გაზეთის („ნოვოე ობოზრენიე“) მკითხველს მოუთხრობდა ლაკონურად და უქმნიდა გარკვეულ წარმოდგენას მათი ლიტერატურული მიმართულების, მსოფლმხედველობისა და მხატვრული ოსტატობის შესახებ. და თუ პირადადაც იცნობდა, მკით-

ხველს უზოარებდა თავისი შეხედულებას მათ მოქალაქეობრივ ღირსებუბზე. როგორც ლიტერატურათმცოდნე და როგორც „ნოვოეობოზრენიეს“ რედაქტორმა, გ. თუმანიშვილმა მკითხველს უზვიცნობები მიაწოდა. მეცსრამეტე საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილ რუს მწერალზე; მიუთითა მათ დამსახურებაზე რუსული ლიტერატურის წინაშე და კავკასიური თემატიკის გაშუქების საქმეში.

ნ. ს. ლესკოვის (1831—1895) თხზულებათა სრული კრებულის მეორე გამოცემასთან დაკავშირებით, გ. თუმანიშვილმა „ნოვოეობოზრენიეში“ გამოაქვეყნა მოკლე მიმოხილვა („ბიბლიოგრაფია“)<sup>1</sup>, რომელშიც იგი მკითხველს, პირველ ყოვლისა, მოუთხრობს მწერლის თავისებურ შემოქმედებით ბიოგრაფიაზე. მისი თქმით, ნ. ს. ლესკოვმა, სხვა გამოჩენილ რუს ბელეტრისტთაგან განსხვავებით, შედარებით გვიან მოჰკიდა ხელი შემოქმედებით საქმიანობას; სამაგიეროდ, ადრე მოუხდა ცხოვრების გაცნობა, რამაც მას საპიროცოდნა და გამოცდილება შესძინა. მაგრამ მან ყურადღება მიიპყრო ზამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, რაც იოლი საქმე არ იყო ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების მიჯნაზე, როცა რუსულ ლიტერატურას ბევრი ბუმბერაზი წარმომადგენელი ჰყავდა.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, ნ. ს. ლესკოვს არ აკლდა მხატვრული ტალანტი, მაგრამ აკლდა მოვლენათა სიღრმეში ჩაწვდომის უნარი და უმთავრესად, სუბაპირული დაკვირვებებით კმაყოფილდებოდა. მის რომანებსა („არსაითყენ“, „დანა-სისხლად“) და ნარკვევებში წარმოდგენილი „ახალ ადამიანთა“ ტიპები აშკარად კარიკატურულია, რის შესახებ კრიტიკამაც მიუთითა მწერალს, მაგრამ მისი ის მოთხრობები, რომლებშიც აღწერილია უბრალო ხალხის ცხოვრება, სოფლელი ეკლესიის მსახურები და სხვ., უდავოდ აკმაყოფილებენ კრიტიკის ყველა მოთხოვნას. ამიტომ უკეთესი იყო, რომ გამოცემელს სწორედ მხოლოდ ისინი გამოეჭყვევნებინა, მაგრამ, ჩანს, გარკვეული მოთხოვნისგანაა ე. წ. ნიჰილისტთა ცხოვრებაზე შექმნილ სენსაციურ რომანებზეო.

გ. თუმანიშვილი არ იზიარებს იმ კრიტიკოსთა შეხედულებებს, რომლებიც ნ. ლესკოვის მხატვრულ ტალანტს პირველხარისხოვანს უწოდებენ, თანაც იძულებულნი არიან გვერდი აუარონ მის ზო-

<sup>1</sup> გაზ. „ნოვოეობოზრენიე“, 1891, №4473.

გიერთ სქელტანიან რომანებზე მსჯელობას, ვინაოდან ისინი უაღრესად ტენდენციურნი და კარიკატურულნი არიან. უხეში კარიკატურულობა კი შეუფერებელია დიდი ტალანტისათვის!

ნ. ლესკოვის-ბელეტრისტს და რუსული სინამდვილის მხატვარს, გ. თუმანიშვილი, ცხადია, თვითონაც მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ არ ეთანხმება იმ კრიტიკოსებს, რომლებიც მას ტურგენიევის, ოსტროვსკისა და სალტიკოვ-შჩედრინის გვერდით აყენებენ. ამ მხრივ იგი, უფრო მეტად, ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების პოზიციას იზიარებს. მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის გარემოებაც, რომ იგი სათანადოდ არ ამახვილებს ყურადღებას იმ შემოქმედებით ევოლუციაზე, რომელიც აშკარად გამოვლინდა ნ. ლესკოვის სამწერლო მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში.



თავის საყურადღებო ნარკვევში — „რუსი მწერლები კავკასიაში“<sup>1</sup> გ. თუმანიშვილი საგანგებოდ ჩერდება ლევ ტოლსტოის როლზე კავკასიური თემატიკის დამუშავების საქმეში. მისი თქმით, შეიძლება ითქვას, რომ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა ლ. ნ. ტოლსტოიმ კავკასიაში დაიწყო. მსახურობდა რა იმავე სამხედრო ნაწილში, რომელშიც მსახურობდა მისი უფროსი ძმა, 1851—1852 წლებში მან შექმნა თავისი ცნობილი მოთხრობები „ბავშვობა“ და „თარეში“. აქვე შეუდგა ნოველების „მემამულის დილა“ და „კაზაკების“ წერას. „კაზაკებში“ მან აღწერა კავკასიაში გადმოსახლებულ და მთიელებთან ერთად დასახლებულ კაზაკთა თავისებური ცხოვრება. 1853 წელს ლ. ნ. ტოლსტოიმ დატოვა კავკასია და გადავიდა ყირიმში, მაგრამ მას გაჰყვა კავკასიური შთაბეჭდილებები, რომლებიც ასახვას პოულობდნენ შემდგომი პერიოდის მის შემოქმედებაში. ამაზე მეტყველებს მისი ცნობილი „კავკასიის ტყვე“.

გ. თუმანიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა ქართველ კრიტიკოსთაგან ყურადღება გაამახვილა კავკასიური თემატიკის მნიშვნელობაზე, ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედებაში და შეფასება მისცა მას რუსი მწერლების კავკასიასთან ურთიერთობის საერთო ფონზე.

<sup>1</sup> გ. შ. თუ მ ა ნ ო ვ ი, დასასიათებები და მოგონებები, I, 1900, გვ. 194—207.

სრულიად მართებულად, გ. თუმანიშვილი მიუთითებს იმაზეც, რომ ლ. ნ. ტოლსტოის შემდეგ კავკასიის თემამ რუს მწერალთა შემოქმედებაში უკვე სხვაგვარი გაშუქება მიიღო; დაიკარგა ის რომანტიკული გატაცება და ის რეალისტური დამოკიდებულება, რომელსაც აქამდე დიდი რუსი მწერლები იჩენდნენ კავკასიისა და შიხ მცხოვრებთა მიმართ. „გ. ლ. ტოლსტოის ნაწარმოებების რეალიზმის სრულ წინააღმდეგობრიობას, — წერს გ. თუმანიშვილი, — წარმოადგენს ა. დრუჟინინის რომანის „ლეგენდა მუჟე წყლებზე“ ანუ „გდოტურობა“. უფრო მეტიც, სამოციანი წლებიდან, როცა უკვე დასრულდა ბრძოლები კავკასიაში, რუს მწერალთა შემოქმედებაში საგრძნობლად მცირდება კავკასიური თემატიკისადმი ინტერესი, ანდა სრულიად სხვაგვარ ხაზიათს ლებულობს იგი; „ა. დრუჟინინის მოთხრობაში „რუსი ჩერქეზი“ სასაცილოდაა აგებული ხანდაზმული აზნაურის ტიპი, რომელსაც თავი კავკასიელად წარმოუდგენია და კავკასიაში იმისთვის მიემგზავრება, რომ ნათესავები იპოვოს და მთიელებს ეომოს. რუსული რეალური რომანის გმირები აღარ ეხვევიან პაროლდის მოსასხამში და აღარ ეძებენ თავგადასავალს „დამლუპველ კავკასიაში“...“<sup>1</sup>

თავისი შეხედულების განსამტკიცებლად იგი იმოწმებს, აგრეთვე ახალგაზრდა ს. ი. ნადსონის მიერ კავკასიის თავისებურ აღქმას. მოხვდა რა შემთხვევით კავკასიაში 1879 წელს, ს. ნადსონმა ლექსი უძღვნა კავკასიას, რომელშიც, მართალია, გამოხატულია პოეტის აღფრთოვანება კავკასიის ბუნებით, მაგრამ სუვედით შეტრფის მოლუშულ ჩრდილოეთს, რომელიც მისთვის მაინც ძვირფასია.

\* \* \*

გ. თუმანიშვილს ვეღარ აკმაყოფილებს ვერც გლებ უსპენსკის ყურადღება და დამოკიდებულება კავკასიისადმი. მართალია, იგი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი კავკასიელი ხალხისადმი, საპატიო ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში კავკასიის თემსაც, მაგრამ მაინც აღარ გვევლინება ამ კუთხითა და მისი მკვიდრი ხალხის ცხოვრებით აღფრთოვანებულ და დაინტერესებულ მწერლად; მისი

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, I, 1900, გვ. 204.



ძება ჩვენ ისეთივე ახალ ცხოვრებას მოგვიტანს, როგორც მოგვიტანა ყირიმის კამპანია<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილის შთაბეჭდილებით, გლ. უსპენსკი, ჩანდა, ბევრს ფიქრობდა ამ თემაზე და ძალიან სურდა ერწმუნა ხალხის ძალა, მაგრამ ისიც შეინიშნებოდა, რომ მას აწუხებდა ეკვიც.

ინტელიგენციაზე საუბრისას გლ. უსპენსკი შეჩერებულა ბევრ მტკივნეულ საკითხზე და სხვათა შორის უთქვამს: „ლიტერატურა გაქრა დედაქალაქებში და გადავიდა პროვინციაში. პეტერბურგი შეცვალა მოსკოვმა. მაგრამ მას არ შეუძლია დაიტრაბახოს თავისი გამომცემლობით“<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილი არ მალავს კმაყოფილებას გლებ უსპენსკის გაცნობისა და მართან საინტერესო საუბრის გამო, მაგრამ გამოთქვამს თავის გულისტკივილსაც იმის გამო, რომ მწერლის ჯანმრთელობას არცთუ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე. „უსპენსკი ეგზალტირებული იყო, ლაპარაკობდა ბევრს, ყვებოდა მახვილგონივრულ ანეგდოტებს სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებზე და ზუსტად ახსიათებდა ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეს. მაგრამ მიუხედავად ცოცხალი საუბრისა და არაჩვეულებრივი თავაზიანობისა, იგი მაინც ავადმყოფურად დაძაბული ნერვების მქონე ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა“<sup>3</sup>.

გლ. უსპენსკისთან საუბრის მეორე დღეს, გ. თუმანიშვილი პეტერბურგიდან მოსკოვში გამგზავრებულა, სადაც მეტად უსიამოვნო ამბავი შეუტყვია — გაზეთებში წაუკითხავს გლებ უსპენსკის ბიძაშვილს, ცნობილი მწერლის ნიკოლოზ უსპენსკის თვითმკვლელობის შესახებ. ამ ამბავს იგი კიდევ მეტად იმიტომაც შეუწუხებია, რომ მას ადვილად ვერ გადაიტანდა გლებ უსპენსკი. მართლაც, ამბობს ის, ამის შემდეგ, სამი წლის მანძილზე, მან მხოლოდ ორისამი ნარკვევის ნაწყვეტები გამოაქვეყნა, შემდეგ კი მისი დაღუპვის ამბავიც მოვიდაო.

დასასრულს კი გ. თუმანიშვილი მრვალისმეტყველად დასძინს:

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, III, გვ. 161—162.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 162—163.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 163.



„კავკასიელების მიმართ გლ. უსპენსკი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი. მას უყვარდა არა მარტო ჩვენი ბუნება, არამედ ჩვენც, კავკასიის მკვიდრნიც“<sup>1</sup>

გლებ უსპენსკი ხომ ნამყოფი იყო საქართველოში და ნ. ნიკოლაძის მეოხებით ერთხანს თბილისურ რუსულ პრესაშიც თანამშრომლობდა.

• • •

როგორც ცნობილია, საქართველო, და კერძოდ თბილისი, გამოჩეულად ახლობელი და ყოველთვის კეთილად მოსაგონარი იყო მაქსიმ გორკისათვის. ასევე, ქართველ ხალხსაც ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა ამ დიდი მწერლისადმი, რომლის პირველი ნაწარმოები „მაკარ ჩულრა“ თბილისურ გაზეთში („კავკაზ“) დაიბეჭდა; თბილისი იყო მ. გორკის, როგორც მწერლის დაბადების ადგილი.

და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესებულნი გ. თუმანიშვილისათვის მ. გორკი, ცხადია, მეტად საინტერესო მწერალი და პიროვნება იყო. მით უმეტეს, რომ პირადად კარგად იცნობდა მას.

მ. გორკის საქართველოსთან ურთიერთობაზე გ. თუმანიშვილი საგანგებოდ მსჯელობს სტატიებში „რუსი მწერლები კავკასიაში“ და „მაქსიმ გორკი თბილისში“, რომლებიც გაზეთ „ნოვოე ობიზრენიაში“ (1903) დაიბეჭდა<sup>2</sup>.

გ. თუმანიშვილის შეხედულებით, უახლოესი პერიოდის რუს ბელეტრისტთაგან ყველაზე მკვიდრო ურთიერთობა საქართველოსთან მ. გორკის ჰქონდა. იგი თბილისთან იყო დაკავშირებული როგორც თავისი შრომითი საქმიანობით, ასევე შემოქმედებითი ბიოგრაფიით. უბრალო მუშა, იგი აქ გახდა მწერალი, რაშიც დიდი როლი შეაარულა ადგილობრივმა ინტელიგენციამ, რომელშიც ტრია-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, III, გვ. 164—165.

<sup>2</sup> ორივე წერილი ავტორმა შეიტანა „დახასიათებები და მოგონებების“ I, (1900 I და II 1905) წიგნში.

ლებდა მომავალი მწერალი. პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუღრა“ მ. გორკიმ ი. ნ. მილიუტინის რედაქტორობით გამოშველ თბილისურ არუსულ გაზეთ „კავკასში“ (1892) გამოაქვეყნა. ამჟათან, მის აღრულ და საყურადღებო მოთხრობაში „ჩემი თანამგზავრი“ ერთერთ გმირად გამოყვანილია ქართველი შაქრო ფტაძე. მართალია, ქართველები თავდაპირველად უკმაყოფილონი იყვნენ, ეგოისტ და ცინიკოს ტიპად მწერალმა ქართველი რომ გამოიყვანა, მაგრამ, სინამდვილეში, მ. გორკი არ იმსახურებდა საყვედურს, ვინაიდან თვითონ ავტორი პატივისცემით ეპყრობა თავის გმირს; იგი გორკის ჩვეულებრივი პერსონაჟია, რომლის გამო თვითონ შენიშნავენ: „მე მას ხშირად ვიგონებ კეთილი გრძნობით და დიდი სიცილით. მან ბევრი რამ მასწავლა, რასაც ვერ იპოვი ბრძენი ადამიანების მიერ დაწერილ სქელ ფოლიანტებში, რადგან ცხოვრების სიბრძნე ყოველთვის უფრო ღრმა და ფართოა ადამიანების სიბრძნეზე“<sup>1</sup>.

სტატია „მაქსიმ გორკი თბილისში“, საყურადღებოა იმათ, რომ მასში კრიტიკოსი საუბრობს თავის უშუალო ურთიერთობაზე მწერალთან.

გ. თუმანიშვილი იგონებს, რომ ახალგაზრდა მ. გორკი თბილისში ჩამოვიდა და დაიწყო მუშაობა რკინიგზაზე (სახელოსნოში). მაგრამ თბილისში ჩამოსვლამდე მას ბევრი რამ გადახდა თავის ქართველ თანამგზავრთან ერთად, კავკასიური შთაბეჭდილებები კი შემდეგ საფუძვლად დაედო მის მოთხრობებს („ჩემი თანამგზავრი“, „შეცდომა“), რომლებმაც მკითხველის ყურადღება მიიპყრო საინტერესო სიუჟეტებით.

როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, გ. თუმანიშვილს მ. გორკი ჯაუცვნია ჭერ კიდევ „მაკარ ჩუღრა“ გამოქვეყნებამდე: დამწყებ მწერალს სწორედ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციაში მიუტანია თავისი ლექსები დასაბეჭდად. იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, შეხვდა თუ არა მას თვითონ, როგორც რედაქტორი, მაგრამ გადმოგვცემს ასეთ საინტერესო ფაქტს: თბილისში მ. გორკი გაატაცა ლიტერატურამ, „... მან დაიწყო წერა, წერდა მოთხრობებს და ლექსებსაც კი. ლექსები მიიტანა „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციაში, მაგრამ არ იყო მთლად კარგი და არც მაშინ დაუბეჭდავთ, არც შემდეგ.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, I, 1900, გვ. 207.

გორკის მოთხრობები კი გადაუგზავნეს „კავკაზის“ რედაქციას. ყველა ამ ნაწარმოებიდან პრესაში დაიბეჭდა ორი მოთხრობა, რომელთაგან ერთია „მაქარ ჩუღრა“. ამგვარად გორკი პირველად დაიბეჭდა კავკასიის პრესაში<sup>1</sup>. ამის შემდეგ მ. გორკის მალე დაუტოვებია თბილისი.

1898 წელს მ. გორკის „კავკაზის“ ფურცლებზე გამოუქვეყნებია პატარა მოთხრობა „პაემანი“. ამ გარემოებას გაკვირვება და უკმაყოფილება გამოუწვევია მ. გორკის მეგობრებში: გაზეთი „კავკაზი“, იმ დროისათვის არ სარგებლობდა პატივისცემით, რედაქტორის (ე. ლ. ველიჩკოს) აშკარა შოვინისტური პოზიციის გამო. მაგრამ მ. გორკი, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, ამ საქმეში იყო უდანაშაულო დამნაშავე. 1899 წელს, როცა მას შეეხვდი პეტერბურგში, ჟურნალ „უიზნის“ რედაქციაში გამართულ მორიგ „ორშაბათობაზე“ (ამ დროს ეს ჟურნალი ბეჭდავდა მ. გორკის „თომა გორდეესა“), მე არ დამიმაღავს მისთვის, რომ კარგი შთაბეჭდილება არ მოუხდინია მის გამოჩენას ველიჩკოს გაზეთში. მანაც არ დამამთავრებია საყვედური და თვითონ განაგრძო: „ვიცი, ვიცი, მაგრამ ეს მოხდა უნებლათ. მიმიწვიეს „კავკაზში“. არ ვიცოდი, ვინ იყო მისი რედაქტორი. ჩემთვის სასიამოვნო იყო. მიწვევა გაზეთში, რომელმაც დაბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა, და აი მე იქ გავგზავნე პატარა ნარკვევი. როცა შევიტყვე, რომელ მიმართულების იყო ველიჩკო, გული დამწყდა. მიეწერე ტიფლისში, რომ ჩემი ნარკვევი უკან აედოთ, მაგრამ დაგვიანებული აღმოჩნდა, ამგვარად, ჩემი ნარკვევი დაიბეჭდა იმ კაცის გაზეთში, რომლის შეხედულებებიც ჩემში ღრძა ანტიპათიებს იწვევს“<sup>2</sup>. სამწუხაროდ, უთქვამს მ. გორკის, ეს პირველად არ მომსვლია, ანალოგიური ისტორია შემემთხვა ჟურნალ „სევერნი ვესტნიკთანაც“-ო.

1898 წელს მ. გორკი, რაღაც გაუგებრობის გამო, კვლავ მოხვედრილა თბილისში: ერთ-ერთ აღძრული საქმის გარკვევასთან დაკავშირებით იგი იძულებით ჩამოუყვანიათ ნიჟინ-ნოვგოროდიდან, რასაც მისი ახალგაზრდა მეუღლე ძალიან აუღელვებია და დახმარებისათვის მიუმართავს მწერლის მეგობრებისათვის პეტერბურგში.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1905. II, გვ. 43.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 49.

სწორედ ამ დროს ყოფილა გ. თუმანიშვილი პეტერბურგში, ბ. ბელინსკის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე. როცა შეუტყვია, რომ იგი თბილისელი იყო, მასთან მისულა პროფესორი კ. ა. პოსე, და უთხოვნია, დახმარებოდა მ. გორკის. გ. თუმანიშვილსაც მაშინვე გამოუგზავნია სათანადო წერილი თბილისში, მაგრამ მანამდე კიდევაც გაურკვევიათ ყველაფერი და გორკი ნიენი-ნოვგოროდში დაბრუნებულა.

გ. თუმანიშვილი შენიშნავს, რომ მ. გორკის ჰათი გაუგებრობა შემთხვევია მაშინ, როცა გამოვიდა მისი მოთხრობების პირველი კრებული, რომელმაც მას ნიკიერი მწერლის სახელი მოუხვეჭა, როცა „ყველა ბანაკის ყურნალებმა და გაზეთებმა ერთხმად აღიარეს ახალგაზრდა მწერლის დიდი ნიჭი. მისმა ნაწარმოებებმა გააოცა ყველა ორიგინალური შინაარსით, ნათელი და მსუყე ფერებით“<sup>1</sup>.

გ. თუმანიშვილი მკითხველს მოუთხრობს იმის შესახებაც, რომ მ. გორკი, ა. ჩეხოვთან და ვასნეცოვთან ერთად, ამჟერად უკვე თავისი ნებით, კვლავ ეწვია თბილისს 1900 წელს. ამ შემთხვევით კი ისარგებლეს გორკის ძველმა ნაცნობებმა და საგანგებო ნადიმი გაუმართეს მას.

1903 წლის ზაფხულზე კი მ. გორკი საქართველოში ჩამოსულა დასასვენებლად; ბევრი უმოგზაურია ფეხით და ძალიან მოხიბლული დარჩენილა მისი ბუნებით.

\* \* \*

რუსული მწერლობის განვითარებასთან ერთად, გ. თუმანიშვილს ყოველთვის იტაცებდა რუსული ყურნალისტიკისა და სალიტერატურო კრიტიკის ბედი. ამ თემაზე მას დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს მრავალი წერილი და სპეციალური სტატია. მისი წერილების სერია „მექრონიკის ჩანაწერები“ უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა რუსული ყურნალისტიკისა და რუსული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების გზებზე. ამასთან ერთად ავლენს თვით ავტორის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების თავისებურებას და ესთეტიკურ კრედოს. ამიტომაც ისინი საგანგებო და

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დასასიათებები და მოგონებები, 1905, II, გვ. 48.

სერიოზულ შესწავლას მოითხოვენ. მით უმეტეს, რომ გ. თუმანი-  
შვილი, როგორც თავისი ინტელექტუალური დონით, ასევე კრიტი-  
კული და პუბლიცისტური ჩივითა და გამოცდილებით, საყურადღე-  
ბო და ანგარიშგასაწევი ავტორია იმდროინდელ პუბლიცისტთა  
შორის. იგი ხომ უშუალო მოწმე და მცოდნეა ბევრი იმ მოვლენის,  
რომლებიც დღევანდელი მკითხველისათვის საგანგებო ინტერესის  
საგანია? მას ხომ ჩვევად აქვს ცალკე გამოყოს ის საკითხები, რო-  
მელთა შესახებაც თავისი საკუთარი აზრი და შთაბეჭდილება აქვს!  
ასე იქცევა იგი, კერძოდ, ცნობილი რუსი კრიტიკოსისა და მოაზრო-  
ვნის ნ. კ. მიხაილოვსკის დახასიათებისას.

ნ. კ. მიხაილოვსკის კრიტიკული და პუბლიცისტური მოღვაწე-  
ობის გამო გ. თუმანიშვილს ხშირად გამოუთქვამს თავისი აზრი რუ-  
სული ჟურნალების მიმოხილვის დროს, მაგრამ მას გამოქვეყნებუ-  
ლი აქვს სპეციალური სტატიაც „ნ. კ. მიხაილოვსკის“, რომელშიც  
იგი საერთო შეფასებას აძლევს ამ ცნობილი რუსი პუბლიცისტისა  
და კრიტიკოსის მრავალფეროვან მოღვაწეობას.

ნ. კ. მიხაილოვსკი, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, ის კრიტიკოსი  
იყო, რომელიც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებდა არა მხო-  
ლოდ ლიტერატურული, არამედ, საერთოდ, საზოგადოებრივი სა-  
კითხების გაშუქებით; ამ მხრივ იგი აგრძელებდა ბ. ბელაჩკის, ნ.  
ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვისა და პისარევის გზას.

დიდი სამოციანელების (ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისა-  
რევი) შემდეგ, ამბობს გ. თუმანიშვილი, რუსულ კრიტიკაში, მკი-  
რე ხნით, ხელახლა შეიქმნა ერთგვარი ხარვეზი თუ სიცარიელე, მა-  
გრამ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ნეკრასოვიმ ხელში გადააქვლია  
და „ვესტნიკ ევროპისა“ და „დელოს“ აღმოცენების შემდეგ კვლავ  
გამოჩნდა მთელი პლეადა ახალგაზრდა ჩივიერი კრიტიკოსებისა,  
რომლებმაც დაიწყეს ცხოვრებისა და მწერლობის მტივენულ სა-  
კითხებზე მსჯელობა. მათ შორის კი ყველაზე ღირსეული ნ. კ. მი-  
ხაილოვსკი იყო; „და მას შემდეგ, მთელი 25 წლის მანძილზე რუ-  
სულ პრესაში არ იყო პიროვნება, რომელსაც მეტი გავლენა ჰქონო-  
და თანამედროვე საზოგადოებაზე, ვიდრე ნ. კ. მიხაილოვსკის, თუ  
არ ჩავთვლით მ. სალტიკოვსა (შჩედრინსა) და გრ. ლ. ნ. ტოლს-  
ტოის. მაგრამ ამ უკანასკნელთ დიდება სანახევროდ მხატვრულმა

ნაწარმოებებმა მოუტანა, ხოლო მათი როლი, როგორც მასწავლებლებისა, არ იყო ნ. კ. მიხაილოვსკიზე მნიშვნელოვანი<sup>1</sup>. მართალია, 80-იან წლებში რუსულ საზოგადოებრიობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ აგრეთვე ნ. ვ. შელგუნოვსა და ვ. ს. სოლოვიევს, მაგრამ მათი ჟღერება არ ყოფილა ისე მწყობრი და მტკიცე, როგორც ნ. კ. მიხაილოვსკისა.

გადადის რა პირადი მოგონებების გადმოცემაზე, გ. თუმანიშვილი შენიშნავს, რომ თავისი მეგობრის ს. ნ. კრივენკოს მსგავსად, ჩამოცდაათიან წლებში ნ. კ. მიხაილოვსკიმაც შეიძინა მიწის ნაკვეთი შავი ზღვის პირას, სოხუმში და სწორედ ჩამოდიოდა საქართველოში. რამდენჯერმე ყოფილა თბილისსა და აბასთუმანშიც; კიდევ უფრო სწორად — მინერალურ წყლებზე. მაგრამ იგი მას გაუცენია არა საქართველოში, არამედ პეტერბურგში 1889 წელს, უნივერსიტეტელი მეგობრის ს. ნ. იუჟაკოვის საშუალებით, რომელსაც იგა ნ. მიხაილოვსკისთან მიუყვანია ბინაზე მისი წრის ერთ-ერთი შეკრების დროს.

გ. თუმანიშვილის გადმოცემით, ნ. კ. მიხაილოვსკი იყო გუნებამხვილი მოსაუბრე, რომელსაც უნარი ჰქონდა მსჯელობის საგნად გაეხადა სხვადასხვა საკითხები და თანამესაუბრეთა შორის შეექმნა და გაეღვიძებინა სათანადო აზრები. გ. თუმანიშვილს ნ. მიხაილოვსკის ბინაზე დახვედრია გლ. უსპენსკი, ს. ნ. კრივენკო, ვ. ვ. ლესევიჩი, ვ. ი. სემევსკი და სხვ. ამის შემდეგაც იგი რამდენჯერმე მოხვედრილა ნ. მიხაილოვსკის წრის შეკრებებზე. აქ იგი მოწმე გამხდარა მათი მსჯელობისა კავკასიის შესახებ თუ იმდროინდელი ქურნალისტიკის მდგომარეობაზე. ამ პერიოდში ეს წრე, შენიშნავს გ. თუმანიშვილი, კრიზისს განიცდიდა; მათი შეკრება იყო უკმაყოფილო და უკვე წარუმატებელი ადამიანების შეხვედრა, რომლის დროსაც მე ცოტა არ მომისმენია მწარე შეფასება კავკასიელებისა. როგორც ჩანს, ნ. მიხაილოვსკი უკმაყოფილო იყო პეტერბურგში მყოფი მისი ნაცნობი კავკასიელებით. ასევე უკმაყოფილონი იყვნენ ნ. მიხაილოვსკის მეგობრებიც. მათი თქმით, კავკასიელები, რომლებიც ადრე რუსეთის რადიკალიზმის ავანგარდში იყვნენ, ახლა თითქოს-

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1907, 111, გვ. 150.

და არაფრით აღარ ამელავნებდნენ თავიანთ შეურიგებლობას თანამედროვე რეჟიმის მიმართ.

გ. თუმანიშვილს თავდაპირველად ისიც კი მოჩვენებია, რომ ნ. მიხაილოვსკის წრის წევრები ველიკორუსული იდეების ერთგულნი იყვნენ და აღმაცერად უტკერდნენ სხვა ხალხთა ბედს რუსეთის იმპერიაში, მაგრამ ბოლოს დარწმუნებულა, რომ ასე არ ყოფილა, ეს კიდევ უფრო აშკარა გამხდარა მისთვის მას შემდეგ, როცა ნ. მიხაილოვსკის ჟურნალში მკაცრი პროტესტი წაუეთხაზა ელიჩკოსა და მისი თანამოაზრეების საქმიანობაზე კავკასიაში.



მეტად სიმპათიურად წარუდგინა თავის მკითხველს გ. თუმანიშვილმა ვ. ა. გოლცევი<sup>1</sup>. ლაკონურად, უაღრესად თბილი სიტყვებით დაახასიათა მან ჟურნალი „რუსსკაია მისლ“ და მისი ენერგიული რედაქტორი. ეს დახასიათება არაა მოკლებული არც მცდარ და გადაჭარბებულ: არც გასაზიარებელ შეფასებას.

გ. თუმანიშვილის გადმოცემით, ვ. ა. გოლცევი ცოტას წერდა, მაგრამ იგი იყო სულისჩამდგმელი თავისი პოპულარული ჟურნალის „რუსსკაია მისლ“, რომელმაც ბევრ ცენზურულ თავდასხმას და, ბოლოს, მატერიალურ ზარალსაც გაუძლო. მის ფურცლებზე იბეჭდებოდნენ: ნ. კ. მიხაილოვსკი და პროფ. ტიმირიაშევი, ნ. ვ. შელგუნოვი და პ. დ. ბობრიკინი, ვ. გ. კოროლენკო და მაქსიმ გორკი, ჩერნიშევსკისა და გერცენის მეგობრები, გლ. უსპენსკი და სხვ. ამასთან ჟურნალში ვერ იგრძნობდით რომელიმე მათგანისადმი რედაქტორის მიკერძოებულ დამოკიდებულებას, და რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია, გოლცევი ახალგაზრდა ადამიანებში ამჩნევდა ნიქსა და მომავალს. ამიტომ მათ, ყოველგვარი პროტექციის გარეშე, შეეძლო გამოსულიყვნენ ამ ჟურნალის ფურცლებზე. უფრო მეტიც, ჟურნალი ძალიან ხშირად წამახალისებელ შეფასებას აძლევდა მათ პირველ ცდებს და, ხელმოკლეობის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად ესმარებოდა კიდევ ფინანსურად.

<sup>1</sup> გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 248—250.

ამ ჟურნალისა და მისი რედაქტორის ღირსებად მიაჩნია გ. თუმანიშვილს ისიც, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ რუსეთის იმპერიის განაპირა კუთხეებსა და მათ წარმომადგენლებს; ყველა რუსულ ჟურნალზე მეტად, „რუსსკაია მისლი“ აცნობდა მკითხველს მაგალითად, პოლონურ ლიტერატურას.

გ. თუმანიშვილი, ცხადია, კიდევ უფრო კმაყოფილია იმით, რომ ვ. გოლცევის კავკასიის შესახებ დაწერილი მისი ჩტატიები დაუბრკოლებლად გამოუქვეყნებია, თუმცა პირადად არ აცნობდა მას; „რუსსკოე მისლში“ სტუმართმოყვარულად დებულობდნენ სხვა მრავალ კავკასიელ მწერალსაც. იქ ხშირად იბეჭდებოდნენ პროფ. ა. ს. ხახანოვი, გ. ა. ჯანშიევი, თავ. ა. ი. სუმბათოვი, ვედრებოსელი და სხვ.“<sup>1)</sup>

რაგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილმა ვ. გოლცევი და მისი ჟურნალი („რუსსკაია მისლ“) საკმაოდ თბილად დაახასიათა და ბევრ რამეში — მართებულადაც. მაგრამ მან, სამწუხაროდ, მოიწონა ისიც, რაც საგანგებოდ უნდა დაეწუნებინა; ესაა რედაქტორისა და მისი ჟურნალის გამოკვეთილი მიმართულებისა და კონცეფციის უქონლობა. ვფიქრობთ, მისი გადაჭარბებული სიმპათიები განპირობებულია პარტიული თანამშობითაც (ვ. გოლცევიც და გ. თუმანიშვილიც ბოლოს კადეტთა პარტიის წევრები გახდნენ!).

ერთი რამ მაინც ფაქტი და უდავოა, გ. თუმანიშვილმა ბევრი რამ გააკეთა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლიტერატურული და ჟურნალისტური ურთიერთობის შესახებ. მან საიმედო ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით და შექმნა მტკიცე ტრადიციები, რაც შემდეგში, ცხადია, თანდათან უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა. ამიტომაც არის, რომ რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის თანამედროვე ცნობილი მკვლევრები (ვ. შადური, ა. ნიკოლაძე, გ. ციციშვილი, გ. გვენეტაძე, ო. ბაქანიძე და სხვ.) მაღალ შეფასებას აძლევენ გ. თუმანიშვილის დამახასიათებელ ამ მიმართულებით და თავიანთ ნაშრომებში საგანგებოდ მსჯელობენ მის მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე ძლიერ და სუფთ მხარეებზე.

გ. მ. თუმანიშვილი, დახასიათებები და მოგონებები, 1913, I, გვ. 249.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

ცხოვრების გზა	3
სამოღვაწეო ასპარეზისაკენ	26
პირველი ნაბიჯები	35
პოლემიკის სამყაროში	72
რუსულ პრესაში	102
კვლავ ქართული პრესის ფურცლებზე .	166
გ. თუმანიშვილი — რუსული ლიტერატურის კრიტიკოსი	177

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჭ ი შ კ ა რ ი ა ნ ი  
მხატვარი ჩ ი ქ ვ ი ნ ი ძ ე  
კორექტორი ც. მ ო ლ ო დ ი ნ ი  
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბ უ დ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

სბ 1760

გადაეცა წარმოებას 18.06.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.05.92.

საბეჭდი ქაღალდი 60X84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 14,25. საალრ.-საგამომც. თაბახი 11,46.

ტირაჟი 1000. შეკვეთის № 491.

ფასი 9 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.